
განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული ლიტერატურა 9

მასწავლებლის წიგნი

პირველი ნაწილი



ლალი დათაშვილი, ივანე ამირხანაშვილი,
ლელა ელისაშვილი, ქეთევან რეხვიაშვილი

ქართული ლიტერატურა 9

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული ლიტერატურა
IX კლასი, I ნაწილი
მასწავლებლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორები:
ლალი დათაშვილი,
ივანე ამირხანაშვილი,
თანაავტორები:
ლელა ელისაშვილი,
ქეთევან რეხვიაშვილი

საგნის ექსპერტ-კონსულტანტი: თინათინ ცერაძე
სამეცნიერო რეცენზენტები: გია მურღულია
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: ნუცა საღარაძე
რედაქტორი: ცისანა ბურჯანაძე
დამკაბადონებელი: ლაშა გაბელია

სახელმძღვანელო განკუთვნილია IX კლასის მასწავლებლებისათვის
და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I და II ნაწილები;
მასწავლებლის წიგნი I და II ნაწილები.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სარჩევი

მეცხრე კლასის მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნების შესახებ 5
მოსწავლის ახალი სახელმძღვანელოს ღირსებები და სიახლეები..... 6
მეცხრე კლასის ქართული ლიტერატურის მოსწავლის წიგნის სტრუქტურა..... 7
რაც შეეხება მასწავლებლის წიგნს 11

პირველი ნაწილი
დამატებითი მასალა შესავალი გაკვეთილებისთვის (ლალი დათაშვილი) 12
იაკობ ხუცესი - წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი 14
სწავლის შედეგი და შეფასების ინდიკატორი..... 14
ტექსტის გზამკვლევი „შუშანიკის წამების“ ზოგიერთი ეპიზოდის
ან ციტატის განმარტებისათვის (ლალი დათაშვილი)..... 16
დამატებითი დავალებები „შუშანიკის წამების“ სწავლებისას 18
გაკვეთილის გეგმა..... 25
იოვანე საბანისძე - აბოს წამება 29
სწავლის შედეგი და შეფასების ინდიკატორი..... 29
ტექსტის გზამკვლევი „აბოს წამების“ ზოგიერთი ეპიზოდის ან
ციტატის განმარტებისათვის (ლალი დათაშვილი) 31
დამატებითი დავალებები „აბოს წამების“ სწავლებისას..... 37
გაკვეთილის გეგმა..... 42
გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება 46
სწავლის შედეგი და შეფასების ინდიკატორი..... 46
ტექსტის გზამკვლევი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ზოგიერთი
ეპიზოდის ან ციტატის განმარტებისათვის (ლალი დათაშვილი)..... 48
დამატებითი დავალებები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ სწავლებისას 64
გაკვეთილის გეგმა..... 68
დიდი ათონელები - „სამკაულნი ნათესავისა ჩვენისანი“;
ქართული ჰიმნოგრაფია..... 72
სწავლის შედეგი და შეფასების ინდიკატორი..... 72
დამატება 4.1 თავისთვის - დიდი ათონელები - სამკაულნი
ნათესავისა ჩვენისანი 75
დამატება 4.2 თავისთვის - ქართული ჰიმნოგრაფია..... 76
გაკვეთილის გეგმა..... 80

მეორე ნაწილი
ქართული ლიტერატურის სტანდარტი საბაზო საფეხურზე 84
თემატური შესაბამისობა სტანდარტთან 91
საათების სავარაუდო განაწილება 100

მესამე ნაწილი

შეფასების სქემები 103

მეოთხე ნაწილი

შემაჯამებელი წერილები ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებით 122
ქეთევან სირაძე - წმინდა ნინოს ცხოვრება (ლეონტი მროველის მიხედვით) 122
გია მურღულია - აბოს წამება - შიშის დაძლევის გზა 126
გია მურღულია - დამნახველი და გამომხატველი 128
ივანე ამირხანაშვილი - აგიოგრაფიული თხზულების ავტორი 130
ივანე ამირხანაშვილი - აგიოგრაფიული თხზულების გმირი 136
ივანე ამირხანაშვილი - ჰაგიოგრაფიის ანტიგმირი 139
ივანე ამირხანაშვილი - ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან 142
ლალი დათაშვილი - წმიდა გრიგოლ ხანძთელი - უდაბნოთა ქალაქმყოფელი ზეცის კაცი 146
ლალი დათაშვილი - ჰაგიოგრაფია - სახედ სათნოებისა 150
ლალი დათაშვილი - სახისმეტყველებითი თანახატქმნა ჰაგიოგრაფიაში 152
ლალი დათაშვილი - ჰაგიოგრაფიის სივრცე 154
ლალი დათაშვილი - სივრცეში გადაადგილების ქვეტექსტური მნიშვნელობა ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში 161
ლაურა გრიგოლაშვილი - ქართული ჰიმნოგრაფია 164
რევაზ სირაძე- შენ ხარ ვენახი 171
დამხმარე ლიტერატურის სია 174
QR-კოდები დამატებითი მასალებისთვის 176

მეცხრე კლასის მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნების შესახებ

ძვირფასო მეგობრებო, მოგესალმებით და გვსურს, ჩვენი წიგნების შესახებ ინფორმაცია და, შესაბამისად, რამდენიმე აუცილებელი განმარტება მოგაწოდოთ.

თერთმეტწლიან სწავლებასთან დაკავშირებით ძველი ქართული ლიტერატურა მეცხრე კლასში შეისწავლება. რადგან ქართული ლიტერატურის სწავლების ქრონოლოგიური პრინციპი სამ წელიწადს გრძელდება, თემატური სწავლება მერვე კლასში წყდება. ამიტომ გავითვალისწინეთ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ეპოქის გამოწვევები, მოზარდთა მიდრეკილებები და შევუსაბამეთ გარკვეული ცვლილებები და სიახლეები (რომელთაც ქვემოთ იხილავთ).

როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის წიგნები ორ ნაწილადაა გაყოფილი, რადგან ძველი ქართული სასულიერო მწერლობის (ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის) სწავლება (სავარაუდოდ) I სემესტრს მოიცავს, ხოლო II სემესტრი (სავარაუდოდ) ძველი ქართული საერო ლიტერატურის შესწავლას დაეთმობა.

მოსწავლის წიგნში მრავალფეროვანი დავალებებია. საგანგებოდ არ დაგვიკონკრეტებია, რომელი განვსაზღვრეთ, როგორც - საკლასო და რომელი, როგორც საშინაო დავალება. გარდა ამისა, დავალებები არჩევანის საშუალებას იძლევა, რომელი და როგორ შესრულდეს, მასწავლებლის სურვილსა და მის მიერ გაკვეთილის დაგეგმვის შესაბამისად.

მოსწავლის წიგნი თავებად იყოფა ნაწარმოებთა მიხედვით.

ყოველ თავს უძღვის შესავალი, ხოლო თავების ბოლოს მოცემულია შემაჯამებელი დავალებები: პროექტი, პრეზენტაცია, შემოქმედებითი სამუშაო. მოსწავლესა თუ მასწავლებელს შეუძლია, სურვილისამებრ აირჩიოს რომელიმე მათგანი.

წიგნის ყოველი თავის დავალებები გათვლილია ისე, რომ მოიცვას სტანდარტით დასახული ყოველი ამოცანა და უპასუხოს ესგ-ს მოთხოვნებს.

გარდა ამისა წიგნში შეგხვდებათ ორი მეთოდური რჩევა მოსწავლეთათვის: „ვიდრე კითხვას შეუდგებით, გაეცანით, რას ნიშნავს ყურადღებით წაკითხვა“ (გვ. 11) და „ლიტერატურული დღიური“ (გვ. 108), რომლებიც ვრცელ და რთულ ტექსტებზე სამუშაოდ გამოიყენება. სასურველია, მოსწავლეებთან ერთად განიხილოთ ეს რჩევები და ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, თუ როგორ გაითვალისწინებენ მათ სასწავლო წლის განმავლობაში.

მოსწავლის ახალი სახელმძღვანელოს ღირსებები და სიახლეები:

1. ტექსტის გარკვეული ნაწილი, კერძოდ, კონცეპტუალურად ნაკლებმნიშვნელოვანი, ძირითადად შინაარსის გადმოსაცემად აუცილებელი, გადმოტანილია ახალ ქართულ ენაზე, რაც გაუიოლებს მოსწავლეს მასალის ათვისებას და დაზოგავს დროს ტექსტზე დაკვირვებისა და ნაწარმოების სიღრმისეული ანალიზისთვის;
2. წარმოდგენილი ნაწარმოებების კონტექსტური გააზრებისა და ტექსტების დიალოგის მიზნით გავლებულია პარალელები თანამედროვე ქართულ ლიტერატურასთან (აქ შეხვდებით ლექსებსა თუ ამონარიდებს ო. ჭილაძის, ო. ჩხეიძის, რ. ინანიშვილის, ჯ. ქარჩხაძის, ა. კალანდაძის, თ. ჩალაბაშვილის, შ. ნიშნიანიძის, ი. აბაშიძის, ლ. გოთუას, ვ. ბარნოვის... ნაწარმოებთაგან), რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ლიტერატურა მარადიულ, ყოველ დროსა და ეპოქაში აქტუალურ ღირებულებებს აყალიბებს;
3. მასალის გამრავალფეროვნების მიზნით ყოველ გაკვეთილს ერთვის სხვადასხვა ტიპის კითხვები და დავალებები, რომლებიც საკითხის ალტერნატიული ხედვა-შეფასების საშუალებას იძლევა;
4. სახელმძღვანელოში არის ბლოკი „დააკვირდით“, რომელიც ეხმარება მოსწავლეს მასალის სიღრმისეულ გააზრებაში და დამოუკიდებლად მუშაობის უნარს უყალიბებს;
5. ჰიმნოგრაფიის შესასწავლად რამდენიმე გაკვეთილია გამოყოფილი, მათ შორის პირველადაა სასკოლო მასალაში გრიგოლ ხანძთელის ორიგინალური ჰიმნის ნაწილი და მისი ერთ-ერთი თარგმანი, რათა მოსწავლემ იცოდეს ამ დიდი მოღვაწის პოეტური ნიჭის შესახებაც;
6. თეორიული მასალა მოცემულია მარტივი და მოსწავლისთვის გასაგები ენით;
7. თვალსაჩინოებად მოხმობილი ვიზუალური მასალა თანადროულია და ინფორმაცია მიეწოდება ამ ძეგლების შესახებაც, რაც მოსწავლეს თვალსაწიერს უფართოებს;
8. მოსწავლეთა გემოვნების დასახვეწად ნახატები აკადემიურ დონეზეა შესრულებული;
9. სამეცნიერო-პოპულარული ფილმებისა და ანიმაციების QR კოდები მოსწავლეს საკითხის უკეთ გააზრებაში ეხმარება.

მეცხრე კლასის ქართული ლიტერატურის მოსწავლის წიგნის სტრუქტურა

მეცხრე კლასის ქართული ლიტერატურის მოსწავლის წიგნის პირველი ნაწილი ეთმობა ქართულ სასულიერო მწერლობას და შედგება ოთხი თავისგან:

1. იაკობ ხუცესი - წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი;
2. იოვანე საბანისძე - აბოს წამება;
3. გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება;
4. 4:1 - დიდი ათონელები - სამკაულნი ნათესავისა ჩვენისანი;
   4:2 - ქართული ჰიმნოგრაფია.

თითოეულ თავს უძღვის შესავალი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა მომზადებას ახალი მასალის შესასწავლად წინარე ცოდნის გააქტიურების, ისტორიული კონტექსტის გააზრებისა და ქართული თხუთმეტსაუკუნოვანი კულტურის შესწავლის სურვილის გაღვივების გზით.

პირველი თავის შესავალი გაკვეთილები მოსწავლეს წარმოდგენას უქმნის ქრისტიანობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ქართული კულტურის ისტორიაში; ესაუბრება ქართული ლიტერატურის დასაწყისის, იმდროინდელ ისტორიული ეპოქისა და იაკობ ხუცესის შესახებ. ეს გაკვეთილებია:

- ქრისტიანობა და ქართული კულტურა
- ქრისტიანული კულტურის კერები
- ქრისტიანული მწერლობის დარგები: ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია
- ქართული მწერლობის დასაწყისი
- „შუშანიკის წამების“ თანადროული ისტორიული ეპოქა
- იაკობ ხუცესი
- „შუშანიკის წამების“ დაწერის თარიღი

„შუშანიკის წამება“ 15 თავადაა დაყოფილი. მასალის სირთულისა და შინაარსის მიხედვით, ზოგიერთი თავი ცალკე გაკვეთილადაა წარმოდგენილი, ზოგი შეწყვილებულია.

იოვანე საბანისძის „აბოს წამების“ შესავალი გაკვეთილები მოსწავლეს ფართო ინფორმაციას აძლევს ნაწარმოების ისტორიულ კონტექსტზე, რადგან გათვალისწინებულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ არაბეთის მდგომარეობა მერვე საუკუნეში; ასევე ტექსტის საჭიროებიდან გამომდინარე აცნობს წელთაღრიცხვის სისტემებსა და ნაწარმოების კომპოზიციური მრავალფეროვნების საკითხს. ეს გაკვეთილებია:

- არაბეთის სახალიფო აბო თბილელის ეპოქაში
- აბოს ცხოვრებისა და წამების დრო
- წელთაღრიცხვის სისტემები და აბოს წამების თარიღი
- იოვანე საბანისძე
- „აბოს წამების“ კომპოზიცია
- „აბოს წამების“ დაწერის თარიღი

„აბოს წამება“ ოთხ თავადაა დაყოფილი ისევე, როგორც დედანშია, თუმცა თავები შემოკლებულია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესავალი გაკვეთილები მიზნად ისახავს მეთოდურ დახმარებას მოსწავლეთათვის, შედარებით იოლად როგორ გაართვან თავი ვრცელი ტექსტის შესწავლას; ასევე დააფიქრებს იმ დიდ როლზე, რომელიც მიუძღვის

ტაო-კლარჯეთსა და გრიგოლ ხანძთელს საქართველოს ისტორიაში, ასევე, გააცნობს ჰაგიოგრაფსა და ნაწარმოების კომპოზიციურ თავისებურებებს. ეს გაკვეთილებია:

- ლიტერატურული დღიური;
- ტაო-კლარჯეთში დაიწყო დიდი აღმშენებლობა;
- გიორგი მერჩულე და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 19 თავადაა დაყოფილი. აქაც, მასალის სირთულისა და შინაარსის მიხედვით, ზოგიერთი თავი ცალკე გაკვეთილადაა წარმოდგენილი, ზოგი შეწყვილებულია.

დავალებათა მრავალფეროვნებას ერთი თვალის გადავლებითაც მიხვდებით. წიგნში 13 რუბრიკაა:

- ლექსიკონი - მოსწავლის გააზრებული ცოდნისა და ლექსიკური მარაგის შესავსებად;
- დააკვირდით - მოსწავლის მიერ მასალის უკეთ გააზრების მიზნით;
- კითხვები და დავალებები - მოსწავლის მიერ მასალის არსში წვდომის მიზნით;
- ერითი დავალება - მოსწავლის ფუნქციური ცოდნისა და ტრანსფერის, წერის კულტურის დახვეწის მიზნით;
- თვალსაზრისი - მოსწავლის მსჯელობის უნარის დახვეწის მიზნით;
- დისკუსია - მოსწავლის მსჯელობის უნარის დახვეწისა და პაექრობის კულტურის ჩამოყალიბება-დახვეწის მიზნით;
- პრეზენტაცია - მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი უნარების დახვეწის მიზნით;
- ლიტერატურული პარალელები - მასალის გაცოცხლების, მოსწავლის ინტერესის გაღვივების, თანამედროვეობასთან კავშირის მიზნით;
- შემოქმედებითი სახელოსნო - მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი უნარების დახვეწის მიზნით;
- შემოქმედებითი დავალება - მოსწავლის მსჯელობის უნარის, ზეპირი და წერითი მეტყველების გაუმჯობესების მიზნით;
- ციფრული ლაბორატორია - თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, სიახლეების სასწავლო მიზნებით გამოსაყენებლად;
- ლიტერატურული მეგზური - მასალის სიღრმისეული წვდომისთვის;
- ეს საინტერესოა - ცოდნის გასაცოცხლებლად და მოსწავლის მოტივირებისთვის.

სახელმძღვანელოში როგორც სავალდებულო, ისე წიგნის ავტორთა მიერ პარალელისთვის მოხმობილი მასალა უპასუხებს სტანდარტით გათვალისწინებულ ოთხივე მოთხოვნას:

- მხატვრულ-ესთეტიკური მხარე;
- აღმზრდელობითი მხარე;
- ეპოქის კონტექსტი;
- კულტურული კონტექსტი.

ყველა მათგანი შეგხვდებათ წიგნის ყოველ თავში, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანი სახით. ეს განსაკუთრებით ეხება წერით დავალებებსა და შემოქმედებით სახელოსნოს. ასე მაგ.: წერით დავალებებში მოცემულია ანალიტიკური, არგუმენტირებული, კრიტიკული ესეები, თხრობა მთხრობლის შეცვლით..; შემოქმედებით სახელოსნოში - მოთხრობის, ლექსის, პოსტერის, დღიურის, ინტერვიუს, ნახატის... შექმნა.

მაგალითისთვის წარმოვადგენთ პირველი თავის, „შუშანიკის წამების“ დავალებებს:

1. წერითი დავალება - თხრობა მთხრობლის შეცვლით - გვ.25 ან პერსონაჟის დახასიათება - გვ. 25;
2. დისკუსია - გვ. 28;
3. ანალიტიკური ესე - გვ.29;
4. ლიტერატურული პარალელები - გვ.33;
5. შემოქმედებითი სახელოსნო - გვ. 34;
6. წერითი დავალება - პერსონაჟის დახასიათება - გვ. 40;
7. ლიტერატურული პარალელები - გვ.45;
8. შემოქმედებითი სახელოსნო - გვ.45;
9. წერითი დავალება, არგუმენტირებული ესე - გვ.49;
10. დისკუსია - გვ. 50;
11. თვალსაზრისი, ზეპირი მსჯელობა - გვ.57;
12. ლიტერატურული მეგზური - გვ. 58;
13. ლიტერატურული პარალელები - გვ.59;
14. შემოქმედებითი დავალება, პროექტი - გვ. 60;
15. დისკუსია - გვ. 61;
16. შემოქმედებითი დავალება - ავტორის სახე - გვ. 61;
17. ციფრული ლაბორატორია - სიუჟეტური ნახატი - გვ.61;
18. შემოქმედებითი დავალება - ჯგუფური პრეზენტაცია - გვ. 62.

თითოეული დავალება ეფუძნება ესგ-ს მოთხოვნებს

- მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება;
- სწავლის მიმართ ინტერესის ამაღლება;
- ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
- სწავლის სტრატეგიების დაუფლება;
- ფუნქციური ცოდნის შეძენა;
- ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
- ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება;
- ცოდნის გაღრმავება, საგნობრივი ცოდნის შეძენა და ა.შ.
- ასევე ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს:
- ეროვნული და კულტურული იდენტობის ფორმირება;
- ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობის, მიმართ ინტერესის გაღვივება, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება;
- პატრიოტი მოქალაქის აღზრდა;
- საკუთარი მსოფლმხედველობის შემუშავება ლიტერატურასთან ზიარების გზით;
- ჰუმანისტური და დემოკრატიული ფასეულობების მქონე პიროვნების ფორმირება;
- და უპასუხებს სტანდარტის ამოცანებს, როგორებიცაა:
- შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესება;
- ტექსტის სიღრმისეული წვდომა;
- კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა;
- თვითგამოხატვის ადეკვატური ენობრივი საშუალებების შერჩევა.
- სახელმძღვანელოში არსებული მასალა სრულად ფარავს სტანდარტის სამიზნე ცნებებს: ტექსტი, კონტექსტი, ტექსტების დიალოგი და შესაბამის ქვეცნებებს.
- ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე, აშკარავდება სახელმძღვანელოს შემდეგი ტენდენციები:

- მოსწავლეს უკეთესი პირობები ექმნება განვითარებისთვის;
- ექცევა ყურადღების ცენტრში;
- ეზრდება კომპეტენცია;
- უყალიბდება დასაბუთებულად მსჯელობის, თავისი პოზიციის ჩამოყალიბების, სხვისი მოსმენისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარები;
- იოლად ავლებს პარალელს სხვა საგნებთან;
- უმარტივდება მიღებული ცოდნის ფუნქციურად გამოყენება.

რაც შეეხება მასწავლებლის წიგნს:

მასწავლებლის წიგნი მიზნად ისახავს, ჩვენს კოლეგებთან ერთად კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, რა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ და როგორ შევაფასოთ მოსწავლის ნამუშევარი. ამიტომ მასწავლებლის წიგნი შემდეგი სტრუქტურისაა:

1. გთავაზობთ ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ტექსტების ზოგიერთი ფრაზისა თუ ეპიზოდის სიღრმისეულ განმარტება-ანალიზს, მათ კავშირს ბიბლიურ ტექსტებთან, ქვეტექსტის ახსნას, ფუნქციას ნაწარმოებში. ახსნილია მაგ.: წმ. აბო და მამა გრიგოლ ხანძთელი რით ჰგვანან წმ. აბრაამს, ან წმ. პავლე მოციქულს; რა ფუნქციითაა ნაწარმოებებში მოხმობილი ბიბლიური იგავები და ა.შ.;
2. გთავაზობთ ინფორმაციული ხასიათის განმარტებებსაც: ასურელი მამები; არსენ დიდი საფარელი; ეფრემ მაწყვერელი; საეკლესიო იერარქია; 12 მონასტერი კლარჯეთში და სხვ..;
3. გთავაზობთ მოსწავლისთვის შედარებით რთულად აღსაქმელი პარალელური ტექსტების (ნ. ლორთქიფანიძის „მონა“, შოთა ნიშნიანიძის „ჰაბო ანუ ფერფლის ლეგენდა“) ანალიზსაც.
4. შეგხვდებათ ისეთი დავალებები ან დამატებითი მასალაც, რომლებსაც, თუ სურვილი გექნებათ, საგაკვეთილო პროცესშიც გამოიყენებთ, მაგ. ნაწყვეტი ჯ. ხ. ჯიბრანის „წინასწარმეტყველიდან“, გაბრიელ ტანიეს „ქანაანის შვილებიდან“ და სხვ..;
5. დავალებების ტიპებს ერთვის ახსნაც, რომელი დავალება სტანდარტის რომელ მოთხოვნას უპასუხებს და რა ტიპის ცოდნაზეა გათვლილი; ასევე, რომელი სასწავლო მოზნის მიღწევაში დაგეხმარებათ და რომელ წინარე ცოდნას ეფუძნება;
6. გთავაზობთ სავარაუდო თემებს ისტორიისა და ხელოვნების საკითხებზე ინტეგრირებული გაკვეთილებისთვის;
7. იხილავთ შეფასების რუბრიკებს (რომლებსაც სურვილისამებრ გამოიყენებთ).

გისურვებთ წარმატებებს!

I ნაწილი
დამატებითი მასალა შესავალი გაკვეთილებისთვის

ქრისტიანობა და ქართული კულტურა

ამ გაკვეთილს შესაძლოა, დავამატოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოციქულები თურმე მარიამ ღვთისმშობლის თხოვნით გამოემართნენ საქართველოსკენ, რადგან კენჭისყრისას, თუ ვის სად უნდა ექადაგა ქრისტიანობა, ჩვენი ქვეყანა დედა ღვთისას შეხვედრია (ამიტომ არის საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი), თუმცა ავადმყოფობის გამო ვერ წამოსულა და ანდრია პირველწოდებულისთვის უთხოვია, მის ნაცვლად ექადაგა საქართველოში.

ანდრიას პირველწოდებული იმიტომ ეწოდება, რომ პირველი დაემოწაფა იესოს. თავისი ძმა - პეტრეც, შემდგომში მოციქულთა თავი, მან მიიყვანა ქრისტესთან.

ანდრია მარტო არ წამოსულა ჩვენს ქვეყანაში, სხვა მოციქულთათვისაც უთხოვია დამგზავრება. საყურადღებოა, რომ მის თანმხლებთაგან ერთ-ერთი, სვიმონ კანანელი, იესოს ერთადერთი ხორციელი ნათესავია მოციქულებს შორის (რამდენადაც იგი ღვთისმშობლის ნათესავია). ფიქრობენ, რომ ეს სწორედ ის ადამიანია, რომლის ქორწილშიც უფალმა წყალი ღვინოდ გადააქცია; ხოლო, რაც შეეხება მეორე თანმხლებს, მატათიას, ის იუდას ნაცვლად არის ამორჩეული 70-თაგან (ქრისტეს 12-ის გარდა, 70 მოწაფეც ჰყავდა. როდესაც ისკარიოტელმა თავი ჩამოიხრჩო, მოციქულებმა კენჭისყრით ამოარჩიეს მატათია და მეთორმეტე მოციქულად დაადგინეს).

ქრისტიანული კულტურის კერები

შესაძლოა გამრავალფეროვნდეს ინფორმაციით, რომ ქართველებს ებარათ გოლგოთის მონატრის დაცვაც. ამ მიზნით ვახტანგ გორგასალს ქართული სოფელი დუმალა დაუარსებია, იერუსალიმის მახლობლად, რომლის მცხოვრებლებს დღემდე ახსოვთ, რომ წარმოშობით ქართველები არიან.

ასევე, სასურველია, მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ მოსწავლეებს ასურელი მამებისა და მათ მიერ აშენებული მონასტრების შესახებ.

ასურელი მამებიც მარიამ ღვთისმშობლის თხოვნით გამოემართნენ საქართველოსკენ სირიიდან (შუამდინარეთიდან), რათა აქ სამონასტრო ცხოვრებისთვის ჩაეყარათ საფუძველი და ამ გზით გაეძლიერებინათ ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანაში. ეს მოხდა VI საუკუნეში. მათ დაიწყეს ბრძოლა კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ, მონასტერთა სახით შექმნეს მძლავრი კულტურული კერები, სათავე დაუდეს ქართული ფრესკისა და საეკლესიო ხატწერის უდიდეს ტრადიციას.

საეკლესიო გადმოცემით ისინი 13-ნი იყვნენ, იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები - სირიელი მამები. ესენი არიან:

1. შიო მღვიმელი;
2. დავით გარეჯელი
3. აბიბოს ნეკრესელი
4. ისე წილკნელი
5. იოსებ ალავერდელი
6. ანტონ მარტყოფელი
7. თადეოზ (თათა) სტეფანწმინდელი
8. პიროს ბრეთელი
9. ისიდორე სამთავნელი
10. ზენონ იყალთოელი

11. მიქაელ ულუმბოელი
12. სტეფანე ქიზიყელი.

ასევე ასურელებად მიიჩნევიან ელია დიაკონი, თეოდოსიოსი, პიმენი, ნათანი.

ვარაუდობენ, რომ წმ. დავით გარეჯელის მოწაფედ ცნობილი ლუკიანეც სირიიდან იყო მოსული.

მათ უკავშირდებათ ზედაზნის, გარეჯის, მარტყოფის, შიომღვიმის, ალავერდის, ნეკრესის, წილკნის, ქაშვეთის, მამადავითის, იყალთოს, სამთავისისა და რკონის მონასტრების - ქართული ხუროთმოძღვრების შეუდარებელი ძეგლების - აგება, რომელთაგან ზოგი ძველი სახითაა შემორჩენილი, ზოგი რესტავრირებული ან ხელახლა აშენებულია საუკუნეთა განმავლობაში.

შესაძლოა, მოსწავლეებმა ასურელ მამებსა და მათ მონასტრებზე პრეზენტაციებიც მოამზადონ, მაგალითად:

ასურელი მამის მიერ აშენებული მონასტერი

მოიძიეთ ინფორმაცია თქვენ მიერ შერჩეული მონასტრის მდებარეობის, თავგადასავლის შესახებ;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, რომელი ასურელი მამაა ამ მონასტრის ამშენებელი და რა ვიცით მასზე; ასევე - იქ მოღვაწე სასულიერო პირებზე;

აღნიშნეთ, როგორია მისი დღევანდელი მდგომარეობა;

მოიძიეთ ფოტომასალა მონასტრის არქიტექტურის, მოხატულობის შესახებ და მათი დახმარებით გააფორმეთ პრეზენტაცია;

პრეზენტაცია წარუდგინეთ კლასს.

ქართული მწერლობის დასაწყისი

ვიდრე ამ თავზე ვისაუბრებთ, სასურველია, მოსწავლეებს მივაწოდოთ ინფორმაცია ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის შესახებ.

ქართული ლიტერატურა სამ ძირითად პერიოდად იყოფა:

1. ძველი ქართული ლიტერატურა (მწერლობის დასაწყისიდან (IV-V საუკუნეებიდან) XVIII საუკუნის ჩათვლით);
2. ახალი ქართული ლიტერატურა (XIX საუკუნის მწერლობა);
3. უახლესი ქართული ლიტერატურა (XX-XXI საუკუნეების მწერლობა).
4. თავის მხრივ, ძველი ქართული ლიტერატურა ოთხ ქვეპერიოდად იყოფა:
5. მწერლობის დასაწყისიდან (IV-V საუკუნეებიდან) X საუკუნის 80-იან წლებამდე. ეს არის „ეროვნული ხანა ქართული მწერლობისა“. ამ პერიოდის ლიტერატურიდან მოსწავლეები გაეცნობიან რამდენიმე ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულსა თუ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებს;
6. X საუკუნის 80-იანი წლებიდან XIII საუკუნის შუა წლებამდე. ეს არის „კლასიკური ხანა ქართული მწერლობისა“. ამ პერიოდის ლიტერატურიდან ისწავლება „ვეფხისტყაოსანი“;
7. XIII საუკუნის შუა წლებიდან XVI საუკუნის დამდეგამდე - „დაცემის ხანა ქართული მწერლობისა“;
8. XVI საუკუნის დამდეგიდან XVIII საუკუნის ჩათვლით - „აღორძინების ხანა ქართული მწერლობისა“. ამ პერიოდიდან ისწავლება სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ნაწარმოებები;

სასურველია, შევნიშნოთ, რომ ეს დაყოფა პირობითია, გარკვეული მახასიათებლების მიხედვით. რევაზ თვარაძის თვალსაზრისის მოშველიებით, ძველი ქართული ლიტერატურა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ (იხ. რევაზ თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ. 1985)

იაკობ ხუცესი - შუშანიკის წამება

სწავლის შედეგი და შეფასების ინდიკატორი

იაკობ ხუცესი - შუშანიკის წამება	
სწავლის შედეგი	**მოსწავლე იყენებს:** • ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნას ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნას მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად; • ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნას ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად; • ლიტერატურული გამოცდილებას ტექსტის ღირებულების გასაცნობიერებლად; მასში წარმოჩენილი თემის/პრობლემის/საკითხის, ფასეულობების შესახებ მსჯელობისას საკუთარი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების წარმოსაჩენად, • თვითშემეცნებისა და სამყაროს შემეცნ ების გზების საძიებლად. **მოსწავლე მსჯელობს:** • ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად; • რომ უძველესი პერიოდის (V-X საუკუნეების) ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, რომელიც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დარგია. ჰაგიოგრაფიის გმირი წარმოადგენს სულიერ ავტორიტეტს, რომელიც ეძიებს ხსნის გზებს და თავისი მოქმედებებითა და ღვაწლით იმეორებს/ჰბაძავს ქრისტიანულ ლიტერატურაში აღწერილ საკრალურ მაგალითებს, რაც განაპირობებს ამ ჟანრის ლიტერატურის ინტერტექსტუალობას. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია გმირის ღვაწლის არსსა და ზედროულ მნიშვნელობაზე, რაც განაპირობებს საერთო ლიტერატურულ მოტივებს, სიუჟეტებისა და ელემენტების მსგ ავსებას. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ წყაროს ისტორიული და სოციოკულტურული რეალიების შესასწავლად.

შეფასების ინდიკატორი - მოსწავლეს შეუძლია:	• კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; • ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა. • ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა; • კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას. • კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; • ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა. • ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა;

	• კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას.

იაკობ ხუცესი - წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი

ტექსტის გზამკვლევი „შუშანიკის წამების“ ზოგიერთი ეპიზოდის ან ციტატის განმარტებისათვის (ლალი დათაშვილი)

ბიბლიურ ციტატათა დამოწმება

I თავი

იაკობი ვარსქენს „სამგზის საწყალობლად“ მოიხსენიებს, რაც ყოვლადწმიდა სამების, ანუ მამის, ძისა და სული წმიდისაგან დაგმობილს გულისხმობს.

II თავი

იაკობი და შუშანიკი ცდილობენ, მხოლოდ საკუთარ გულ-გონებას არ ენდონ, გადაწყვეტილებებს ბიბლიური სწავლებების მიხედვით იღებენ. ამიტომ მათ ფრაზებს აქ და შემდგომშიც ბიბლიური საფუძველი აქვს.

წმ. შუშანიკის ლოცვა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა, მადლითა სულისა წმიდისაჲთა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა!“ - ემყარება იოანეს სახარებისეულ ფრაზას: „ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოანე 10, 16);

III თავი

ა) იაკობ ხუცესის სიტყვები: „ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს შენ თანა“ - მომდინარეობს პავლე მოციქულის ფრაზიდან: „და სიტყუამან მათმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოვოს“ (2 ტიმ. 2,17).

იაკობი სრსვილს მტერთან აიგივებს, ამით განაზოგადებს მტრის ბრძოლის ხერხებს და არ შემოიფარგლება მხოლოდ სიტყვის საშუალებით შეცდენით.

(სრსჳლი - სირსველი (კანის დაავადება, ხორცის მჭამელი), ხოლო „ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს შენთანა“ გულისხმობს, ვაითუ ეშმაკმა გაცთუნოსო);

ბ) წმ. შუშანიკი პავლე მოციქულის სწავლებას: „ხოლო უკუეთუ ურწმუნოჲ იგი განეყენებოდის, განეყენენ; არა დამონებულ არს ძმაჲ იგი გინა დაჲ“ (I კორინთელთა მიმ. 7, 15) - სიტყვათა გადანაცვლებით (აზრის შეუცვლელად) იმოწმებს: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“;

გ)ნიკო ლორთქიფანიძის მინიატიურა „მონაში“ (გვ. 29) გვხვდება ასეთი ფრაზები:

„- მე სუსტი ვარ...

- თავისუფლების სიყვარული მოგცემს მოსეს კვერთხს და დავითის შურდულს...

- არ მაქვს იმედი...

- არაფერია, ბრძოლაში იმედიც იბადება“.

ნიკო ლორთქიფანიძე თავისუფლების სიყვარულის შესახებ საუბრისას იმოწმებს ბიბლიის ორ ცნობილ ეპიზოდს:

ა) მოსემ გამოიყვანა ებრაელები ეგვიპტიდან ამ ერის ტყვეობიდან დახსნის მიზნით, თუმცა ფარაონის ლაშქარი გამოეკიდა მათ. ასე მიადგნენ მეწამულ ზღვას. მაშინ მოსემ უფლის ანგელოზის რჩევით კვერთხი დაადო ზღვას („და შენ აღიღე კუერთხი შენი და განირთხ ჴელი შენი ზღუასა ზედა და განაღე იგი, და შევიდენ ძენი ისრაჱლისანი საშუალ ზღუასა, ვითარცა ჴმელსა.“ - გამოს. 15, 16), იგი შუაზე გაიპო და გაიარა ისრაელმა, ეგვიპტელები კი დაიხრჩვნენ. კვერთხმა სუსტი ერი გააძლიერა და თავისუფლება მოაპოვებინა;

ბ) ისრაელიანთა და ფილისტიმელთა ბრძოლისას დავითმა თავის ერს თავისუფლება იმით შეუნარჩუნა, რომ შურდულით დაამარცხა გოლიათი. ქვა შუბლში მოარტყა და შემდეგ მისივე მახვილით მოჰკვეთა თავი. ბიბლია მოგვითხრობს: „და შთაყო ჴელი თჳსი დავით ვაშკარანსა მას და აღმოიტაცა ქვა ერთი, და შთადვა იგი შურდულთა მას მისთა და განსტყორცა და მიამთხჳა შუბლსა უცხოთესლსა მას, და შევიდა ჩაფხუტით, შუბლი ჩასტეხა და ტვინად ჩაუგდო და პირდაქვე ზედა ქუეყანასა დასცა“ (1 მეფეთა 17, 49).

ბიბლიის ამ ორივე ეპიზოდში გამოსავალი თითქოს არ ჩანდა, თუმცა რწმენითა და სულიერი ძალით შეუძლებელი შესაძლებელი გახდა, ფიზიკურად სუსტმა დაამარცხა მასზე ბევრად უფრო ძლიერი. ამიტომ მოჰყავს უფალს ბიბლიური მაგალითები სუსტი მონის გასაძლიერებლად.

IV თავი

ა) ხატი - ღირსება, ადამიანის სახე, კაცობა. მოდის ძველი აღთქმიდან: „ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ ... და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თჳსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი“ (დაბ. 1, 26...27). „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ“ - შუშანიკი გულისხმობს, რომ ადამიანი თვითონ არის თავისი კაცობისა და ღირსების პატრონი და უნდა ცდილობდეს უფლის მსგავსების შენარჩუნებას. ეს ვერ მოახერხა ვარსქენმა სარწმუნოების უარყოფის გამო. დედოფალი შეუთვლის ყოფილ მეუღლეს, რომ მხოლოდ ვარსქენია თავისი პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი, შუშანიკს ამაში ბრალი არ მიუძღვის;

ბ) შუშანიკის სიტყვებში: „ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ“ – „შემოქმედი“ გულისხმობს ღმერთს, რომელმაც „არარაისგან შექმნა ყოველივე“ და, მათ შორის, ნებისმიერ ადამიანს უბოძა სიცოცხლის წლები.

V თავი

წმ. შუშანიკმა „თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“, - იაკობის ეს ფრაზა რამდენიმე თვალსაზრისითაა საყურადღებო:

ა) დედოფალი ხშირად ლოცულობს და კითხულობს წმინდა წიგნებს, რადგან თავისი ევანგელე აქვს და, შესაძლოა, ეს განსაზღვრება მოწამეთა წიგნებზეც განვაზოგადოთ, ეს კრებულიც მისი იყოს;

ბ) ევანგელჱ - სახარებაა ბერძნულად. შესაძლოა, დედოფალი სახარებას ბერძნულად კითხულობს, რადგან ავტორი ბერძნული სახელდებით იხსენიებს;

გ) წიგნნი მოწამეთანი - მოწამეთა ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველი კრებული - შესაძლოა, ქართულ ენაზეა, რადგან: ავტორი ქართულად ამბობს მის სახელს; ვიცით, რომ ქართლში მოწამეები იყვნენ, მათ საფლავებზე სამარტვილეებს აშენებდა არშუშა პიტიახში; არსებობდა მოწამეთა ღვაწლის ასახვის კულტურაც, რადგან იაკობი ეუბნება დედოფალს, ყველაფერი უამბოს, რომ მის შესახებ დაწეროს. ამდენად, იაკობის ეს ფრაზა გვაგულისხმებინებს, რომ „შუშანიკის წამებამდეც“ არსებობდა მოწამეთა ცხოვრების ამსახველი წიგნები.

VI თავი

პურობის სცენა ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდია. ამიტომ სასურველია, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკითხებზე:

ა) მგელი და კრავი - კრავი მორწმუნე ქრისტიანია, მწყემსი - იესო ქრისტე, ხოლო მგელი - ეშმაკი. ასეთი გააზრება მომდინარეობს იოანესა და ლუკას „სახარებებიდან“. „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს“ (იოანე, 10, 11) - ამბობს უფალი, ხოლო „მგელმან წარიტაცნის იგინი და განაბნინის ცხოვარნი“ (იოანე, 10,12). „შუშანიკის წამებაში“ ვარსქენის მოხსენიება „მგლად“, რომლის „გულსაც ეშმაკი თხრის“, პირდაპირ მიანიშნებს მის მტრულ დამოკიდებულებაზე მორწმუნე „კრავის“ (დედოფლის) მიმართ;

ბ) პური და ღვინო - დიდი ხუთშაბათიდან მოყოლებული, როდესაც უფალმა პური და ღვინო თავის პატიოსან სისხლად და ხორცად აკურთხა, ქრისტიანები უდიდეს პატივს სცემენ მას. „სახარებაში“ ვკითხულობთ: „და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მათე 26, 26-28). ვარსქენის სახლში თანამეინახეებთან ერთად წმინდანი ვერ შეურაცხყოფს პურსა და ღვინოს და ვერ მიიღებს, რადგან ის უკვე ეშმაკის მსახურისაა, ანუ ანტიქრისტეს სისხლი და ხორცია. ხოლო მეორე ეპიზოდში, როდესაც იაკობი სთავაზობს პურსა და ღვინოს, დედოფალი მოძღვრის ხელიდან იღებს ბოღლიწოს (ღვინოში ჩაყრილ პურს), როგორც სიწმინდეს;

გ) პურობის წესი - შესაძლოა, აქ იგულისხმება შუშანიკის მხრიდან, რომ იგი ვარსქენის ცოლი აღარ არის, ვარსქენი კი იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ ისევ ერთი ოჯახის წევრები არიან, რადგან, ცხადია, ოჯახი ყოველთვის ერთად სადილობდა. უცხოებთან ურთიერთობა და სადილი კი დედოფალს აღარ სურს. გავიხსენოთ, მან გააფრთხილა ჯოჯიკი და მისი მეუღლე, რომ ვარსქენის საქმეთა მოზიარენი არ გამხდარიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ აღარ მიიჩნევდა თავის მაზლად და ძმის ცოლად;

დ) კუბასტი - („ლეჩაქსავით“ - საბა), ქრისტიანთათვის დამცველი შუბლსაკრავი, ლეჩაქი ან უმკლავებო შემოსაცმელი, რომელშიც ჩატანებულია ან წარწერილია, ძირითადად, 90-ე (ბოროტებისგან დამცველი) ან 50-ე (სინანულის აღმნიშვნელი) ფსალმუნების სიტყვები. ახალი აღთქმის წიგნში „საქმე მოციქულთა“ გვხვდება: „კუბასტნი და

სამოსელნი“ (იხ. საქმე 9,39), რაც მიგვანიშნებს, რომ ის ჩვეულებრივ სამოსად არ მიიჩნეოდა.

იაკობ ხუცესი საგანგებოდ გამოკვეთს ვარსქენის მიერ ჯოჯიკისთვის კუბასტის მოგლეჯას, რომ მიგვანიშნოს პიტიახშის მხრიდან ქრისტიანული თილისმების (ადათ-წესების) წინააღმდეგ ბრძოლაზე. შემდგომში იგი აღნიშნავს, რომ შუშანიკსაც შემოეხია კუბასტები, როცა ეკლესიიდან სასახლემდე ეკალ-ბარდებზე ათრევინა პიტიახშმა.

VII თავი.

ა) „შუშანიკის წამების“ ავტორის სახელთან დაკავშირებით ტექსტში გარკვეული სირთულეა, ამიტომ სასურველია, ყურადღება გავამახვილოთ ამ ეპიზოდზე, როგორც ავტორის სახელის ერთადერთ წყაროზე:

„მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა:

- იაკობ მანდა არსა?

და მე ვარქუ, ვითარმედ:

- რაჲ გინებს?

და მან მრქუა:

- უწესს პიტიახში.

და მე დამიკჳრდა, თუ რაჲსა-მე მიწესს ამას ჟამსა?! და მივისწრაფე და მივედ“ (გვ. 37-38).

ამბის თხრობა აქ რომ მთავრდებოდეს, ვერ გავიგებდით მწერლის სახელს, რადგან ჭაბუკი ამბობს „უწესს“ (ეძახის) და არა - „გიწესს“ (გეძახის). (საფიქრებელია, რომ ჭაბუკი და იაკობი ერთმანეთს ვერ ხედავენ, სავარაუდოდ, ჭაბუკი სასახლის ტალანიდან ტალანში გადადის და ეძებს კარის ხუცესს, თუმცა მის ხმას ვერ სცნობს). როგორც კი ჭაბუკის ხმა გაისმა: „იაკობ მანდა არსა?“, იაკობმა უპასუხა: „რაჲ გინებს“, რათა ვარსქენის გამოგზავნილ ახალგაზრდას არ გაეგო, კონკრეტულად იაკობი ფარულად რომ იყო შესული დედოფლის მოსანახულებლად, რადგან ნაწამები დედოფლის ოთახში არავის უშვებდნენ). შემდეგი ფრაზა კი: „და მე დამიკჳრდა, თუ რაჲსა-მე მიწესს ამას ჟამსა?! და მივისწრაფე და მივედ“ - ააშკარავებს ავტორის სახელს. ავტორის სიჩქარე იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ვარსქენმა ან მისმა წარგზავნილმა ძებნა აღარ განაგრძონ. ამით იაკობი თავის და მცველის სიცოცხლესაც საფრთხეს შეუქმნის.

ბ) ამ თავში ყურადღებას იპყრობს სამკაულზე ამდენი სჯა-ბაასი, რადგან მოსართავი და გარეგნული ბრწყინვალება არასოდეს აინტერესებდა ჰაგიოგრაფიას. ასევე, ავტორები ყურადღებას არასოდეს უთმობდნენ ზედმეტ დეტალებს. ამიტომ საფიქრებელია, რომ სამკაულს, წმ. შუშანიკისგან განსხვავებით, იაკობი და ვარსქენი აღიქვამენ, როგორც სადედოფლო ატრიბუტს და არა მხოლოდ - როგორც მოსართავს.

შესაბამისად, იაკობი წმინდანს არ ართმევს სამკაულს, რათა შუშანიკმა დედოფლობაზე უარი არ თქვას და ხალხისთვის მისაბაძ მაგალითად დარჩეს; ვარსქენს კი სურს, თავი გაითავისუფლოს ცოლისგან, როგორც დედოფლისგან, და რიგით ქალად გადაქციოს იგი, რადგან ბევრად ნაკლები ადამიანი დაინტერესდება მისით. თანაც დედოფლის დასჯა და წამება ბევრად თვალში საცემი და სარისკოა, ვიდრე - რიგითი ადამიანისა.

X თავი

ა) ტარიგი - „კრავი უბიწო“ (საბა), მოწამის აღმნიშვნელი მეტაფორა. ძველ აღთქმაში „ტარიგი წელიწდეული“, იგივე „კრავი წელიწდეული“, მრგვლად დასაწველ, უბიწო შესაწირავად მიიჩნეოდა. უფალი იესო არის ყველაზე დიდი ტარიგი, რომელიც „დაიკლა“ კაცობრიობის ჯოჯოხეთიდან გამოსახსნელად, ამიტომ მოიხსენიებს მას იოანე

მახარებელი, როგორც „ტარიგს ღმრთისა“ (იხ. იოანე 1, 36), ამავე შინაარსისაა „მსხვერპლი“ და „ცხოვარი“.

ნებისმიერი მოწამე უფალთან „თანაჯვარცმული“ ახალი მსხვერპლია, ამიტომ ნაწამებ, განწმენდილ და ამაღლებულ შუშანიკს იაკობ ხუცესი ტარიგად მოიხსენიებს, რითაც წარმოაჩენს მის მოწამებრივ ღვაწლს და გამოკვეთს იმ ტანჯვას, რომელიც მან ქრისტიანული სარწმუნოების შესანარჩუნებლად დაითმინა;

ბ) სძალი - რძალი (ანუ ქრისტეს რჩეული, წმინდა ადამიანი). პავლე მოციქული ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში აგვიხსნის, რომ უფლისა და ეკლესიის („ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც. საიდუმლოჲ ესე დიდ არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა“ - ეფეს. 5, 31-32)., შესაბამისად, უფლისა და ადამიანის კავშირი სიმბოლურად გამოისახება, როგორც სულიერი ქორწილი. უფალი სიძეა, განწმენდილი და ღირსეული ადამიანი - რძალი. „ათი ქალწულის იგავის“ (მათე 25, 1-12) მიხედვით ამჯობს იაკობი შუშანიკს, როდესაც „სძლად“ მოიხსენიებს, და იმ ხუთი ბრძენი ქალწულის გვერდით აყენებს, რომლებიც ანთებული ლამპრებით მიეგებნენ შუაღამისას მოსულ უფალ-სიძეს, მან კი სასუფეველში შეიყვანა ისინი.

XI თავი

დავითნი - დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნნი“, რომელსაც მხოლოდ ქართულად უწოდებენ „დავითნს“, ავტორის სახელის მიხედვით, შესაბამისად, ფსალმუნთა მკითხველს - მედავითნეს (და არა - მეფსალმუნეს, როგორც სხვა ქვეყნებში). შედგება 150 ფსალმუნისგან, გაყოფილია 20 კანონად.

XII თავი

„და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა. რამეთუ იტყჳს თჳთ უფალი: „მე მიუგო სიტყუაჲ თქუენ წილ“. - ეს სიტყვები „სახარების“ პარაფრაზია. წმინდანი ბიბლიურ სწავლებებს იშველიებს. კერძოდ, ფრაზის პირველ ნაწილში ალუზიურად დამოწმებულია ლუკას „სახარება“: „ნუ ჰზრუნავთ, ვითარ, ანუ რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, ანუ რაჲ სთქუათ, რამეთუ სულმან წმიდამან გასწაოს თქუენ მას ჟამსა შინა, რაჲ-იგი სთქუათ“ (ლუკა 11, 111-12), ხოლო მეორე ნაწილი ამავე მახარებლის სიტყვებითაა შთაგონებული და „რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინა-აღდგომად და სიტყჳს-გებად ყოველთა წინა-აღმდგომთა თქუენთა“ (ლუკა 21, 15). ამით ვიღაც უცნობის ნათქვამსაც ხსნის, რა კარგად უპასუხეო და ვარსქენის უძლურებასაც, პასუხი რომ ვერ გასცა.

XIII თავი

სამგზის სანატრელი - ყოვლადწმიდა სამების, მამის, ძისა და სულიწმიდისგან დაფასებული. ამ დროს დედოფალი უკვე სიკვდილის პირასაა, იაკობიც დამაგვირგვინებელ ხოტბას ასხამს. შუშანიკს მოიხსენიებს შემდეგი თანმიმდევრობით: „წმინდა“, „ნეტარი“, „სანატრელი“, დაბოლოს, - „სამგზის სანატრელი“. ჰაგიოგრაფი ამით წმინდანის უფლის რჩეულობას წარმოაჩენს;

XIV თავი

ჯოჯიკის ოჯახთან საუბრისას შუშანიკის სიტყვები, ფაქტობრივად, სწავლება-ქადაგებაა. წმინდანი წყაროს დაუსახელებლად, ალუზიურად იმოწმებს სახარებას: „რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი“ (იხ. მათე 10, 39). ამით აშკარავდება, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ თავისი ცოდნა-გამოც-

დილებით და ცდილობს, ბიბლიური დარიგებები გამოიყენოს. წმინდანი ამ სიტყვებით მეტაფორულად ასწავლის მასთან მისულებს, რომ, ვინც თავს გაწირავს, მსხვერპლად გაიღებს, ის იპოვის მას (ღმერთს) - ვინც ცოდვებისგან განიწმინდება და უფლის სიყვარულს საკუთარი თავის სიყვარულზე წინ დააყენებს, ცხონდება.

XV თავი

ა) უკუნაჲსკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენაჯისაჲ - შუშანიკი გულისხმობს „სახარებისეულ“ იგავს „ვენახის მუშების საზღაური“ (მათე 20, 1-16), რომლის მიხედვითაც, ვენახის პატრონს (ღმერთს) მუშები ხანგამოშვებით შეჰყავდა ვენახში სამუშაოდ და გაწეული შრომისთვის ძალიან დიდ ანაზღაურებას ჰპირდებოდა. სულ 12-საათიანი სამუშაო დღე იყო, ვიღაც დილიდანვე მუშაობდა, ვიღაც შემდეგ იყო მისული. ვენახში სულ ბოლოს, მეთერთმეტე საათზე, მოსულმა მუშაკმა მხოლოდ ერთ საათს იმუშავა. ვენახის პატრონმა კი ყველას თანაბრად გადაუხადა დაპირებული თანხა. ამით მიენიშნება, რომ მიუხედავად იმისა, რომელ ეპოქაში ცხოვრობს წმინდანი, რამდენ ხანს გაგრძელდა მისი მოღვაწეობა, ნებისმიერ მოწამეს ერთნაირად აფასებს უფალი. შუშანიკი იმედოვნებს, რომ მის ღვაწლს ერთ საათს მაინც გაუტოლებს ღმერთი და ამით იგი მოწამეთა დასს შეუერთდება. ცხადია, დედოფალი თავმდაბლობას ამჟღავნებს, რადგან თავისი შვიდწლიანი გარჯა უფლისთვის წარსადგენ ერთი საათის საქმედაც კი არ მიაჩნია.

ბ) კოზმა და დამიანე - არაბი წმინდანები, რომელთა ხსენება აღინიშნება 17(30) ოქტომბერს. ესენი არ არიან კოზმან და დამიანე, უვერცხლო (უანგარო) მკურნალი რომაელი ძმები, რომელთა ხსენება 14 ივლისს აღინიშნება.

ჟანრის ნიშან-თვისებების შესახებ გთავაზობთ შევსებულ ცხრილს

1. გვხვდება მხოლოდ გამოგონილი ამბები.
2. ავტორი ერთ-ერთი მოქმედი გმირია.
3. გვხვდება მხოლოდ რეალურად მომხდარი ამბები.
4. პერსონაჟები მხოლოდ ისტორიული პირები არიან.
5. დაწერილია პირველ პირში.
6. სიტყვიერი პოლემიკაა გამართული სხვა რელიგიასთან.
7. გვხვდება ბიბლიური სახეები, ბიბლიის დამოწმებანი.
8. გვხვდება მხოლოდ ორიგინალური მხატვრული ხერხები, რადგან ავტორი ცდილობს, ყველასგან გამოირჩეოდეს მისი სტილი და წერის მანერა.
9. გვხვდება უარყოფითი პერსონაჟი, რომელიც სხვადასხვა თვისებით ხასიათდება.
10. ასახულია მთავარი გმირის მხოლოდ დადებითი თვისებები (ავტორის თვალსაზრისით).
11. პერსონაჟის დეტალური გარეგნული დახასიათება აუცილებელია.
12. გადმოცემულია, თუ რა როლი აქვს შუშანიკის მოღვაწეობას ერისთვის.

	სპეციფიკური ნიშან-თვისება	ორიგინალური ნიშან-თვისება	არადამახასიათებელი ნიშან-თვისება	შენიშვნა
1	3	2	1	
2	4	5	8	
3	6	9	11	
4	7			
5	10			
6	12			

სასურველია დამატებით ავუხსნათ მოსწავლეებს, რომ ავტორი სხვა არცერთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში არ ჩანს, როგორც პერსონაჟი; ასევე არცერთი არ არის დაწერილი პირველ პირში და ასე გამოკვეთილად არსად ხასიათდება უარყოფითი პერსონაჟი;

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი და არადამახასიათებელი ნიშან-თვისებები კი შევაჯამოთ.

დამატებითი დავალებები „შუშანიკის წამების“ სწავლებისას

III თავის შემდეგ

შესაძლოა, მოსწავლეებს დასაწერად მივცეთ ანალიტიკური ესე

დაუკვირდით შუშანიკის სიტყვებს ვარსქენისა და არშუშას ურთიერთგანსხვავებული საქმეების შესახებ და დაწერეთ ანალიტიკური ესე მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე.

- დაასათაურეთ ესე;
- აღნიშნეთ, ეთანხმებით თუ არა შუშანიკის პოზიციას;
- იმსჯელეთ, რა შემთხვევაში უნდა განაგრძოს შვილმა მშობელთა საქმე და რა შემთხვევაში - არა;
- გაიხსენეთ ამ საკითხთან დაკავშირებული თქვენთვის ცნობილი ლიტერატურული ტექსტები და ცხოვრებისეული მაგალითები;
- იმსჯელეთ, დღეს როგორ უყურებს საზოგადოება ამ საკითხს.

V თავის შემდეგ

შესაძლოა, მოსწავლეებს დასაწერად მივცეთ პერსონაჟის დახასიათება

მოცემული ეპიზოდიდან შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი მოქმედი პირი, გამოიყენეთ ორმხრივ ჩანაწერთა დღიური. მარცხენა სვეტში ამოწერეთ ციტატა, რომელიც მას ახასიათებს, გამოკვეთს მის თვისებებს, პოზიციას. მარჯვენა სვეტში მიუწერეთ კომენტარი.

VI თავის შემდეგ

სასურველია, მოსწავლეებს გავაცნოთ თამაზ ჭილაძის განსხვავებული თვალსაზრისი ზეპირი მსჯელობისთვის:

ყურადღებით წაიკითხეთ თამაზ ჭილაძის მოსაზრება:

ალბათ იშვიათად წაგვიკითხავს წიგნი ისეთ ტრაგიკულ სიყვარულზე, როგორიც მოთხრობილია ამ თხზულებაში. იშვიათად იმიტომ, რომ ეს არის სულის მხურვალე ქურაში სიძულვილად გარდაქმნილი სიყვარული.

ო, რა საშინელი იყო ის დღე ვარსქენისათვის, როცა მოთმინებადაკარგულმა, გონებასგადამცდარმა შუშანიკს პირველად ხელი შემოჰკრა.

ვარსქენმა ღამე თეთრად გაათია „და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ: „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“

ეს არის პირველი გამოფხიზლება, საკუთარ არსებაში მეორე, აქამდე უცნობი, დაუნდობელი და საზარელი არსების აღმოჩენა. სიყვარულის ბოლო სანთელი – სიბრალული ჯერ კიდევ კიაფობს.

მსახურმა ვარსქენს უპასუხა, ცუდად არისო. „მაშინ თვით შევიდა და იხილა იგი და დაუკვირდა დიდძალი იგი სიმსივნეი მისი“. გაუკვირდაო! – აი, ის, რასაც ვამბობდი,

თითქოს ეს საშინელება მას კი არა, სხვას, სხვას ჩაედინოს, სხვას ძალით. ო, ეს სხვა, სხვა, ამქვეყნიური პატივმოყვარეობის ტალახიდან რომ არის შეთითხნილი და რომელიც უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე... ვიდრე თუნდაც სიყვარული!

„და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: „“ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“. „და თვით ნადირობად წარვიდა“. არა – გაიქცა, გაერიდა. საკუთარ თავს დაემალა!...

იმსჯელეთ თამაზ ჭილაძის მოსაზრებაზე

ეთანხმებით თუ არა წერილის ავტორის თვალსაზრისს ვარსქენის სულში სიყვარულისა და სიძულვილის ჭიდილის შესახებ?

თქვენ როგორ აფასებთ ვარსქენის ქცევას? თქვენი მსჯელობა დამაჯერებელი რომ გახდეს, მოიხმეთ არგუმენტები ტექსტიდან.

ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი თავისებურებაა, რომ წმინდანი მხოლოდ დადებითი თვისებებით ხასიათდება, უარყოფითი პერსონაჟი კი სრული ბოროტებაა. რას იტყვით, ჟანრის ამ ნიშან-თვისებას ითვალისწინებს თუ არა იაკობ ხუცესი?

იმსჯელეთ, ჰაგიოგრაფი და თანამედროვე მწერალი ერთნაირად აღიქვამენ ადამიანის ბუნებასა და ქცევებს თუ არა.

XI თავის შემდეგ

სასურველია, ლიტერატურული პარალელის გავლების მიზნით მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულების თემაზე საკლასო დისკუსია გავმართოთ. სადისკუსიო საკითხები:

ა) გაიხსენეთ: მას შემდეგ, რაც შვილებმა მაზდეანობა მიიღეს, შუშანიკ დედოფალმა უარი თქვა მათთან ურთიერთობაზე. შვილებიც ვეღარ ბედავდნენ დედის მონახულებას.

ბ) თანამედროვე ქართველი მწერალი გაბრიელ ტანიე რომანში „ქანაანის შვილები“ მოგვითხრობს ანვარაზე, რომელიც პაკისტანელი ქრისტიანი ქალი იყო. მან მონაზონ ბარგეტასთან ერთად ჩამოაყალიბა ჰუმანიტარული ორგანიზაცია სოციალური პროექტების განსახორციელებლად. გახსნეს სკოლები, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ ქრისტიან ბავშვებს. დააარსეს მცირე ზომის მოხუცთა თავშესაფარი... მათთან დახმარების სათხოვნელად მიდიოდნენ უფლებაშელახული ქრისტიანები, ასევე - ქმრების, მამების მიერ დასახიჩრებული მაჰმადიანი ქალები... ანვარა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით თავგამოდებით ცდილობდა დაეცვა ისინი.

მეგობრების საქმიანობა მიუღებელი აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის, მაგრამ ანვარა უკვე საკმაოდ გავლენიანი ქალი იყო და მას პირდაპირ ვერ უპირისპირდებოდნენ. ამასობაში მისი შვილი ნოე თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და დადგა რამდენიმეწუთიანი მონოსპექტაკლი - დადარდიანებული მუჰამედი ამბობს, რომ არ უნდა, მისი სახელით ადამიანებს სასტიკად ექცეოდნენ და თავს იკლავს.

ნოე სცენიდან ბორკილებდადებული გაიყვანეს, ბრალად დასდეს ისლამურ ქვეყანაში მუსლიმთა რელიგიური გრძნობების შელახვა და სასამართლომ მას სიკვდილი მიუსაჯა. ანვარა ბევრს ეცადა, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც სთხოვა დახმარება, მაგრამ ვერაფერს გახდა. მთავრობა სასწრაფოდ აპირებდა განაჩენის აღსრულებას.

მაშინ ანვარამ იმოქმედა არა როგორც ადვოკატმა, არამედ, როგორც დედამ. ერთადერთი შვილის გადასარჩენად იუსტიციის მინისტრს შესთავაზა, რომ მიიღებდა ისლამს. გადაწყდა, რომ ნოეს შეიწყალებდნენ, თუ ანვარა პაკისტანში ყველა მოქმედი ტელევიზიის კამერების წინ სახალხოდ უარყოფდა ქრისტეს და მაჰმადიანი გახდებოდა. თუ ამას ბედნიერი სახით არ ჩაიდენდა და ანვარას გადაწყვეტილების რეალობაში ვინმეს ეჭვი შეეპარებოდა, თავისი შვილის გვამსაც ვერ იხილავდა.

ყველაფერი გეგმის მიხედვით მოხდა...

რამდენიმე დღეში პაკისტანის უმაღლესმა სასამართლომ ადვოკატ ანვარა ბადანის აპელაციის საფუძველზე პატიმარი ნოე ბადანი სიკვდილმისჯილთა საკნიდან გაათავისუფლა

გ) გააანალიზეთ სხვადასხვა ეპოქის ქრისტიანი დედების არჩევანი, მათი დამოკიდებულება შვილების ქცევის მიმართ.

- მსჯელობისას ყურადღება მიაქციეთ, რა განაპირობებს წმინდა შუშანიკის არჩევანს;
- ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ გამაზდეანების შემდეგ შვილებს დედასთან შეხვედრის რცხვენიათ. რაზე შეიძლება მიანიშნებდეს ეს?
- იმსჯელეთ გაბრიელ ტანიეს „ქანაანის შვილების“ მოცემული ეპიზოდის მთავარი გმირის, ანვარას, გადაწყვეტილებაზე - შვილის სიცოცხლის გადასარჩენად უარი თქვას საკუთარ ღირებულებებსა და პრინციპებზე.
- შეადარეთ ერთმანეთს დედების არჩევანი და გამოკვეთეთ თქვენი პოზიცია;
- თქვენი აზრით, აქვს თუ არა მნიშვნელობა, რომელ საუკუნეში ცხოვრობს მწერალი და როგორი მსოფლმხედველობის მკითხველისთვის წერს (ვგულისხმობთ, რომ შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ეპოქის მცხოვრები და, შესაბამისად, მკითხველი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან)? ანვარა, შუშანიკის ადგილას რომ ყოფილიყო, ანალოგიურ გადაწყვეტილებას მიიღებდა? ან პირიქით - შუშანიკი ანვარას ადგილას?

დ) საშინაო დავალება

წერილობით გადმოეცით, თქვენი აზრით, როგორ გაგრძელდებოდა სახლში დაბრუნებული ნოეს ცხოვრების გზა.

გაკვეთილის გეგმა
(„შუშანიკის წამება“)

პრობლემაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილის გეგმა

<table>
<tr><td colspan="2">მასწავლებლი:</td></tr>
<tr><td>საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა</td><td>კლასი: IX</td></tr>
<tr><td>თემა:</td><td>რთული არჩევანი („შუშანიკის წამება“, მე-3 თავი)</td></tr>
<tr><td colspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა-</td></tr>
<tr><td colspan="2">გაკვეთილის მიზანი:
• მოსწავლეები იმსჯელებენ, რატომ არ თმობს შუშანიკი საკუთარ პრინციპებს, რწმენას, მიუხედავად მოსალოდნელი განსაცდელისა;
• გააანალიზებენ პერსონაჟთა დიალოგს;
• გამოკვეთენ ტექსტში დასმულ პრობლემას;
• იმსჯელებენ პიროვნული არჩევანის, შინაგანი თავისუფლებისა და რწმენის მნიშვნელობაზე; გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას.</td></tr>
<tr><td colspan="2">გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი:
მოსწავლეები
• გამოიკვლევენ პრობლემის მიზეზებსა და შესაძლო შედეგებს;
• დაასაბუთებენ საკუთარი პოზიციას;
• შეაფასებენ შუშანიკის გადაწყვეტილებას.</td></tr>
<tr><td colspan="2">ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:
<table>
<tr><td>სამიზნე ცნება - ტექსტი</td><td>სამიზნე ცნება - კონტექსტი</td></tr>
<tr><td>სწავლის შედეგები

ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად;
შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად;

შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნის გამოყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად;
წარმოსახვის გასააქტიურებლად;
ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად;</td><td>სწავლის შედეგები

მსჯელობა ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/ მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად;</td></tr>
</table>
</td></tr>
</table>

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად.	

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- იცნობენ „შუშანიკის წამების” წინა ეპიზოდებს;
- იციან ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების მახასიათებლები;
- იცნობენ ვარსქენის ქმედების მიზეზებსა და მიზნებს;
- აქვთ ტექსტის ანალიზისა და პრობლემის გამოკვეთის გამოცდილება.

შეფასება:

განმავითარებელი შეფასება:

- ინდივიდუალური
- ჯგუფური
- თვითშეფასება

კრიტერიუმები:

- ტექსტზე დაყრდნობით მსჯელობა;
- არგუმენტირებული პასუხი;
- თანამშრომლობა;
- განსხვავებული აზრის პატივისცემა.

სასწავლო მასალა და რესურსები:

კომპიუტერი, პროექტორი, პროექტორის დაფა, სახელმძღვანელო, თაბახისა და ფერადი ფურცლები, დაფა, ცარცი, კალამი

გამოწვევა

აქტივობა N1

დრო – 7 წუთი

აქტივობის მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება და პრობლემური საკითხის განსაზღვრა.

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს წინა ეპიზოდს:

- ვარსქენის არჩევანს;
- შუშანიკის რეაქციას;

შემდეგ აცნობს გაკვეთილის მიზანს.

ეკრანზე ჩნდება კითხვა - უნდა დაიცვას თუ არა ადამიანმა საკუთარი რწმენა და პრინციპები სიცოცხლის ფასად?

მოსწავლეები აყალიბებენ საკუთარ პოზიციას.

კითხვები:

- რა არის პიროვნული არჩევანი?
- შეიძლება თუ არა რწმენის იძულებით შეცვლა?
- რას ნიშნავს „შინაგანი თავისუფლება“?

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს გაიხსენონ:

- ვინ არის მთხრობელი?
- რატომ მიდის იაკობი შუშანიკთან?
- როგორ ხვდება დედოფალი მას?

ძირითადი ნაწილი
აქტივობა N2
დრო – 10 წუთი
მიზანი - მოსწავლეები გაიაზრებენ შუშანიკის შინაგანი მდგომარეობას.

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, მუშაობენ ლექსიკონზე და უპასუხებენ შინაარსობრივ შეკითხვებს.

აქტივობა N3
დრო – 20 წუთი
მიზანი - პრობლემის, მიზეზებისა და შედეგების ანალიზი.

ჯგუფური მუშაობა
I ჯგუფი
რა მიზეზები განაპირობებს შუშანიკის გადაწყვეტილებას?
რა არგუმენტებით იცავს შუშანიკი საკუთარ არჩევანს?
(მოსწავლეები ჩამოწერენ თეზისებს და მოიხმობენ არგუმენტებსა და ციტატებს)

II ჯგუფი
რატომ ჩქარობს შუშანიკთან შეხვედრას იაკობი?
როგორ ამხნევებს მოძღვარი დედოფალს?
იქონია თუ არა გავლენა დედოფლის გადაწყვეტილებაზე მისმა სიტყვებმა?
(მოსწავლეები ჩამოწერენ თეზისებს და მოიხმობენ არგუმენტებსა და ციტატებს)

III ჯგუფი
რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს შუშანიკის გადაწყვეტილებას?
პიროვნებისთვის
საზოგადოებისთვის
ქრისტიანული რწმენისთვის

ჯგუფები წარადგენენ ნამუშევრებს.

რეფლექსია
აქტივობა N4
დრო – 5 წუთი
მოსწავლეები წერენ ერთ წინადადებას.
დღევანდელმა ეპიზოდმა დამაფიქრა, რომ...
ან
ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ადამიანისთვის არის...
რამდენიმე მოსწავლე კითხულობს საკუთარ პასუხს.
საშინაო დავალება - სახელმძღვანელო, გვ.29
ანალიტიკური ესე - რთული არჩევანი

დანართი #1
ჯგუფური მუშაობის რუბრიკა
განმავითარებელი შეფასებისთვის

კრიტერიუმები	საშუალო	კარგი	საუკეთესო
ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება	ჯგუფი ვერ ავლენს ტექსტის ცოდნას, აქედან გამომდინარე, უჭირს საკითხზე მსჯელობა.	ჯგუფი ავლენს ტექსტის ცოდნას, მაგრამ უჭირს დავალების თეზისებად წარმოდგენა.	ჯგუფი თეზისების სახით დავალებას სრულყოფილად წარმოადგენს. ავლენს ტექსტის ცოდნას.
დროის ორგანიზება	ჯგუფი ვერ იცავს დროის ლიმიტს	ჯგუფი მცირედით აჭარბებს მითითებულ დროს.	ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს.
თანამშრომლობა	ჯგუფის ზოგიერთი წევრი არ თანამშრომლობს ერთმანეთთან და არ ავლენს ინტერესს დავალებისადმი.	ჯგუფის ყველა წევრი არ თანამშრომლობს ერთმანეთთან.	ჯგუფის ყველა წევრი თანამშრომლობს ერთმანეთთან,

დანართი #2
კითხვარი მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის

№	კითხვები	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
1	**ვპასუხობდი თუ არა მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს?**	□	□	□
2	**ვთანამშრომლობდი თუ არა ჯგუფის წევრებთან?**	□	□	□
3	**ვიცავდი თუ არა დროის ლიმიტს?**	□	□	□

იოვანე საბანისძე - აბოს წამება

სწავლის შედეგი და შეფასების ინდიკატორი

იოვანე საბანისძე - აბოს წამება	
სწავლის შედეგი	**მოსწავლე იყენებს:** • ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნას ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნას მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად; • ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნას ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად; • ლიტერატურული გამოცდილებას ტექსტის ღირებულების გასაცნობიერებლად; მასში წარმოჩენილი თემის/პრობლემის/საკითხის, ფასეულობების შესახებ მსჯელობისას საკუთარი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების წარმოსაჩენად, • თვითშემეცნებისა და სამყაროს შემეცნების გზების საძიებლად. **მოსწავლე მსჯელობს:** • ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად; • რომ უძველესი პერიოდის (V-X საუკუნეების) ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, რომელიც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დარგია. ჰაგიოგრაფიის გმირი წარმოადგენს სულიერ ავტორიტეტს, რომელიც ეძიებს ხსნის გზებს და თავისი მოქმედებებითა და ღვაწლით იმეორებს/ჰბაძავს ქრისტიანულ ლიტერატურაში აღწერილ საკრალურ მაგალითებს, რაც განაპირობებს ამ ჟანრის ლიტერატურის ინტერტექსტუალობას. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია გმირის ღვაწლის არსსა და ზედროულ მნიშვნელობაზე, რაც განაპირობებს საერთო ლიტერატურულ მოტივებს, სიუჟეტებისა და ელემენტების მსგავსებას. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ წყაროს ისტორიული და სოციოკულტურული რეალიების შესასწავლად.

შეფასების ინდიკატორი - მოსწავლეს შეუძლია:	• კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; • ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა. • ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა; • კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას. • ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; • მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა; • იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას; • ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; • ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა. • ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

	• ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით; • ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით; • იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის. • სხვადასხვა ტექსტებში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ინტერტექსტობრივი მიმართებების (მაგ.: ალუზიის, ციტატის) ამოცნობა/წვდომა; იმის ახსნა, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს (მაგ.: თემის, მთავარი იდეის, პერსონაჟის სახის წარმოჩენის კუთხით).

იოვანე საბანისძე - აბოს წამება

ტექსტის გზამკვლევი ზოგიერთი ეპიზოდის ან ციტატის განმარტებისათვის (ლალი დათაშვილი)

პირველი თავი

ა) იოვანე საბანისძე ქართლის მდგომარეობის სირთულის წარმოსაჩენად საგანგებოდ მიმართავს ბიბლიურ ალუზიებს:

1) უფლის სიტყვებს იმოწმებს სახარებიდან: „მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ“ (იხ. მათე 24,5; 24,11);

2) რაც შეეხება ერთ-ერთ ძალიან ცნობილ ფრაზას: „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი, ქართაგან ძლიერთა“, იგი მომდინარეობს „დავითნიდან“. დავით წინასწარმეტყველი შესთხოვს ღმერთს: „ჰყვენ იგინი, ... ვითარცა ლელწამი პირსა ქარისასა“ (ფს. 82, 13). შემდგომში ეს წინადადება ტრანსფორმირდება სახარებაში და მთლად უახლოვდება საბანისძის ნათქვამს: „რაისა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?“ (მათე 11, 7; ლუკა 7, 24). როგორც ჩანს, ჰაგიოგრაფი ამ შემთხვევაშიც ალუზიურად იმოწმებს სახარებას;

ბ) „რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱსღა შჯულდებულ ყოფილ არიან ... წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა“ - გულისხმობს ქართლის ორივე მოქცევას: ჯერ უფლის მოციქულების მიერ პირველ საუკუნეში (ანუ „უწინარჱსღა“), ხოლო შემდეგ - ნინო მოციქულთასწორის ღვაწლს - ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას;

გ) საყურადღებო ფრაზაა ქართლის შესახებ ნათქვამი: „წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა და სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა“. თუ გადავხედავთ ქართლში მო-

ღვაწე წმინდანებს, იოვანე საბანისძის თვალწინ ჩვენში მოსულ უცხოელთა სიჭარბეა: წმ. ნინო (კაბადოკიელია), მირიანი (სპარსელია) და ნანა (ბერძენია), წმ. შუშანიკი (სომეხია), წმ. იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეების (ასურელი მამები არიან), ევსტათი მცხეთელი (სპარსელია), თვითონ აბო (არაბია)... ამით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ჰაგიოგრაფია ასახავს ნამდვილ ფაქტებს, რომლებსაც ავტორი მხოლოდ დაფიქრებისა და შემოწმების შემდეგ შეიტანს ნაწარმოებში - ქართლი კი ნამდვილად როგორც ქართველ, ისე სხვა ქვეყნებიდან მოსულ უცხოელ წმინდანთა დედაა.

მეორე თავი

ა) აბოს ცხოვრება-მოღვაწეობის წლების დასადგენად

ვითვალისწინებთ არაბი ხალიფების მეფობის წლებს (ამირა მუმნი აბდილა - იგივე აბუ ჯაფარ ალ-მანსური, არაბთა ხალიფა 754-775 წლებში; მაჰდი - იგივე მუჰამად იბნ მანსურ ალ-მაჰდი, ხალიფა 775-785 წლებში); მაჰდიმ გამოუშვა ნერსე 775 წელს. აბო 17-18 წლის იყო. იგი დაბადებულა 757 ან 758 წელს.

ნერსე წავიდა ხაზარეთში 781 წელს, რადგან იგი ერისთავი ამ წლამდე იყო. აბო მოინათლებოდა 781ან 782 წელს, ე. ი. იქნებოდა 24 წლის, ხოლო გარდაცვალებისას (785 წელს) - 28-ის.

ბ) აბრაამი

ბიბლიური პარადიგმები (პერსონაჟები თუ სახეები) მრავლადაა მსოფლიო ლიტერატურაში. ზოგიერთი პირველსახე განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათ შორისაა წმ. აბრაამ მამამთავარი (ძვ. წ. 1813, შუამდინარეთი — გ. ძვ. წ. 1638, ქანაანი), რომლის შესახებ მოგვითხრობს დაბადების რამდენიმე თავი (კერძოდ, 12-25).

წმ. აბრაამ მამამთავარი ნოეს შთამომავალია სემის ხაზით, მამამისი თარეხია (ქართული თარგმანებით, თარა). იგი წარმოშობით ქალდეველთა ქალაქ ურიდანაა, საიდანაც, უფლის ნებით, ოჯახითურთ გადასახლდა ქანაანში, რადგან უფალმა უთხრა: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა, და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანად, რომელიცა გიჩუენო შენ“ (დაბ. 12, 1).

აბრაამი მრავალმხრივი ლიტერატურული პარადიგმაა. მათგან სამი გვხვდება „აბოს წამებაში“:

დიდი ოჯახის მამა-მმართველი, პატრიარქი და უფლისკენ წარმმართველია, ამიტომ მოიხსენიებს ავტორი აბოს, როგორც აბრამის შთამომავალს: **„ესე ნაშობი იყო აბრამეანი“;**

პირველმოგზაურია უფლის წინამძღოლობით, რადგან მისი ნებით მიატოვა ყველაფერი და გადასახლდა ქანაანში. ასეა აბოც, ავტორის აზრით, მანაც მიატოვა ოჯახი, სიმდიდრე და თავისი გონებით კი არა, უფლის ნებით გადაწყვიტა ნერსესთან ერთად წამოსვლა;

წმინდანთა ადგილს „აბრაამის წიაღი“ ჰქვია;

გ) ანტონი დიდი

წმინდა ანტონი დიდი - ეგვიპტელი სასულიერო მოღვაწე, მეუდაბნოე ბერი, პირველმოღვაწეთაგანი, მეუდაბნოეობის პირველსახე. გარდაიცვალა 356 წლის 17 იანვარს. რადგან აბოც ამ დღეს შეუდგა დუმილით მარხვას, ავტორის თქმით, ეს კეთილი საქმისთვის მიბაძვა და ეშმას მოუძლურება იყო, თანაც აბო ქალაქში იყო, თუმცა უდაბნოში მყოფივით ებრძოდა ეშმას.

დ) სანთელი სასანთლესა ზედა

აფხაზეთის მთავართან საუბრისას აბო ამჟღავნებს მზადყოფნას, რომ წარმოჩნდეს მისი გაქრისტიანება, ეს ყველამ გაიგოს და დაინახოს, რადგან მას უკვე დაძლეული აქვს შიშის გრძნობა. როგორც ახასიათებს ჰაგიოგრაფიას, აბო იმოწმებს უფლის სწავლებას, რათა თავის სიტყვებს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჯჯმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“. მისი სიტყვები სახარების ალუზიური დამოწმებაა: „არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ჯჯმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა. ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“ (მათე 5, 15-16). ვფიქრობთ, იოვანე საბანისძე საგანგებოდ გამოტოვებს სახლს, რადგან აბოს სახე და ღვაწლი უფრო მასშტაბურია, ვიდრე სახლის განათება. ცხადია, სახლი უნდა გავიგოთ, როგორც - სამოღვაწეო არეალი, თუმცა ამ შემთხვევაშიც აბოს ღვაწლი სახლის გარეთ მყოფებმაც (ანუ არაქრისტიანებმაც) უნდა დაინახონ.

ე) მოწევნული ჟამი

„ეკლესიასტე“ ამბობს: „ ყოველთათჳს ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისა ცასა ქუეშე“ (ეკლ. 3,1); შემდგომში, ახალ აღთქმაში, იოანე მახარებელი უფალზე საუბრისას რამდენიმეჯერ დაიმოწმებს ამ სიბრძნეს: „ეძიებდეს მას შეპყრობად, და არავინ დაასხნა მას ჴელნი, რამეთუ არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი“ (იოანე 7,30) და „არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არღა მოსრულ იყო ჟამი მისი“ (იოანე 8, 20).

იოვანე საბანისძეც აბოს მიერ ქალაქში თავისუფლად სიარულისა და დაუფარავად ქადაგების გამო ალუზიურად იმოწმებს იოანე მახარებლის მიერ ქრისტეზე ნათქვამს: „ვერვინ მიყვნა ჴელნი მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არღა მოწევნულიყო ჟამი მისი“. ამით მკითხველს მიანიშნებს, რომ აბოც, იესოს მსგავსად, სამი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა და არ (ვერ) შეიპყრეს.

მესამე თავი

სტეფანე პირველმოწამე

იოვანე საბანისძე ასე გადმოგვცემს წმ. აბოს დაპატიმრებას: „ეს მოხდა ოცდაშვიდ დეკემბერს, სამშაბათს, ქრისტეს წმინდა მოციქულის, პირველდიაკვნისა და პირველმოწამის, მოწამეთა ერისთავის, სტეფანეს, ხსენების დღეს. ეს დღე იმიტომაც იყო დიდებული, რომ პირველმოწამე წმინდანი სხვა მოწამეებთან ერთად შეეწეოდა აბოს, რათა ეს უკანასკნელი არ დაბრკოლებულიყო და წინამორბედთა მსგავსად განმტკიცებულიყო“.

როგორც ვხედავთ, ჰაგიოგრაფი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ აბოს დაპატიმრება „მოწამეთა ერისთავის“ ხსენების დღეს დაემთხვა. ამის გამო იმედოვნებს, რომ წმ. აბოს დიდად შეეწეოდა პირველმოწამე და განამტკიცებდა მას. ოცდაშვიდ დეკემბერს პირველდიაკვანმა შეწყვიტა მოღვაწეობა, რადგან ამ დღეს ჩაქოლეს, ხოლო აბომ დაიწყო, თითქოს განაგრძო მოწამეთა „იწრო და საჭირველი“ გზა.

სტეფანე პირველმოწამე პირველი ადამიანია, რომელიც ეწამა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად; იგი იყო ქრისტეს მოციქული (70-თაგანი), ცნობილია, როგორც პირველდიაკვანი. ქრისტეს აღსარების გამო ჩაქოლეს 34 წელს.

ორიგინალური სახე

იოვანე საბანისძე გადმოსცემს, თუ როგორ წარმოიდგინა აბომ თავი გარდაცვლი-

ლად და სულად გარდაქმნილი როგორ მიაცილებდა თავის სხეულს: „ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ-ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა. და სულითა თჳსითა მოგზაურქმნული თჳთ იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეათრვამეტესა: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“, და საგალობელად მუჴლისა მის თქჳს შემდგომად სიტყუაჲ იგი ნეტარისა მის ავაზაკისაჲ: „მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა“. ასეთი სურათი (ანუ პერსონაჟის ფანტაზია თუ ფიქრები, რომლებიც ჰაგიოგრაფმა წარმოიდგინა) არადამახასიათებელია ჰაგიოგრაფიის, როგორც რეალურად მომხდარი ამბების ამსახველი ჟანრისთვის. ამით ავტორი ორიგინალურ სახეს ქმნის. პირველად ამ დეტალზე ყურადღება გაამახვილა პროფესორმა გრივერ ფარულავამ;

გარდა ამისა, უნდა შეინიშნოს, რომ აბოსთვის ეს ხილვა მინიშნება იყო, რომ სასიკვდილოდ მიდიოდა. ამიტომ იგი საგანგებოდ ირჩევს სალოცავად 118-ე ფსალმუნსა და ავაზაკის სიტყვებს, რადგან ამ გზით არა მხოლოდ იმხნევებს თავს, არამედ ცდილობს, თავის სულს სამოთხეში დამკვიდრებაში ხელი შეუწყოს. 118-ე ფსალმუნი იგივე „ჭირის კანონია“, იკითხება მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად, რომ გარდაცვლილის სულს სამოთხის კარამდე მისვლაში ხელი შეუწყოს. რადგან აბოს ჭირისუფალი (ამ შემთხვევაში - ოჯახის წევრი) არ ჰყავს, თვითონ უკითხავს თავს „ჭირის კანონს“. ჰაგიოგრაფი იმოწმებს ამ კანონის პირველ ფრაზას: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“ (ფსალმუნნი 118, 1).

წმ. აბო არა მხოლოდ სამოთხის კარამდე მისვლას ცდილობს, არამედ მისიც, როგორც ნებისმიერი მორწმუნის, სურვილია, დაიმკვიდროს სასუფეველი. ამიტომაც 118-ე ფსალმუნის ყოველი მუხლის შემდეგ ნეტარი ავაზაკის ლოცვას ამბობს. „მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა“ (ლუკა 23, 42) - ამ სიტყვებით უფლის მარჯვნივ ჯვარცმულმა ავაზაკმა ჯვრიდან მიმართა უფალს. რადგან უფალმა უპასუხა: „ამინ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“(ლუკა 23, 43) და სასუფეველში პირველი ნეტარი ავაზაკი შევიდა, ამიტომ მის ლოცვას „სამოთხის კარის გამღებელი“ ეწოდება.

ამ ეპიზოდით აშკარავდება, რამხელა მნიშვნელობისაა „აბოს წამების“ თითოეული დეტალი.

ორმოცი სებასტიელი

„მივიდნენ და აიღეს წმინდა აბოს გვამი, სამოსლითურთ ჩადეს გოდორში. მიწა, რომელზედაც წმინდანის სისხლი დაიღვარა, ამოთხარეს, რათა არაფერი დაეტოვებინათ, ისიც ჭურჭელში მოათავსეს და დადეს ურემზე მსგავსად ორმოცი მოწამისა, რადგან წმინდა აბოს თავი მოჰკვეთეს სწორედ ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიის კართან, რათა ამ ახოვან წმინდანებს მიმსგავსებოდა“ - ვკითხულობთ „აბოს წამებაში“.

40 მოწამე გულისხმობს 40 კაბადოკიელ მეომარს, რომლებიც სებასტიაში მსახურობდნენ. ისინი ქრისტეს აღსარებისთვის აწამეს 320 წელს. ჯერ დაატუსაღეს, შემდეგ ჩაქოლვა მიუსაჯეს, შემდეგ გაყინულ ტბაში ჩააყენეს მთელი ღამით, თუმცა ვერაფერი ავნეს, რადგან მათ ყოველთვის უფალი ეხმარებოდა. ბოლოს ისინი ხმლებით აკუწეს, წამებულთა გვამები ურმებზე დააწყვეს და დასაწვავად წაასვენეს, შემდეგ მათი გვამები დაწვეს, დაწვას გადარჩენილი ძვლები კი ტბაში გადაყარეს.

თუ გავადევნებთ თვალს „აბოს წამებას“, წმინდანისთვის ხმლით თავის მოკვეთა, მისი გვამის ურმით გადატანა, დაწვა და დარჩენილი ძვლების წყალში ჩაყრა - დავეთანხმებით ჰაგიოგრაფს, რომ მისი წამება ძალიან ჰგავს 40 კაბადოკიელისას.

არსებობს ბასილი დიდის „სიტყვა ორმოცი მოწამის შესახებ“. ეს ქადაგება მეოთხე საუკუნის 70-იან წლებშია წარმოთქმული; ამ წმინდანებზე ქადაგებდა გრიგოლ ნოსელიც. ორივე მამის ქადაგებათა საერთო აზრია, რომ მოწამეები სიკვდილის შიშის მძლე-

ვლები არიან. თუ გადავხედავთ აბოს გზას და მის მიერ სიკვდილის შიშის ძლევას, ამ მხრივაც შესაძლოა 41-ე სებასტიელად მივიჩნიოთ.

ბასილი დიდი გვიამბობს წმინდა ნაწილების პატივისცემის ტრადიციისა და მოწამეთა საფლავზე აღსრულებული სასწაულების შესახებაც. იოვანე საბანისძეც ასახავს ამ ტრადიციას და საფლავზე აღსრულებულ სასწაულებსაც გადმოგვცემს.

ვფიქრობთ, არ იყო შემთხვევითი, რომ წმ. აბოს თავი 40 სებასტიელის ეკლესიის ეზოში მოჰკვეთეს, იოვანე საბანისძემ კი კიდევ ერთხელ წარმოაჩინა დიდი განათლება და მოვლენათა ქვეტექსტის ამოკითხვის უნარი.

ლიტერატურული პარალელისთვის, გვ.96
შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ჰაბო ანუ ფერფლის ლეგენდა“
(ანალიზი ლალი დათაშვილის)

შოთა ნიშნიანიძის ეს ლექსი არა მხოლოდ წმინდა აბო თბილელისადმი მიძღვნილი პოეტური ხოტბაა, არამედ რწმენის, ერთგულების, თვითმყოფადობისა და ადამიანური ღირსების სადიდებელია, რომელიც შეგვახსენებს, რომ სულიერი გამარჯვება ყოველთვის აღემატება ძალადობას, პოლიტიკურ ძლიერებას.

ლექსის პირველ ნაწილში აღმოსავლური ფერადოვნების ფონზე (უდაბნო... ფშატის ბაღები, ლომთა კმინვა... თუთიყუშთა კვიწინი...) გადმოცემულია ნერსე ერისთავის სამშობლოში დაბრუნების ამბავი. მას მოსდევს არაბი ჭაბუკი. პოეტი იმ კითხვას სვამს, რომელიც ბევრისთვის დამაფიქრებელია, - რატომ მოდის აბო? უკან რჩება ძლევამოსილი ხალიფატი, წინ ელით დაჩაგრული, დამარცხებული, მაგრამ გაუტეხელი და სარწმუნოების ერთგული საქართველო. ამ კითხვის დასმა და ამგვარი ფიქრი საშუალებას აძლევს ავტორს, აბოს მოწამეობა წარმოაჩინოს არა მხოლოდ როგორც წარსულში მომხდარი ამბავი, არამედ - როგორც წარუვალი ფასეულობა, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილის მარადიული გამოხატულება. აბო ლექსში არა მხოლოდ გაქრისტიანებული ადამიანი, არამედ არჩევანისა და ღირსების სიმბოლოა.

მეორე ნაწილში პოეტი გვიხატავს მტრის შემოსევის შემდეგ დარჩენილ მძიმე სურათს. ფერფლი, ჭვარტლი, უკაცრიელობა, ყვავების ყრანტალი, გადამწვარი ეკლესიები და ფრესკები, მზე - „ცხენის ფლოქვით ახრჩოლებული ღადარი“, ყველგან - „სიკვდილის ღერბი“, „არაბესკა“ - აღმოსავლელ დამპყრობელთა დაღი ციხეებსა და ტაძრებზე, მცდელობა ქართველთა ფიზიკური და სულიერი გატეხისა, თავდაცვის უნარისა და რწმენის განადგურებისა:

„ეს ღერბები მწუხარების არაბესკად ესხა
ქართულ ციხე-ეკლესიას,
სიმღერას თუ ფრესკას.“

ციხე-ტაძართა მწუხარებას „მაჰმადის მახვილივით ლაპლაპა მეჩეთი...“ უპირისპირდება, სისხლს, ცეცხლს, ჭვარტლის სიბნელეს კი - აბოს შინაგანი ნათელი. გვახსენდება უფალზე ნათქვამი, რომელიც ამ კონკრეტულ ეპიზოდში წმ. აბოზეც შეიძლება განვაზოგადოთ: „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოანე 1, 5).

ლექსის მესამე ნაწილი ნაწარმოების მთავარი აზრის გამომხატველია. **„ფერფლი“ ორმაგი სიმბოლოა**. ერთი მხრივ, ის დამპყრობლის მიერ გადამწვარი საქართველოს ნაშთია, მეორე მხრივ კი - აბოს წმინდა ნაწილების, მოწამეობისა და სულიერი გამარჯვების ნიშანი. ამიტომ ბოლო სტრიქონი - *„აბოს ფერფლი გადასწონის, ერთი მუჭა ფერფლი“* - მთელი ლექსის გასაღებია. **სიძულვილის „ზღვა ფერფლს“** უპირისპირდება **სიწმინდის „ერთი მუჭა ფერფლი“** და სიკეთის უძლეველობა ცხადდება: საქართველოში როგორი გამანადგურებელი კვალიც უნდა დატოვონ არაბებმა, სოლომონ ბრძენის არ იყოს, „ესეც ჩაივლის“, ვერაფერი ფიზიკური ცისქვეშეთს მარადიულად ვერ შემო-

რჩება. არაბი აბოს მოწამებრივ თავგანწირვას, მის ერთ მუჭა ფერფლს კი მარადიულად დაიმახსოვრებს როგორც მიწიერი, ისე ზეციური საქართველო.

ლექსის მთავარი იდეაა, რომ ძალადობით მოპოვებული გამარჯვება დროებითია, ხოლო რწმენის, სიყვარულისა და სიმართლისთვის გაღებული მსხვერპლი მარადიულ ღირებულებად რჩება. ჭეშმარიტი რწმენა და თავდადება ნებისმიერ ნგრევაზე, განადგურებაზე, მტრის დიდ ფიზიკურ ძალასა და დამპყრობლის გამარჯვებაზე აღმატებულია.

ამგვარად, „ჰაბო ანუ ფერფლის ლეგენდა“ არ არის მხოლოდ ძველი ამბის გამეორება, შემოქმედებითი დიალოგია წარსულთან, VIII საუკუნეში მცხოვრები აბო თანამედროვე მკითხველისთვისაც ცოცხალ სულიერ მაგალითად რჩება.

ამ ნაწარმოებით პოეტი გვარწმუნებს, რომ ისტორიული მეხსიერება მხოლოდ წარსულის ხსოვნა არ არის, მუდმივი დიალოგია თანამედროვე ადამიანთან. აბო თბილელის მაგალითი დღესაც აქტუალურია, რადგან ჭეშმარიტი ღირებულებების დაცვა ხშირად მოითხოვს სიმამაცესა და თავგანწირვას.

მეოთხე თავი

პავლე მოციქული

იოვანე საბანისძე წერს: „გიხაროდენ უფლისა მიერ, მოწამეო, რამეთუ შენ მიემსგავსე უკუანაჲსკნელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა მათ შჯულთა და მოძღურებათა განგდებითა, და ქრისტჱს, ძისა ღმრთისა, აღსაარებისათჳს მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა“. როგორც ვხედავთ, ჰაგიოგრაფი სიცოცხლითაც და სიკვდილითაც წმ. პავლე მოციქულს ადარებს აბო თბილელს. ეს ორმაგი მსგავსება კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „სახისმეტყველებითი თანახატქმნის“ (ანუ მომდევნო პერიოდის წმინდანების პირველხატების, პარადიგმებისთვის დამსგავსების) პრინციპის მიხედვით. ამის შესაბამისად, აბო „ახალი პავლე“ ხდება, რადგან მოგვიანებით გაქრისტიანდება, შეიცვლის მამა-პაპის რჯულს, დაიწყებს ქრისტეს სიყვარულის ქადაგებას და სწორედ ამისთვის დაისჯება, სამჯერ მოუქნევენ მახვილს შესაშინებლად და, რადგან არაფერი გამოუვათ, მოჰკვეთენ თავს (ზუსტად ასეთია პავლე მოციქულის ცხოვრებისა და სიკვდილის გზაც).

პავლე მოციქული - უწინდელი სავლე. თავიდან ქრისტეს მტრობდა და ქრისტიანებს დევნიდა. „ხოლო სავლე ფრიად მავნებელ იყო ეკლესიათა მიმართ, სახლებსა შევიდოდა და ითრევდა მამებსა და დედებსა და მისცემდა საპყრობილედ“ (საქმე 8,3). მას შემდეგ, რაც ქრისტე გამოეცხადა, დასასჯელად დამასკოსკენ რომ მიერეკებოდა ქრისტიანებს („და იგი დაეცა ქუეყანასა ზედა და ესმა ჴმაჲ, რომელმან ჰრქუა მას: საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე?“ - საქმე 9,4), ირწმუნა მაცხოვარი, დაირქვა პავლე და გახდა მოციქული. შემდგომში ამის შესახებ თვითონვე უამბობს ხალხს (იხ. „საქმე მოციქულთა“, 22, 1-10).

პავლე „უკანასკნელ მოციქულად“ იწოდება, თუმცა მაცხოვრის 12 მოციქულს შორის არ შედის. ის მიიჩნევა ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთ უდიდეს მოძღვრად. დიდი ღვაწლის გამო მოციქულთა თავად არის აღიარებული. პავლე მოციქულს თავი მოჰკვეთეს იმპერატორ ნერონის დროს, ახალი წელთაღრიცხვის 67 წელს.

ავაზაკსა მიემსგავსე

ავტორი წმ. აბოს იესო ქრისტეს მარჯვნივ ჯვარცმულ ავაზაკს უთანაბრებს მის სულში ჩატეული სარწმუნოების სიყვარულითა და რწმენის ძალით: „შენ ჭეშმარიტად მარჯუენითსა მას ავაზაკსა მიემსგავსე, შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხესა განეწესე!“ აქ უკვე მეორედ გვხვდება ნეტარი ავაზაკი, რომელიც სასუფეველში შესული პირველი ადამიანია (ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევების შემდეგ სამოთხის კარი

დაკეტილი იყო იესოს ჯვარცმამდე. კარში მცველად ქერუბიმი (ნათლის ანგელოზი) იდგა და არავის უშვებდა. ქრისტემ მისცა ავაზაკს სასუფეველში შესვლის ნება და სამოთხის კარიც მის წინ გაიღო).

ჰაგიოგრაფი ამ საქებარი სიტყვებით გადმოგვცემს რწმენას, რომ აბოსაც ისევე დაუბრკოლებლად მიიღებენ სასუფეველში, როგორც გაუღეს კარი ნეტარ ავაზაკს და მასაც პირველმოწამეთა მსგავს პატივს მიაგებს უფალი.

სასურველია ვუთხრათ მოსწავლეებს, რომ უფლის მარცხნივ ჯვარცმული ავაზაკი ეჩხუბებოდა მას და მის ღმერთად აღიარებას დასცინოდა, მარჯვნივ ჯვარცმულმა კი ლოცვით მიმართა (გაახსენეთ მესამე თავი და ავაზაკის ლოცვა). შევნიშნავთ, რომ წინა თავში ავაზაკის სიტყვებს იმეორებს აბო, ამ თავში კი მას გაუთანაბრა ავტორმა.

ავაზაკის პირველობა სასუფეველში ქრისტიანთათვის იმედის ჩამსახველია, რომ ღმერთს ყველა უყვარს და მონანიება დაგვიანებული არასოდესაა, ცოდვილი ავაზაკიც კი შეიძლება ცხონდეს ჯეროვანი მონანიებით.

კრავი უმანკოჲ

„ვითარცა კრავი უმანკოჲ, შეიწირე, შემწუარი ცეცხლითა“ - ასე მიმართავს საბანისძე წმ. აბოს და გულისხმობს „მრგვალად დასაწველ“, ანუ „ყოვლადდასაწველ“, მსხვერპლს, რომელიც მიღებული იყო ისრაელში. ამ ტიპის მსხვერპლით ადამიანი გამოხატავდა, რომ მთელი არსებით (სულიერ-ხორციელად) ენდობოდა უფალს. აბომ მოზვერი, ცხვარი თუ გვრიტი კი არ შესწირა ღმერთს, არამედ თვითონ შეეწირა, რითაც დაადასტურა, რომ მთელი მისი არსება უფლის სიყვარულით იყო სავსე.

იოვანე საბანისძეს კარგად ესმის აბოს ღვაწლის მნიშვნელობა. ამიტომ აბო ჩვენი ქვეყნისგან უფლისთვის მირთმეულ წმინდა მსხვერპლად მიიჩნია, რომელმაც განწმინდა და ღვთისთვის სათნო გახადა აქაურობა: „შენ ქუეყანამან მსხუერპლად წმიდად და სათნოდ მიგიპყრა ღმერთსა მას ზედა დაწუვითა პატიოსნისა გუამისა შენისაჲთა“, ხოლო ქართლი ღმერთს მთელი არსებით მინდობილ ქვეყნად - აბელის, ენუქისა და ელიას საკურთხევლად გაიაზრა (იხ. „აბოს წამების“ სრული ვერსია).

ვარდი ეკალთაგან გამორჩეული

იოვანემ აბოს „ეკალთაგან გამორჩეული ვარდი“ უწოდა: „ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგირჩია და მიგიპყრა თჳსსა მას ეკლესიასა!“ ამით ისმაიტელები, ანუ მუსლიმანი არაბები, ეკლის მეტაფორით მოიხსენია, ხოლო აბო - ვარდად.

აღსანიშნავია, რომ არსებობს მეტაფორა „ვარდი შუენიერი“, ასეა მოხსენიებული წმ. გრიგოლ ხანძთელი, რომელსაც ნათესაობაც ქრისტიანი ჰყავს.

დამატებითი დავალებები „აბოს წამების“ სწავლებისას

პირველი თავის შემდეგ

დავალება: ქართლი - დედა წმინდანთა

სასურველია, მოსწავლეებს მოვაძიებინოთ ინფორმაცია ქართლის ეკლესიის მეოთხე-მერვე საუკუნეების წმინდანთა შესახებ; ქვემოთ ჩამოთვლილთაგან აირჩიონ ერთ-ერთი:

- წმ. ნინო;
- მირიან მეფე;
- ნანა დედოფალი;
- ცხრა ძმა კოლაელი;
- კონსტანტი კახი;
- ევსტათი მცხეთელი.

მესამე თავის შემდეგ

დამატებითი დავალება (სურვილისამებრ)

თვალსაზრისი

გამოთქვით მოსაზრება თემაზე: „ღალატის არსი“.

მოცემულ საკითხზე მსჯელობა რომ არ გაგიჭირდეთ, ყურადღებით წაიკითხეთ ოქტაი ქაზუმოვის წერილი „აბოს „ღალატი“ და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

ოქტაი ქაზუმოვი - აბოს „ღალატი“

„შენს წმინდანში მოღალატე აბოს ვხედავ“
(თემურ ელიავა)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირი იდეალური და ამდენად, მისაბაძია. თუმცა ამან, მათმა იდეალურობამ, თავის მხრივ, დაბადა შეკითხვა – „რამდენად იდეალურნი არიან?” და ამ კითხვაზე პასუხის მოძიების მოთხოვნილება წამოაყენა. თანამედროვე მკითხველს რიგ შემთხვევებში გაუჩნდა განცდა იმისა, რომ, თუკი წმინდანობა საყოველთაო იდეალურობაა, მაშინ არ უნდა არსებობდეს „ჩემთვის წმინდანისა“ და სხვისთვის „მოღალატის“ უხერხულობა. თუკი მე ჩემი აღმსარებლობა მგონია ჭეშმარიტი, სხვაც ხომ ამგვარად ფიქრობს თავისაზე? და აქ ვაჟასეული „ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ“-ის დაეჭვებულობა იჩენს თავს, რაც განსჯისთვის მეტად ნაყოფიერ ფონს ქმნის.

მე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, მივესალმები ამგვარ ეჭვებს არა იმიტომ, რომ ამით რომელიმე წმინდანის დაკნინება მსურს – არა! წმინდანი ყოველთვის დარჩება წმინდანად, არამედ იმის გამო, რომ თანამედროვე მკითხველი ჩვენს დღევანდელობაშიც არსებული პიროვნების კრიზისის დასაძლევ მექანიზმს სწორედ ჰაგიოგრაფიაში ეძიებს, რაც ამ ჟანრის ნაწარმოებებს აქტუალურობას უნარჩუნებს და, კიდევ ერთხელ დავძენ, „სამუზეუმო ექსპონატად“ ქცევისაგან ათავისუფლებს.

ვინმესთვის მოღალატის იარლიყის მიკერება, უმთავრეს შემთხვევებში, სუბიექტურია და დრო საწინააღმდეგოს ადასტურებს.

აბოს შემთხვევაში საქმე უფრო დელიკატურ საკითხთან გვაქვს, უფრო სწორად, საკითხი მართებულად არ არის დაყენებული.

თუკი გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას, არცთუ ცოტანი არიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც არა თუ არ ამართლებდნენ თავიანთი ქვეყნის მთავრობის თუ ერის ქმედებებს სხვა ხალხების მიმართ, არამედ მთელი შეგნებით ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც მას. საერთო ფერხულიდან მათი გამოთიშვა და დაპირისპირება ხშირ შემთხვევაში ღალატად აღიქმებოდა.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ აბო გულწრფელი მორწმუნეა, იგი არის პიროვნება, რომელიც არ იზიარებს თავისი ხალხის პოლიტიკას დაპყრობილი ერის მიმართ. ბა-

ღდადში ნერსე ერისთავთან ერთად ყოფნისას აბო ოდენ ინტერესდება ქართველი ხალხით, მისი სულიერებითა და კულტურით.

თავიდან აბო შიშობს გაცხადებულად წარმოაჩინოს თავისი სიმპათიები ამ რჯულის მიმართ, რადგან იგი ჯერ უნდა განმტკიცდეს, მონოლითურ, ბზარდაუმჩნეველ მრწამსად ჩამოქნას თავისი რწმენა და ჩამოქნის კიდევაც. რის შემდგომაც მას ვერაფერი აკავებს: *„და გამოვიდა იგი ნერსჱს თანა ქუეყანად ქართლად და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს, და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტიანედ“.* ხსენებული მომენტი არაბების მიერ აბოს ღალატის ცალსახა მტკიცებაა, რომელიც ღვთისა და ერის წინაშე სასჯელს იმსახურებს. მათი მხრიდან ეს სავსებით გასაგებიცაა, მაგრამ აქ არ ჩანს მესამე და უმთავრესი – პიროვნება. აბოს პიროვნებისადმი ცოტაოდენ ინტერესს მსაჯული იჩენს, რომელიც ცდილობს, გაერკვეს, რა მიზანი ამოძრავებს მას. ამიტომაც პირველ შეხვედრაზე იგი აბოს საქციელს ერთგვარ პროტესტად სახავს, რომელიც მატერიალური სიდუხჭირისა და კარიერული მისწრაფების დაკმაყოფილებით უნდა აღმოიფხვრას. *„ჰრქუა მას მსაჯულმან მან: დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვა და უკუეთუ ნაკლულოვანებისა შენისათჳს შედგომილ ხარ ქრისტიანეთა, მე უფროჲსღა ნიჭი და პატივი მიგცე შენ“.*

ამირას თავდაპირველი პოზიცია აბოს გაქრისტიანებისადმი მის მორწმუნეობაში ეჭვის შეტანაა. ამიტომაც ცდილობს ამქვეყნიური პატივ-დიდების აღთქმით გადმოიბიროს. მაგრამ, როცა ყველა საშუალება ამოეწურება, იკითხავს: *„რაჲ ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს ქრისტჱს შენისგან? რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალების თავი შენი?“.* ხოლო აბო პასუხობს: *„უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი, შენცა გრწმენინ ქრისტე და ნათელ იღე მისა მიმართ და მაშინღა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებისა მისისა!“*.

აბოს პასუხი რამდენიმე პლასტს მოიცავს. ჯერ ერთი ის, რომ: 1) მე ასე მწამს; 2) ეს ყველაფერი რწმენითია და სიტყვებით ვერ გადმოიცემა; 3) ჩემს პიროვნებას ქრისტიანობა უფრო ესადაგება; 4) ამის გასაგებად შენც უნდა გაქრისტიანდე. აქედან დასკვნის სახით შემდეგი შეიძლება გამოვიტანოთ – ყველაფერი პიროვნებამდე დაიყვანება. და აბოს გულწრფელობასაც ეს ქმნის. იგი, როგორც ჩამოყალიბებული პიროვნება, თავად ირჩევს.

სანამ უშუალოდ აბოს „ღალატზე” ვიტყოდეთ, მანამდე გავიხსენოთ, რომ ეგვიპტელი ფარაონისთვის მოსე იყო მოღალატე, ებრაელთათვის - იესო და წარმართი არაბებისთვის - მუჰამადი, მაგრამ მათ ზურგიც არ შეუბრუნებიათ საკუთარი სინდისის კარნახისა და იმ ძალის ნებისათვის, რომელიც უნივერსალურად გვევლინება. რატომ? იმიტომ, რომ იგი მათი მოწოდებაა. აბოს საქციელიც, გარდა იმისა, რომ იოვანე საბანისძის მიხედვით, ქრისტეს მიერაა წარმართული, პირველ ყოვლისა, შინაგანი მოწოდებაა და მას ანგარების გამო არ გადაუდგამს ეს ნაბიჯი, რაც, ასეთის შემთხვევაში, მართლაც რომ ნამდვილ ღალატში (უპირველესად კი თავისი სინდისის წინაშე ღალატში) ჩამოერთმეოდა.

ეს წერილი ჰაგიოგრაფიის მრავალმხრივობაზე მინიშნებით წამოვიწყე და ბოლოსკენ დავძენ, რომ „აბოს წამება“ აგრეთვე შესანიშნავ თხზულებად წარმოგვიდგება ქსენოფობიის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამის საფუძველზე ჯანსაღი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.

შეკითხვები:

1. გადმოეცით, რას მიიჩნევთ წერილის ავტორის მთავარ იდეად/იდეებად, ძირითად არგუმენტებად, მნიშვნელოვან დეტალებად?
2. იმსჯელეთ, რაში ეთანხმებით წერილის ავტორის მოსაზრებებს და რაში - არა;
3. ისაუბრეთ, ოქტაი ქაზუმოვის წერილი დაგეხმარათ თუ არა „აბოს წამების“ სხვადასხვა საკითხის შესახებ თქვენი მოსაზრებების ჩამოყალიბებისას?

მეოთხე თავის შემდეგ

სურვილისამებრ, ქვემოთ მოცემულ დავალებას
შეგიძლიათ ჩაამატოთ მამა მიქაელის ამბავი

თვალსაზრისი - მარადიული ღირებულებები

თემა ზეპირი მსჯელობისთვის: „რწმენისა და პრინციპების ერთგულება გზაა პიროვნული თავისუფლებისაკენ“

ამ თემაზე მსჯელობა რომ არ გაგიჭირდეთ:

გაიხსენეთ აბოს ცხოვრების გზა მოწამებრივ აღსასრულამდე;

1. ყურადღებით წაიკითხეთ ოთარ ჭილაძის პოემა „ადამიანი გაზეთის სვეტში“(შემოკლებული ვერსია);
2. გაეცანით მეოცე საუკუნის მოწამე მამა მიქაელის (ყულოშვილი) ისტორიას და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

ა) ოთარ ჭილაძე - „ადამიანი გაზეთის სვეტში“
(შემოკლებული ვერსია)

პანამის არხის ზონაში მომხდარი სისხლისმღვრელი
შეტაკების დროს დაღუპულ ჯარისკაცთაგან ერთი
თავისიანებმა მოკლეს. მან არ ინდომა მონაწილეობა
მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში
(გაზეთებიდან)

ამერიკელი ჯარისკაცი კრუს ხიმენესი სისხლის გუბეში აგდია პირქვე. ჯერ არ შემწყდარა ექო სროლისა და ირევიან ცაში ჩიტები, მავთულებიდან აფრენილები...

არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა, და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც. ბედნიერია ყოველი თვალი, თუკი სიმართლეს უყურებს იგი...

ჩემი სხეული სისხლის გუბეზე ხიდივითაა გადამხობილი დასასჯელებს და დამსჯელებს შორის...

ჩემი სიკვდილის ერთადერთ მიზეზს სიცოცხლე ჰქვია.....

სამარადისოდ მოვწყდი ქვეყანას, რადგან სამხედრო წესდების მუხლებს მთლად ვერ დაემთხვა ჩემი სურვილი...

ფიქრის უფლება ყოფილა თურმე ყველაზე ძვირი, რადგან ცხოვრების ავანჩავანი ფიქრში ირკვევა....

ბევრი კანონი არსებობს ქვეყნად, მაგრამ მე მწამდა ერთი კანონი: თავისუფლების და სიყვარულის...

არ შეიძლება, რომ უსასრულოდ მხოლოდ ძლიერი იყოს მართალი, მაგრამ თუ სხვებიც არ მიეხმარნენ, როგორ დაიცავს სიმართლეს სუსტი...

ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია, მაგრამ აქამდე ვერ უპოვნია საბრალოს თავი და გადის მისი მოკლე ცხოვრება შურში, მტრობასა და სიძულვილში...

შენ რატომ უნდა გეძინოს ცუდად, მე თუ რაღაცით ვარ ბედნიერი... ან რატომ უნდა გეძინოს მშვიდად, როცა მე ვწევარ სისხლის გუბეში...

როგორც ტყიდან მეორე ტყეში გადააქვთ ქარებს თესლი ხეების, ისე გადადის გულიდან გულზე ჩვენი ფიქრები და სურვილები.

ბ) მიხეილ (მიქაელ) ყულოშვილი

მიხეილ ყულოშვილი დაიბადა 1845 წელს საინგილოში, სოფელ კახში. მამამისი მაჰმადიანი იყო, მაგრამ ოჯახში ქრისტიანულ ტრადიციებს მაინც ინახავდნენ. 1854 წელს მიხეილი მართლმადიდებლურად მოინათლა. შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, წმინდა წერილი... ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, საუბრობდა რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე... მისი თაოსნობით ჰერეთში გაიხსნა ორკლასიანი სკოლა, სადაც ქართულ წერა-კითხვას უსასყიდლოდ ასწავლიდნენ იქაურ ბავშვებს. მოგვიანებით მღვდლად აკურთხეს და ჯერ ვართაშენის, შემდეგ კი თასმალოს ეკლესიების წინამძღვრად დაადგინეს. სოფელი მუსლიმანებით იყო გარშემორტყმული და მამა მიქაელს (ერისკაცობაში მიხეილს) სიცოცხლის რისკის ფასად უწევდა იქ მსახურება. მისი დამსახურებით მრავალი ადამიანი მოინათლა მართლმადიდებლურად.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჰერეთში პოლიტიკური მდგომარეობა დაიძაბა. საქართველოს წარმომადგენლებმა იქაურობა მიატოვეს და საქართველოსთან ყოველგვარი კავშირი გაწყდა. ბევრმა ქრისტიანმა ჰერეთიდან გაქცევით უშველა თავს. საფრთხეში იყო მღვდელ მიქაელის სიცოცხლეც. არც უფიქრია იქაურობის დატოვება, უფრო მეტიც, იგი ყველას, ვინც მასთან მიდიოდა და სთხოვდა, თავის გადასარჩენად ქრისტიანობა უარეყო, ცივი უარით ისტუმრებდა და, მუქარის მიუხედავად, დადიოდა სოფელ თასმალოში და წირვა-ლოცვას აღავლენდა.

1917 წლის პირველ ნოემბერს მამა მიქაელი მოტყუებით მიიყვანეს ერთ მიტოვებულ სახლში, სადაც ჯერ „ტკბილად“ მოსთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა, რაზედაც მან უპასუხა: „ვიცი, რომ სიკვდილის პირას ვარ, მაგრამ მე ჩემს სარწმუნოებას ურჯულოთა რჯულზე არ შევცვლი. ადამიანის სიცოცხლის ბოლო მაინც სიკვდილია, ამიტომ, „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. დაე, მომკალით წმიდა სამებისთვის“. უარის მიღების შემდეგ ის სასტიკი წამებით მოკლეს.

2012 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიხეილ ყულოშვილი წმინდანად შერაცხა.

მსჯელობა რომ დამაჯერებელი გამოგივიდეთ:

- დააკვირდით, რა აერთიანებთ სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების ადამიანებს (წმინდა აბოს, კრუს ხიმენესსა და მამა მიქაელს);
- როგორია თითოეული მათგანის დამოკიდებულება მოსალოდნელი განსაცდელის მიმართ, რა გზით ახერხებენ სიკვდილის შიშთან გამკლავებას;
- არის თუ არა სიკვდილი ყოველთვის დამარცხება (პასუხი დაასაბუთეთ).

გაკვეთილის გეგმა
(„აბოს წამება“)

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი: IX

სახელი, გვარი	
გაკვეთილის თემა	გზა ამაღლებისკენ - „აბოს წამების“ მეორე თავის („ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“) მიხედვით.
მოსწავლეთა ორგანიზება	მთელი კლასი, ჯგუფური, იდივიდუალური
გაკვეთილის სასწავლო მიზანები	მოსწავლეებმა: • გააანალიზონ აბოს სულიერი გარდასახვის პროცესი; • გამოკვეთონ, რა ფაქტორებმა განაპირობა მისი შინაგანი ცვლილება; • იმსჯელონ ადამიანის სულიერი განვითარების მნიშვნელობაზე; • დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება ტექსტზე დაყრდნობით; • შეადარონ აბოს ცხოვრების გზა თანამედროვე ადამიანის თვითგანვითარების პროცესს. • განსაზღვრონ ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებები და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები; • ამოიცნონ კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია ტექსტში მოცემული შინაარსის გააზრების საფუძველზე; • დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრები თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • დაუკავშირონ ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტები, მოვლენები, პერსონაჟთა სახეები საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რეალურ სამყაროს და შესაბამისი დასკვნები გამოიტანონ; • გამოხატონ პირადი დამოკიდებულება/მოსაზრება ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და ახსნან, დაასაბუთონ საკუთარი თვალსაზრისი; • გამოიყენონ შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტები ნამუშევრის შედგენისას.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

სამიზნე ცნება - ტექსტი	სამიზნე ცნება - კონტექსტი
სწავლის შედეგები	სწავლის შედეგები
ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად; შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნის გამოყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად; ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად.	მსჯელობა ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად;

მოსწავლეთა წინარე ცოდნა	• იციან ჰაგიოგრაფიული ჟანრის ძირითადი ნიშნები; • იცნობენ VIII საუკუნის საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ვითარებას; • აქვთ შესწავლილი „აბოს წამების“ პირველი თავი და იციან, როგორ აფასებს მის ღვაწლს იოვანე საბანისძე; • შეუძლიათ ისტორიული და ლიტერატურული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება; • შეუძლიათ პერსონაჟის სულიერი განვითარების ეტაპების გამოკვეთა და მისი ქცევის შეფასება ქრისტიანული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში.

გაკვეთილის მიმდინარეობა (აქტივობები და დრო)	ერთი გაკვეთილი - 45 წთ. • საორგანიზაციო საკითხების მოგვარება – 2–3 წთ. • თემის, მიზნისა და შეფასების გაცნობა მოსწავლეებისთვის – 2 წთ **გამოწვევის ფაზა (5წთ.)** მასწავლებელი წერს ან ეკრანზე აჩვენებს ორ ფრაზას: **„ადამიანი იბადება პიროვნებად“;** **„ადამიანი პიროვნებად ყალიბდება.“** მასწავლებელი სვამს კითხვებს: • რა არის სულიერი განვითარება? როგორ გესმით სულიერი ამაღლება? • რა განაპირობებს ადამიანის ცვლილებას? მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ პოზიციას. ამის შემდეგ იხსენებენ, ვინ იყო აბო, რატომ ჩამოვიდა ქართლში, რა შეიცვალა მის ცხოვრებაში. **ძირითადი ნაწილი - ცოდნის კონსტრუირება** **ჯგუფური მუშაობა (15 წუთი)** აქტივობის მიზანია ტექსტზე დაყრდნობით აბოს სულიერი განვითარების ეტაპების გამოკვეთა. კლასი იყოფა ოთხ ჯგუფად: **I ჯგუფი** იმსჯელეთ, ვინ იყო აბო, როგორ მოხვდა ქართლში, როგორ ცხოვრობდა იგი ნათლობამდე. **II ჯგუფი** ვინ/რა ეხმარება აბოს სულიერ განვითარებაში? **III ჯგუფი** რა ღირებულებებს იძენს აბო? **IV ჯგუფი** როგორ იცვლება აბოს შეხედულებები, შინაგანი განწყობა? **პრეზენტაცია (10 წთ.)** ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. უპასუხებენ დასმულ შეკითხვებს. **რეფლექსია** **დრო – 3 წუთი** მისწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ და ავსებენ T დიაგრამას. პირველ სვეტში მოათავსებენ ინფორმაციას - აბო სულიერი ამაღლების გზის დასაწყისში, მეორე სვეტში - აბო სულიერი ამაღლების შემდეგ. **დრო – 3 წუთი** მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ წინადადებებს. • დღეს მივხვდი, რომ... • აბოს მაგალითმა დამაფიქრა... • სულიერი ზრდა შეუძლებელია, თუ... • ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა... რამდენიმე მოსწავლე კითხულობს საკუთარ მოსაზრებას. **საშინაო დავალება** - დაწერეთ ანალიტიკური ესე - აბოს გზა სულიერ ამაღლებამდე გაკვეთილისა და მოსწავლეთა შეფასება – 3 წთ.

შეფასება	მოსწავლეები შეფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, შეფასდება ჯგუფების მუშაობა, მოსწავლეები შეავსებენ თვითშეფასების კითხვარს. (იხ. დანართი).
რესურსები	• სახელმძღვანელო; • დაფა, მარკერი, პროექტორი; • ბარათები ჯგუფებისთვის; • შეფასების რუბრიკები.

დანართი №1
ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა (განმავითარებელი შეფასებისთვის)

კრიტერიუმები	საშუალო	კარგი	საუკეთესო
ტექსტის გააზრება	უჭირს ტექსტის გააზრება და მსჯელობა	აანალიზებს ტექსტს, თუმცა დასკვნები ნაწილობრივ არის დასაბუთებული	ღრმად აანალიზებს ტექსტს, ასაბუთებს ყველა მოსაზრებას ციტატებით
დავალების შესრულება	დავალება არასრულადაა წარმოდგენილი	დავალება ძირითადად შესრულებულია	დავალება სრულად და ლოგიკურადაა წარმოდგენილი
დროის მართვა	ვერ იცავს დროს	მცირედით აჭარბებს დროს	სრულად იცავს დროის ლიმიტს
თანამშრომლობა	ჯგუფის წევრები არასაკმარისად თანამშრომლობენ	ჯგუფის წევრთა უმეტესობა თანამშრომლობს	ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს და თანამშრომლობს

დანართი №2
მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი

№	კითხვები	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
1	**აქტიურად ვმონაწილეობდი მსჯელობაში**	□	□	□
2	**ჩემი მოსაზრება დავასაბუთე**	□	□	□
3	**ვთანამშრომლობდი ჯგუფის წევრებთან**	□	□	□
4	**პატივს ვცემდი განსხვავებულ აზრს**	□	□	□

გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

სწავლის შედეგი და შეფასების ინდიკატორი

გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება	
სწავლის შედეგი	**მოსწავლე იყენებს:** • ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნას ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნას მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად; • ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნას ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად; • ლიტერატურული გამოცდილებას ტექსტის ღირებულების გასაცნობიერებლად; მასში წარმოჩენილი თემის/პრობლემის/საკითხის, ფასეულობების შესახებ მსჯელობისას საკუთარი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების წარმოსაჩენად, • თვითშემეცნებისა და სამყაროს შემეცნების გზების საძიებლად. **მოსწავლე მსჯელობს:** • ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად; • რომ უძველესი პერიოდის (V-X საუკუნეების) ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, რომელიც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დარგია. ჰაგიოგრაფიის გმირი წარმოადგენს სულიერ ავტორიტეტს, რომელიც ეძიებს ხსნის გზებს და თავისი მოქმედებებითა და ღვაწლით იმეორებს/ჰბაძავს ქრისტიანულ ლიტერატურაში აღწერილ საკრალურ მაგალითებს, რაც განაპირობებს ამ ჟანრის ლიტერატურის ინტერტექსტუალობას. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია გმირის ღვაწლის არსსა და ზედროულ მნიშვნელობაზე, რაც განაპირობებს საერთო ლიტერატურულ მოტივებს, სიუჟეტებისა და ელემენტების მსგავსებას. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ წყაროს ისტორიული და სოციოკულტურული რეალიების შესასწავლად.

შეფასების ინდიკატორი - მოსწავლეს შეუძლია:	• კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; • ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა. • ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა; • კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას. • ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; • მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა; • იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას; • ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; • ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა. • ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

	• ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით; • ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით; • იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის. • სხვადასხვა ტექსტებში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ინტერტექსტობრივი მიმართებების (მაგ.: ალუზიის, ციტატის) ამოცნობა/წვდომა; იმის ახსნა, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს (მაგ.: თემის, მთავარი იდეის, პერსონაჟის სახის წარმოჩენის კუთხით).

გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

ტექსტის გზამკვლევი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ზოგიერთი ეპიზოდის ან ციტატის განმარტებისათვის

I თავი

გიორგი მერჩულე ასე გვაცნობს მამა გრიგოლს: „ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსჱ, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღდელი და კეთილად განმგებელი მოღუაწჱ და უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ“.

ამ დახასიათება-წარდგენაში დამატებით ახსნას საჭიროებს ორი რამ:

ა) „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“ პირდაპირი მნიშვნელობით არის ადამიანი, რომელიც უკაცრიელ ადგილებს ქალაქად გადააქცევს, ააღორძინებს, რადგან უდაბნო ამ ნაწარმოებში დაუსახლებელ, უკაცრიელ ადგილს ნიშნავს. თუ გავიხსენებთ სამხრეთ საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, ეს მეტაფორული ეპითეტი სავსებით შეესაბამება მამა გრიგოლს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ დიდმა მამამ ეკლესია-მონასტრების მშენებლობით დაიწყო ქვეყნის აშენება (და არა - ციხე-სიმაგრეებით), ჯერ სული ააღორძინა, აქაურობა ზეციურ იერუსალიმს დაამსგავსა. შემდეგ ხალხის მო-

ზიდვით სხეულიც გააძლიერა. ამით კი ტაო-კლარჯეთის სულიერ-ფიზიკურ აღმაშენებლად მოგვევლინა.

გარდა ამისა, „ქალაქი“ მიანიშნებს „წესრიგს“, „ქალაქმყოფლობა“ კი უდაბნოს ქაოსში წესრიგის შეტანა და დამკვიდრებაა, რაც შეძლო მამა გრიგოლმა;

ბ) „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“ - კაცის ასამაღლებელი მეტაფორული ეპითეტია და სრულყოფილ ადამიანს გულისხმობს, რომელიც ღმერთმა ამქვეყნად ანგელოზად მოავლინა. ასეთი წმინდანი თავის მოღვაწეობას უფლის მიბაძვით წარმართავს, მიწიერზე ამაღლებით, ზეცისკენ სწრაფვით „არა ამის სოფლისაგანი“ ხდება.

წმ. გრიგოლ ნოსელი „მაკრინას ცხოვრებაში“ შენიშნავს, რომ ზეცის კაცობა ამაღლებული, განწმენდილი სულის „ფრთოვანი“ და „სუბუქი“ ცხოვრებაა, მიმსგავსებული ანგელოზებრივ ყოფასთან, მაგრამ - „უდარესი“. ე. ი. წმინდანი შუამავალი, შემაკავშირებელია კაცთა და ანგელოზთა, კაცზე აღმატებულია, ანგელოზზე კი - მცირე.

ზეცის კაცი „მოციქულთა თანა მოდასე“, „ზეცის სასუფევლის მკვიდრი“, „კაცთა ბუნებისა უზეშთაესი“, „საღმრთო მოქალაქეა“. სწორედ ამიტომ, მამა გრიგოლ ხანძთელმა „გულისხმა-ყო ზეცისა მთავრობა და მათთანა მოდასეობისა წადიერებითა დაუტევა შეცვალებადი პატივი ქუეყანისა მოკვდავთა კაცთა სუფევისა და აღვიდა სასუფეველში“. იგი თვით „ნეტართა შორის გამობრწყინებულია“.

გიორგი მერჩულე გადმოგვცემს, რომ ერისკაცებს მამა გრიგოლსა და მისი ძმობის წევრებთან შეხვედრისას თავი ზეცას აღტაცებული ეგონათ, რადგან ეკლესია სამოთხის სახეა, სასულიერო პირი კი - ანგელოზის მიწიერი ხატი. ეს არის ზეცის კაცთა მისიაც, პირადი მაგალითითა თუ ქადაგებით რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა ასწავლონ სამოთხის გზა.

ამ საკითხს უკავშირდება მამა გრიგოლის მიმსგავსება იოანე ნათლისმცემელთან (იხ. ქვემოთ) და დიდი ხანძთელის მოაზრება ქართველთა „საქორწინე კრებულის“ მეთაურად (იხ. ქვემოთ).

სამოელ წინასწარმეტყველი

ჰაგიოგრაფი იმით, რომ დედის მუცლიდანვე უფლისთვის იყო შეწირული, მამა გრიგოლს სამოელ წინასწარმეტყველს ამსგავსებს. მართლაც, I მეფეთა გადმოგვცემს, რომ ანას, სამოელის დედას, შვილი შობამდე შეუწირავს უფლისთვის: „უფალო ღმერთო, უკუეთუ ხილვით მომხედო მწუხარებასა ამას მჯევლისა შენისასა და მცე მე მკჳდრი მამაკაცი, განგიკუთნო იგი წინაშე შენსა მსახურ აღთქუმისად დღედმდე სიკუდილისა მისისა“ (I მეფეთა 1, 17). ანამ ლოცვა „განფინა წინაშე უფლისა“ (I მეფეთა 1, 15), პირობა დადო, რომ, თუ ვაჟიშვილი გაუჩნდებოდა, ისე აღზრდიდა, რომ მას არასოდეს დაელია ღვინო, არასოდეს დამთვრალიყო და თმაც არასოდეს შეეჭრა. მართლაც, გაუჩნდა ვაჟიშვილი, რომელსაც სამოელი, ანუ „უფლისგან გამოთხოვილი“ დაარქვა.

სამოელი, როგორც ბიბლიური პარადიგმა, სამართლიანობისა და უბრალოების სიმბოლოცაა. წმ. გრიგოლი - ახალი სამოელი, ამავე თვისებებითაა შემკული, რაც მისი ცხოვრების წესითა და ძმებთან ურთიერთობით გამოიხატება. იგი რიგითი მორჩილივით ცხოვრობს და შრომობს, არ თავმაღლობს, როგორც მონასტრის წინამძღოლი და ანდერძადაც ძმათა გვერდით დაკრძალვას ითხოვს, როგორც მათზე არაფრით აღმატებული.

იოანე ნათლისმცემელი

განსამარტავია ფრაზა: „და მარხვით იზრდებოდა, როგორც მისი წინამორბედი. ბავშვობიდან ღვინო და ხორცი არ გაუსინჯავს“. აქ სიტყვა „მისი“ იესო ქრისტეს გულისხმობს, ხოლო „წინამორბედი“ - იოანე ნათლისმცემელს, რომლის მისია იყო

ხალხის მომზადება უფალთან შესახვედრად. ამიტომ იგი ქრისტეზე ექვსი თვით ადრე დაიბადა და ქადაგებდა: „განჰმზადენით გზანი უფლისანი“ (მარკ. 1, 3).

იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში იმყოფებოდა ბავშვობიდანვე და მუდამ მარხულობდა. გიორგი მერჩულე ამ თვალსაზრისითაც ადარებს მამა გრიგოლს მას, რადგან ღვინოსა და ხორცს არ მიირთმევდა ბავშვობიდანვე.

ნეტარ გრიგოლს ხუედიოს დაყუდებულიც ადარებს იოანეს, ასე მიმართავს: „მიმსგავსებული ელიაჲსო და იოვანესო“. ვფიქრობთ, რადგან ელია წინასწარმეტყველსა და იოანე ნათლისმცემელს ერთ სიბრტყეზე აყენებს ბერი ხუედიოსი, უნდა იგულისხმებოდეს ზეცის კაცობის, ანუ ადამიანთა წინამძღოლობის, უფალსა და კაცს შორის შუამავლობის მისია. ამ ტიპის პარადიგმები არიან ელია და იოანე. მამა გრიგოლის მისიასაც ასე გაიაზრებს ხუედიოსი, მას „პირმეტყველ ცხვართა“, ანუ მასზე მინდობილ ადამიანთა, მწყემსად მიიჩნევს.

ყოვლად კეთილ სრულიად

წმ. გრიგოლის დახასიათებაში („იყო ხილვითა დიდ, ჴორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“) ყურადღებას იპყრობს გარეგნული მშვენიერების აღნიშვნაც. ქრისტიან მოაზროვნეთათვის პერსონაჟის მხოლოდ სულიერ ღირებულებებს ჰქონდა მნიშვნელობა და არა - სილამაზეს. როგორც ცნობილია, ხატწერისას ყურადღება ეთმობოდა მხოლოდ შუბლს, როგორც გონიერებისა და აზროვნების ნიშანს (ყრმა იესოც კი დიდი და დანაოჭებული შუბლით გამოისახებოდა), თვალებს, როგორც სულის სარკეს, და ხელებს, როგორც მლოცველის სიწრფელის გამომხატველს. რენესანსმა შემოიტანა სილამაზის იდეალი და ლამის უფრო მეტი ყურადღება გარეგნობაზე გადაიტანა, თუმცა ეს გაცილებით გვიან მოხდა.

გიორგი მერჩულე საუკუნეებით ადრე ახასიათებს გრიგოლ ხანძთელს, როგორც გარეგნობითაც შვენიერს, „ყოვლად კეთილს“, სულიერად თუ ხორციელად საუკეთესოს. ეს ავტორის მხრიდან მამა გრიგოლის პიროვნებით აღფრთოვანებითა და მის იდეალურ ადამიანად წარმოჩენის სურვილით უნდა იყოს განპირობებული. გარეგნული სილამაზის ასახვა კი უმნიშვნელოვანესია, როგორც მხატვრული და ესთეტიკური თვალსაზრისით სიახლე ჰაგიოგრაფიაში.

მამა გრიგოლი გარეგნულადაც რომ გამორჩეული იყო, კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ნაწარმოებში, როდესაც დემეტრე ხელმწიფე გაოცდა მისი სიწმინდის მადლითა და დიდებული სახით;

გვახსენდება წმ. შუშანიკის ფრაზები: „მან (ვარსქენმა) უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა“, რომლებიც მეტაფორულად სიკეთისა და ღვაწლის არად ჩაგდებას, სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს და არა - სილამაზის დაკარგვაზე წუხილს, თუმცა, ასეც რომ იყოს, იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულისგან განსხვავებით, ერთ სიტყვასაც კი არ წერს პერსონაჟის გარეგნობაზე.

II თავი

უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა

აღმზრდელებმა, დედამ და ხალხმა გრიგოლის მღვდლად კურთხევა მოინდომეს დავით წინასწარმეტყველის სწავლების მოშველიებით: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა“ (ფსალმუნნი 23, 3-4).

ეს ეპიზოდი რამდენიმე გარემოებით იპყრობს ყურადღებას:

ა) აღმზრდელები და ოჯახთან დაახლოებული საზოგადოება გრიგოლს მღვდლად ირჩევენ არა მხოლოდ საკუთარი შეხედულების, არამედ ბიბლიური სწავლების შესაბამისად, რაც მათ მორწმუნეობასა და ქრისტიანულ განათლებას ადასტურებს, თანაც წარმოაჩენს მათ რწმენას, რომ სასულიერო პირი უაღრესად ღირსეული და სიწმინდით გამორჩეული უნდა იყოს;

ბ) მთაზე ასვლა და უფლისგან განწმენდილ ადგილას დადგომა სულიერ ამაღლებას, უფალთან დაახლოებას ნიშნავს. გავიხსენოთ, რომ მოსე წინასწარმეტყველს სინას მთაზე მიეცა ათი მცნება; უფლის ფერისცვალების ადგილი თაბორის მთაა; ჯვარცმის ადგილი გოლგოთაა; მირიანს თვალთ დაუბნელდა თხოთის მთაზე, რამაც ქართველთა გაქრისტიანება დააჩქარა; ქართულ ტაძართა უმრავლესობა მთის წვერზეა, რადგან იქ მეტად იგრძნობა უფლის სიახლოვე...

მთაზე მხოლოდ განწმენდილ და ღირსეულ ადამიანს მიიღებს ღმერთი, ამიტომ არ აძლევს უფლებას მოსე წინასწარმეტყველს, რომ აარონი და სხვა მოსურნენი წაიყოლოს სინაზე, ხელს უშლის მათ ქარი და ღრუბელი; შეუწველი მაყვლის ხილვისას ფეხზე გახდას სთხოვს მოსეს და წმ. ადგილთან მოკრძალებით მიახლოებას;

გ) დავით მეფსალმუნის მიერ დასმული რიტორიკული შეკითხვა გულისხმობს პასუხსაც, რომ მხოლოდ იმ ადამიანს დაიყენებს უფალი გვერდით, ანუ დააკისრებს სასულიერო პირის - კაცსა და ღმერთს შორის შუამავლის - ფუნქციას, რომელიც არის „უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა“. გული სურვილთა ბუდეა, ხელი - ამ სურვილთა აღმასრულებელი. აქედან გამომდინარე, სასულიერო პირი კეთილმოსურნე, განწმენდილი გულის და უდანაშაულო ადამიანი უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ის მასზე მინდობილი მრევლის ნამდვილი წინამძღოლი.

III თავი

აბრაამი, უდაბნოს სანთელი, საქორწინე კრებულის მეთაური

გიორგი მერჩულე წერს: „განიზრახა (მამა გრიგოლმა) ფარულად სივლტოლაჲ თჳსით ქუეყანით საღმრთოჲთა წოდებითა, რომელიცა უძღოდა მას მამამთავრისა აბრაჰამის სახედ, და ვითარცა ისრაჱლნი უდაბნოდ. არამედ აბრაჰამ ქუეყანასა მისგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათჳს, რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალჱ ზედა სასანთლესა მას მაღალსა ზეთითა მით განუპარველითა, რაჲთა ჴმასა მას და ოხრასა საყჳრისასა აღეტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა და მიუძღუეს საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა“.

სამი რამ საჭიროებს დამატებით ახსნას:

ა) ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ აბრაამი პირველმოგზაური და უფლის წინამძღოლობით მავალთა პარადიგმაა, ამით ჰგვანან მას წმ. აბოც და წმ. გრიგოლიც. უფრო მნიშვნელოვნად ის მიგვაჩნია, რითაც განსხვავდება მამა გრიგოლი წმ. აბრაამისგან - იმით, რომ აბრაამი რწმენით სავსე ხალხთან მიიყვანა, საფრთხეს გაარიდა და ცხოვრება თითქოს გაუიოლა, ხოლო მამა გრიგოლს - პირიქით, რწმენით სავსე ხალხის კულტურის გადანერგვა-გამრავლება დაავალა გაუდაბურებელ, თითქმის დაუსახლებელ, „უდაბნოდ“ გადაქცეულ ტაო-კლარჯეთში. აქაურობის აყვავებით დიდმა მამამ ეპოქა შექმნა, მთელ საქართველოს მეთაური პროვინცია მოუმზადა და ერთიანობის იდეაც უქადაგა. სწორედ აქ და წმ. გრიგოლ ხანძთელის კურთხევით ჩაეყარა საფუძველი ერთიან საქართველოს.

ბ) რაც შეეხება „უდაბნოს სანთელს“, ეს მეტაფორა ბევრად მეტია, ვიდრე სასანთლეზე ანთებული სანთელი (იხ. მათე 5,15; აგრეთვე, იოანე საბანისძის „წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი“, II თავი), რადგან უდაბნოში გაბრწყინებული სანთელი სიცოცხლის წყაროს და დაკარგულთა იმედსა და ნუგეშს ნიშნავს. მართლაც, გაბნეული და დაშინებული მოსახლეობა და სასულიერო პირები დაბრუნდნენ, გაძლიერდნენ, მამა გრიგოლისა და აშოტ კურაპალატის გარშემო გაერთიანდნენ. თანდათან გამრავლდა ხალხი და გაძლიერდა ეს კუთხე, ამიტომაც „განუპარველი“, ანუ ამოუწურავი, ჩაუქრობელი აღმოჩნდა წმ. მამის საქმეთა ნათელი.

მოგვიანებით ბაგრატ კურაპალატმა გრიგოლ ხანძთელს „ბრწყინვალე სანთელი“ უწოდა და მისი ღვაწლი სახარების სიტყვებით შეამკო: „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათე 5, 16).

გ) ყველაზე აღმატებული ქებაა, რომ ჰაგიოგრაფმა მამა გრიგოლი ქართველთა „საქორწინე კრებულის“ მეთაურად - ზეციური საქართველოსკენ მიმავალთა წინამძღოლად წარმოსახა; იგი, როგორც აბრაამი და „სანთელი დაუვსებელი“, ერის სულიერ-ფიზიკური წინამძღოლია. როგორც აბრაამი წაუძღვება ისრაელს ქანაანისკენ და გადაიქცევა „რწმენის მამად“, ასევე წმ. გრიგოლმაც უფლის ნათლის ხილვა უნდა შეძლოს და „ერი დაბადებადი“, ანუ მის კვალზე მიმავალი შთამომავლობა, უნდა დაადგინოს „წინაშე ღვთისა“, ამით კი გადაიქცეს „ქართველთა რწმენის მამად“.

გიორგი მერჩულე სახარების იგავების ალუზიებს მოიშველიებს და შენატრის მამა გრიგოლის წინამძღოლობით მიმავალ ნებისმიერ ქართველს, რადგან სწამს, რომ, დიდი წმინდანის მადლით, მათ კერეონი არ ჩაუქრებათ (იხ. „ათი ქალწულის იგავი“ - მათე 25, 1-13), არასაქორწინე სამოსელი არ ამხილებთ (იხ. „მეფის ძის ქორწილის იგავი“ - მათე 22, 1-14) და განკითხვის დღეს, საყვირის ხმაზე გამობრწყინებულნი (იხ. მათე 24, 31), ცათა შინა დაუსრულებელ პატივს მიიღებენ, აბრაამის სუფრის მარადიული თანამეინახენი გახდებიან (იხ. **მათე 8:11** და **ლუკა 13:28–29)**.

(მამა გრიგოლის აბრაამისთვის კიდევ ერთი კუთხით მიმსგავსებას ვხვდებით მე-18 თავში).

IV თავი

დაყუდებულობა და პირმეტყუელ ცხვართა მწყემსობა

ა) მამა გრიგოლის მიზანი უფლის სათნო ცხოვრება, სოფლის შეცვლა-გადაკეთებაა, რადგან იცის: „ჰრცხუენისმცა სოფელსა ქცევათაგან ჩუენთა კეთილთა“. ამიტომ თავიდან მას დაყუდებულობა სურს, როგორც სასულიერო მოღვაწეობის ყველაზე ძნელი სახე, თუმცა, როგორც მისებრი პასუხისმგებლობით სავსე ადამიანისგან იყო მოსალოდნელი, სტუმრობს განდეგილ ბერებს და მათგან სწავლობს ამ ტიპის ცხოვრების ნიშან-თვისებებს, რათა განსაზღვროს, რამდენად ღირსეულად შეძლებს დაყუდებულობას.

ხუედიოს დაყუდებულთან მისვლის შემდეგ წმინდა ბერის სიტყვები: „დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმითა კულა უხუცეს ხარ ჩემსა, რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუელთა საცხოვართა ქრისტჱსთა“, მიახვედრებს წმ. გრიგოლს, რომ მოწაფეთა აღზრდა და ხალხის სწორ გზაზე დაყენება, უფლის თვალში, თვით განდეგილთა ანგელოზებრივი ცხოვრების წესზე აღმატებულია. მისი, როგორც „ზეცისა კაცისა და ქუეყანისა ანგელოზის“, მისია განმარტოებით ლოცვა კი არა, რაც შეიძლება მეტი ადამიანის წინამძღოლობა და სამოთხისკენ წაყვანაა. ამის შემდეგ მამა გრიგოლი შეუდგება დაკისრებულ საქმეს და სიცოცხლის ბოლომდე უამრავი საერო თუ

სასულიერო პირის მოძღვარია, საუკეთესო მოწაფეებსაც ტოვებს, რომლებიც მამა გრიგოლის - „ნაყოფსავსე ზეთისხილის“ ყლორტები არიან და „ემსგავსებიან მოძღვარსა კეთილსა, როგორც მოძღვარი მათი ემსგავსება ქრისტესა“, ანუ საყვარელი მოძღვრის შუამავლობით ემსგავსებიან ქრისტეს.

ამით წარმოჩნდება, რაოდენ მნიშვნელოვანია სწავლება და მოძღვრობა-მასწავლებლობა; ცხადი ხდება, რატომ მიმართავენ უფალს ყველა ენაზე, როგორც მასწავლებელს და ნიშანდობლივია, ზეცაში ცოცხლად აღტაცებული უფლის კაცი - ელია წინასწარმეტყველი - სწორედ მასწავლებელთა პარადიგმაა.

ბ) დამატებით განმარტებას საჭიროებს გიორგი მერჩულის სიტყვები: „და დღითი დღე აღორძნდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალს მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენახსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა, მჴნდებოდეს რაჲ ღუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროჲს მათსა, რამეთუ მარტჳლნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრისტჱსისა“.

1. აქ ალუზიურად ისევ მოხმობილია „ვენახის მუშების იგავი“, რომელიც უკვე შესწავლილ ორივე აგიოგრაფიულ ნაწარმოებში შეგვხვდა, ოდნავ განსხვავებული რაკურსით. გიორგი მერჩულე იოვანე საბანისძის მსგავსად დღის განმავლობაში გარჯილ მუშაკებს, ყველაზე ადრე მისულებს („პირველთა მათ მართალთა“) უთანაბრებს ხანძთელ ძმებს და ვენახის განმარტებაში ჩაამატებს ეპითეტ „ჭეშმარიტს“, რათა ამით გამოკვეთოს უფლის ვენახისა და მამა გრიგოლის თანამოღვაწეთა ღირსება.

2. გიორგი მერჩულე მამა გრიგოლსა და მის ძმებს, ანუ ასე დიდად გარჯილ მოღვაწე წმინდანებს (და არა - ყველას), მოწამეებზე მაღლა აყენებს, მათთვის გამონაკლისს უშვებს, თუმცა, როგორც მერჯულემ, კარგად იცის, რომ ქრისტიანულად ცნობილ და გაზიარებულ შეხედულებას უპირისპირდება. მართლაც, დიონისე არეოპაგელის იერარქიის მიხედვით, ადამიანთა „კიბის“ პირველ, ანუ უფალთან ყველაზე ახლო „საფეხურზე“ მოწამეები დგანან, ხოლო მეორეზე, მოწამეების ქვემოთ, - მოღვაწენი. ამიტომაც გვიხსნის თავის მოსაზრებას ხანძთის ძმობის ყოველდღიური მძიმე შრომა-წამების მოშველიებით: „მარტჳლნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრისტჱსისა“.

VII თავი

ა) ზენონ სამცხელს განსაკუთრებული ადგილი აქვს ხანძთის ძმობაში, იგი მამა გრიგოლის შემდგომი წინამძღვარია. ამ საქმის ღირსეულად გაგრძელება, ასეთი დიდი მამის მემკვიდრედ გამოცხადება ურთულესი ამოცანა იქნებოდა მისთვის და ძმობასაც გაუჭირდებოდა ახალ წინამძღვართან შეგუება. თუმცა გიორგი მერჩულე ისეთ დროს წერს ამ „ცხოვრებას“, რომ უკვე ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია, ლამის საუკუნეა გასული გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან, ყველას მოეხსენება, წინამძღვრობას როგორ გაართვა თავი მამა ზენონმა. ამიტომ შემთხვევითი არ გვგონია, რომ ზენონ სამცხელს ცალკე თავი ეთმობა და მას თავისი ოჯახითა და პრობლემებით გვაცნობს ავტორი (ამას სხვა ვერცერთ პერსონაჟზე ვერ ვიტყვით).

ზენონის თავგადასავალი მის „ახოვანქმნას“ გადმოგვცემს. ეშმა ძალიან დიდ მახეებს უგებს: ერთ მახრეს ერთადერთი დის სიყვარული (რომელიც მისთვის დედაცაა, მამაც, მშობლების ანდერძისა და ძმის მოვალეობის ხორცშესხმაც) და უზარმაზარი ქონებაა, მეორე მხარეს - სულის მოვლა-პატრონობის აუცილებლობა.

მკითხველი ხედავს, როცა დის შეურაცხმყოფელს მისდევს, როგორ იტანჯება ზენონი, როგორ ფორიაქობს მისი არსება, თავიდან ცხელი ტკივილი ლოგიკური აზროვნების შესაძლებლობასაც არ აძლევს. ბოლოს მაინც ძლევს ამპარტავნობისა თუ შურისძიების ეშმაკებს და მონაზვნობისკენ ისწრაფვის. ეს ახოვნებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

ჰაგიოგრაფი მეორე ნაბიჯს, ადამიანის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, არანაკლებ რთულად მიიჩნევს. როდესაც ზენონი ქონებასაც უყოყმანოდ მიატოვებს, მხოლოდ მაშინ ამბობს მერჩულე: „ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების“. ავტორი ალუზიურად ეყრდნობა სახარებას, თვით უფალი ამბობს: „სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“ (მათე 6, 21).

სასურველია, მოსწავლეებს წავუკითხოთ სახარებიდან იმ მდიდრის ამბავი (მარკოზი 10, 17-25), რომელსაც ცხონება სურს და ეკითხება იესოს, როგორ მოიქცეს მიზნის მისაღწევად. თავიდან მცნებების შესრულებას ურჩევს უფალი, მაგრამ მას მეტი სურს. როგორც კი გაიგებს, რომ სრულყოფისთვის ქონებაზე უარის თქმაა საჭირო, დამწუხრებული უარყოფს სასუფევლის ამ გზით დამკვიდრებას. სწორედ მაშინ ამბობს უფალი, რომ აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სამოთხეში.

კარგი იქნება, თუ ავუხსნით, რომ „ნემსის ყუნწი“ აქ იერუსალიმის ერთ-ერთ კარს გულისხმობს, რომელიც იმდენად დაბალი იყო, რომ ადამიანი მოხრილი ან მუხლებზე მდგომარე უნდა შესულიყო. აქედან შესვლა ბაჟის გადახდის გარეშე შეიძლებოდა, რათა მლოცველს ნებისმიერ დროს ქალაქში შესვლისა და ლოცვის საშუალება ჰქონოდა. აქლემს ამ კარიდან უდიდესი გაჭირვებით აძვრენდნენ ძუნწი ვაჭრები, რომ ბაჟი არ გადაეხადათ.

იოანე ოქროპირი და თეოფილაქტე ბულგარელი, დიდი წმინდა მამები, ამ ეპიზოდის განმარტებისას ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ქონების სიყვარულმა არ უნდა დაჩრდილოს გულში უფლის სიყვარული.

ძალიან მდიდარმა ზენონმა „აქლემი გააძვრინა ნემსის ყუნწში“, როდესაც ყოყმანის გარეშე მიატოვა დიდი ქონება. წარმოჩნდა, რომ მისი გული და საუნჯე ზეცაში იყო და არა - მიწაზე, რომ ის „ახოვანი“ მოღვაწე იყო. ამით შეასრულა საუფლო სწავლება: „ყოველმანვე თქუენგანმან, რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თჳსისა, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა“ (ლუკა 14, 33).

(გთავაზობთ მარკოზის სახარების მე-10 თავის დასახელებულ ეპიზოდს მცირედი შემოკლებით:

„17. და ვითარცა გამოვიდა იგი გზასა, ესერა მდიდარი ვინმე მორბიოდა მისა და მუჴლნი დაიდგნა მის წინაშე, ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოძღუარო სახიერო, რომელი საქმე ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?..

19. მცნებანი იცნი: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ დააკლებ კეთილის ყოფად, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა.

20. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: ესე ყოველი ვყავ სიჭაბუკით ჩემითგან. რაჲღა მაკლს მე?

21. ხოლო იესუ მიჰხედა და შეუყუარდა იგი და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს სრულ ყოფაჲ, ერთიღა გაკლს შენ: წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, აღიღე ჯუარი, მოვედ და შემომიდეგ მე.

22. ხოლო იგი შეწუხნა ამის სიტყჳსათჳს და წარვიდა მწუხარე, რამეთუ აქუნდა მონაგები ფრიად.

23. და მიმოიხილა იესუ და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუს საფასე...

25. უადვილეს არს აქლემი ჴურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“).

ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი საფუძველი და სწორად წარმართული ცხოვრება-მოღვაწეობა („ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და ვიდრე აღსასრულადმდე არა განეშორა ხანძთასა“) ზენონს, ერთადერთს ხანძთის ძმობაში, მიაღწევინებს მამა გრიგოლის სულიერ სიმაღლემდე, დაამსგავსებს მას. ისიც ხდება ძმობის დიდი მფარველი და დამცველი. ამიტომ შეამკო ჰაგიოგრაფმა, როგორც „ჭეშმარიტად სულიერი შვილი, მსგავსი მამისაჲ, კეთილი მოწაფჱ, ნაცვალი მოძღურისაჲ, ნეტარი, სათნოებათა საუნჯჱ, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდჱ, სულთა უკეთურთა მაოტებელი“.

ბ) კეთილი მწყემსი

უფალია მწყემსი კეთილი. მამა გრიგოლი მწყემსის ფუნქციით სიმბოლურად უფალს ემსგავსება: თითოეულ მოსწავლეს საღმრთო გზას „განმართულად“ ასწავლის. ჰაგიოგრაფი ამიტომ წარმოაჩენს, მამა გრიგოლს რამხელა ფუნქცია ჰქონდა როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე - მთელი ქვეყნის მიმართ.

ზენონ სამცხელს ბედმა გაუღიმა, რომ სასულიერო გზაზე დადგომის პირველივე დღიდან ეს უმანკო კრავი კეთილი მწყემსის ხელში აღმოჩნდა, მან მიიყვანა ხანძთაში, ზენონის მონაზვნური ცხოვრების გზა პირველი დღიდანვე მამა გრიგოლის მეთვალყურეობითა და რჩევებით წარიმართა და საუკეთესო შედეგით დამთავრდა.

რაც შეეხება ქვეყანას, „კეთილმა მწყემსმა ცხვრები შემოიკრიბა“, თავისი სამწყსო ეშმაკის ხლართებისგან დაიცვა და ყოველმხრივ გამართული ბერმონაზვნური წესების შესრულებას შეუდგა თანამოაზრეებთან ერთად: „ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მჴეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტჱსნი განბნეულ იყვნეს თითოჲ, ანუ თუ ორ-ორი, სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმჴნდეს და მჴეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა.

სასურველი იქნება, თუ შევახსენებთ კლასს, რომ „მწყემსი კეთილი“ და ცხვარი, როგორც მოძღვრისა და მოსწავლის მეტაფორები, „შუშანიკის წამებაშიც“ გვხვდება. მწყემსს მინდობილი ცხვარი დაცულია ეშმაკისგან და სწორად ცხოვრობს. ამიტომ სთხოვს შუშანიკი უფალს მისი შვილების დაცვას, თუმცა ისინი „მგელი“ ვარსქენის ძალადობას ვერ უძლებენ, მხოლოდ შუშანიკი ინარჩუნებს „უმანკო კრავის“ სახეს.

VIII თავი

ა) წეს-განგება

რადგან მამა გრიგოლს სურს, მონასტრებს დაუწესოს საუკეთესო „წესი, საღმრთოჲ, საეკლესიოჲ, ბრძენთაგან განუკითხველი“, ამიტომ გაითვალისწინებს და შეაერთებს ყველაზე ცნობილი აღმოსავლურ-დასავლური ეკლესიების განგებებს. მეგობარს გადმოაწერინებს იერუსალიმიდან საბაწმინდურ განგებას, ხოლო თვითონ წესს კონსტანტინოპოლის რომანწმინდის მონასტრიდან ჩამოიტანს. მათი შეჯერებითა და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით ქმნის იმდროინდელ მსოფლიოში, მართლაც საუკეთესო, თუმცა მკაცრ წეს-განგებას: „განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასჱ დაულევნელთა კეთილთაჲ“;

ბ) ხანძთის ძმობის გამარჯვების საიდუმლო უფლისთვის სათნო წესებით ცხოვრებაა. მამა გრიგოლის წეს-განგების მკაცრი თუ იოლად შესასრულებელი მოთხოვნები ბიბლიური სწავლებებიდან მომდინარეობს. შეუწყვეტელი ლოცვის წესს ბიბლიურ წიგნებზე (ამ შემთხვევაში - „დავითნზე“) დაყრდნობით განსაზღვრავს. ნაწარმოებში ვკითხულობთ: „ღამჱ იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის-კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის, ვითარცა იტყვის დავით: „დღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამე - გალობაჲ მისი“ (ფსალმუნნი 41, 9) მერჩულე. ამიტომაც შეამკობს ძმობას ეპითეტით „მაცხოვრისა ნებისმყოფელნი“, ანუ „ღვთის ნების მორჩილნი“.

გ) ვითარმცა ზღჳსაგან წუეთი ერთი

რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ მამა გრიგოლის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნეც არ არის გასული, გიორგი მერჩულე კი წუხს, რომ უკან-უკან წასულა ძმობა, ვეღარ ასრულებენ ძველ წესებს და, ცხადია, ძველებური სულიერებითაც ვეღარ გამოირჩევიან. ისეთი განსხვავება ყოფილა მეცხრე და მეათე საუკუნეებში მოღვაწე ბერებს შორის, როგორიც ზღვასა და წვეთს შორის: „ამ წესთა მათგანი სულიერთაჲ მცირედი რაჲმე გჳპყრიეს, ვითარმცა ზღჳსაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოიღო“.

XI თავი

საეკლესიო იერარქია

ეკლესიაში მოღვაწეობენ თეთრი და შავი სამღვდელოების წარმომადგენელნი. შავ სამღვდელოებას მიეკუთვნებიან ბერად აღკვეცილნი.

გრიგოლ ხანძთელი არქიმანდრიტად, ანუ ანჩის საეპისკოპოსოში შემავალი „კლარჯეთის უდაბნოების“, ბერმონაზონთა მონასტრების, წინამძღვრად დაადგინეს.

არქიმანდრიტი - (ბერძნ.) „ფარეხის გამგე“, გადატანითი მნიშვნელობით, „ქრისტეს სამწყსოს“ გამგებელი, შავი სამღვდელოების წარმომადგენელია. ეს თანამდებობა ბიზანტიაში შემოიღეს V საუკუნეში.

მართლმადიდებლურ ეკლესიაში სასულიერო პირთა სამი ხარისხია (იზრდება ქვემოდან ზემოთ და მარცხნიდან -მარჯვნივ):

მღვდელმთავარი (ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, პატრიარქი, კათოლიკოს-პატრიარქი);

მღვდელი (თეთრი: დეკანოზი, პროტოპრესვიტერი; შავი: იღუმენი, არქიმანდრიტი);

დიაკონი/დიაკვანი (მღვდლის დამხმარე საეკლესიო მსახურებისას).

დიაკონი და მღვდელი შეიძლება იყოს როგორც თეთრი, ისე შავი სამღვდელოების წარმომადგენელი; მღვდელმთავარი, სავალდებულოა, რომ ბერი იყოს.

მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციით, ქალი ღმრთისმსახურად არ იკურთხება, მისთვის შეიძლება მხოლოდ სამონაზვნო ხარისხის მინიჭება. დედათა მონასტრის წინამძღვარ მონაზონ ქალს იღუმენია ეწოდება, ანუ დედა ფებრონია იღუმენიაა.

XIV თავი

ა) ქრისტჱს კუართისა სამკჳდრებელსა მცხეთას

„ხოლო შემდგომად დიდი არსენი - კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტჱს კუართისა სამკჳდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა“ - წერს არსენ კათალიკოსის შესახებ

გიორგი მერჩულე და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართლის ეკლესია ქრისტიანული თვალსაზრისით ყველაზე დიდი საუნჯის, ქრისტეს კვართის, მფლობელია - მცხეთას „ქრისტჱს კუართისა სამკჳდრებელს“ უწოდებს. ამით კიდევ ერთი ძველი წყარო (ცნობა) გვაქვს იმის შესახებ, რომ იესოს კვართი სვეტიცხოველშია დაკრძალული (უძველესი ცნობა ამის შესახებ „ნინოს ცხოვრების“ იმ ფრაგმენტებშია დაცული, რომლებიც წმინდანის სიცოცხლეშივე ჩაწერილად მიიჩნევა);

ბ) ვარსკულავი უდაბნოთაჲ

„ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაჲ, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ“, - ამბობს ერუშეთის ეპისკოპოსი ჯავახეთის კრებაზე. ვარსკვლავი მხოლოდ გამორჩეულ პიროვნებას არ ნიშნავს, სხვებზე აღმატებულსა და კაშკაშას. ესეც იგულისხმება, თუმცა, გარდა რჩეულობისა, ვარსკვლავი მეტაფორულად ანგელოზის სიმბოლოა და უფალზე მიმანიშნებელს ნიშნავს. ამიტომ მიაჩნიათ, რომ მამა გრიგოლის სიტყვა უფლისთვის სათნო იქნება და მისი რჩევით მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას. მართლაც, „ვარსკვლავი უდაბნოთაჲ“ არსენის კათალიკოსობას უფლის სურვილით ხსნის, მის წინააღმდეგ გამოჩენილ ურჩობას ღმერთის ურჩობად მიიჩნევს, კრების ყურადღებას ღვთის ნების ამოცნობისკენ წარმართავს და არა - ადამიანური ცუდმედიდობისა თუ ერთპიროვნული გადაწყვეტილებისკენ (რომელ თვისებასაც მოგვიანებით გამოხატავს არჩილ მეფე სიტყვებით - „უჩემოდ ვით იმღერეთა“ და ბევრი ქართველის ამპარტავნულ ბუნებას წარმოაჩენს).

გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ ჩვენებით - მამა გრიგოლისა და მისი სამოსის გაბრწყინებით (რამაც ფაქტობრივად მაშინვე გადაწყვიტა კრების ბედი) - დასტურდება დიდი მამის საუფლო რჩეულობა, თითქოს მამა ღმერთი მეტაფორულად იმეორებს მინიშნებას თავის ძეზე: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“ (მათე 3, 17), ოღონდ ცხადია, ამ სიტყვებით იესოს გულისხმობდა, ახლა კი ქვეტექსტურად მიანიშნებს მისთვის მოსაწონ ადამიანზე, რომელსაც უნდა დაუჯერონ. ამიტომ ყველასთვის გასაგები იყო, რომ ღმერთის ნება მისი სიტყვებით უნდა მოესმინათ, აღარავინ შეეწინააღმდეგა და მამა გრიგოლის აზრის მხარდაჭერის მიზეზი გუარამ მამფალსაც აუხსნეს;

გ) ჯავახეთის კრებასთან დაკავშირებით შესაძლოა, მოსწავლეებს შეავსებინოთ ეს ცხრილი ან იმუშაოთ ზეპირად კლასთან ერთად, რათა გაერკვნენ, რატომ გახდა საჭირო ჯავახეთის კრების მოწვევა, ან რა იყო მართებული ამ კრების მსვლელობისას და რა - უმართებულო. ჩამოთვლილია საეკლესიო კრების მახასიათებლები. სასურველია, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ მირეანის მიერ გამართულ კრებაზე, გარდა მეოთხისა, ყველა წესი დაირღვა. ჯავახეთის კრება კი ყველა წესის დაცვით მიმდინარეობდა, ირღვეოდა მხოლოდ უმთავრესი - არსენი არ იყო კათალიკოსობისთვის შეუფერებელი კანდიდატურა. ამიტომაც მამა გრიგოლის პრინციპულმა პოზიციამ და ვითარების სწორად შეფასებამ ყველაფერი გამოასწორა და შუღლის საფრთხეც ააცილა ეკლესიას.

თვალსაზრისი

გთავაზობთ საეკლესიო კრების მახასიათებლებს. ფანქრით შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომ გაგიიოლდეთ დასკვნების გამოტანა ამ ორი კრების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. ცხრილის შევსების შემდეგ კი ზეპირად იმსჯელეთ, ნაწარმოებში კრების ეპიზოდის ჩართვით რის გადმოცემა სურს ჰაგიოგრაფს?

წესი	მირეანის კრება	ჯავახეთის კრება	ჩემი აზრი
1. კრებას იწვევს მეფე			
2. უნდა დაესწროს ყველა ეპისკოპოსი			
3. გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ეპისკოპოსებს			
4. კათალიკოსობის კანდი-დატურად ღირსეული ადამიანი უნდა შეირჩეს			
5. კანდიდატის ოჯახის წევრები ან მეგობრები ვერ ჩაერევიან არჩევის პროცესში			
6. ძალადობა სინოდის გადა-წყვეტილებაზე მიუღებელია			
7. კანდიდატთან დაკავ-შირებით რაიმე საეჭვო არ უნდა იყოს			
8. არჩეული კათალიკოსის გადა-რჩევა შეიძლება მხო-ლოდ მისი კანდიდატურის შეუფერებლო-ბის შემ-თხვევაში, მისი ცოდვე-ბის, გაუნათლებლობის, ეკლე-სიის დამღუპველი საქმიანობის გამო.			

დ) არსენ დიდი საფარელი (დაახლოებით 830-887)

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მნიშვნელოვანი წყაროა კათალიკოს არსენ დიდი საფარელის შესახებ. გიორგი მერჩულე გადმოგვცემს: „სამცხეში როდესაც მივიდნენ, ღმრთის ბრძანებით დაიმოწაფეს დიდი მირეან აზნაურის ძე, არსენი, რომელსაც შემდგომში ეწოდა დიდი არსენი, ქართლის კათალიკოსი და მცხეთის საყდრის (ეკლესიის) დაუჭკნობელი გვირგვინი. მაშინ იგი ექვსი წლის ყრმა იყო და მამამისის სახლში იზრდებოდა. ამ ღვთის კაცებმა, მირეანის სურვილისამებრ, ბავშვი მოწესედ შემოსეს (ბერის სამოსი ჩააცვეს) და მირეანს შეჰპირდნენ, რომ გრიგოლ ხანძთელს დაუმოწაფებდნენ“ (მეცხრე თავი, გვ. 146).

როგორც ვხედავთ, ჰაგიოგრაფი გვაუწყებს:

- არსენი ღვთის ბრძანებითაა დამოწაფებული ექვსი წლის ასაკში;
- მამამისის სურვილია მისი ბერობა (მოწესეობა) - იგი მორჩილი შვილია და ხელს უწყობს მშობლის კურთხევა;
- იგი მამა გრიგოლმა უნდა აღზარდოს.

აქედან გამომდინარე, შეერთდება სამი ნება: უფლის, ხორციელი და სულიერი მშობლებისა. საფუძვლიდანვე დაილოცება არსენის მოღვაწეობა, ყოველმხრივ სწორად აღიზრდება იგი, საუკეთესო პირობები იქმნება იმისთვის, რომ მისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვლინდეს და ვიღებთ საუკეთესო შედეგს - დიდ საეკლესიო მოღვაწეს, კათალიკოსს, „მცხეთის საყდრის დაუჭკნობელ გვირგვინს“.

არსენ დიდი ცნობილია არა მხოლოდ როგორც ეკლესიის საჭეთმპყრობელი, არამედ - როგორც მრავალმხრივი მოღვაწე: ჰაგიოგრაფი, ისტორიკოსი და პოლემისტი. მიჩნეულია, რომ არსენ საფარელს ეკუთვნის „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება და წამება“ და ისტორიულ-პოლემიკური თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ (ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების, დიოფიზიტობა-მონოფიზიტობის შესახებ).

მერჩულე დაწვრილებით გადმოგვცემს არსენის კათალიკოსად არჩევის დროს წარმოქმნილ პრობლემებსაც, ვითარებას ჯავახეთის კრებაზე (ცხადია, შესაძლებელი იყო, არ აესახა ეს დეტალები). ვფიქრობთ, ჰაგიოგრაფმა ამ ამბის თხრობაში საგანგებოდ ჩართვით მიზნად დაისახა, კიდევ ერთი ასპექტით წარმოეჩინა მამა გრიგოლის პიროვნება, გადმოეცა არა მხოლოდ მისი პრინციპულობა და სამართლიანობა, არამედ - შორსმჭვრეტელობაც, რადგან მეათე საუკუნეში (როდესაც გიორგი მერჩულე ამ ნაწარმოებს წერდა), ცხადია, უკვე შეფასებული იყო არსენის მოღვაწეობა და ყველასთვის გაცხადდებოდა, წმ. მამამ მისი მხარდაჭერით რამდენად სწორი ნაბიჯი გადადგა. ამით აღსრულდა მამა გრიგოლის ნათქვამი არსენისა და ეფრემის ხანძთაში მიყვანისას: „ქრისტემან ღმერთმან ანგელოზისა პირითა მაუწყა ამათი საქმე ყოველი“.

საქართველოს ეკლესია არსენ დიდ საფარელს 25 სექტემბერს იხსენიებს.

XV თავი

ა) ეფრემ მაწყვერელი და მირონი

ეფრემ დიდი მაწყვერელი IX საუკუნის მოღვაწეა. იგი ქართლში 9 წლის ასაკში დაიმოწაფა გრიგოლ ხანძთელმა, როდესაც აფხაზეთისკენ მიდიოდა ძმების მოსაძებნად. იგი ხანძთაში აღზარდეს მამა გრიგოლის თანამოღვაწეებმა: თეოდორემ და ქრისტეფორემ. მას, შემდგომში, უკვე აწყურის ეპისკოპოსად ხელდასხმულს, მირონის დამოუკიდებლად კურთხევის უფლების მოპოვებით უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმეში. გიორგი მერჩულე როგორც გვაუწყებს: „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ჩუენსა: რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალჱმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტჱსმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალჱმისა პატრიაქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით“.

წმინდა ეფრემი ორმოცი წელი იყო აწყურის ეპისკოპოსი. მას ღვთისგან მიმადლებული ჰქონია განჭვრეტის, სასწაულთა ქმნისა და კურნების ნიჭი. როგორც მერჩულე წერს: „დაფარულსა კაცთა საქმესა, ვითარცა ცხადსა, ამხილებდა“. ამის წაკითხვისას გვახსენდება გრიგოლ ხანძთელის ანალოგიური უნარი - მან, მიწაზე გართხმულ თავდამსხმელ მოისართან მისულმა, პირდაპირ უთხრა მას არა მხოლოდ ის, რომ ჩემი მოკვლა დაგავალესო, არამედ ისიც კი, რომ ხუთი თხისა და სამი გრივი (ცენტნერი) ფეტვისთვის სჩადიოდა ამას.

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, წმინდა ეფრემ დიდი მაწყვერელი ღრმად მოხუცებული მიიცვალა. მის წმინდა ნაწილებთან სარწმუნოებით მისულნი მრავალგვარი სნეულებისგან იკურნებოდნენ. საქართველოს ეკლესია მას 17(30) აპრილს იხსენიებს.

ბ) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამ, რაც ითქვა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეაა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე საქართველოს. მამა გრიგოლმა იქადაგა (გიორგი მერჩულემ კი ნაწარმოებში ასახა), რომ ქართლია ყველგან, სადაც ქართულ ენაზე ლოცულობენ: „ქართლად

ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ამით, მამა გრიგოლის სწავლებით, უფალთან სალაპარაკო ენა გახდა ჩვენი ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი;

გარდა ამისა, სწავლება: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ - ერთმანეთს უკავშირებს მამულს (ქართლს), ენას (ქართულს) და სარწმუნოებას (წირვა-ლოცვას), როგორც მოგვიანებით - ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა ამ დიდი სამეულის პატრონობის აუცილებლობას:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“

საყურადღებოა, რომ ილიამ არ იცოდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ არსებობის შესახებ, დაინტერესებული იყო გრიგოლ ხანძთელის ვინაობით, მაგრამ მის შესახებ რაიმე სახის სწორი ინფორმაცია ვერ მოიპოვა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ილიას სიცოცხლეში არავინ იცოდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ არსებობის შესახებ. ამ ნაწარმოების ხელნაწერი იერუსალიმში აღმოაჩინეს მეოცე საუკუნის დასაწყისში და 1911 წელს გამოსცა ნიკო მარმა. ილია კი, სამწუხაროდ, 1907 წელს გარდაიცვალა.

ასე რომ, ეს ორივე მოაზროვნე (მამა გრიგოლი და წმ. ილია მართალი) დამოუკიდებლად ქადაგებდა მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთობას.

XVI თავი

აშოტი და სიძვის დიაცი

ამ ამბის ანალიზისას სასურველია, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკითხებზე, რომლებიც კონცეპტუალურად მნიშვნელოვანია:

ა) ადამიანისა და ცოდვისა თუ ბოროტების მარადიული ბრძოლის საკითხი ქრისტიანულ მსოფლხედვასა და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ერთ-ერთი გავრცელებული თემაა. გიორგი მერჩულე ასახავს აშოტის დაპირისპირებას სიძვასთან.

ავტორი თავიდან აქებს კურაპალატს, რომელიც კეთილად ცხოვრობს და ქვეყანასაც აძლიერებს. მას შემდეგ კი, რაც სიძვის დიაცს გადაეყრება, მერჩულის ფრაზა მკაცრდება. ნაბიχ-ნაბიχ ითრევს ცოდვა აშოტს. χერ ვიგებთ, რომ „ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა“, აგვიხსნის ავტორი, რომ ეს არის „საქმე იგი სულისა განმხრწნელი“. იმიტომ ვერ იხსნის მეფე ცოდვისგან თავს, რომ „დაემონა გულისთქუმასა“. ამის გამო ვერ ერევა საკუთარ ვნებებს, მამა გრიგოლისთვის მიცემულ სიტყვას ვერ ასრულებს და, როცა შეიტყობს, რომ მერეშია მისი სატრფო, ქალის სიშორით შეწუხებული შეცდომებს უშვებს, ხელს იღებს თავმოყვარეობასა და მოვალეობებზე („ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავმოთნეობაჲ დაავიწყდა“) და ატყუებს ფებრონიას. მხოლოდ მისი მკაცრი სიტყვები მოიყვანს გონს, ვნებას დასძლევს და ამაღლდება ცოდვაზე („მამხილებელად აქუნდა თჳსი გონებაჲ, და ნებაჲ რაჲ ჯორცთმოყუარებისაჲ განეშორა და აუგი თჳსი გულისჯმა-ყო“). საგულისხმო დასკვნას გვთავაზობს ჰაგიოგრაფი, რომ სულის სიხარული ბრძნულ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. აშოტის ცოდვაც სიბრძნემ განდევნა („სულითა იხარებდა, სიბრძნემან რაჲ წარიოტა სულმოკლებაჲ იგი მავნებელი“). დასკვნაც ასეთი უნდა იყოს - ეშმას ხლართებისგან სიფრთხილე და გონიერება დაგვიცავს;

ბ) ეშმა სწორედ იმ ფანდებს უგებს ადამიანს, რომლებშიც იგი ადვილად გაებმება.

სიყვარული ყველასთვის ძვირფასი გრძნობაა, ამიტომ კეთილმსახური მეფე სიყვარულით დაიმონა ბოროტმა ძალამ. ეს ქალი გაგიჟებით უყვარს. სიძვის დიაცი შესჩივის კიდეც მამა გრიგოლს: „გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა“. სწორედ სიყვარულმა აუბა თვალები აშოტს და გაუჭირდა ამ ცოდვისგან თავდახსნა. მერჩულის სათქმელიც ესაა, რომ სიძვა არ უნდა გავათანაბროთ სიყვარულთან, ცოდვა როგორი ტკბილიც უნდა იყოს, უნდა დავძლიოთ და უარვყოთ. მოგვიანებით რუსთველი დაგვმოძღვრავს:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გაჰრევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!“

გ) ამ თავის მიზანი სასულიერო პირთა ავტორიტეტისა და მათი სახელმწიფოებრივი აზროვნების ასახვაა; იმისი გადმოცემაა, თუ რამდენად სწორად ცხოვრობდნენ სასულიერო პირები და რამდენად მართებულად წარმართავდნენ საეროთა ზნეობრივ ცხოვრებას, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა სასულიერო ფენას, როგორც „სულის გჳრგჳნოსანმყოფელთ“ თითოეული კაცის, თვით ხელმწიფის, ცხოვრებაშიც კი, რაც საბოლოოდ, სახელმწიფოს აყვავებასა და სიტყვითა თუ საქმით საუფლო გზაზე წარმართვას გულისხმობდა. ამიტომ თხრობა მიდის ამ ლოგიკურ დასკვნამდე: „ჴორციელად ძლიერსა ჴელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს“.

დ) როგორც ბევრჯერ წარმოჩნდა, სასულიერო ფენა (განათლებული საერო პირიც) ცხოვრებაში სწორი ნაბიჯების გადასადგმელად ხშირად იშველიებდა ბიბლიურ სიბრძნეს. ამ შემთხვევაშიც (ისე, როგორც დამახასიათებელია ჰაგიოგრაფიული თხზულებებისთვის), დედა ფებრონია აშოტ კურაპალატთან საუბრისას დავით წინასწარმეტყველის სწავლებას იმოწმებს, რომ მის მიერ მეფისთვის გაცემულ მკვახე პასუხს ბიბლიური ახსნაც და, შესაბამისად, მყარი საფუძველი ჰქონდეს: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა“ (ფსალმუნები 140, 4). ამით ასწავლის, რომ ცოდვის ჩადენის მიზეზს კი არ უნდა ეძებდეს და ამით უარესს სჩადიოდეს, არამედ უნდა მოინანიოს უკეთურობა.

XVII თავი

იფქლი და ღვარძლი

გიორგი მერჩულე წერს: „შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი სარწებს აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული და საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან. და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კუალად შესძინა ძჳრი ძჳრსა“.

ცქირის ამბავი რამდენიმე თვალსაზრისითაა საყურადღებო:

ა) ჰაგიოგრაფი „იფქლისა და ღვარძლის“ ბიბლიური იგავის მოშველიებით გადმოგვცემს მარადიულ ბრძოლას სიკეთესა და ბოროტებას, ანუ სასუფევლის ძეებსა და ეშმაკეულებს შორის.

სახარებისეული „იფქლისა და ღვარძლის იგავი“ მოგვითხრობს, რომ სახლის პატრონმა დათესა ხორბალი, ხოლო ღამით ეშმაკმა ჩუმად ჩაამატა ნათესში ღვარძლის თესლი. ღვარძლის დანახვისას ბატონმა ბრძანა, რომ მოეცადათ მკამდე. როცა მოსავლის აღების დრო მოვიდა, ბატონმა ხელით ააღებინა მსახურებს ხორბალი, შემდეგ კი

ღვარძლი დააწვევინა (იხ. მათე 13, 24-30). სახარებაში ეს იგავი ახსნილიცაა. ხორბალი სასუფევლის ძეა, ღვარძლი - ეშმაკის ძე, რომელსაც არ ასცდება ჯოჯოხეთის ცეცხლი (იხ. მათე 13, 36-43).

ხანძთის ძმობის შიგნიდან გატეხის მცდელობა იყო ცქირის გამოჩენა და, მით უმეტეს, ანჩის ეპისკოპოსად ხელდასხმა, რადგან ამით კლარჯეთის სავანეთა გამგებელი ხდებოდა, ხანძთის მონასტერი მის იურისდიქციაში აღმოჩნდებოდა. მართლაც, მან „შესძინა ძჳრი ძჳრსა“: უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ „მძლავრებით დაიპყრა ანჩი“, შემდეგ კი იმით, რომ თავისი ბნელი საქმის აღსრულებას შეუდგა: მამა გრიგოლს მკვლელი მიუგზავნა და ხანძთის დასანგრევად ხალხი გაგზავნა. იმით, რომ მისი ორივე მცდელობა მარცხით დამთავრდა, ავტორის მიერ ამ ეპიზოდის თხრობაში ჩართვის მიზანი და მთავარი სათქმელი წარმოჩნდება - ბოროტებამ შეიძლება მცირე ხანს იმძლავროს, მაგრამ სიკეთე აუცილებლად დაამარცხებს მას;

ბ) ცქირი არის „ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან“, რაც მიგვანიშნებს, რომ თბილისელი ამირა ცდილობს თავისი უფლებების გაძლიერებას ტაო-კლარჯეთში. მამა გრიგოლი და ხანძთის ძმობა მისთვის დიდი დაბრკოლებაა, ამიტომ სურს მათი დამორჩილება და ეპისკოპოსად თავისიანის დანიშვნა. აშოტი, როგორც ჩანს, იძულებული იყო, შეესრულებინა ამირას სურვილი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდნენ, „კანონი შჯულისაჲ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომასა“. ამ წესს მოგვიანებით დაიმოწმებს გუარამ მამფალი ჯავახეთის კრებაზე. თუმცა ეპისკოპოს ცქირსაც კი არაფერი გამოუვიდა, მადლით იმდენად შეკრული, იმდენად ერთსულოვანი იყო ხანძთის ძმობა.

XVIII თავი

ნაწარმოებში ვკითხულობთ: „ნეტარი მამა გრიგოლი, ქრისტეს ნების აღმასრულებელი, დიდებული სასწაულმოქმედი, ძალიან დაბერდა. ას ორ წლამდე მიაღწია. თუმცა სახის ფერი არ შესცვლია. თვალთ არ დაჰკლებია. ძალ-ღონეც შემორჩა. სიცოცხლის ბოლომდე სნეულება არ შეჰყრია. ძალიან უყვარდა შრომა, მხოლოდ ლოცვა და მარხვა კი არა, არამედ - დღედაღამ ხელსაქმობა, მხიარული მასპინძელი და გლახაკთა დამხმარე იყო“.

აქ გიორგი მერჩულე ალუზიურად მიგვანიშნებს, რომ გრიგოლ ხანძთელი, კიდევ ერთი თვალსაზრისით, ჰგავს დიდ ბიბლიურ წინასწარმეტყველებს: მოსესა და აბრაამს.

„იყო მოსე ვითარ ასოც წლის, ოდეს, რაჟამს მოკუდა, და არა დაუბრყჳლდეს თუალნი მისნი და არცა იცვალა ქმნულებაჲ პირისა მისისაჲ“ (II სჯულისა 34, 7) - ვკითხულობთ ბიბლიაში. როგორც ვხედავთ, მხოლოდ სიტყვები გადაუნაცვლებია ჰაგიოგრაფს, ისე აშკარა იყო მისთვის ამ ორი წმინდანის მსგავსი სიბერე. ესაა, რომ მამა გრიგოლი 102 წლის გარდაიცვალა, მოსე წინასწარმეტყველი - 120-ის.

ციტატის მეორე ნაწილით კი, როგორც სტუმართმოყვარე და გლახაკთა (თუ მოგზაურთა) დამხმარე ღრმა სიბერეშიც, დიდი ხანძთელი ჰგავს აბრაამ წინასწარმეტყველს. ცნობილია, რომ იგი 99 წლის ასაკში თავისი ხელით ემსახურებოდა სამ სტუმარს (ყოვლადწმიდა სამებას): „და მოიღო (აბრამ) ერბოჲ და სძე და ჴბოჲ, რომელი შექმნა, და დაუგო მათ და ჭამეს. ხოლო თჳთ წინა უდგა მათ ხესა ქუეშე“ (დაბ. 18, 8).

რადგან მამა გრიგოლის მიმსგავსება ორივე ამ წმინდანისთვის უკვე შეგვხვდა წინა თავებში, სასურველია, მოსწავლეებს შევახსენოთ შესაბამისი ეპიზოდები, რომ გამთლიანდეს მათი ცოდნა.

XIX თავი

ა) კეთილად ნაყოფიერი ვენახის მუშაკი

სიკვდილის წინ მამა გრიგოლი რთვლის დროს მოინახულებს ახალგაზრდობაში, მოღვაწეობის დასაწყისში, თავისი ხელით ჩაყრილ ვენახს, რომელიც „კეთილად ნაყოფიერია“. ამით მეტაფორულად მიენიშნება, რომ იგი „ვენახის მუშაკია“. მისი შრომის ნაყოფი ამქვეყნადაც ნათლად ჩანს და სასუფეველშიც წარმოჩნდება.

სასურველია, გავახსენოთ მოსწავლეებს ამ იგავის შესახებ და როგორ აისახა იგი „შუშანიკის წამებასა“ თუ „აბოს წამებაში“.

ბ) საღმრთო ნათელი

ნაწარმოებში რამდენჯერმეა გადმოცემული, რომ გრიგოლ ხანძთელს ლოცვისას ნათელი ადგებოდა. ერთ ბერს ტაძარში სინათლის დანახვისას ხანძარიც კი ეგონა, ხოლო მის მოსაკლავად მიგზავნილ მოისარს ნათლის დანახვისას ხელ-ფეხმა უმტყუნა და დაეცა. გიორგი მერჩულე კიდევ ერთხელ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, რომ ოპიზის ვენახის ახლოს ღამისთევით ლოცვისას მამა გრიგოლი და ზენონ სამცხელი „მადლმან საღმრთომან განაბრწყინვა ... ნათლითა დიდებისაჲთა და სახლი იგი ბნელი, ვითარცა მზისა მცხინვარებამან, განანათლა“.

გიორგი მერჩულე მამა გრიგოლს აახსნევინებს მაკარი ოპიზელისთვის ნათქვამით ამ ნათლის წარმომავლობას. როგორც მოსალოდნელი იყო, თავმდაბალი მოძღვარი თავის დამსახურებად არაფერს მიიჩნევს, ფსალმუნს იმოწმებს და უფლის დიდების წარმოჩენად აღიქვამს ნათელს: „საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“ (ფს. 67, 36). მკითხველი კი კიდევ ერთხელ რწმუნდება, რომ ბიბლიური შეხედულებები „სოფლის მარილთა“ მიერ აცხადდება ხოლმე და ნებისმიერი ქვეყნისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვთ ღირსეულ შვილებს.

გ) მამა გრიგოლმა, ზენონმა და მაკარი ოპიზელმა „წართქუნეს ცისკრისა საგალობელნი“.

ცისკარი მართლმადიდებლური ღვთისმსახურების ნაწილია, ლოცვების ერთობლიობას გულისხმობს, რომელიც გამთენიისას სრულდებოდა. დღესდღეობით იგი საღამოს ლოცვასთან (მწუხრთანაა შეერთებული). ცისკრით მლოცველი მადლობას უხდის ღმერთს განვლილი ღამისთვის და წყალობას შესთხოვს დამდეგი დღისთვის. სიმბოლურად მაცხოვრის შობას გულისხმობს, რადგან უფალმა ადამის ცოდვით გამოწვეული სიბნელე ნათელ დღედ გადააქცია (ეს ეპიზოდი პარალელად გამოდგება დავით გურამიშვილის პოეზიის შესწავლისას).

XX თავი

გრიგოლ ხანძთელს სიკვდილის წინ ძმები ადარებენ პავლე მოციქულს და ამით ერთგვარად აჯამებენ მის მოღვაწეობას, ყველა საქმის საუკეთესოდ აღმასრულებლად, სრულმქმნელად მიიჩნევენ, რადგან პავლე სრულყოფილად მოღვაწის პარადიგმაა. ამით თითქოს ანუგეშებენ კიდეც დიდ მამას, რადგან არწმუნებენ, რომ ასეთ ვალმოხდილ მოღვაწეს თავისი შრომის სანაცვლოდ უფალი ბრწყინვალე გვირგვინს უბოძებს სასუფეველში: „წმიდაო ღმრთისაო, გიხაროდენ და მხიარულ იყავ, რამეთუ სასყიდელი შენი დიდ არს ცათა შინა, რამეთუ შენ, მსგავსად მოციქულისა პავლეს მართლისა, ღვაწლი კეთილი მოგიღვაწებიეს, სრბაჲ აღგისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დაგიმარხავს საქმითა კეთილითა განსრულებული. ამიერითგან მიგელის სიმართლისა იგი გვირგვინი, რომელი მოგანიჭოს მეუფემან შრომათა წილ შენთა წმიდათა“.

პავლე მოციქული რამდენჯერმე ვახსენეთ „შუშანიკის წამებასა“ და „აბოს წამებაში“. სასურველია, მოსწავლეებს შევახსენოთ შესაბამისი ეპიზოდებიც, ისიც, რაც იციან პავლე მოციქულის შესახებ, რომ გამთლიანდეს მათი ცოდნა ამ საკითხზე. ასევე, გამოვათქმევინოთ თვალსაზრისი, რატომ „შემოინახა“ გიორგი მერჩულემ პავლე მოციქული გრიგოლ ხანძთელის ფინალურ პარადიგმად. სასურველია, მივიღოთ პასუხი, რომ ამით შეაჯამა მისი ღვაწლი, როგორც საუკეთესო და სრულყოფილი.

დამატებითი დავალებები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ სწავლებისას

XII თავის შემდეგ

ლიტერატურულ პარალელებს (გვ. 168) შეგიძლიათ დაამატოთ ნაწყვეტი **ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „წინასწარმეტყველიდან“.**

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931, ლიბანელი მწერალი) - „შვილები“ (ნაწყვეტი „წინასწარმეტყველიდან“)

ქალმა, რომელსაც პატარა ბავშვი მკერდზე მიეკრა, უთხრა: გველაპარაკე შვილებზე.

და მან (წინასწარმეტყველმა) თქვა:

- თქვენი ბავშვები თქვენ არ გეკუთვნით.

ისინი სიცოცხლის შვილები არიან, სიცოცხლის, რომელსაც საკუთარი თავი სწყურია.

ისინი თქვენი საშუალებით მოდიან, მაგრამ არა - თქვენგან.

და თუმცა თქვენთან ერთად არიან, თქვენს კუთვნილებას არ წარმოადგენენ.

შეგიძლიათ, მისცეთ მათ სიყვარული, მაგრამ არა - თქვენი აზრები, რადგან მათ თავიანთი ფიქრები აქვთ.

შეგიძლიათ შეიკედლოთ მათი სხეულები, მაგრამ არა - სულები, რადგან მათი სულები ხვალინდელი დღის მკვიდრნი არიან, თქვენ კი ოცნებაშიც არ შეგიძლიათ მომავლის მონახულება.

შესაძლოა, ესწრაფოდეთ, მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით, დაიმსგავსოთ ისინი, რადგან ცხოვრება უკან-უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ ყოვნდება.

თქვენ მშვილდები ხართ, რომლიდანაც თქვენი შვილები, როგორც ცოცხალი ისრები, წინ-წინ გაიჭრნენ.

XVIIIთავის შემდეგ
სურვილისამებრ, შესაძლოა, მისცეთ სასწავლად

მონასტრები ტაო-კლარჯეთში

ხშირად ვამბობთ **„ტაო-კლარჯეთს“**, მაგრამ სინამდვილეში ეს ერთი კუთხე არ ყოფილა, ეს იყო რამდენიმე ისტორიული მხარის ერთობლიობა. ესენია:

- ტაო (მდინარე ჭოროხის ზემო აუზი, ძირითადად დღევანდელი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთი);
- კლარჯეთი (ჭოროხის შუა და ქვემო დინება, არტანუჯის მიდამოები);
- შავშეთი (კლარჯეთის დასავლეთით);
- კოლა (ტაოსა და ჯავახეთს შორის მდებარე მხარე);

- სპერი (ჭოროხის, არაქსისა და მტკვრის სათავეები; ჩრდილოეთიდან კი პონტოს მთებით იყო გარშემორტყმული);
- ნაწილობრივ სამცხე (ახალციხისა და აწყურის მხარე).

მამა გრიგოლი კლარჯეთში მოღვაწეობდა.

დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში კლარჯეთში დაარსდა ან განახლდა თორმეტი დიდი მონასტერი, კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნოს“ სახელით ცნობილი:

1. ოპიზა;
2. ხანძთა;
3. მერე;
4. შატბერდი;
5. მიჯნაძორი;
6. წყაროსთავი;
7. ბარეთელთა;
8. ბერთა;
9. ჯმერკი;
10. დაბა;
11. პარეხი;
12. დოლისყანა.

შუა საუკუნეების ავტორები ამ მონასტრებს აღფრთოვანებით „საქართველოს სინად“ მოიხსენიებენ. ყოველ მონასტერს საკუთარი წინამძღვარი ჰყავდა, თუმცა ისინი ამასთანავე ორგანიზაციულ ერთობასაც წარმოადგენდნენ, ნიკო მარის გამოთქმით „ბერების რესპუბლიკა“ იყო, რომელსაც სათავეში ედგა გრიგოლ ხანძთელი. 830–იანი წლებიდან იგი კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ არქიმანდრიტად იწოდება.

რამდენიმე მონასტრის შესახებ მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას:

გუნათლეს შავშეთში მდებარე სოფელ გურნათელთან აიგივებენ, სადაც სავარაუდოდ IX საუკუნის მცირე დარბაზული ეკლესიაა შემონახული. სხვა ვერსიით გუნათლის ვანი არის გვიანდელი ნუკა-საყდარი. ეს მონასტერი, როგორც ჩანს, პატარა და ნაკლებადცნობილი იყო, რადგან გიორგი მერჩულე შემდეგ მის შესახებ არაფერს ამბობს და არც „ათორმეტ უდაბნოთა“ შორის იგულისხმება.

ანჩის მონასტერი აშენებულია დაახლოებით VII საუკუნეში. მოგვიანებით IX–X საუკუნეებში განახლდა. მონასტერი მდებარეობდა ისტორიულ ანჩის ხევში, არტანუჯის მიდამოებში. სწორედ აქ ინახებოდა ცნობილი ანჩის ხატი, რომელიც დღეს დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანებში ვარაუდობენ მერეს დედათა მონასტრის დაარსებასაც. მერეში ეკლესია ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს არტავაზმა ააგო. შესაძლოა, ეს ეკლესია მონასტრის დაარსებისას ისევ არსებობდა. გიორგი მერჩულე არაფერს ამბობს მერეში ახალი ეკლესიის მშენებლობაზე, უბრალოდ აღნიშნავს, რომ დედა ფებრონია „მოიწია სამცხით და დაემკვდრა მერეს“. ამის შემდეგ ჰაგიოგრაფი უკვე მერეს მონასტერს იხსენიებს, რომელიც კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ შორის ერთადერთი დედათა მონასტერია. მისი ზოგადი მდებარეობა ცნობილია, თუმცა ნამონასტრალი ნაპოვნი არაა.

რაც შეეხება იშხანს, ეს მონასტერი ტაოში მდებარეობს და ყველაზე უკეთაა შემონახული.

XX თავის შემდეგ
შეგიძლიათ გაავლოთ კიდევ ერთი ლიტერატურული პარალელი (გვ. 214)
გრიგოლ ხანძთელის კვალდაკვალ

ყურადღებით წაიკითხეთ მაია ჯალიაშვილის „ხანძთა“ (პოეტური ჩანახატიდან „ტაო-კლარჯეთული დღიური - პროლოგითა და ეპილოგით“) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

ხანძთა

წარსულს ქარებივით გავედევნებით.

გზა, რომელიც საკუთარ თავს შეგამეცნებინებს.

გზაში წყაროა, ორიოდე ნაბიჯიღა რჩება ხანძთამდე.

სურნელოვანი ქონდრის აყვავებული ბუჩქები მიუყვება ვიწრო გზას.

აქ მხოლოდ ფეხით უნდა ახვიდე, ტერფებზე აიკრა აქაური მტვერი და მერე იმ წყალთან შესვენებულმა იგრძნო, ვიღაც გაწვდის წყალს ზემოდან, რომელიც წარსულია.

წყალი ანკარაა და მაცოცხლებელი...

ვეწაფებით და კვლავ გვწყურია.

შემოდგომაა. ოქტომბრის თვრამეტი.

აფერადებულან ხეები.

წითლად ბრდღვიალებს ნეკერჩხალი.

ხანძთა თავმოკვეთილია პავლე მოციქულივით, გული კი კვლავ უფეთქავს.

ნეტარ არის სულით გლახაკი.

ეს არ არის ლეგენდა.

გიორგი მერჩულის ნაამბობი, ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთა და მის მოწაფეთაგან.

დედაენასავით წასაკითხი „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“.

საქორწინე კრებული შორეთს იკარგება.

„ზეცისა კაცი და ქვეყნის ანგელოზი“ - ფსალმუნის გალობასავით ღრმა და ტკბილი წარმოსათქმელი.

„უდაბნოთა ქალაქმყოფელი“ - ორსიტყვიანი პოეზია... ფილოსოფიურ-რელიგიური ლირიკა. მირონის ნაკვალევი ატყვია ლოდებს, IX საუკუნეში ბერების ხელით რუდუნებით აშენებულს, ერისკაცთა დახმარებით განმტკიცებულს.

კვლავაც მოისმის გრიგოლ ხანძთელის მოუღლელი ლოცვა საუკუნეთა წიაღიდან.

ღამღამობით ცის კაბადონზე ვარსკვლავთა შორის ერთის ბრწყინვალება იტაცებს თვალს. ახლა ვიცი, ის „უდაბნოს ვარსკვლავია“ - ცაში გაფრენილი გრიგოლ ხანძთელის სული.

ღამღამობით დაფლეთილი სხეული შეჰყურებს ამ ვარსკვლავს და ჩვენი მზერა ერთდება.

ეს ჩემი ლექსი ხანძთაზე დარდია:

ის მიტოვებულს
ჰგავს მოხუც მამას,
უძღები შვილის ბედით სნეული,
მზე რომ ამოვა,
ძვლებს მიაფიცხებს
ხანძთა - ხერხემალგადამსხვრეული.
სველ ქუთუთოებს

ძლივს ასწევს მაღლა
ფსალმუნთა სითბოს მონატრებული.
და დახავსებულ
ხმით ღმერთს ადიდებს
ლოცვებში ჩამდნარ-ჩანაცრებული.

ა) შემოთავაზებული ცხრილი გადახაზეთ რვეულში და იმუშავეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- პირველ სვეტში დაწერეთ ჩანახატის ფრაზა ან ლექსის სტრიქონი;
- მეორე სვეტში ამოწერეთ შესატყვისი ფრაზა/ფრაზები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“;
- კომენტარის გრაფაში აღნიშნეთ, როგორ გამოხატავს პოეტი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით“ აღძრულ შთაბეჭდილებას;

მაია ჯალიაშვილის ფრაზა ან ლექსის სტრიქონი	ფრაზა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“	კომენტარი

ბ) იმსჯელეთ, რა არის ამ ჩანახატის სათქმელი? რაზე დაგაფიქრათ მან? მოსაზრება დაასაბუთეთ;

გ) როგორია ავტორის დამოკიდებულება ხანძთისა და მამა გრიგოლის წარსულსა და აწმყოსთან? მოსაზრება დაასაბუთეთ;

დ) იმსჯელეთ, რა ახალ შტრიხებს მატებს მაია ჯალიაშვილის ჩანახატი ხანძთას, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, მამა გრიგოლს და რა ემოციებს იწვევს მკითხველში. მოსაზრება დაასაბუთეთ;

ე) წარმოიდგინეთ, რომ მიუყვებით ხანძთის გზას. დაწერეთ პატარა ჩანახატი რომელიმე სათაურით:

გზა, რომელიც საკუთარ თავს შეგამეცნებინებს;
ორიოდე ნაბიჯიღა რჩება ხანძთამდე;
მირონის ნაკვალევი ატყვია ლოდებს;
ახლა ვიცი, ის „უდაბნოს ვარსკვლავია“;
ფსალმუნთა სითბოს მონატრებული.
ჩანახატში გადმოეცით თქვენი ფიქრი, ემოცია, სურვილი...

გაკვეთილის გეგმა

(„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“)

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი: IX

სახელი, გვარი	
გაკვეთილის თემა	გზა ამაღლებისკენ - „აბოს წამების“ მეორე თავის („ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“) მიხედვით.
საგანი/ინტეგრირებული საგნები	ქართული ლიტერატურა და ისტორია
მოსწავლეთა ორგანიზება	მთელი კლასი, ჯგუფური, იდივიდუალური
გაკვეთილის სასწავლო მიზანები	მოსწავლეებმა: • გააანალიზონ აშოტ კურაპალატის მხატვრული სახე გიორგი მერჩულის ნაწარმოების მიხედვით; • შეადარონ და დაუკავშირონ აშოტ კურაპალატზე ისტორიულ წყაროებში გადმოცემული მასალა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს; • იმსჯელონ IX საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე; • შეადარონ ისტორიული ფაქტი და მწერლის მხატვრული ინტერპრეტაცია; • განივითარონ თანამშრომლობის, კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარები. • განსაზღვრონ ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებები და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები; • ამოიცნონ კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია ტექსტში მოცემული შინაარსის გააზრების საფუძველზე; • დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრები თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • დაუკავშირონ ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტები, მოვლენები, პერსონაჟთა სახეები საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რეალურ სამყაროს და შესაბამისი დასკვნები გამოიტანონ; • გამოხატონ პირადი დამოკიდებულება/მოსაზრება ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და ახსნან, დაასაბუთონ საკუთარი თვალსაზრისი; • გამოიყენონ შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტები ნამუშევრის შედგენისას.

სწავლის შედეგები და სამიზნე ცნება

სამიზნე ცნება - ტექსტი	სამიზნე ცნება - კონტექსტი
სწავლის შედეგები	სწავლის შედეგები
ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად; შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნის გამოყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად; ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად.	მსჯელობა ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად;

ისტორია

- ისტორიული წყაროების ანალიზი.
- ისტორიული პირის როლის შეფასება.
- ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.

მოსწავლეთა წინარე ცოდნა	• იციან ჰაგიოგრაფიული ჟანრის ძირითადი ნიშნები; • იცნობენ IX საუკუნის საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ვითარებას; • აქვთ შესწავლილი „აბოს წამება“, იციან, როგორ აღწერს იოვანე საბანისძე არაბთა ბატონობას ქართლში; • შეუძლიათ ისტორიული და ლიტერატურული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება; • შეუძლიათ პერსონაჟის სულიერი განვითარების ეტაპების გამოკვეთა და მისი ქცევის შეფასება ქრისტიანული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში.

გაკვეთილის მიმდინარეობა (აქტივობები და დრო)	ერთი გაკვეთილი - 45 წთ. • საორგანიზაციო საკითხების მოგვარება – 2–3 წთ. • თემის, მიზნისა და შეფასების გაცნობა მოსწავლეებისთვის – 2 წთ **გამოწვევის ფაზა (5წთ.)** გონებრივი იერიში - მასწავლებელი წერს ან ეკრანზე აჩვენებს ფრაზას: **რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებებში მოგვითხრობდნენ ისტორიული პირების შესახებ?** მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეთა მოსაზრებებს და მიუთითებს, გაიხსენონ ისტორიული პირები, რომლებიც ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონაჟებად გადაიქცნენ. **ძირითადი ნაწილი - ცოდნის კონსტრუირება** **ჯგუფური მუშაობა (15 წუთი)** აქტივობის მიზანია, ტექსტსა და ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით იმსჯელონ აშოტ მეფეზე, როგორც ისტორიულ პირსა და ნაწარმოების გმირზე. კლასი იყოფა სამ ჯგუფად: **I ჯგუფი** დაახასიათებს აშოტ კურაპალატს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ იმ თავების (მე-6 და მე-8) მიხედვით, რომლებშიც ჩანს აშოტის სიბრძნე, მისი დამოკიდებულება გრიგოლ ხანძთელთან, თავად მამა გრიგოლის კეთილგანწყობა წმინდა მეფის მიმართ; აშოტ კურაპალატის, როგორც ქრისტიანი მმართველის სახე. **II ჯგუფი** „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მე-16 თავის მიხედვით, იმსჯელებს აშოტზე, როგორც ბრძენ მმართველზე, რომელმაც გაიმარჯვა საკუთარ გრძნობებზე და გაითვალისწინა გრიგოლის - სულიერი მოძღვრის, რჩევა. **III ჯგუფი** დაამუშავებს ისტორიულ მასალას და დაახასიათებს აშოტს, როგორც ისტორიულ მოღვაწეს. **პრეზენტაცია (10 წთ.)** ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. უპასუხებენ დასმულ შეკითხვებს. **რეფლექსია** **დრო – 3 წუთი** მოსწავლეები ინდივიდუალურად ერთი წინადადებით შეაფასებენ აშოტ კურაპალატს. რამდენიმე მოსწავლე კითხულობს საკუთარ ნააზრევს. **საშინაო დავალება –** შეასრულეთ სახელმძღვანელოს 187-ე და 188-ე გვერდებზე მოცემული დავალებები. გაკვეთილისა და მოსწავლეთა შეფასება – 3 წთ.

შეფასება	მოსწავლეები შეფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, შეფასდება ჯგუფების მუშაობა, მოსწავლეები შეავსებენ თვითშეფასების კითხვარს. (იხ. დანართი).
რესურსები	• სახელმძღვანელო; • დაფა, მარკერი, პროექტორი; • ბარათები ჯგუფებისთვის; • შეფასების რუბრიკები.

დანართი №1
ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა (განმავითარებელი შეფასებისთვის)

კრიტერიუმები	საშუალო	კარგი	საუკეთესო
ტექსტის გააზრება	უჭირს ტექსტის გააზრება და მსჯელობა	აანალიზებს ტექსტს, თუმცა დასკვნები ნაწილობრივ არის დასაბუთებული	ღრმად აანალიზებს ტექსტს, ასაბუთებს ყველა მოსაზრებას ციტატებით
დავალების შესრულება	დავალება არასრულადაა წარმოდგენილი	დავალება ძირითადად შესრულებულია	დავალება სრულად და ლოგიკურადაა წარმოდგენილი
დროის მართვა	ვერ იცავს დროს	მცირედით აჭარბებს დროს	სრულად იცავს დროის ლიმიტს
თანამშრომლობა	ჯგუფის წევრები არასაკმარისად თანამშრომლობენ	ჯგუფის წევრთა უმეტესობა თანამშრომლობს	ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს და თანამშრომლობს

დანართი №2
მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი

№	კითხვები	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
1	**აქტიურად ვმონაწილეობდი მსჯელობაში**	□	□	□
2	**ჩემი მოსაზრება დავასაბუთე**	□	□	□
3	**ვთანამშრომლობდი ჯგუფის წევრებთან**	□	□	□
4	**პატივს ვცემდი განსხვავებულ აზრს**	□	□	□

თავი 4. დიდი ათონელები - „სამკაულნი ნათესავისა ჩვენისანი“; ქართული ჰიმნოგრაფია

სწავლის შედეგი და შეფასების ინდიკატორი

„სამკაულნი ნათესავისა ჩვენისანი“; ქართული ჰიმნოგრაფია	
სწავლის შედეგი	**მოსწავლე იყენებს:** • ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნას ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნას მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად; • ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნას ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად; • ლიტერატურული გამოცდილებას ტექსტის ღირებულების გასაცნობიერებლად; მასში წარმოჩენილი თემის/პრობლემის/საკითხის, ფასეულობების შესახებ მსჯელობისას საკუთარი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების წარმოსაჩენად, • თვითშემეცნებისა და სამყაროს შემეცნების გზების საძიებლად. **მოსწავლე მსჯელობს:** • ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად; • რომ უძველესი პერიოდის (V-X საუკუნეების) ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, რომელიც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დარგია. ჰაგიოგრაფიის გმირი წარმოადგენს სულიერ ავტორიტეტს, რომელიც ეძიებს ხსნის გზებს და თავისი მოქმედებებითა და ღვაწლით იმეორებს/ჰბაძავს ქრისტიანულ ლიტერატურაში აღწერილ საკრალურ მაგალითებს, რაც განაპირობებს ამ ჟანრის ლიტერატურის ინტერტექსტუალობას. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია გმირის ღვაწლის არსსა და ზედროულ მნიშვნელობაზე, რაც განაპირობებს საერთო ლიტერატურულ მოტივებს, სიუჟეტებისა და ელემენტების მსგავსებას. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ წყაროს ისტორიული და სოციოკულტურული რეალიების შესასწავლად.

შეფასების ინდიკატორი - მოსწავლეს შეუძლია:	• კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; • ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა. • ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა; • კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას. • ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; • მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა; • იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას; • ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; • ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; • მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა;

	• იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას; • ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; • ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა. • ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით; • ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით; • იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის. • სხვადასხვა ტექსტებში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ინტერტექსტობრივი მიმართებების (მაგ.: ალუზიის, ციტატის) ამოცნობა/წვდომა; იმის ახსნა, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს (მაგ.: თემის, მთავარი იდეის, პერსონაჟის სახის წარმოჩენის კუთხით).

დამატება 4.1 თავისთვის - დიდი ათონელები - „სამკაულნი ნათესავისა ჩვენისანი“

I. „ექვთიმემ თავისი პირველი წიგნები დავით კურაპალატს გაუგზავნა. მეფემ წაიკითხა და თქვა:

- მადლობა უფალს, რომ ჩვენი დროის ოქროპირი გამოგვიგზავნა (იოანე ოქროპირი (347-407), დიდი ღვთისმეტყველი, ბრწყინვალე ორატორი და მჭევრმეტყველი. ქრისტიანული ეკლესიის მიერ გამორჩეული სამი უდიდესი მამიდან ერთ-ერთია),“ - ვკითხულობთ 219-ე გვერდზე, ხოლო 221-ე გვერდზე გვხვდება შეკითხვა: „თქვენი აზრით, რატომ უწოდა ბაგრატ მეფემ ექვთიმეს „ჩვენი დროის ოქროპირი“?.

მოგაწვდით რამდენიმე დამატებით ინფორმაციას:

ა) დავით კურაპალატი უკვე შეგვხვდა, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავში“. სწორედ ამ მეფის ბრძნული გადაწყვეტილებით და ბიზანტიისთვის ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლისას გაწეული დახმარებისთვის საქართველოს გადმოეცა „ზემო ქვეყნები“ და ომის შემდეგ დარჩენილი უზარმაზარი ალაფით ივირონი (ივერთა მონასტერი) ააშენეს ათონის მთაზე.

სასურველია, ცოდნის გააქტიურებისა და გაცოცხლების მიზნით შეახსენოთ მოსწავლეებს ჰალისის ბრძოლისა და კარის ღვთისმშობლის ამბავი „თორნიკე ერისთავიდან“;

ბ) იოანე ოქროპირის ცხოვრებიდან, დევნა-შევიწროებიდან, გადასახლებებიდან, კონსტანტინოპოლის პატრიარქობიდან, საოცარი ქადაგებებიდან, იმ მრავალი შრომიდან, რომლებიც მან დაგვიტოვა, დავით კურაპალატი მის ბრწყინვალე ორატორულ ნიჭს, გამორჩეულ მწერლურ ნიჭიერებას გულისხმობს და ამ თვალსაზრისით ადარებს ექვთიმე მთაწმინდელს იოანე ოქროპირს.

ორი ეპიზოდი სასურველია დაამატოთ გაკვეთილს მასალის გაცოცხლებისა და საქართველოს როლის კიდევ ერთი ასპექტით წარმოჩენის მიზნით:

1. „ერთ ღამეს ამ მონასტერში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ბერმა, ევსუქიმ იხილა, რომ იოანეს ეწვია სპეტაკ სამოსელში გამოწყობილი ორი მოციქული - იოანე და პეტრე. იოანეს ხელთ გრაგნილი ეპყრა, პეტრეს კი გასაღები. იოანე ღვთისმეტყველმა გადასცა გრაგნილი და უთხრა:

- უფალი განიჭებს უღრმეს სიბრძნეს, რათა დამოძღვრო ქრისტეს სამწყსო, და დააღუმო მწვალებლები!

წმინდა პეტრემ კი გასაღები ჩააბარა:

- მე ვარ პეტრე, სასუფევლის გასაღების მპყრობელი. უფალი შენც გაძლევს ეკლესიის გასაღებს, რათა, ვისაც განხსნი, განიხსნას და ვისაც შეკრავ, შეკრულ იყოს (ვისაც მოიწონებ, ღირსეულ მორწმუნედ მიიჩნევ, მოწონებული, ანუ „განხსნილი“, იქნება, ვისაც დაიწუნებ - დაგმობილი, ანუ „შეკრული“).

იოანე მუხლებში ჩაუვარდა მოციქულებს და შეჰღაღადა:

- ვინა ვარ მე, კაცთა შორის უკანასკნელი, რომ თავს ვიდო ასეთი დიდი და ძნელი საქმე?

მაგრამ მოციქულებმა წამოაყენეს იგი და უთხრეს:

- ადექი, გამხნევდი და შეასრულე ის, რისკენაც უფალი იესო ქრისტე მოგიწოდებს“. - ამ ეპიზოდით წარმოჩნდება, როგორ აფასებდნენ იოანე ოქროპირს ადამიანები, როგორ აყენებდნენ მოციქულთა გვერდით და რა საოცარი თავმდაბლობით გამოირჩეოდა იგი. ეს ყოველივე სიზმრად ბერმა ევსუქიმ ნახა, ანუ ჩვენება-გამოცხადებით მიენიშნა ხალხს იოანეს გამორჩეულობა;

2. იოანე ოქროპირი 407 წელს საქართველოში, აფხაზეთში, კომანში, გარდაიცვალა, მისი ბოლო გადასახლებისას. მისი წმინდა ნაწილები საქართველოში განისვენებდნენ, ვიდრე 436 წელს იმპერატორ თეოდოსის ბრძანებით გადაასვენეს კონსტანტინოპოლში.

(ეს მასალა იხ. : https://www.orthodoxy.ge/tveni/noemberi/13-ioane.htm, წმიდა იოანე ოქროპირი - კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსი (+407) შეადგინა და თარგმნა რუსულიდან ბუაჩიძემ).

გ) ქრისტიანული ეკლესიის მიერ გამორჩეული სამი უდიდესი მამაა: ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და გრიგოლ ღვთისმეტყველი.

II. „ბალავარიანი“, ანუ „სიბრძნე ბალაჰვარისა“, იგივე „ცხოვრება იოდასაფისა“, ჰაგიოგრაფიულ-მორალური ხასიათის, იგავარაკული სტილის თხზულებაა. მოგვითხრობს ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჯერ არაბულიდან ქართულად თარგმნა და გადმოაკეთა ვიღაც მთარგმნელმა, შემდეგ კი ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ექვთიმემ. ევროპაში პოპულარული გახდა, როგორც „ვარლაამისა და იოასაფის“ რომანი.

დამატება 4. 2 თავისთვის - ქართული ჰიმნოგრაფია

გვ. 225 - კითხვები და დავალებები, სავარაუდო პასუხები:

1. მამა გრიგოლი ცხოვრების მაგალითად და ძალიან დიდ წმინდანად მიიჩნევს წმ. გიორგის. ახასიათებს მას, როგორც სიკეთით გაბრწყინებულს, ვისაც უზარმაზარი ქონება აქვს ზეცაში დაუნჯებული. მან ახალგაზრდამ გაწირა თავი, ანუ სიჭაბუკის ყვავილი დაუნანებლად დააჭკნო უკვდავების მოსაპოვებლად, მოკვდავი სილამაზე უკვდავებისთვის გაიღო და ნეტარია („ცოცხალია“) ცაში;

საგულისხმოა, რომ, გრიგოლ ხანძთელის კურთხევით ძმებმა დაიწყეს ამ დიდი მხედრის სახელობის ტაძართა მშენებლობა. წმ. გიორგი - „მასაგრეა“ - „მგზავრ მბრძოლი“, როგორც განმარტავს ამ სიტყვას საბა, რადგან იგი ჯვრითაც ქადაგებს და გველეშაპსაც (მტერს) ებრძვის. მამა გრიგოლმა ხანძთა წმინდა გიორგის სახელობის ტაძრად ააგო და ძმობაც აკურთხა, როგორც მოსაგრენი: მოყვრისთვის უნდა ექადაგათ ქრისტეს სიყვარული, მტრისგან კი სიტყვითა თუ საქმით დაპირისპირებით უნდა დაეცვათ თავიანთი რელიგია, ტაძრები და მოსახლეობა;

2. სიცოცხლეს ყვავილს ადარებს და ცხოვრების სწორ გზად უკვდავებისკენ სწრაფვას მიიჩნევს წმ. შუშანიკი, როდესაც ციხეში მასთან გამოსათხოვრად მისულ ჯოჯიკსა და მის ოჯახს ელაპარაკება. წმინდანი მათ ასწავლის, რომ ცხოვრება ველის ყვავილივით წარმავალია, ამიტომ მარადიულ ღირებულებებს, სიკეთის კეთებას უნდა ესწრაფოდეს ადამიანი, რომ სასუფეველი დაიმკვიდროს. „ესე ყოველი ცხორებაჲ, ვითარცა ყუავილი ველთაჲ, წარმავალ არს და დაუდგრომელ და, ვინ სთესა, მოიმკო, და, ვინ განაბნია გლახაკთათჳს, შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი“, - ქადაგებს წმ. შუშანიკი.

3. თარგმანში „სოფლისა ზღვაჲ აღძრულ არს“ ზღვა წუთისოფლის სიმბოლოა, რომელიც ცოდვებითაა სავსე, საშინლად ბობოქრობს და ადამიანს დახრჩობით ემუქრება. ამით სიმბოლურად წარმოჩენილია სწორად, უფლისათვის მოსაწონად, ცხოვრების სირთულე. ნავსადგური სამოთხის სიმბოლოა, იქამდე ვისი ნავიც (ანუ სული) მიაღწევს, სასუფეველს დაიმკვიდრებს. რადგან ადამიანისთვის ამ გზის გავლა საკმაოდ რთულია, საგალობლის ავტორი მრავალმოწყალე უფალს შეჰღაღადებს და შეწევნას სთხოვს, რომ ზესთასოფლამდე მიაღწიოს.

4. ჰიმნოგრაფი სულიერ განწმენდას, ცოდვების ჩამორეცხვას და ღვთისთვის მოსა-

წონ, წმინდა, ადამიანად გადაქცევას შესთხოვს მარიამ ღვთისმშობელს, დედა ღვთისას, როგორც ყოვლისშემძლეს, რომელმაც უფალი-სიტყვა იესო-ქრისტე შვა (ანუ უამრავი სასწაულის ჩადენა ძალუძს, რადგან ესოდენ საოცარი რამ შეძლო - სამყაროს შემოქმედის დედა გახდა, უფალი ხორციელ არსებად მოგვივლინა). ამით წარმოჩნდება ჰიმნოგრაფის დიდი რწმენა, ცოდვებისგან განწმენდის სურვილი და ყოვლადწმიდა მარიამ ღვთისმშობლის უდიდესი იმედი.

დამატება „შენ ხარ ვენახისთვის“

„შენ ხარ ვენახს“ პროფ. რევაზ სირაძე „ქართულ „ავე მარიას“ უწოდებდა. მან დეტალურად განიხილა ეს საგალობელი, სტრიქონ-სტრიქონ ახსნა, თუ როგორი რწმენა და სიღრმე აქვს მას (იხ. რევაზ სირაძე, თხზულებანი ექვს ტომად, ტ.III, სახისმეტყველება, ილიას ფონდი, თბილისი, 2022, გვ. 327-331).

დემეტრე დამიანეს ამ საგალობელს, რომელსაც დღეს ყველა იცნობს, როგორც „შენ ხარ ვენახს“, სინამდვილეში ჰქვია „ქება ღმრთისმშობლისა“. მას კიდევ ერთი სტროფიც აქვს. სურვილის შემთხვევაში წაუკითხეთ ბავშვებს:

„ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი
დედა ქალწული, შუენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი:
შენგან იშვების მეფე გჳრგჳნოსანი,
მას ჰმონებდეს მეფე მრავალ-ყმოსანი“.

დემეტრე-დამიანეს, როგორც დიდი ჰიმნოგრაფის, ნიჭიერების ერთ-ერთი დასტურია მისი უაღრესად ქვეტექსტური იამბიკო „ცასა ბეწვითა ეკიდა“. გთავაზობთ ამ იამბიკოსაც, სურვილის შემთხვევაში რომ გააცნოთ მოსწავლეებს:

„ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე, კაცი და
მასვე კაცს შუბის წვერს ედგნეს დარბაზნი;
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა ქურციკთა,
და ზღვასა ზედა მოარბევდა ცხენითა
და ღაღადებდა: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ!“

(ქვემოთ გთავაზობთ ამ იამბიკოს ახსნასაც - იხ. გია მურღულიას წერილი).

ცასა ბეწვითა...
(ფიქრი ფიქრზე)

გია მურღულია

წარსულის ადამიანები ზოგჯერ დღევანდელებზე გაცილებით თანამედროვენი არიან. თუ საქმე ტექნოლოგიებს არ ეხება, ჩვენ ფიქრის არანაირი უპირატესობა არ გვაქვს - მისი ორიგინალურობით, სიღრმითა თუ ინტენსივობით ისინი თუ არ გვაჭარბებენ, არც ჩამოგვრჩებიან. ახალი დრო ამგვარი კომფორტის ზონას არ ქმნის და წარსულიც ისევე მეტყველებს თანამედროვე ენაზე, როგორც აწმყო. თან, კლასიკურ სინათლესთან ერთად, სიძველის მომნუსხველი სურნელიც ახლავს. ერთი მაგალითი ვიხილოთ:

„ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე, კაცი და
მასვე კაცს შუბის წვერს ედგნეს დარბაზნი;
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა ქურციკთა,
და ზღვასა ზედა მოარბევდა ცხენითა
და ღაღადებდა: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ!“

ეს იამბიკო დემეტრე მეფეს, დავით აღმაშენებლის ძეს, ეკუთვნის. სტუდენტობის

დროს წავიკითხე პირველად და მას შემდეგ ჩემს ცნობიერებას არც გაშორებია. საინტერესო ტექსტია, არა?! ერთი შეხედვით, მასში არანაირი ლოგიკა არ ჩანს და თითქოს სულის თავისუფალი „მიმოქცევაა“ - რაღაცდაგვარი აბსურდის ჰარმონია, რომელიც აზრს ადამიანის გონების მიღმა იძენს. არც უამისობაა, მაგრამ საქმე მთლად ასე არ არის. შუასაუკუნეების უკიდურესად სიმბოლურენოვანი ფიქრისა და მეტყველების კვალობაზე, ამ იამბიკოსაც თავისი მკაფიოდ გამოხატული სასიცოცხლო სივრცე აქვს და მასში ცალკეული სიტყვები სხვადქმნილი მნიშვნელობით არსებობენ.

ტექსტი ადამიანის განვითარების, ცოდნისა თუ განწყობის შესაბამისად მრავალნაირად შეიძლება აიხსნას და განიმარტოს. იმის მიხედვით, თუ რა სიმბოლურ მნიშვნელობას ამოვიკითხავთ ცალკეულ სიტყვა-სახეებსა თუ მათ ურთიერთმიმართებაში, შესაძლოა, სრულიად განსხვავებულად აღვიქვათ და გავიაზროთ მთავარი სათქმელიც და ცალკეული დეტალებიც.

დღეს და ახლა ჩემი ხედვა ასეთია:

1. მთელი ლექსი არის ადამიანის სამყაროსა თუ საკუთარ წარმოსახვაში ყოფნის ერთიანი დინამიკური ხატი, რომელშიც უკიდეგანო მოძრაობა (ეკიდა, ედგნეს, ჯდა, სდევდა, მოარბევდა, ღაღადებდა) თანაარსებობს უფლის აბსოლუტური და ყოველწამიერი განცდის უძრაობასთან. ეს არის განვითარებისა და მარადისობისკენ მიპყრობილი უძრავი მზერის შემაძრწუნებლად მშვენიერი ერთობა;

2. ეს, ამავე დროს, არის შეუთავსებელთა შეთავსება, რაც ღვთის ყოვლად საკვირველი გამაერთიანებელი მნიშვნელობისა და მოქმედების მიღმა უბრალოდ შეუძლებელი და წარმოუდგენელია;

3. ადამიანი ცის (ღმერთის) ნაწილი და მისი ხატების გამომხატველია, მაგრამ ცოდვას ნაზიარები კაცის ცასთან კავშირი უკიდურესად პრობლემური და საბოლოო მარცხს მიახლებულია („ბეწვითა ეკიდა“);

4. ამგვარი სავალალო ვითარების მიუხედავად, ადამიანი ვერ და არ თმობს თავის ამპარტავნებასა და ძალაუფლებისაკენ მუდმივ, შეუჩერებელ სწრაფვას - თუ ერთი ხელით მაცოცხლებელ ბეწვს ჩასჭიდებია, მეორე ხელით სწორედ ამპარტავნების შუბი აღუმართავს, რომლის წვერსაც „დარბაზნი“, ანუ ჩვენთვის მნიშვნელოვან მიწიერ სიამეთა სიმბოლო, „ედგნეს“;

5. რას ნიშნავს ამ კონტექსტში „მუმლი“? ეს სახე აქ შორსაა ცნობილი ქართული ტექსტისა და სიმღერის („მუმლი მუხასა“) გააზრებისგან და ამქვეყნიურ წვრილმანთა მარადიულ ღირებულებებზე აღმატებას გამოხატავს. აქ ჩვეულებრივი ცხენოსანი რაინდის სახე, რომელიც სიკეთისა თუ სიყვარულის მსახურებასა და ბოროტ ვნებებთან ბრძოლას განასახიერებს, დაკნინებულია და ყველაფრის მოხვეჭის მიზანს გამოდევნებულ დამდაბლებულ პერსონაჟს - დაცემულ ადამიანს მოგვაგონებს. „ქურციკი“ აღმოსავლურ ლიტერატურაში სწორედ მიზანს გამოხატავს და მისი გამოდევნება მიზნისკენ დაუოკებელ სწრაფვას აღნიშნავს. გავიხსენოთ, მაგალითად, „ამირანდარეჯანიანი“, რომლის დასაწყისშივე ვხვდებით სანადიროდ წასულ (ნადირობა ამავე კულტურულ კონტექსტში რაიმეს მოსაძიებლად წასვლას ნიშნავს) მეფესა და მის ამალას, რომელთაც გზაზე უცნაურად ლამაზი ქურციკი გადმოუხტებათ - ძვირფასი თვლებისა და ოქროს სხეულით. მონადირეები მას გამოეკიდებიან, მაგრამ მოულოდნელი რამ ხდება - ვერც ეწევიან და არც ჩამორჩებიან. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა ან ხედვის რაკურსი. აქ არსებითი სათქმელი ის არის, რომ მთავარი მიზანი (მიზანთა მიზანი) ადამიანისთვის ხშირად მიუღწეველი შეიძლება დარჩეს, მაგრამ მისკენ სწრაფვისას კაცი ბევრ სხვა მიზანს მიაღწევს და ეს სწრაფვა განვითარებისა და საკუთარი ცხოვრების სრულყოფის უმთავრესი საწინდარია. თუმცა ამ კონტექსტში მუმლზე ამხედრებული კაცის სწრაფვას ირონიული შეფერილობა შეიძლება ჰქონდეს, თუ ჩვენი მსჯელობის მე-2 პუნქტს არ გავიხსენებთ;

6. მომდევნო სტრიქონში კვლავ შეუთავსებლის შეთავსებაა - თითქოს ხედვის რაკურსი სრულად იცვლება და ახლა უკვე ცხენზე ამხედრებულ რაინდს ვხედავთ, რომელიც მიწიერი ვნებებისგან ადამიანის სულისთვის საგანგებოდ შექმნილი ზღვარის გადალახვას ცდილობს. საგულისხმოა, რომ უკვე გამოთქმული შეხედულების თანახმად (რომელსაც ბევრი იზიარებს), ქართული ცნობიერებისათვის ზღვა ახალი სივრცის გახსნას კი არა, შესაძლოა, სივრცის დახშობას ნიშნავდეს (ზღვარი და ზღვა). იამბიკოში კი სწორედ ამ საზღვრის გადალახვას ესწრაფვის მხედარი. ასეთი თვალსაზრისით (ზოგადად კი, ფანტასტიკური დინამიკითა და ტელეოლოგიით ანუ ერთმიზნობრიობით), ეს ტექსტი ძალიან ჰგავს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“ და მის ლიტერატურულ წინამორბედადაც შეიძლება განვიხილოთ;

7. მიწიერი წვრილმან-აბსურდულობის დაძლევითა და გადალახვით ადამიანი ესწრაფვის საკუთარ თავში კვლავ აღიდგინოს ღვთის განცდა გონებითაც და გულითაც, მოარიგოს ეს ორი - თითქოს მარადიულად შეურიგებელი - კაცობრივი სტიქია და შეუერთდეს პირველქმნილი სამყაროს უფლით დალოცვილ ჰარმონიას. ეზიაროს სულის სიმშვიდესა და მარადისობას.

მართლაც, საოცარი ტექსტია - უკიდურესი ლაკონიურობით უტეხი რწმენისა და მშვენიერი ადამიანური სევდის გამომხატველი.

გაკვეთილის გეგმა

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
კლასი: IX

სახელი, გვარი	
გაკვეთილის თემა	„შენ ხარ ვენახი“ - სიტყვიდან გალობამდე
საგანი/ინტეგრირებული საგნები	ქართული ლიტერატურა და მუსიკა
მოსწავლეთა ორგანიზება	მთელი კლასი, ჯგუფური, იდივიდუალური
გაკვეთილის სასწავლო მიზანები	მოსწავლეებმა: • ტექსტის მხატვრული სახეებისა და სიმბოლოების ამოცნობას; • ლირიკული ტექსტის განწყობისა და იდეის განსაზღვრას; • ტექსტიდან საკუთარი მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტების მოყვანას; • ქართული გალობის მოსმენით განწყობისა და ემოციური ტონის განსაზღვრას; • მრავალხმიანობის თავისებურებების, ხასიათის, ტემბრის, რიტმის ამოცნობას; • მუსიკისა და ტექსტის ურთიერთკავშირის ახსნას; • ერთი იდეის ლიტერატურული და მუსიკალური საშუალებებით გამოხატვის შედარებას.

სწავლის შედეგები და სამიზნე ცნება

სამიზნე ცნება - ტექსტი	სამიზნე ცნება - კონტექსტი
სწავლის შედეგები ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად; შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნის გამოყენება მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ	სწავლის შედეგები მსჯელობა ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად.

ინტერესის გასაძლიერებლად; ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად.	

მუსიკა
(სტანდარტთან შესაბამისობა)

მოსწავლეთა წინარე ცოდნა	• იციან ჰიმნოგრაფიული ჟანრის ძირითადი ნიშნები; • შეუძლიათ თემისა და მთავარი იდეის განსაზღვრა; • ნაწარმოებში გამოყენებული სიმბოლოებისა და მხატვრული სახეების ამოცნობა.

გაკვეთილის მიმდინარეობა (აქტივობები და დრო)	ერთი გაკვეთილი - 45 წთ. • საორგანიზაციო საკითხების მოგვარება – 2–3 წთ. • თემის, მიზნისა და შეფასების გაცნობა მოსწავლეებისთვის – 2 წთ **გამოწვევის ფაზა (5წთ.)** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იმსჯელონ პოეზიისა და მუსიკის ურთიერთმიმართებაზე, გაიხსენონ „ამღერებული“ ლექსები. **ძირითადი ნაწილი – ცოდნის კონსტრუირება** **1) შეხვედრა ტექსტთან და მისი მუსიკალური ინტერპრეტაცია (16 წუთი)** აქტივობის მიზანია, ტექსტს ანალიზი, სიმბოლურ სახეებზე დაკვირვება-მსჯელობა. მოსწავლეები ისაუბრებენ, როგორ გარდაიქმნება პოეტური სათქმელი მუსიკალურ განცდად და როგორ აძლიერებს გალობა ტექსტის სათქმელის წვდომას. • მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და სვამს რამდენიმე შეკითხვას, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს ტექსტის მთავარ მხატვრული სახეებზე; ლირიკული გმირის განცდებზე. • შემდეგ მოსწავლეები მოისმენენ საგალობელს „შენ ხარ ვენახი“ და მასწავლებლის მითითებით დააკვირდებიან განწყობას, ტემპს, ხმათა ურთიერთობას, მუსიკის ხასიათს, დაფიქრდებიან, საგალობლის მოსმენა დაეხმარათ თუ არა ტექსტის გააზრებაში.

გაკვეთილის მიმდინარეობა (აქტივობები და დრო)	**2) „სიტყვა და ხმა“ – შედარებითი ანალიზი – 10 წუთი** კლასი იყოფა სამ ჯგუფად: **I ჯგუფი – ლიტერატურული მკვლევრები** მოსწავლეები მუშაობენ ტექსტის ანალიზზე, მსჯელობენ სიმბოლოების, ეპითეტების, მეტაფორების, მიმართვების ფუნქციაზე, ავტორის ღირებულებებზე, მის სულიერი პორტრეტზე. **II ჯგუფი – მუსიკალური მკვლევრები** აკვირდებიან მრავალხმიანობას, ხმების ურთიერთშერწყმას, რიტმს, ტემბრს, დინამიკას, საერთო განწყობას და მსჯელობენ ამ საკითხზე. **III ჯგუფი – სიტყვა და მუსიკა** მათ ევალებათ დააკავშირონ ორი სფერო - ლიტერატურა და მუსიკა და იმსჯელონ ტექსტისა და გალობის ურთიერთმიმართებაზე, განცდაზე, რომელიც იბადება „ამღერებული“ სიტყვის მოსმენისას. **პრეზენტაცია (10 წთ.)** ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. უპასუხებენ დასმულ შეკითხვებს. **რეფლექსია** **დრო – 3 წუთი** მასწავლებელი დაფაზე წერს ან ეკრანზე უჩვენებს წინადადებებს, რომლებსაც ინდივიდუალურად დაასრულებენ მოსწავლეები: • სიტყვა და მუსიკა ერთმანეთს იმიტომ ჰგავს, რომ... • საგალობელმა „შენ ხარ ვენახი“ მასწავლა.. • გალობის მოსმენამ ტექსტი გამააზრებინა, როგორც... • დღეს ჩემთვის ახალი აღმოჩნდა... რამდენიმე მოსწავლე კითხულობს საკუთარ ნააზრევს. **საშინაო დავალება –** მოსწავლეებს დასაწერად მიეცემათ ესე -როდესაც სიტყვა გალობად იქცევა... **გაკვეთილისა და მოსწავლეთა შეფასება – 2 წთ.**

შეფასება	მოსწავლეები შეფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, შეფასდება ჯგუფების მუშაობა, მოსწავლეები შეავსებენ თვითშეფასების კითხვარს. (იხ. დანართი).
რესურსები	• სახელმძღვანელო; • დაფა, მარკერი, პროექტორი; • ბარათები ჯგუფებისთვის; • შეფასების რუბრიკები.

დანართი №1
ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა (განმავითარებელი შეფასებისთვის)

კრიტერიუმები	საშუალო	კარგი	საუკეთესო
ტექსტის გააზრება	უჭირს ტექსტის გააზრება და მსჯელობა	აანალიზებს ტექსტს, თუმცა დასკვნები ნაწილობრივ არის დასაბუთებული	ღრმად აანალიზებს ტექსტს, ასაბუთებს ყველა მოსაზრებას ციტატებით
დავალების შესრულება	დავალება არასრულადაა წარმოდგენილი	დავალება ძირითადად შესრულებულია	დავალება სრულად და ლოგიკურადაა წარმოდგენილი
დროის მართვა	ვერ იცავს დროს	მცირედით აჭარბებს დროს	სრულად იცავს დროის ლიმიტს
თანამშრომლობა	ჯგუფის წევრები არასაკმარისად თანამშრომლობენ	ჯგუფის წევრთა უმეტესობა თანამშრომლობს	ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს და თანამშრომლობს

დანართი №2
მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი

№	კითხვები	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
1	**აქტიურად ვმონაწილეობდი მსჯელობაში**	□	□	□
2	**ჩემი მოსაზრება დავასაბუთე**	□	□	□
3	**ვთანამშრომლობდი ჯგუფის წევრებთან**	□	□	□
4	**ჰატივს ვცემდი განსხვავებულ აზრს**	□	□	□

მეორე ნაწილი

ქართული ლიტერატურის სტანდარტი საბაზო საფეხურზე

ა) სწავლის შედეგები

საგნის - „ქართული ლიტერატურა“ - ფარგლებში საფეხურის შედეგების მიღწევის/ კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის სამიზნე ცნებების - „ტექსტი“, „კონტექსტი”. „ტექსტების დიალოგი“ - ურთიერთდაკავშირებულად გააზრება.

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი -** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა -** მოსწავლეს აცნობიერებს, რომ
(1) ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად;	• კონკრეტული ჟანრის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ნაცნობ ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • ერთი და იმავე ჟანრის ტექსტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა მსგავსებათა გამოვლენის გზით; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; • ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა.	სამიზნე ცნება **ტექსტი** ჟანრების მიხედვით ტექსტებში გამოიყოფა ორი უმთავრესი ჯგუფი - მხატვრული და არამხატვრული. თითოეული ჯგუფი სხვადასხვა მხატვრულ თუ არამხატვრულ ჟანრს აერთიანებს. მხატვრული ტექსტები შექმნილია ავტორის ფანტაზიით. ისინი წარმოგვიჩენს წარმოსახვით სამყაროს, რომელიც გარკვეულწილად უკავშირდება და ასახავს რეალურად არსებულს, გვიზიარებს ავტორისეულ გამოცდილებას, შეხედულებებს, წარმოდგენებს, შთაბეჭდილებებსა თუ იდეებს. არამხატვრული ტექსტები რეალობას ასახავს და გვაწვდის ინფორმაციას რეალური ადამიანების, რეალური სამყაროს შესახებ. ისინი ეფუძნება ფაქტებს, წარმოგვიჩენს ავტორის გამოცდილების საფუძველზე ან კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, გვთავაზობს ავტორის მოსაზრებებს რეალურ სამყაროსთან დაკავშირებულ თემებსა თუ პრობლემებზე. ყველა ტექსტს - მხატვრულსა თუ არამხატვრულს - აქვს სამი მხარე: შინაარსობრივი, სტრუქტურული და ენობრივი, რომლებიც განუყოფლადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ტექსტების სამი მხარის ცოდნა დაგვეხმარება სხვადასხვა მხატვრული თუ არამხატვრული ჟანრის ტექსტების გაანალიზებასა და შეფასებაში, თხზულებებში წარმოჩენილი იდეების, თემატიკის, ძირითადი საკითხების ინტერპრეტირებაში. ამ ელემენტების ცოდნის საფუძველზე უკეთ შევძლებთ სხვადასხვა ჟანრის ტექსტების გაანალიზებასა და შეფასებას, მხატვრული თუ არამხატვრული ჟანრის ტექსტების (მაგ.: მოთხრობის, ჩანახატის, ესეს) შედგენას.

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი -** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა -** მოსწავლეს აცნობიერებს, რომ
(2) შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნის გამოყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად;	• ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა; • კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას.	<u>მხატვრული ტექსტი</u> - მაგ.: მოთხრობა, ნოველა, მინიატურა, ჩანახატი, იგავ-არაკი, მითი, ზღაპარი, თქმულება, ლეგენდა, ლექსი, პოემა და სხვ. <u>არამხატვრული ტექსტი</u> - მაგ.: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი; სხვადასხვა სახის ესე; ინტერვიუ, რეპორტაჟი, პუბლიცისტური წერილი/საგაზეთო სტატია; მემუარული პროზა; ბიოგრაფიული/ავტობიოგრაფიული ტექსტი; პირადი/არაფორმალური წერილი; საჯარო გამოსვლა და სხვ. სხვადასხვა ჟანრის ტექსტების: *<u>შინაარსი</u>* თემა, ქვეთემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მთავარი საკითხი/პრობლემა; მოქმედების დრო და ადგილი (რეალური, წარმოსახვით-ფანტასტიკური); ლირიკული გმირი, პერსონაჟი (მაგ.: მთავარი და არამთავარი, პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხები, ქცევა, მოტივაცია, გარეგნობა, შინაგანი სამყარო - ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები / დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟ(ებ)თან ან/და სხვა პერსონაჟ(ებ)ის მისდამი დამოკიდებულება); მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი და მათი ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებში; ავტორისეული დახასიათება; ავტორისეული პლანი; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (მაგ.: ავტორის, პერსონაჟის); ლირიკული გადახვევა; სიუჟეტი და მისი განვითარების ეტაპები; ეპიზოდი; მხატვრული კონფლიქტი (მაგ.: შინაგანი, გარეგანი); ტონი, განწყობილება. *<u>სტრუქტურა-აგებულება</u>* მაგ.: სათაური, ქვესათაური, პროლოგი, ეპილოგი, თავი, ქვეთავი, აბზაცი; რითმა (რითმა ადგილმდებარეობის მიხედვით; რითმა ბგერითი შედგენილობის მიხედვით); რიტმი/საზომი, სტროფი, ტაეპი. *არავერბალური სტრუქტურული ელემენტები* (მაგ.: განსხვავებული ფერის/ზომის შრიფტი, გრაფიკი, ილუსტრაცია, ლოგო, სქემა).

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი -** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა -** მოსწავლეს აცნობიერებს, რომ
(3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად;	• ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; • მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა; • იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას; • ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; • ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	<u>ენა</u> მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (მაგ.: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, გაპიროვნება, ჰიპერბოლა, ალიტერაცია, ალეგორია, სიმბოლო, ირონია); რიტორიკული ხერხები (მაგ.: რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, გამეორება, ანალოგია, რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები: სანდოობა, ლოგიკა, ემოცია); თხზულებაში გამოყენებული ლექსიკა, მწერლის ენა და მისი მახასიათებლები/ თავისებურებები. ტექსტების სახეობები - აღწერითი, თხრობითი და მსჯელობითი.
(4) მსჯელობა ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად;	• ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/ პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით;	სამიზნე ცნება **კონტექსტი** ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც იგი შეიქმნა და ამა თუ იმ კუთხით უკავშირდება ნაწარმოებს, ზეგავლენას ახდენს მასზე. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული თუ სულიერი გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი -** მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა -** მოსწავლეს აცნობიერებს, რომ
	• ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/ კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით; • იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/ მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის.	კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინება ტექსტზე მსჯელობისას ან/და ტექსტის შედგენისას დაგვეხმარება იმაში, რომ გავიაზროთ ნაწარმოები როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში, აღმოვაჩინოთ მსგავსება-განსხვავება კულტურათა შორის, მსგავსი ან განსხვავებული პერსპექტივები; გავიაზროთ, თუ რითაა ტექსტი მნიშვნელოვანი და აქტუალური თანამედროვეობისათვის. ონტექსტური ფაქტორები ისტორიული და სოციალურ-კულტურული - ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, კონკრეტული რეალიები (მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურული); ესთეტიკური შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნის დონე; თანამედროვე ეპოქა და მისი მახასიათებლები (მაგ,: ფასეულობები, დამოკიდებულებები/შეხედულებები, პრობლემატიკა). ბიოგრაფიული - ავტორის ბიოგრაფიის კონკრეტული დეტალ(ებ)ი, სოციოკულტურული გარემო; ფასეულობები, დამოკიდებულებები, ცხოვრებისეული ან/და სულიერი კგამოცდილება.
(5) ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტის ღირებულების გასაცნობიერებლად; მასში წარმოჩენილი თემის/პრობლემის/ საკითხის, ფასეულობების შესახებ მსჯელობისას საკუთარი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების წარმოსაჩენად, თვითშემეცნებისა და სამყაროს შემეცნების გზების საძიებლად.	• სხვადასხვა ტექსტში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ინტერტექსტობრივი მიმართებების (მაგ.: ალუზიის, ციტატის) ამოცნობა/წვდომა; იმის ახსნა, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს (მაგ.: თემის, მთავარი იდეის, პერსონაჟის სახის წარმოჩენის კუთხით).	სამიზნე ცნება **ტექსტების** დიალოგი ტექსტებს შესაძლებელია ჰქონდეთ სხვადასხვა სახის მსგავსი ელემენტი: მთავარი იდეა/დედააზრი, თემა, მოტივი, სიუჟეტი, სახე-სიმბოლო; პერსონაჟთა ტიპები, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი მსგავსი სახასიათო ნიშან-თვისებები (მაგ.: პერსონაჟი - შემოქმედი/გმირი/მედროვე/მეამბოხე). ზოგჯერ ტექსტში ნათლად იკვეთება მეორე ტექსტის უშუალო ზეგავლენა - პირდაპირი ციტატის ან მინიშნების (ალუზიის) სახით. ტექსტებს შორის მიმართებების, მსგავსი/უნივერსალური ელემენტების ცოდნა დაგვეხმარება, რომ მრავალმხრივად, სხვადასხვა პერსპექტივიდან გავიაზროთ წაკითხული; უკეთ წარმოვიდგინოთ, რითაა მნიშვნელოვანი ან/და გამორჩეული ესა თუ ის ტექსტი; რა ადგილი უჭირავს მას ქართულ ლიტერატურაში. თემა, მთავარი იდეა/დედააზრი, მოტივი, სახე-სიმბოლო, მოარული სიუჟეტი; ალუზია, ციტატა.

ბ) თემატური ბლოკები

I. საბაზო საფეხურის VII-VIII კლასებში საკითხავი მასალა წარმოდგენილია სამი სავალდებულო თემატური ბლოკის შესაბამისი სასწავლო თემების სახით. აღნიშნული კლასებისთვის გამიზნული თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგადშინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეულ თემატურ ბლოკში გაერთიანებულია შესაბამისი სასწავლო თემები, რომლებიც განსაზღვრულია ლიტერატურის უნივერსალური თემების/მოტივების გათვალისწინებით.

VII-VIII კლასები	
თემატური ბლოკი	**საორიენტაციო სასწავლო თემები**
I. ადამიანი და მისი ცხოვრება	ადამიანის ცხოვრების გზა (მაგ.: ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიანთან), ადამიანის შინაგანი სამყარო (მაგ.: ემოციები, გრძნობები, განცდები, ოცნებები; წარმოსახვა-ფანტაზია); საზოგადოებაში თანაცხოვრება (მაგ.: ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოების ზეგავლენა ადამიანზე, ადამიანის ზეგავლენა საზოგადოებაზე) და მისთ.
II. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება	მშობლიური სამყარო (მაგ.: მშობლიური ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი; ენა, კულტურა, ტრადიციები; პატრიოტიზმი; მშობლიური ქვეყნის მრავალფეროვნება); ბუნებასთან ურთიერთობა (მაგ.: ბუნების მშვენიერება, ჰარმონიულობა; წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები; ზრუნვა ბუნებაზე/გარემოზე თანამედროვე ეპოქაში) და მისთ. ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება (მაგ.: სწავლა-აღზრდა, ახლის/სიახლის აღმოჩენის გზები, ახლის ნახვით/აღმოჩენით მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ურთიერთმიმართება ახალსა და ნაცნობს/ჩვეულს შორის) და მისთ.
III. მარადიული ძიებები/ფასეულობები	სიკეთე და ბოროტება (მაგ.: სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, ადამიანის არჩევანი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში) და მისთ.; ცხოვრების საზრისი (მაგ.: ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანის პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება) და მისთ.

საკითხავი ლიტერატურა

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები - ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებიც წარმოადგენს საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემატური ბლოკების/თემების შესწავლის დროს.

სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი VII-VIII კლასებისთვის

ხალხური - „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“;

ლეონტი მროველი - „წმ. ნინოს ცხოვრება“: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება;

დავით გურამიშვილი - „სწავლა მოსწავლეთა“;

სულხან-საბა ორბელიანი - „სიბრძნე-სიცრუისა“: იგავები, შერჩეული სავალდებულო თემატური ბლოკების ფარგლებში განსაზღვრული სასწავლო თემების გათვალისწინებით;

გრიგოლ ორბელიანი - „სადღეგრძელო“: ფრაგმენტები;

ნიკოლოზ ბარათაშვილი - „სული ობოლი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“;

ილია ჭავჭავაძე - „ბაზალეთის ტბა“, „პოეტი“, „ქართვლის დედას“, „სარჩობელაზედ“, „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“;

აკაკი წერეთელი - „განთიადი“, „პოეტი“, „ხატის წინ“, „ღამურა“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“;

ვაჟა-ფშაველა - „ჩემი ვედრება“, „კაი ყმა“, „ხმელი წიფელი“;

მიხა ხელაშვილი - „ლექსო, ამოგთქომ”;

მიხეილ ჯავახიშვილი - „ეშმაკის ქვა“;

გალაკტიონ ტაბიძე - „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“, „ქარი ჰქრის“, „გაგონდება თუ არა“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „მამული“, „ჰე, მამულო“, „მე და ღამე“;

ლადო ასათიანი - „საქართველოში“, „სალაღობო“, „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“;

გიორგი ლეონიძე - „ნატვრის ხე“: „მარიტა“;

ნოდარ დუმბაძე - „Hellados”;

კოლაუ ნადირაძე - „25 თებერვალი, 1921 წელი“;

რევაზ ინანიშვილი - „ლამაზი ცრემლები“;

მურმან ლებანიძე - „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, „უფლისციხესთან“;

ანა კალანდაძე - „საქართველოო ლამაზო“, „შენ ისე ღრმა ხარ“;

ოთარ ჭილაძე - „როდესაც ასე ახლოა გრემი“;

მუხრან მაჭავარიანი - „შენ - სისხლო ჩემო...“, „ტა, ტა, ტა, ტა!...“;

ჭაბუა ამირეჯიბი - „დათა თუთაშხია“: მოსე ზამთარაძის ნაამბობი.

შენიშვნა: მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით რიგი ნაწარმოებებისა შესაძლებელია მიწოდებული იყოს როგორც ფრაგმენტების, ისე ადაპტირებული ვერსიების სახით.

II. საბაზო საფეხურის IX კლასში მოსწავლეებს საკითხავი მასალა მიეწოდებათ ქრონოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით. კერძოდ, აღნიშნულ კლასში შეთავაზებულია სავალდებულო თემატური ბლოკი: V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა.

საკითხავი ლიტერატურა

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები - ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებიც წარმოადგენს საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემატური ბლოკების/თემების შესწავლის დროს.

სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი IX კლასისთვის

იაკობ ხუცესი - „შუშანიკის წამება“;

იოვანე საბანისძე - „აბოს წამება“;

გიორგი მერჩულე - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“;

შოთა რუსთველი - „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით, „დასასრული“;

სულხან-საბა ორბელიანი - „სიბრძნე-სიცრუისა“: „მემკვიდრის აღზრდა“; იგავები, შერჩეული სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში განსაზღვრული სასწავლო

თემის/თემების გათვალისწინებით;

დავით გურამიშვილი -,,დავითიანი“.

შენიშვნა: მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით რიგი ნაწარმოებებისა შესაძლებელია მიწოდებული იყოს როგორც ფრაგმენტების, ისე ადაპტირებული ვერსიების სახით.

სწავლა-სწავლების პროცესში, სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად, მოსწავლე შეისწავლის ასევე არასავალდებულო ლიტერატურას - მხატვრულ ტექსტებს, რომლებიც შეესაბამება მის ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი სამიზნე ცნებების გაცნობიერებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების/თემების წვდომა-გააზრებაში.

სასწავლო თემების ფარგლებში შესასწავლი ნაწარმოებები შეირჩევა ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით, ესენია: ა) მხატვრულ-ესთეტიკური მხარე (ნაწარმოები გამოირჩევა მაღალმხატვრული ენითა და სტილით); ბ) აღმზრდელობითი მხარე (ნაწარმოები აზიარებს მოსწავლეს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს/ფასეულობებს, უნივერსალურ გამოცდილებას; შეესაბამება მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და საჭიროებებს); გ) ეპოქის კონტექსტი (ნაწარმოები საუკეთესოდ წარმოგვიდგენს ეპოქისთვის დამახასიათებელ იდეებს, თავისებურებებს/სპეციფიკას; გამოწვევებს/წინააღმდეგობებს, წარმოდგენებს; ესთეტიკურ იდეალებს/შეხედულებებს, მორალურ-ეთიკურ ორიენტირებს, მწერლის მსოფლმხედველობას); დ) კულტურული კონტექსტი (თხზულება მნიშვნელოვანია ქართული კულტურისთვის/კულტურული არეალისთვის/მსოფლიო კულტურისთვის; მყარი ადგილი აქვს დამკვიდრებული ლიტერატურაში; იყო ან/და არის აქტუალური).

თემატური შესაბამისობა სტანდარტთან

ქართული ლიტერატურა, მეცხრე კლასი, პირველი სემესტრი

მასწავლებლის წიგნის სტრუქტურა	
კომპონენტი	**დანიშნულება / აღწერა**
I. დაგეგმვა	
ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი	**ჩაიდება**
სწავლების მიზნები	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** • ჰაგიოგრაფიული მწერლობის დანიშნულებისა და თავისებურებების ახსნა ტექსტზე დაყრდნობით, ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებათა ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ნაცნობი ჟანრის ტექსტის შექმნა სათანადო ჟანრული მახასიათებლების მიზნობრივი შერჩევისა და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენების გზით; • ნაცნობ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ.: ანალიტიკური ესეს, ნაწარმოების გაგრძელების) შექმნა. • ტექსტის შინაარსობრივ ელემენტებს შორის არსებული მიმართებების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებსა და შინაარსობრივ მხარეს შორის არსებული მიმართებების ახსნა; • კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა/წვდომა ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება თხზულებიდან შესაბამისი ადგილის/ადგილების დამოწმების გზით; • ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული ფაქტების, მოვლენების, პერსონაჟთა სახეების დაკავშირება საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რეალურ სამყაროსთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • პირადი დამოკიდებულების/მოსაზრების გამოხატვა ნაწარმოებში ასახული თემის, იდეის, პერსონაჟის მიმართ და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა-დასაბუთება;

	• შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება ნამუშევრის შედგენისას. • ტექსტში წარმოდგენილი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების დანიშნულების ახსნა ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გააზრების საფუძველზე; • მსჯელობა მწერლის ენისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, მწერლის მეტყველების თავისებურებების მხატვრული ფუნქციის ახსნა; • იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას; • ტექსტში ესთეტიკურად მისთვის ყველაზე ღირებული ადგილ(ებ)ის დასახელება და საკუთარი არჩევანის ახსნა; • ნამუშევრის შექმნისას ფუნქციური კონტექსტის შესაბამისი ლექსიკის, სტილისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მიზნობრივი შერჩევა-გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა. • ტექსტის დაკავშირება კონტექსტურ ფაქტორებთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის ახსნა ტექსტის შექმნის თანადროული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით; • ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში/კულტურულ არეალში შექმნილ ტექსტებში მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების აღმოჩენა და შედარება კონტექსტური ფაქტორ(ებ)ის გათვალისწინებით; • იმის ახსნა, თუ რითაა ტექსტი აქტუალური/მნიშვნელოვანი თანამედროვე ეპოქისთვის. • სხვადასხვა ტექსტებში გამოკვეთილი თემატიკის/პრობლემატიკის, ფასეულობათა სისტემის ერთმანეთთან დაკავშირება, მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ტექსტების შედარება მსგავსი ელემენტების (მაგ.: სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, პრობლემატიკის) აღმოჩენის მიზნით; იმის ახსნა, თუ რამდენად და როგორაა ეს ელემენტები სახეცვლილი კონკრეტულ ტექსტში და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • ინტერტექსტობრივი მიმართებების (მაგ.: ალუზიის, ციტატის) ამოცნობა/წვდომა; იმის ახსნა, თუ რით ამდიდრებს მათი გამოყენება ტექსტს (მაგ.: თემის, მთავარი იდეის, პერსონაჟის სახის წარმოჩენის კუთხით).

სასწავლო შედეგები	• ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობისას ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, ჟანრული მრავალფეროვნების გასაცნობიერებლად; შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების აღმოსაჩენად; • შინაარსობრივი და სტრუქტურული ელემენტების ცოდნის გამოყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა თუ ნამუშევრის შექმნის დროს საკუთარი დამოკიდებულებების, შეფასებების, იდეების წარმოსაჩენად; წარმოსახვის გასააქტიურებლად; ლიტერატურის მიმართ ინტერესის გასაძლიერებლად; • ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება ტექსტზე მსჯელობის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შეფასების, ასევე ტექსტის შექმნის დროს ენის შესაძლებლობების გასაცნობიერებლად, თვითგამოხატვის ადეკვატური საშუალებების შესარჩევად; ესთეტიკური გემოვნების გასავითარებლად; • მსჯელობა ნაწარმოებზე როგორც მისი შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის გადასახედიდან განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების აღმოსაჩენად, კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავების გასაცნობიერებლად; • ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტის ღირებულების გასაცნობიერებლად; მასში წარმოჩენილი • თემის/პრობლემის/საკითხის, ფასეულობების შესახებ მსჯელობისას საკუთარი დამოკიდებულებებისა და • შეხედულებების წარმოსაჩენად, თვითშემეცნებისა და სამყაროს შემეცნების გზების საძიებლად.
წინარე ცოდნა	**მოსწავლეს უნდა შეეძლოს:** • მართლწერისა და პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა; • მეტყველების ნაწილების (არსებითი სახელი, ზედსართავი, ნაცვალსახელი, ზმნა, რიცხვითი სახელი, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული) ამოცნობა და მათი მართებულად გამოყენება წინადადებაში; • მარტივი და რთული წინადადებების ერთმანეთისგან გაჩევა; • სხვადასხვა ტიპის (თხრობითი, აღწერილობითი, მსჯელობითი) ტექსტების ერთმანეთისაგან გარჩევა; • ლიტერატურული ჟანრების (მითი, ზღაპარი, იგავი, ლექსი, მოთხრობა, ნოველა, პოემა და სხვ.) ამოცნობა და მახასიათბლების მიხედვით მათი ერთმანეთისგან გარჩევა; • ლიტერატურული ტექსტების თემის, იდეის, ავტორის პოზიციის ამოცნობა და მათზე მსჯელობა;

	• ძირითადი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების (ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, ჰიპერბოლა, გაპიროვნება და სხვ.) ამოცნობა და ტექსტში მათ დანიშნულებაზე მსჯელობა. • სხვადასხვა ტიპის ტექსტის ყურადღებით წაკითხვა; • მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის დახარისხებით ტექსტის შინაარსის გადმოცემა; • პერსონაჟების დახასიათება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება; • სხვადასხვა ტექსტის შედარება და მათ მსგავსება-განსხვავებაზე საუბარი; • საკუთარი მოსაზრების დასაბუთება ტექსტიდან არგუმენტების მოხმობით; • ნაწარმოების ისტორიულ-კულტურულ კონტექსტთან დაკავშირება; • ტექსტის ინტერპრეტაცია სხვადასხვა პერსპექტივიდან; • ლოგიკურად ორგანიზებული ტექსტის შექმნა; • სხვადასხვა ტიპის (თხზულების, ესეს, რეზიუმეს..) ტექსტის შექმნა ; • აბზაცების სწორად გამოყფა; • მართლწერისა და პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა; • საკუთარი ნაშრომის ყურადღებით წაკითხვა და რედაქტირება; • საკუთარი აზრის ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბება; • დისკუსიაში მონაწილეობა; • ოპონენტის მოსმენა და არგუმენტირებული მსჯელობა; • პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა.
დრო/ გაკვეთილების რაოდენობა	სავარაუდოდ 57-58 საათი
საჭირო რესურსები	მოსწავლის წიგნი, სამუშაო რვეული, ციფრული მასალები (ვიდეო, აუდიო, ბმულები), ბარათები, ვიზუალური მასალა, ბიბლიოთეკის წყაროები (მითითება კონკრეტული გვერდებით).
II. სწავლა-სწავლება	
ეტაპები	სტანდარტული ეტაპები: 1) გამოწვევა/წინარე ცოდნის გააქტიურება 2) ახალი მასალის დამუშავება/კითხვა 3) გააზრება/ანალიზი 4) შეჯამება/რეფლექსია, ***შენიშვნა: ეტაპები მიემართება როგორც ცალკეულ გაკვეთილს, ასევე მთლიანი თემის შესწავლის პროცესს.***

სასწავლო აქტივობები	**I. ტექსტის გააზრების აქტივობები** • საკვანძო სიტყვებით ეპიზოდის გამოცნობა • ეპიზოდის სიუჟეტური რუკის შედგენა • ტექსტის ნაწილებად დაყოფა და დასათაურება • მიზეზ-შედეგობრივი სქემის შევსება • მნიშვნელოვანი ციტატების მოძიება • პერსონაჟის მოქმედების ახსნა ტექსტის მიხედვით • ავტორის შეფასებითი სიტყვების ამოკრება • ტექსტის მთავარი იდეის განსაზღვრა **II. პერსონაჟის ანალიზი** • პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტი • პერსონაჟის შინაგანი კონფლიქტის ანალიზი • პერსონაჟის გადაწყვეტილებების შეფასება • ინტერვიუ პერსონაჟთან • პერსონაჟის დღიური • პერსონაჟის სახელით მონოლოგის შექმნა **III. პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობები** • პრობლემის გამოკვეთა • პრობლემის მიზეზებისა და შედეგების ანალიზი • პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება • ეთიკური დილემის განხილვა • ღირებულებების იერარქიის შედგენა • „რას გავაკეთებდი მე?“ • თანამედროვე პარალელების მოძიება • სასამართლო პროცესი • მორალური არჩევანის ანალიზი **IV. ჯგუფური მუშაობა** • როლების განაწილებით მუშაობა • პოსტერის შექმნა • კოგნიტური რუკის შედგენა • T-დიაგრამა **V. დისკუსიური აქტივობები** • დისკუსია • დებატები • სოკრატული სემინარი • მრგვალი მაგიდა **VI. შემოქმედებითი აქტივობები** • კომიქსის შექმნა • ანიმაციის სცენარის შედგენა

	• რეპორტაჟი • პოდკასტის სცენარი • ბუკლეტი **VII. კვლევითი აქტივობები** • ისტორიული წყაროების კვლევა • რუკაზე მოქმედების ადგილების მონიშვნა • ისტორიული და ლიტერატურული ფაქტების შედარება • ბიბლიური პარალელების მოძიება • ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნიშნების კვლევა • ავტორის ენის თავისებურებების კვლევა • ეპოქის კულტურის კვლევა • ისტორიული პერსონაჟების შესახებ ინფორმაციის მოძიება • ციტატების ანალიზი • ლიტერატურული პარალელების მოძიება **VIII. კრიტიკული აზროვნების აქტივობები** • არგუმენტირებული ესე • ფაქტისა და მოსაზრების გარჩევა • ალტერნატიული გადაწყვეტილებების განხილვა • ავტორის პოზიციის შეფასება • სხვადასხვა პერსპექტივიდან ანალიზი **IX. მეტაკოგნიტური აქტივობები** • გასასვლელი ბარათი • თვითშეფასება • რეფლექსიური დღიური • დაუმთავრებელი წინადადებები • „დღეს აღმოვაჩინე...“ • სამი მნიშვნელოვანი დასკვნა **X. წერითი აქტივობები** • ანალიტიკური ესე • მსჯელობითი ესე • არგუმენტირებული წერილი • პირადი წერილი • ინტერვიუ ავტორთან • ინტერვიუ პერსონაჟთან • ლიტერატურული დღიური • ხუთსტრიქონიანი ლექსი (სინქვეინი) • პერსონაჟის დახასიათება • ალტერნატიული დასასრულის შექმნა

სწავლების მეთოდები	1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს მოსწავლეს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. 2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. 3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. 4. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე,ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს. 5. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება მოსწავლეების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება. 6. შემთხვევის ანალიზი (Case study) - მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, მედიცინის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ. 7. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

7. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს მოსწავლეს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ მოსწავლეებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორიცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

	10. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. • სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. • სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. • სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას.ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას. 11. ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. მასწავლებელს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. 12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს მასწავლებლისა და მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. 13. მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა – დიაგრამები, კლასიფიკაციისთვის საჭირო გრაფიკული სქემები, გრაფიკული სქემა ანალოგიისათვის. 14. შეჯამება და ჩანაწერების გაკეთება – ძირითადი და მეორეული ინფორმაციის კლასიფიკაცია, ორმხრივი ჩანაწერების დღიური. 15. აქტიური კითხვა – მნიშვმელოვანი სიტყვები, პირობითი ნიშნების გამოყენება, ძირითადი აზრის შემცველი წინადადებების გამოყოფა, საკვანძო ფრაზები.
დიფერენცირება	ადაპტირება სხვადასხვა საჭიროებისთვის: მხარდამჭერი სტრატეგიები სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის; დავალებები მაღალი და დაბალი მზაობის, განსხვავებული სწავლი სტილისა და პროფილის მოსწავლეებისთვის, თითეული მათგანის ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

დავალებები	საკლასო და საშინაო დავალებები კონკრეტული ინსტრუქციით. მოიცავს: ტექსტის ანალიზს, მოკლე ნაშრომს, კვლევას, შემოქმედებით დავალებას, პრეზენტაციას... დავალება უკავშირდება სწავლის შედეგს.
III. შეფასება	
განმავითარებელი შეფასება მიმდინარე პროცესში	შეფასება სწავლის პროცესში, უკუკავშირისთვის: კითხვა-პასუხი, დაკვირვება, სამუშაო ფურცლები, რეფლექსია... მასწავლებელი იყენებს ამ ინფორმაციას გაკვეთილის კორექტირებისთვის.
განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები	კონკრეტული ინსტრუმენტები: გასასვლელი ბარათი, თვითშეფასების ცხრილი, თანატოლთა გამოხმაურება...
განმსაზღვრელი შეფასება შემაჯამებელ ეტაპზე	შეფასება თავის/თემის ბოლოს, შედეგის განსაზღვრისთვის: ლიტერატურული ანალიზი, პრეზენტაცია, პროექტი... პირდაპირ უკავშირდება სასწავლო შედეგებსა და სტანდარტს.
განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები (რუბრიკები)	კრიტერიუმები და დონეები - შეესაბამისი აღმწერებითა და ქულებით (ანალიტიკური შეფასების რუბრიკა).
რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯები	მასწავლებლის თვითშეფასება: რამ იმუშავა კარგად? რა საჭიროებები გამოვლინდა?... ეხმარება მასწავლებელს მომდევნო თავის გეგმის კორექტირებაში.

საათების სავარაუდო განაწილება

	თემა	საათი	შენიშვნა
1	შესავალი	5	
2	„შუშანიკის წამება“	10	
3	„აბოს წამება“	11	
4	„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“	24	
5	დიდი ათონელები	2	
6	ქართული ჰიმნოგრაფია	6	

შესავალი

	თემა	საათი	შენიშვნა
1	შესავალი სამუშაო	1	
2	ქრისტიანობა და ქართული კულტურა ქრისტიანული კულტურის კერები	1	
3	ქრისტიანული მწერლობის დარგები: ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია ქართული მწერლობის დასაწყისი	1	
4	„შუშანიკის წამების“ თანადროული ისტორიული ეპოქა.	1	
5	იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამების“ დაწერის თარიღი	1	

შუშანიკის წამება

	თემა	საათი	შენიშვნა
1	თავი 1. თავი 2.	2	
2	თავი 3.	1	
3	თავი 4. თავი 5.	1	
4	თავი 6. თავი 7.	1	
5	თავი 8. თავი 9.	1	
6	თავი 10. თავი 11. თავი 12.	1	
7.	თავი 13. თავი 14.	1	
8.	თავი 15. შეჯამება	2	

აბოს წამება

	თემა	საათი	შენიშვნა
1	არაბეთის სახალიფო აბო თბილელის ეპოქაში; აბოს ცხოვრებისა და წამების დრო; წელთაღრიცხვის სისტემები და აბოს წამების თარიღი.	1	
2	იოვანე საბანისძე; „აბოს წამების“ კომპოზიცია; „აბოს წამების“ დაწერის თარიღი.	1	
3	პირველი თავი - მოჴსენებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი	1	
4	მეორჱ თავი - ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი	3	
5	მესამჱ თავი - წამებაჲ წმინდისა ჰაბოჲსი	3	
6	მეოთხჱ თავი - ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი შეჯამება	2	

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

	თემა	საათი	შენიშვნა
1	ლიტერატურული დღიური ტაო-კლარჯეთში დაიწყო დიდი აღმშენებლობა გიორგი მერჩულე და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“	2	
2	თავი 1. თავი 2. თავი 3.	2	
3	თავი 4.	1	
4	თავი 5. თავი 6.	2	
5	თავი 7.	1	
6	თავი 8.	1	
7	თავი 9.	2	
8	თავი 10.	2	
9	თავი 11. თავი 12. თავი 13.	1	
10	თავი 14. თავი 15.	2	
11	თავი 16.	2	
12	თავი 17.	2	
13	თავი 18.	1	
14	თავი 19. თავი 20.	2	
15	შეჯამება	1	

დიდი ათონელები - სამკაულნი ნათესავისა ჩვენისანი
ქართული ჰიმნოგრაფია

	თემა	საათი	შენიშვნა
1	სამონასტრო ცენტრები - დაახლოება ევროპასთან	1	
2	ექვთიმე ათონელი გიორგი ათონელი	1	
3	ქართული ჰიმნოგრაფია	1	
4	იოანე ზოსიმე - ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ.	3	
5	დემეტრე-დამიანე - შენ ხარ ვენახი	1	
6	შეჯამება	1	

მესამე ნაწილი

შეფასების სქემები
განმსაზღვრელი შეფასებები

ესეს შეფასების კრიტერიუმები (10 ქულა)

№	კრიტერიუმი	განმარტება	ქულა
1	ანალიზი (არგუმენტები)	ესეში წარმოდგენილია მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი, ავტორის პოზიცია დასაბუთებულია შესაბამისი არგუმენტებით, დამაჯერებელი, ადეკვატური მაგალითებით.	4
		ესეში წარმოდგენილია მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი ანალიზი, ავტორის პოზიცია დასაბუთებულია შესაბამისი არგუმენტებით, თუმცა ზოგიერთი არგუმენტი არ არის გამყარებული მაგალითებით.	3
		საკითხი გააზრებულია, თუმცა არგუმენტები არ არის გამყარებული ადეკვატური მაგალითებით/ ან არ არის მაგალითებით გამყარებული.	2
		ზოგიერთი არგუმენტი არადამაჯერებელია, არ არის გამყარებული მაგალითებით.	1
		საკითხი არადეკვატურადაა გააზრებული.	0
2	თხრობის ორგანიზება, სტრუქტურა	ნაწერი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულადაა გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.	2
		ნაწერი სტრუქტურულად გამართულია, თუმცა აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი, ზოგიერთ შემთხვევაში აბზაცებს შორის დარღვეულია ლოგიკური კავშირები.	1
		სტრუქტურულად გაუმართავია და თხზულების ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირი არ არის.	0
3	ლექსიკა და სტილი	აზრები ცხადად და ნათლადაა გადმოცემული, ნაწერი სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება მოცემულ თემას.	2
		აზრი გასაგებია, თუმცა შეიმჩნევა სტილისტური ხარვეზები და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენება.	1
		აზრი მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგრამ ნაწერი სტილისტურად და ლექსიკურად გაუმართავია.	0
4	მორფოლოგია, სინტაქსი, პუნქტუაცია	არ არის ამ ტიპის 10-ზე მეტი შეცდომა.	2
		არ არის ამ ტიპის 14-ზე მეტი შეცდომა.	1
		ამ ტიპის შეცდომა 14-ზე მეტია.	0

ანალიტიკური ესეს შეფასების რუბრიკა (10 ქულა)

№	კრიტერიუმები		ქულა
1	დავალების პირობის გაა-ზრება (მაქსიმა-ლური ქულა 1)	დავალების პირობა/თეზისი გააზრებულია.	1
		დავალების პირობა/თეზისი არასწორადაა გააზრებული (ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება).	0
2	საკითხის ანალიზი და არგუმენტა-ცია (მაქსიმა-ლური ქულა 3)	ანალიზი არის ღრმა, მიზნობრივი, ამომწურავი და სრულყოფილი. მოსაზრებები გამყარებულია ძლიერი, ლოგიკური არგუმენტებითა და ტექსტობრივი მტკიცებუ-ლებებით (ციტატები, ფაქტები). მოყვანილი მაგალითები ზუსტად უკავშირდება თეზისს. ჩანს ზოგადი განათლება და საკითხის ორიგინალურად შეფასების უნარი.	3
		ანალიზი მეტ-ნაკლებად კარგია, მაგრამ ზოგჯერ გადადის სიუჟეტის/ფაქტების უბრალო აღწერაში. არგუმენტები მოყვანილია, თუმცა ზოგიერთი მათგანი სუსტია და ნაწი-ლობრივ მიემართება საკითხს. მტკიცებულებები აკლია ან ზედაპირულია. ჩანს ზოგადი განათლება, თუმცა ნაკლე-ბად იკვეთება ორიგინალური აზროვნება.	2
		ნაშრომი მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისაა და აკლია ანალიტიკური ხედვა. მსჯელობა დაფუძნებულია მხოლოდ სუბიექტურ მოსაზრებებზე არგუმენტებისა და მტკიცებულებების გარეშე. (თუ მსჯელობა ვერ უპასუხებს საკითხს, ნაშრომი არ შესწორდება).	1
3	ნაშრომის ორგანიზება (მაქსიმა-ლური ქულა 2)	ესეს აქვს მკაფიო სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). აბზაცები ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს და გარდამავალი ფრაზები ეფექტურადაა გამოყენებული.	2
		სტრუქტურული ელემენტები არსებობს, თუმცა აბზაცებს შორის კავშირი სუსტია. აზრი ხშირად წყდება ან დასკვნა არ გამომდინარეობს მსჯელობიდან.	1
		ნაშრომი სრულიად არათანმიმდევრულია, აზრები ქაო-სურადაა აბზაცებში გადანაწილებული და სტრუქტურა დარღვეულია.	0
4	ლექსიკა და სტილი (მაქ-სიმალური ქულა 2)	დაცულია აკადემიური წერის სტილი. ლექსიკა არის მდი-დარი, ზუსტი და თემისთვის შესაფერისი. წინადადებები კონსტრუქციულად გამართულია.	2
		წერის სტილი ხშირად გაუმართავია. გვხვდება ლექსი-კური და სტილისტური უზუსტობები.	1
		ნაშრომი გაუმართავია და გვხვდება არაერთი ლექსიკური თუ სტილისტური ხარვეზი.	0
5	სინტაქსი, მორ-ფოლოგია-ო-რთოგრაფია და პუნქტუაცია (მაქსიმალური ქულა 2)	არ არის თორმეტზე მეტი ამ ტიპის შეცდომა. (შეცდომების რაოდენობა შესაძლოა, განისაზღვროს ნაშრომის მოცულობის შესაბამისად).	2
		არ არის თხუთმეტზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
		ამ ტიპის შეცდომების რაოდენობა თხუთმეტზე მეტია.	0

პერსონაჟის დახასიათების შეფასების რუბრიკა (10 ქულა)

№	კრიტერიუმები		ქულა
1	პერსონაჟის დახასიათება და ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (მაქსიმალური ქულა 4)	პერსონაჟის ხასიათი, გარეგნობა, შინაგანი სამყარო და მოტივაცია სიღრმისეულადაა გაანალიზებული, დამაჯერებლად საუბრობს გმირის ტრანსფორმაციაზე (ამაღლებაზე, დაცემაზე). მოჰყავს ზუსტი არგუმენტები და ტექსტობრივი მაგალითები/ციტატები. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ, აფასებს მის ქცევას, ავლებს პარალელებს სხვა ლიტერატურულ გმირებთან, უკავშირებს რეალურ ადამინებს. ჩანს ზოგადი განათლება და ორიგინალური აზროვნება.	4
		პერსონაჟის ხასიათი, გარეგნობა, შინაგანი სამყარო და მოტივაცია კარგადაა გაანალიზებული, დამაჯერებლად საუბრობს გმირის ტრანსფორმაციაზე (ამაღლებაზე, დაცემაზე). ძირითადად მოჰყავს არგუმენტები და ტექსტობრივი მაგალითები/ციტატები. ნაწილობრივ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ, აფასებს მის ქცევას, ავლებს პარალელებს სხვა ლიტერატურულ გმირებთან, უკავშირებს რეალურ ადამიანებს. ჩანს ზოგადი განათლება და ორიგინალური აზროვნება.	3
		პერსონაჟი დახასიათებულია, თუმცა ანალიზი ზედაპირულია. მაგალითები დასახელებულია, მაგრამ აკლია არგუმენტაცია ან სიღრმე.	2
		დახასიათება შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ფრაზებით, ძირითადად გადმოცემულია შინაარსი. პერსონაჟის თვისებები მკაფიოდ არ ჩანს.	1
2	ნაშრომის აგებულება (მაქსიმალური ქულა 2)	ნაშრომი ლოგიკურად არის აგებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). აბზაცები ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული, აზრი ვითარდება თანმიმდევრულად.	2
		სტრუქტურა მეტ-ნაკლებად დაცულია, თუმცა ზოგიერთ აბზაცს შორის ლოგიკური კავშირი დარღვეულია.	1
		ნაშრომი ქაოსურია, არ აქვს გამოკვეთილი სტრუქტურა, მსჯელობა არათანმიმდევრულია.	0
3	ლექსიკა და სტილი (მაქსიმალური ქულა 2)	ნაშრომი დაწერილია მდიდარი, მრავალფეროვანი ლექსიკით. სტილი შეეფერება ნამუშევრის მიზანს. აზრები გადმოცემულია მკაფიოდ და გამართულად.	2
		ლექსიკა ღარიბია, მეორდება ერთი და იგივე სიტყვები. გვხვდება სტილისტური ხარვეზები ან ბუნდოვანი წინადადებები.	1
		ნაშრომი გაუმართავია და გვხვდება არაერთი ლექსიკური თუ სტილისტური ხარვეზი.	0
4	სინტაქსი, მორფოლოგია-ორთოგრაფია და პუნქტუაცია (მაქსიმალური ქულა 2)	არ არის თორმეტზე მეტი ამ ტიპის შეცდომა (შეცდომების რაოდენობა შესაძლოა, განისაზღვროს ნაშრომის მოცულობის შესაბამისად).	2
		არ არის თხუთმეტზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
		ამ ტიპის შეცდომების რაოდენობა თხუთმეტზე მეტია.	0

მოსწავლის მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტის შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმი	განმარტება	ქულა
1	შინაარსობრივი მხარე	ტექსტში გამოკვეთილია თემა და იდეა, სიუჟეტი, საუკეთესოდ გამოხატავს სათქმელს, შერჩეულია შესაბამისი მოქმედების დრო და ადგილი; შექმნილი პერსონაჟები მიესადაგებიან ამბის შინაარსსა და დედააზრს.	4
		ტექსტში ძირითადად გამოკვეთილია თემა და იდეა, სიუჟეტი გამოხატავს სათქმელს, შერჩეულია შესაბამისი მოქმედების დრო და ადგილი; შექმნილი პერსონაჟები მიესადაგებიან ამბის შინაარსსა და დედააზრს.	3
		ტექსტში ნაწილობრივ გამოკვეთილია თემა და იდეა, სიუჟეტი ძირითადად გამოხატავს სათქმელს, შერჩეულია შესაბამისი მოქმედების დრო და ადგილი; შექნილი პერსონაჟები მიესადაგებიან ამბის შინაარსსა და დედააზრს.	2
		ტექსტში ჩანს თემა და იდეა, სიუჟეტი ნაწილობრივ გამოხატავს სათქმელს, შერჩეულია შესაბამისი მოქმედების დრო და ადგილი; პერსონაჟები ნაკლებად მიესადაგებიან ტექსტის შინაარსსა და დედააზრს.	1
		საკითხი არადეკვატურადაა გააზრებული.	0
2	ნაშრომის ორგანიზება, სტრუქტურა	ნაწერი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულადაა გადმოცემული, ნაშრომის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. გამოკვეთილია ჟანრობრივი მახასიათებლები.	2
		ნაწერი სტრუქტურულად გამართულია, თუმცა აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი, ზოგიერთ შემთხვევაში აბზაცებს შორის დარღვეულია ლოგიკური კავშირები. ძირითადად გამოკვეთილია ჟანრობრივი მახასიათებლები.	1
		სტრუქტურულად გაუმართავია და ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირი არ არის.	0
3	ლექსიკა და სტილი	აზრები ცხადად და ნათლადაა გადმოცემული, ნაწერი სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება მოცემულ თემას.	2
		აზრი გასაგებია, თუმცა შეიმჩნევა სტილისტური ხარვეზები და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენება.	1
		აზრი მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგრამ ნაწერი სტილისტურად და ლექსიკურად გაუმართავია.	0
4	მორფოლოგია, სინტაქსი, პუნქტუაცია	არ არის ამ ტიპის 9-ზე მეტი შეცდომა.	2
		არ არის ამ ტიპის 12-ზე მეტი შეცდომა.	1
		ამ ტიპის შეცდომა 12-ზე მეტია.	0

ზეპირი მსჯელობის შეფასების რუბრიკა

შეფასება	კრიტერიუმები
9 – 10	დავალების პირობა გაიგო ადეკვატურად, არგუმენტირებულად მსჯელობს მოცემულ საკითხზე, ავლენს განსახილველ თემასთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნას. მოხერხებულად იყენებს მიზნის შესაბამის და აუდიტორიისთვის საინტერესო ენობრივ საშუალებებს; ზედმწევნით იცავს ტექსტის სტრუქტურას;
7 – 8	დავალების პირობა გაიგო ნაწილობრივ, უჭირს დამაჯერებელი და არგუმენტირებული მსჯელობა, ნაწილობრივ ავლენს განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნას. ძირითადად მსჯელობა მიზნის შესაბამისია და გათვალისწინებულია აუდიტორიის ინტერესები; იცავს ტექსტის შესაბამის სტრუქტურას;
4 – 6	დავალების პირობა არ აქვს გააზრებული; ვერ ახერხებს დამაჯერებელ მსჯელობას; ვერ ავლენს საკითხთან დაკავშირებულ ცოდნას. ჩანს მიზანი და აუდიტორიის ინტერესისის გათვალისწინების მცდელობა; უჭირს ტექსტის შესაფერისი სტრუქტურის დაცვა;
1 – 3	მოსწავლე რამდენიმე წინადადებით ახერხებს სათქმელის გადმოცემას, ვერ ასაბუთებს და მსჯელობა ბუნდოვანია.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები		ქულა
პრეზენტაციის ტექნიკა	პრეზენტაციის სტრუქტურა: მოსწავლე პრეზენტაციას წარადგენს მკაფიოდ, ლოგიკურად, თანმიმდევრულად.	1
	აუდიტორიასთან კონტაქტი: მოსწავლეს შეუძლია აუდიტორიის ინტერესის პროვოცირება და შენარჩუნება. ვიზუალური კონტაქტი მსმენელთან, არსებით საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად მიმიკის, ჟესტიკულაციის, ინტონაციის გამოყენება.	1
	ვიზუალიზაცია: პრეზენტაციაში გამოყენებული ვიზუალური მასალა შეესაბამება მიზანსა და თემას.	1
	რეგლამენტის დაცვა: პასუხისთვის გამოყოფილი დროის რაციონალურად იყენებს.	1
	მეტყველების კულტურა: მოსწავლე გამართული ქართულით საუბარობს და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას.	1
შინაარსობრივი მხარე	შინაარსის შესაბამისობა: პრეზენტაცია ფოკუსირებულია საკვანძო საკითხებზე, დახარისხებულია ძირითადი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.	2
	ანალიზი და არგუმენტირება: ანალიზი დამაჯერებელი და დასაბუთებულია.	1
კითხვა-პასუხი	დამაჯერებლობა: მოსწავლე შეკითხვებს ადეკვატურად, არგუმენტირებულად უპასუხებს.	1
	რეგლამენტის დაცვა: მოსწავლე პასუხისათვის გამოყოფილი დროს რაციონალურად იყენებს.	1

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10-9 ქულა (მაღალი დონე)	8-7 ქულა (კარგი დონე)	6-5 ქულა (საშუალო დონე)	4-1 ქულა (გასაუმჯობესებელი)
თემის გაანალიზება და შინაარსობრივი მხარე	თემას უპასუხებს სრულყოფილად, ინფორმაცია ზუსტი, მრავალმხრივი და საფუძვლიანია.	თემა კარგადაა გააზრებული, არის ორიოდე უზუსტობა.	თემა გააზრებულია ნაწილობრივ, ინფორმაცია არასრულია.	თემის ცოდნა ზედაპირულია, არის ბევრი ხარვეზი
ინფორმაციის ორგანიზება	პრეზენტაცია მკაფიოდ არის სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	ძირითადად ორგანიზებულია.	სტრუქტურა ნაწილობრივაა დაცული.	აზრები არათანმიმდევრულადაა წარმოდგენილი.
არგუმენტაცია და ანალიზი	გამოთქვამს დასაბუთებულ მოსაზრებებს, გამოაქვს საინტერესო დასკვნები.	მოსაზრებები უმეტესად დასაბუთებულია.	დასაბუთება სუსტია.	მოსაზრებები დაუსაბუთებელია.
ეპოქისა და კულტურული კონტექსტის გააზრება	ზუსტად განმარტავს ეპოქის, რელიგიისა და კულტურის გავლენას ტექსტზე.	ძირითადად სწორად განმარტავს საკითხს.	ნაწილობრივ განმარტავს.	ვერ ახერხებს კონტექსტის დაკავშირებას ტექსტთან.
მეტყველება და კომუნიკაცია	საუბრობს მკაფიოდ, გამართულად და თავდაჯერებულად.	მეტყველება ძირითადად გამართულია.	ზოგჯერ უჭირს აზრის ნათლად გადმოცემა.	კითხულობს ტექსტს, უჭირს კომუნიკაცია.
ვიზუალური მასალის გამოყენება	სლაიდები ინფორმაციული, ესთეტიკური და თემასთან შესაბამისია.	სლაიდები ძირითადად ეფექტურია.	ვიზუალური მასალა ნაწილობრივ ეხმიანება პრეზენტაციას.	სლაიდები გადატვირთულია ან არ შეესაბამება თემას.
აუდიტორიასთან ურთიერთობა	ინარჩუნებს აუდიტორიის ინტერესს, უპასუხებს შეკითხვებს.	ცდილობს აუდიტორიასთან კონტაქტს.	უძნელდება აუდიტორიასთან ურთიერთობა.	არ ცდილობს აუდიტორიასთან კომუნიკაციას.

ბროშურის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10-9 ქულა	8-7 ქულა	5-6 ქულა	4-1 ქულა
ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა	ინფორმაცია სრულყოფილი და ზუსტია, ფაქტები სწორადაა წარმოდგენილი.	მცირე უზუსტობები შეინიშნება.	რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომაა.	ინფორმაცია უმეტესად არა-ზუსტი ან არასრულია.
თემის სრულყოფილი წარმოჩენა	ყველა მნიშვნელოვანი საკითხი შერჩეული ისტორიული პირის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ამომწურავადაა განხილული.	განხილულია ძირითადი საკითხები, მაგრამ ზოგი დეტალი აკლია.	თემა ნაწილობრივაა წარმოდგენილი.	თემა ზედაპირულად ან არასრულადაა განხილული.
ტექსტის ორგანიზება და ლაკონურობა	მასალა კარგადაა ორგანიზებული, ტექსტი მოკლე, გასაგები და თანმიმდევრულია.	ძირითადად მოწესრიგებულია, თუმცა ზოგან ზედმეტი ან ნაკლები ინფორმაციაა.	სტრუქტურა ნაწილობრივ დარღვეულია.	ტექსტი არათანმიმდე-ვრული და რთულად აღსაქმელია.
დიზაინი და ვიზუალური გაფორმება	ბროშურა ესთეტიკური, კარგად გაფორმებული და ვიზუალურად მიმზიდველია.	გაფორმება კარგია, თუმცა გარკვეული ელემენტები დასახვეწია.	გამოყენებულია მცირე რაოდენობის ვიზუალური მასალა.	ვიზუალურად თითქმის არ არის გაფორმებული.
შემოქმედებითი მიდგომა და ორიგინალურობა	ნამუშევარი გამორჩევა საინტერესო იდეებითა და შემოქმედებითი ხედვით.	ჩანს ინდივიდუალური მიდგომა.	შემოქმედებითი ელემენტები სუსტადაა წარმოდგენილი.	ნამუშევარი მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემით შემოიფარგლება.

პირადი წერილის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10-9 ქულა	8-7 ქულა	6-5 ქულა	4-1 ქულა
წერილის ფორმის დაცვა	სრულადაა დაცული პირადი წერილის ყველა ელემენტი (თარიღი, მიმართვა, შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა, ხელმოწერა).	დაცულია ელემენტების უმეტესობა, მცირე ხარვეზებით.	რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი აკლია.	წერილის ფორმა არ არის დაცული.
შინაარსის გამართულობა და თემასთან შესაბამისობა	შინაარსი სრულად შეესაბამება თემას, აზრები მკაფიოდ და თანმიმდევრულადაა გადმოცემული.	შინაარსი ძირითადად შეესაბამება თემას, თუმცა ავტორი ზოგჯერ საკითხს გადაუხვევს.	თემა ნაწილობრივაა გაშლილი, აზრები ნაკლებად თანმიმდევრულია.	შინაარსი არ შეესაბამება თემას ან ძალიან მწირია.
პირადი დამოკიდებულებისა და ემოციების გამოხატვა	ნათლად და ბუნებრივად არის გამოხატული ემოციები, დამოკიდებულებები და პირადი განცდები.	ემოციები გამოხატულია, თუმცა არასაკმარისად დეტალურად.	ემოციები სუსტად ან ზედაპირულად არის გამოხატული.	პირადი დამოკიდებულება და ემოციები თითქმის არ ჩანს.
ენისა და სტილის შესაბამისობა	გამოყენებულია პირადი წერილისთვის შესაფერისი, ბუნებრივი და თავაზიანი ენა.	ენა ძირითადად შესაფერისია, თუმცა გვხვდება მცირე სტილისტური ხარვეზები.	სტილი ნაწილობრივ შეესაბამება პირად წერილს.	სტილი არ შეესაბამება პირადი წერილის მოთხოვნებს.
მართლწერა, პუნქტუაცია და გრამატიკა	ტექსტი პრაქტიკულად უშეცდომოა.	დაშვებულია რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომა.	ხშირია შეცდომები, რომლებიც აძნელებს აზრის ამოცნობას.	მრავლადაა შეცდომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის გაგებას.

თხრობა მთხრობლის შეცვლით

კრიტერიუმი	10-9 ქულა	8-7 ქულა	6-5 ქულა	4-1 ქულა
შინაარსის სიზუსტე	ტექსტის მთავარი მოვლენები, ფაქტები და იდეები სრულადაა შენარჩუნებული.	უმნიშვნელო დეტალებია გამოტოვებული ან შეცვლილი.	რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი არაზუსტადაა გადმოცემული.	შინაარსი მნიშვნელოვნადაა დამახინჯებული.
პერსონაჟის (მთხრობლის) ხედვისა და ემოციების წარმოჩენა	მკაფიოდ და დამაჯერებლადაა გადმოცემული პერსონაჟის განცდები, აზრები და დამოკიდებულებები.	ემოციები და დამოკიდებულებები ძირითადად ჩანს.	პერსონაჟის შინაგანი სამყარო სუსტად არის წარმოჩენილი.	ემოციები და დამოკიდებულებები არ იკვეთება.
შემოქმედებითობა და ორიგინალურობა	ტექსტი საინტერესო, ცოცხალი და ორიგინალურია; ახალი პერსპექტივა ამდიდრებს თხრობას.	ჩანს შემოქმედებითი მიდგომა.	შემოქმედებითი ელემენტები ნაკლებადაა.	ტექსტი მხოლოდ შინაარსის გადმოცემაა, არ ჩანს შემოქმედე-ბითი მიდგომა.
ენა, სტილი და გამართულობა	ტექსტი გამართულია, დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის ნორმები.	ტექსტი ძირითადად გამართულია, არის რამდენიმე ამ ტიპის უზუსტობა.	ტექსტი ძირითადად გაუმართავია, ნაკლებადაა დაცული მართლწერისა და პუნქტუაციის ნორმები.	ტექსტი გაუმართავია, მოსწავლე არ იცავს მართლწე-რისა და პუნქტუაციის ნორმებს.

ინტერვიუს შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10-9 ქულა	8-7 ქულა	6-5 ქულა	4-1 ქულა
ტექსტის, საკითხის ცოდნა და გააზრება	ინტერვიუ ნათლად აჩვენებს ნაწარმოების, საკითხის ღრმა ცოდნასა და გააზრებას.	ტექსტის, საკითხის ცოდნა ძირითადად ჩანს, მცირე უზუსტობებით.	ტექსტის,საკითხის ცოდნა ნაწილობრივ იკვეთება.	ტექსტის, საკითხის ცოდნა არ ჩანს ან ძალიან სუსტია.
კითხვების ხარისხი	კითხვები საინტერესო, მრავალფეროვანი და სააზროვნოა; ხელს უწყობს თემის გაღრმავებას.	კითხვები ძირითადად მიზანმიმართულია.	კითხვების ნაწილი ზედაპირული ან მეორდება განსხვავებული ფორმით.	კითხვები არ შეესაბამება თემას ან ძალიან მარტივია.
პასუხების დამაჯერებლობა	პასუხები სრულად შეესაბამება პერსონაჟის/ავტორის ხასიათსა და შეხედულებებს.	პასუხები ძირითადად დამაჯერებელია.	პასუხებში შეინიშნება გარკვეული შეუსაბამობები.	პასუხები არ შეესაბამება პერსონაჟს/ავტორს.
შემოქმედებითობა და როლის მორგება	მოსწავლე ოსტატურად ირგებს როლს და ავლენს შემოქმედებით მიდგომას.	როლი ძირითადად კარგადაა მორგებული.	შემოქმედებითი მიდგომა ნაწილობრივ ჩანს, მოსწავლეს უჭირს როლის მორგება.	არ ჩანს შემოქმედები-თობა, მოსწავლე ვერ ახერხებს როლის მორგებას.
ენის გამართულობა და პრეზენტაცია	მეტყველება/ტექსტი გამართულია, ლოგიკური და ადვილად აღსაქმელი.	მცირე ხარვეზებია, რომლებიც არ უშლის ხელს აღქმას.	ხშირია შეცდომები ან არათანმიმდევრული გადმოცემა.	შეცდომები მნიშვნელოვ-ნად ართულებს შინაარსის გაგებას.

რეპორტაჟის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10-9 ქულა	8-7 ქულა	6-5 ქულა	4-1 ქულა
საკითხის გააზრება და შინაარსის შესაბამისობა	თემა სრულად და სიღრმისეულადაა გაშუქებული; ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წარმოდგენილია.	თემა ძირითადად გაშუქებულია; მცირე დეტალები აკლია.	თემა ნაწილობრივაა წარმოდგენილი; მნიშვნელოვანი საკითხები გამოტოვებულია.	თემა არასრულად ან არასწორადაა წარმოდგენილი.
რეპორტაჟის სტრუქტურა	სრულად დაცულია რეპორტაჟის სტრუქტურა (სათაური, შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	სტრუქტურა ძირითადად დაცულია; არის უმნიშვნელო ხარვეზები.	სტრუქტურის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილი აკლია ან არათანმიმდევრულია.	სტრუქტურა არ არის დაცული.
ფაქტების, დეტალებისა და ციტატების გამოყენება	ეფექტურადაა გამოყენებული ფაქტები, დეტალები, ციტატები ან ინტერვიუს ელემენტები.	გამოყენებულია ფაქტები და დეტალები, თუმცა არასაკმარისად.	ფაქტები და დეტალები მწირია ან ზედაპირული.	ფაქტები და დეტალები თითქმის არ არის გამოყენებული.
ენობრივი გამართულობა და სტილი	ტექსტი გამართული, მდიდარი და რეპორტაჟისთვის შესაფერისი სტილითაა დაწერილი.	უმნიშვნელო ენობრივი ხარვეზებია.	ხშირია ენობრივი და სტილისტური შეცდომები.	მრავლადაა შეცდომები, რაც ტექსტის აღქმას აფერხებს.
შემოქმედებითობა და მკითხველზე ზემოქმედება	რეპორტაჟი საინტერესო, ორიგინალური და შთამბეჭდავია.	რეპორტაჟი საინტერესოა, თუმცა აკლია ორიგინალურობა.	რეპორტაჟი ნაკლებად საინტერესოა.	რეპორტაჟი არ იწვევს ინტერესს.

პოსტერის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10-9 ქულა	8-7 ქულა	6-5 ქულა	4-1 ქულა
შინაარსის სიზუსტე და თემასთან შესაბამისობა	ინფორმაცია სრულად, ზუსტად და თემის შესაბამისადაა წარმოდგენილი.	ინფორმაცია ძირითადად სწორია, თუმცა მცირე უზუსტობები შეინიშნება.	ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება თემას ან აკლია მნიშვნელოვანი დეტალები.	ინფორმაცია არასაკმარისია ან თემას არ შეესაბამება.
ინფორმაციის ორგანიზება	მასალა მკაფიოდ, ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა განლაგებული.	ინფორმაცია ძირითადად ორგანიზებულია.	ორგანიზება ნაწილობრივაა დაცული; ზოგიერთ ნაწილს აკლია თანმიმდევრულობა.	ინფორმაცია ქაოსურადაა წარმოდგენილი.
ვიზუალური გაფორმება	პოსტერი ესთეტიკურია, თვალსაჩინო და მიმზიდველი; ვიზუალური ელემენტები ეფექტურადაა გამოყენებული.	ვიზუალური მხარე მოწესრიგებულია, თუმცა გაუმჯობესება შესაძლებელია.	ვიზუალური ელემენტები შეზღუდულად ან არათანმიმდევრულადაა გამოყენებული.	პოსტერი არ არის სათანადოდ გაფორმებული.
შემოქმედებითობა და ორიგინალურობა	ნამუშევარი გამოირჩევა საინტერესო და ორიგინალური იდეებით.	ჩანს შემოქმედებითი მიდგომა.	შემოქმედებითი ელემენტები სუსტადაა წარმოდგენილი.	ნამუშევარი არ ავლენს შემოქმედებით მიდგომას.
ენობრივი გამართულობა	ტექსტი სრულად გამართულია; არ არის ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები.	დაშვებულია რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომა.	არის რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა.	მრავლადაა შეცდომები, რაც აფერხებს ინფორმაციის აღქმას.

ლიტერატურული დღიურის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10-9 ქულა	8- 7 ქულა	6—5 ქულა	4-1 ქულა
ტექსტის გააზრება	ნათლად და სიღრმისეულადაა გაგებული და გააზრებული ტექსტის შინაარსი და მთავარი იდეები.	ძირითადად სწორად იაზრებს ტექსტს.	ნაწილობრივ გაიაზრებს ტექსტს, არის ხარვეზები.	ტექსტი გააზრებულია სუსტად ან არასწორად.
ანალიზი და მსჯელობა	გამოთქვამს ორიგინალურ მოსაზრებებს, მსჯელობს არგუმენტირებულად.	მოსაზრებები მეტწილად დასაბუთებულია.	მოსაზრებები ზედაპირული ან არასაკმარისად დასაბუთებულია.	მოსაზრებები არ არის დასაბუთებული ან თითქმის არ გვხვდება.
პირადი დამოკიდებულება	მკაფიოდ და საინტერესოდ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებასა და ემოციებს.	გამოხატავს პირად დამოკიდებულებას, თუმცა არასაკმარისი სიღრმით.	დამოკიდებულება ბუნდოვანია.	პირადი დამოკიდებულება არ ჩანს.
ციტატებისა და მაგალითების გამოყენება	ეფექტურად იყენებს ტექსტის ციტატებს ან მაგალითებს საკუთარი აზრის გასამყარებლად.	იყენებს შესაბამის მაგალითებს, თუმცა ზოგჯერ არამიზნობრივად.	მაგალითები ან ციტატები იშვიათია ან ნაკლებად შესაბამისი.	არ იყენებს ტექსტიდან მაგალითებს.
წერის ორგანიზება და ენობრივი გამართულობა	ნაშრომი კარგად ორგანიზებულია, დაცულია ენობრივი და მართლწერის ნორმები.	მცირე ხარვეზების მიუხედავად, ტექსტი გამართულია.	შეინიშნება არაერთი ენობრივი ან სტრუქტურული ხარვეზი.	ტექსტი არაორგანიზებულია, ხშირია ენობრივი შეცდომები.

დებატების შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10 ქულა	8–9 ქულა	6–7 ქულა	5 ქულა	4-1 ქულა
დასაბუთება და არგუმენტაცია	არგუმენტები მკაფიო, ლოგიკური, მრავალმხრივია, მსჯელობა საფუძვლიანად დასაბუთებულია.	არგუმენტები დამაჯერებელი და უმეტესად კარგად დასაბუთებულია.	წარმოდგენილია რამდენიმე შესაბამისი არგუმენტი, თუმცა დასაბუთება არასრულყოფილია.	არგუმენტები სუსტია ან ნაწილობრივ უკავშირდება თემას	არგუმენტები არ არის წარმოდგენილი ან სრულიად დაუსაბუთებელია.
ფაქტებისა და მაგალითების გამოყენება	გამოყენებულია მრავალფეროვანი, ზუსტი და სანდო ფაქტები და მაგალითები.	გამოყენებულია შესაბამისი ფაქტები და მაგალითები, რომლებიც ძირითადად ამყარებს პოზიციას.	მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, თუმცა არასაკმარისად.	ფაქტები და მაგალითები იშვიათად ან არაზუსტადაა გამოყენებული.	ფაქტები და მაგალითები არ არის გამოყენებული.
მოწინააღმდეგის არგუმენტებზე რეაგირება	ეფექტურად აანალიზებს და დამაჯერებლად უპასუხებს მოწინააღმდეგის არგუმენტებს.	უპასუხებს არგუმენტების უმეტესობას და ცდილობს მათი სისუსტეების წარმოჩენას.	რეაგირებს მხოლოდ ზოგიერთ არგუმენტზე.	პასუხები ზედაპირული ან არადამაჯერებელია.	არ რეაგირებს მოწინააღმდეგის მოსაზრებებზე.
საჯარო გამოსვლისა და კომუნიკაციის უნარი	მეტყველება გამართული, თავდაჯერებული და აუდიტორიისთვის საინტერესოა.	საუბრობს გასაგებად და ძირითადად დამაჯერებლად.	მეტყველება გასაგებია, თუმცა აკლია თავდაჯერებულობა ან გამომსახველობა.	აზრის გადმოცემა უჭირს, მეტყველება ნაკლებად ორგანიზებულია.	საუბარი გაურკვეველია და აზრის გადმოცემა ვერ ხერხდება.
გუნდური თანამშრომლობა და წესების დაცვა	აქტიურად თანამშრომლობს გუნდთან, სრულად იცავს დებატების წესებსა და ეთიკას.	კარგად თანამშრომლობს და უმეტესად იცავს წესებს.	თანამშრომლობს, თუმცა ზოგჯერ პასიურია ან ავიწყდება წესების დაცვა.	თანამშრომლობა სუსტია და წესები ნაწილობრივ ირღვევა.	არ თანამშრომლობს გუნდთან და ხშირად არღვევს წესებს.

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10 ქულა	8–9 ქულა	6–7 ქულა	4–5 ქულა	3-1 ქულა
აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია	აზრი მკაფიოდ, ლოგიკურად და დასაბუთებულად არის გამოხატული; მოსწავლე დამოუკიდებლად ქმნის არგუმენტებს.	აზრი ძირითადად მკაფიო და დასაბუთებულია, არის რამდენიმე უზუსტობა.	აზრი გასაგებია, არის რამდენიმე არგუმენტი, მაგრამ დასაბუთება ნაწილობრივია.	აზრი სუსტად არის გამოხატული, არგუმენტები არასაკმარისი ან ზედაპირულია.	აზრი გაურკვეველია ან არგუმენტები პრაქტიკულად არ არსებობს.
აქტიური მონაწილეობა დისკუსიაში	აქტიურად ერთვება ყველა ეტაპზე, ხშირად სვამს/პასუხობს შეკითხვებს	ძირითადად აქტიურია, ზოგჯერ პასიურობს.	მონაწილეობს, მაგრამ არა რეგულარულად.	იშვიათად ერთვება დისკუსიაში.	თითქმის არ მონაწილეობს.
მოსმენის უნარი და სხვების აზრის პატივისცემა	ყურადღებით უსმენს, პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, ადეკვატურად რეაგირებს.	უმეტესად უსმენს და პატივს სცემს სხვებს.	ზოგჯერ უჭირს აქტიური მოსმენა.	ხშირად არ უსმენს ყურადღებით.	არ უსმენს და არ ითვალისწინებს სხვების აზრს.
კომუნიკაცია და მეტყველების სიცხადე	მეტყველება გამართული, ნათელი და დამაჯერებელია.	მეტყველება ძირითადად გასაგებია.	მეტყველება ზოგჯერ არ არის გამართული.	აზრის გადმოცემა უჭირს.	კომუნიკაცია გაურკვეველია.
კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნება	ავლენს კრიტიკულ აზროვნებას, სვამს საინტერესო კითხვებს და გამოაქვს დასკვნები.	ძირითადად კრიტიკულად აზროვნებს, ზოგჯერ თავად სვამს შეკითხვებს, გამოაქვს დასკვნები.	ნაწილობრივ ავლენს კრიტიკულ აზროვნებას.	იშვიათად ჩანს დამოუკიდებელი აზროვნება.	არ ავლენს კრიტიკულ აზროვნებას.

სტატიის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10-9 ქულა (მაღალი დონე)	8-7 ქულა (კარგი)	6-5 ქულა (საშუალო)	4-1 ქულა (დაბალი)
თემის გააზრება და ინტერპრეტაცია	სრულად და სიღრმისეულად იაზრებს თემას და ზუსტად ახერხებს ინტერპრეტაციას.	ძირითადად სწორად გადმოსცემს იდეას.	ნაწილობრივ ესმის თემა და საკითხის არსი.	სათანადოდ ვერ გაიაზრებს თემას.
არგუმენტაცია და ანალიზი	მოყვანილია დამაჯერებელი არგუმენტები და პარალელები.	არის არგუმენტები, მაგრამ არასაკმარისად.	სუსტი ან ზედაპირული მსჯელობაა.	არგუმენტები თითქმის არ არის.
ისტორიულ-ლიტერატურული შესაბამისობა	კარგად არის გათვალისწინებული კულტურულ-ისტორიული კონტექსტი.	ნაწილობრივ არის გათვალისწინებული კულტურულ-ისტორიული კონტექსტი.	უჭირს კულტურულ-ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება.	ვერ ითვალისწინებს კულტურულ-ისტორიული კონტექსტს.
სტრუქტურა და ორგანიზება	ტექსტი ორგანიზებულია, სტრუქტურა დაცულია ზედმიწევნით (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	ტექსტი ძირითდად ორგანიზებულია, სტრუქტურა დაცულია, ზოგჯერ არ გამოყოფს აბზაცს.	ნაწილობრივ ორგანიზებულია.	არ არის ორგანიზებული, არ აქვს ლოგიკური სტრუქტურა.
ენა და სტილი	შერჩეულია მდიდარი და ზუსტი ლექსიკა; სტილი გამართულია და შეესაბამება დავალების მოთხოვნას.	შერჩეულია შესაბამისი ლექსიკა; სტილი მიესადაგება დავალების მოთხოვნას, გვხვდება რამდენიმე ხარვეზი.	ლექსიკა ღარიბია, არის არაერთი სტილისტური ხარვეზი.	ნაშრომი გაუმართავია, ჭირს აზრის გაგება.
შემოქმედებითობა	ჩანს ორიგინალური ხედვა, არის საინტერესო ფორმულირებები.	ტექსტი ნაკლებად ორიგინალურია, თუმცა ზოგიერთ ეპიზოდში ჩანს შემოქმედებითი მიდგომა.	ტექსტი ნაკლებად ორიგინალურია, არ ჩანს შემოქმედებითი მიდგომა.	ტექსტი სტანდარტული და შაბლონურია.

პროექტის შეფასების რუბრიკა

	10-9	8-7	6-5	4-3	2-1
შინაარსი და ლიტერატურული ანალიზი	თემა სიღრმისეულადაა გააზრებული. ჩანს ტექსტის, პერსონაჟებისა და ეპოქის ბრწყინვალე ცოდნა. არგუმენტები მყარია და გამყარებულია ზუსტი ციტატებით.	თემა კარგადაა გააზრებული. ანალიზი სწორია, თუმცა ზოგჯერ ზედაპირული. ციტატები მოყვანილია, მაგრამ ყოველთვის არ უკავშირდება მთავარ სათქმელს.	თემა ძირითადად გაგებულია, თუმცა ანალიზის ნაცვლად ჭარბობს ტექსტის შინაარსის გადმოცემა. ციტატები იშვიათია.	თემა არ არის გააზრებული. მოსწავლეს უჭირს პერსონაჟების ან ეპოქის კონტექსტის დანახვა. არგუმენტები არ არის მოყვანილი.	ნაშრომმა ვერ უპასუხა მოცემულ ლიტერატურულ თემას. ჩანს, რომ მოსწავლეს ტექსტი საერთოდ არ აქვს წაკითხული.
კვლევა და ორიგინალურობა	ნაშრომში იგრძნობა დამოუკიდებელი ხედვა. მოსწავლეს გამოაქვ ს საინტერესო დასკვნები, გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს და შემოქმედებითად უდგება საკითხს.	პროექტი კარგადაა შესრულებული, თუმცა ეყრდნობა მხოლოდ სტანდარტულ, სახელმძღვანელოში არსებულ მასალას. აკლია ორიგინალურობა.	ნამუშევარი შაბლონურია. მოსწავლე მხოლოდ სხვის (მასწავლებლის ან კრიტიკოსების) აზრებს იმეორებს, ვერ გამოხატავს საკუთარ პოზიციას.	ნამუშევრის დიდი ნაწილი პლაგიატი ან ინტერნეტიდან ბრმად გადმოწერილი მასალაა. დამოუკიდებელი შრომა მინიმალურია.	ნაშრომი მთლიანად სხვისი დაწერილია, არანაირი შემოქმედებითი ძიება ან კვლევის მცდელობა არ ჩანს.
სტრუქტურა და აკადემიური სტილი	პროექტს აქვს მკაფიო, იდეალური სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა). გამოყენებული წყაროები მითითებულია წესების სრული დაცვით.	სტრუქტურა დაცულია, თუმცა აზრებს შორის ლოგიკური გადასვლები ზოგჯერ დარღვეულია. წყაროები მითითებულია, თუმცა არასრულყოფილად.	ნაშრომს აკლია ორგანიზებულობა. მაგალითად, გამოტოვებულია შესავალი ან დასკვნითი ნაწილი. წყაროების მითითება ქაოსურია.	ტექსტი სტრუქტურულად გაუმართავია, აზრები ერთმანეთზე გადაბმულია ლოგიკის გარეშე. გამოყენებული ლიტერატურა საერთოდ არ არის მითითებული.	ნაშრომს საერთოდ არ გააჩნია სტრუქტურა. ტექსტი დანაწევრებულია და აკადემიური სტილის ნაცვლად გამოყენებულია სასაუბრო ენა.
ენობრივი გამართულობა (გრამატიკა)	ტექსტი დაწერილია დახვეწილი ლიტერატურული ენით. პუნქტუაციური, სტილისტური ან სინტაქსური და ორთოგრაფიული შეცდომები არ გვხვდება.	აზრები გასაგებია, თუმცა გვხვდება რამდენიმე სტილისტური ან გრამატიკული შეცდომა, რაც საერთო სურათს არ ვნებს.	ტექსტში არაერთი გრამატიკული ხარვეზია. ზოგიერთი წინადადება სტილისტურად გაუმართავია.	ნამუშევარი შესრულებულია შეცდომებით (ორთოგრაფია, პუნქტუაცია). სტილი მძიმეა და აზრის გაგება ხშირად ჭირს.	წინადადებები იმდენად გაუმართავია, რომ ტექსტის აზრობრივი შინაარსის გაგება პრაქტიკულად შეუძლებელია.

განმავითარებელი შეფასების ნიმუში

მოსწავლის მისაღწევი შედეგები
მოსწავლე მონაწილეობს ლიტერატურული ტექსტის განხილვაში. შეუძლია ნაწარმოების შინაარსის გააზრება, მნიშვნელოვანი ეპიზოდებისა და პერსონაჟების ამოცნობა და საკუთარი მოსაზრების გამოხატვა. მსჯელობას ასაბუთებს ტექსტიდან შესაბამისი მაგალითებით. საუბრობს, აანალიზებს, აფასებს პერსონაჟთა ქცევას. განსაზღვრავს ცალკეული ჟანრის დანიშნულებასა და არსობრივ მახასიათებლებს. მსჯელობს კონტექსტისა და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე; მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ კონფლიქტს/პრობლემას, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციას გაიაზრებს ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში; მსჯელობს იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში; ერთმანეთს ადარებს ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახულ მსგავს თემებს, იდეებს, პრობლემებს, მსჯელობს მსგავსება-განსხვავებაზე; შეუძლია ტექსტის შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან. იცავს ენობრივ ნორმებს, საუბრობს/წერს სტილისტურად გამართულად.

მასწავლებლის კომენტარი		
კარგი	**საშუალო**	**საჭიროებს გაუმჯობესებას**
კარგად შეგიძლია ნაწარმოების შინაარსის გააზრება, მნიშვნელოვანი ეპიზოდებისა და პერსონაჟების ამოცნობა და საკუთარი მოსაზრების გამოხატვა. მსჯელობას ასაბუთებ ტექსტიდან შესაბამისი მაგალითებით. აანალიზებ, კრიტიკულად აფასებ პერსონაჟთა ქცევას. სასურველია, ყურადღება მიაქციო ამ ენობრივ ფორმას (...) და ამ სტილისტიკურ ხარვეზს (...) და გამოასწორო (თითო ან 2-2 შენიშვნა სჭირდება)	კარგად იგებ ტექსტის ძირითად შინაარსსა და სათქმელს. შეგიძლია პერსონაჟის დახასიათება, თუმცა ზოგჯერ მოსაზრების დასასაბუთებლად ტექსტური მაგალითების გამოყენება გიჭირს. მეტი ყურადღება მიაქციე მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მსჯელობას. სასურველია, ყურადღება მიაქციო ამ ენობრივ ფორმას (...) და ამ სტილისტიკურ ხარვეზს (...) და გამოასწორო (3-4 ან 4-5 შენიშვნა სჭირდება)	შეგიძლია ტექსტის ძირითადი მოვლენებისა და პერსონაჟების ამოცნობა. ახლა მნიშვნელოვანია, უფრო აქტიურად იმუშაო ტექსტის გააზრებასა და საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებაზე. დაიწყე მოკლე პასუხებით და ყოველთვის მოძებნე ტექსტში ფრაზა ან ეპიზოდი, რომელიც შენს მოსაზრებას დაადასტურებს. სასურველია, ყურადღება მიაქციო ამ ენობრივ ფორმას (...) და ამ სტილისტიკურ ხარვეზს (...) და გამოასწორო (6-8 ან 8+ შენიშვნა სჭირდება)

მასწავლებელს შეუძლია, განმავითარებელი კომენტარისთვის გამოიყენოს შემდეგი ფრაზები: კარგად გამოგდის: შენთვის გამოწვევაა: შემდეგ ჯერზე ყურადღება მიაქციე: ამის გასაუმჯობესებლად შეგიძლია:

შენიშვნა: განმავითარებელი შეფასება (კომენტარი) ინდივიდუალურია ყველა მოსწავლისა და დავალებისთვის მათი საჭიროებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

მეოთხე ნაწილი

შემაჯამებელი წერილები ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებით

ქეთევან სირაძე - წმინდა ნინოს ცხოვრება

(ლეონტი მროველის მიხედვით)

წმინდა ნინოს მშობლები

წმინდა გიორგის მოღვაწეობის ჟამს კაბადოკიაში ცხოვრობდა ერთი წმინდა კაცი, სახელად ზაბილონი, კეთილმორწმუნე ადამიანი, შვილი მდიდარი და წარჩინებული ოჯახისა, ძლიერი და სახელგანთქმული მეომარი, რომელიც გაემართა რომში, რათა იმპერატორის ჯარში ემსახურა.

იმავე ჟამს კაბადოკიის ქალაქ კოლასეში ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა: ვაჟი - იობენალი და ასული - სოსანა. როდესაც მათ მშობლები გარდაეცვალათ, ობლად დარჩენილები იერუსალიმში ჩასულან. იობენალი ბერი გამხდარა და დევლატარობა (მაღალი სასულიერო წოდება) მიუღია (შემდგომში ის იერუსალიმის პატრიარქი ხდება), ხოლო სოსანა ეკლესიაში მოღვაწეობდა და სარა ნიაფორს (ბეთლემელს) ემსახურებოდა. სარა ნიაფორი იყო წარმოშობით სომეხი, ქალაქ დვინიდან.

მალე რომაელებს აუჯანყდნენ ბრანჯები (იგივე ფრანგები). ამ დროს ზაბულონი რომის არმიის მხედართმთავარი ყოფილა. ბრძოლა გამართულა პატალანის ველზე. უფლის ძალით ზაბილონმა დაამარცხა ფრანგები, შეიპყრო მათი მეფე, მეთაურები და რომის იმპერატორს მიჰგვარა. მეფემ მათი სიკვდილით დასჯა ბრძანა. მაშინ ატირდნენ ფრანგები და შეევედრნენ ზუბილონს, მიგვაღებიე თქვენი სარწმუნოება და შეგვიყვანე თქვენს ტაძარში და მერე დაგვხოცეო. ზაბილონმა ეს სურვილი მყისვე აუწყა მეფესა და პატრიარქს. მაშინ მოინათლნენ ფრანგები, შეიყვანეს ტაძარში და აზიარეს ქრისტეს სისხლსა და ხორცს.

მეორე დღეს დილით ადრე ადგნენ ფრანგები, შეიმოსნენ და გავიდნენ იმ ადგილას, სადაც სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ლოცულობდნენ, მადლობდნენ ღმერთს და ამბობდნენ, „სიკვდილსა შინა უკვდავ ვართ“, რადგან ღმერთმა გაგვხადა ღირსი საუკუნო საგზლისა: ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღებისა და ვაი მათ, რომლებიც სიბნელეში არიანო. ეს რომ იხილა ზაბილონმა, ატირდა მწარედ, რადგან როგორც დასაკლავი ცხვრები, ისე მოედრიკათ თავები... შევიდა ზაბილონი მეფესთან და გამოითხოვა ისინი, სასიკვდილოდ გამზადებულნი. შეიწყალა მეფემ სიკვდილმისჯილი ტყვეები და უთხრა ზაბილონს, შენთვის მომინდვია: რაც გინდა, ის უყავიო.

სიკვდილს გადარჩენილი ფრანგები შეევედრნენ ზაბილონს, წამოგვყევი ჩვენს ქვეყანაში და მოგვანათვლინე ჩვენი ერიო. ისმინა ზაბილონმა მათი ვედრება, მოითხოვა პატრიარქისგან სასულიერო პირი და გაემართნენ მათი ქვეყნისაკენ. როდესაც ერთი დღის სავალზე მიუახლოვდნენ მათ მიწა-წყალს, ამბავი აუწყეს ერს: მეფე და მთავრები ცოცხლები არიან და ბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაშიო. მაშინ გამოემართნენ ფრანგები და მიეგებნენ მდინარის პირას. მეფემ ერი მდინარის ორივე სანაპიროზე განალაგა; აკურთხეს მღვდლებმა წყალი, ხოლო შემდეგ შთაფლეს ისინი წყალში (მონათლეს) და შემდგომ მონათლულები აზიარეს.

ათი დღის შემდეგ ზაბილონმა დაუტოვა მღვდელმსახურნი ფრანგებს, ხოლო თავად წამოვიდა შემდეგი ფიქრით აღძრული: „წარვიდე იერუსალემად და ვამსახურო ნიჭი ესე ჩემი ადგილთა ღმრთისათა“. იერუსალიმში რომ ჩავიდა, მთელი სიმდიდრე, რაც ჰქონდა, უფლის მცნებისამებრ, გლახაკებს დაურიგა. სწორედ იერუსალიმში ყოფნისას დაუმეგობრდა იგი ზემოთ ხსენებულ იუბენალს, რომელიც ამჟამად უკვე იერუსალიმის პატრიარქი იყო.

მაშინ სარა ნიაფორმა უთხრა პატრიარქს: ზაბილონი არის მამა და მომნათვლელი

ფრანგთა, სიბრძნითა და ღვთისმოშიშობით აღსავსე, მიათხოვე შენი და მას ცოლად. ფრიად მოეწონა ეს აზრი პატრიარქს: ცოლად მოიყვანა ზაბილონმა სოსანა და გაემართა კოლასეში მასთან ერთად. სწორედ აქ, კოლასეში დაიბადა ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო.

წმინდა ნინოს ცხოვრება

თორმეტი წლის იყო წმინდა ნინო, როდესაც მისმა მშობლებმა გაყიდეს ყოველივე, რაც ჰქონდათ, დაურიგეს გლახაკებს და გაემართნენ იერუსალიმში. ზაბილონი მიეახლა იერუსალიმის პატრიარქს და მიიღო მისგან კურთხევა ცოლთან განშორებისა. წასვლის წინ გულში ჩაიკრა თავისი ასული და ცრემლმორეული ეუბნებოდა: ჩემო ერთადერთო ასულო, გტოვებ ჩემგან ობლად და გაბარებ ზეციურ მამას, რომელიც არის მამა ობოლთა და მფარველი ქვრივთა. ნუ გეშინია, შვილო ჩემო, რადგან როგორც მარიამ მაგდალინელმა, მართამ და მარიამმა, ლაზარეს დებმა, მიიღეს ყოველივე, რაც უნდოდათ, შენც მიიღებ, რაც გსურს, თუ შეიყვარებ უფალს მათ მსგავსად.

ეს რომ თქვა, საუკუნოდ ეამბორა ასულს და წავიდა განდეგილად იორდანეს, სადაც მისი შემდეგდროინდელი ყოფის შესახებ მხოლოდ უფალმა უწყის.

ხოლო წმინდა ნინოს დედა პატრიარქმა გლახაკ და უძლურ ქალთა მსახურად დაადგინა.

ნინო ორი წლის მანძილზე ემსახურებოდა სარა ნიაფორს. საოცარი გულისხმიერებით უსმენდა იგი დვინელი ქალის მონათხრობს ქრისტეს ჯვარცმის, დაფლვის, აღდგომის, მისი სამოსის, ტილოს, სუდარის და ჯვრის შესახებ, რამდენადაც იერუსალიმში არავინ იყო მისებრი მცოდნე ძველი და ახალი აღთქმის რჯულისა. სარა ნიაფორი უამბობდა მას ამბებს ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ, თუ როგორ მოევლინა უკვდავი ღმერთი მოკვდავებს ამქვეყნად, წარმართთა მოსაქცევად და ადამიანთა მხსენელად, აღადგენდა მკვდრებს, თვალის ჩინს უბრუნებდა ბრმებს, კურნავდა სნეულებს და როგორ აღიძრნენ მის წინააღმდეგ ჰურიანი, როგორ გააგზავნეს მხედრები ქვეყნის ოთხსავე მხარეს, რათა მოეწვიათ მოსეს სჯულის მცოდნენი და აღასრულეს თავიანთი განზრახვა: ჯვარს აცვეს უფალი და მის სამოსელზე წილი ყარეს, როგორ ხვდა იგი წილად მცხეთელ ებრაელებს, როგორ დაფლეს და დაბეჭდეს მისი საფლავი, როგორ აღდგა, როგორ იპოვეს მხოლოდ სუდარა. დილით კი მოვიდნენ პილატე და მისი ცოლი და როდესაც იპოვეს ტილონი (სუდარა), მოიხვია იგი პილატეს ცოლმა და სწრაფად გაემართა პონტოში და ირწმუნა ქრისტე. ხოლო შემდგომად ამისა სუდარა პეტრე მოციქულთან ინახებოდა, ხოლო ჯვრები - იერუსალიმში, მხოლოდ ზუსტი ადგილი არავინ იცოდა. ღმერთმა ინებოს, რომ გამოჩნდეს ისინიო.

როდესაც მოისმინა ეს მონათხრობი წმინდა ნინომ, მადლობა შესწირა ღმერთს და ჰკითხა მას, სად არის ჩრდილოეთის ქვეყანა, საიდანაც მოსულ ურიებს ხვდა წილად ქრისტეს სამოსელი და წაიღეს იგიო, რაზედაც სარა ნიაფორმა მიუგო, რომ აღმოსავლეთით არის ქალაქი მცხეთა, რომელსაც წარმართნი განაგებენო (უჟიკთა ხელშია ამჟამადო).

იმ ხანებში ეფესოდან ერთი ქალი ჩამოვიდა აღდგომის თაყვანსაცემად იერუსალიმში. მას სარა ნიაფორმა ჰკითხა, ელენე დედოფალი კვლავ ცდომილებასა და სიბნელეშია თუ არაო, ხოლო მან მიუგო, მე ვარ მხევალი მათი (მეფე-დედოფლისა) და კარგად ვიცი მათი ზრახვები, ცხადი თუ დაფარული და ვიცი ის, რომ დიდად მოსურნეა ქრისტეს რჯულის მიღებისა და ნათლისღებისაო.

ეს რომ ესმა წმინდა ნინოს, მან სარა ნიაფორს უთხრა, გამგზავნე ელენე დედოფალთან, რათა ქრისტეს რწმენა ვუქადაგოო: „უკუე მივიახლო მის წინაშე სიტყჳს-გებად ქრისტესთჳს.“

სარა ნიაფორმა აუწყა პატრიარქს ნინოს წადილი, ხოლო პატრიარქმა, მისმა ბიძამ, იხმო ნინო, დააყენა ეკლესიის საკურთხევლის შუა კარში (აღსავლის კარში), მხრებზე ხელები

შემოაწყო და ზეცად ლოცვა აღავლინა: უფალო, ღმერთო საუკუნეთაო, შენ შემოგავედრებ ამ ობოლს, ჩემს დისშვილს და წარვავლენ, რათა იქადაგოს შენი ღმერთება და ახაროს აღდგომა შენი და სადაც წავა, იყავი შენ, ქრისტე ღმერთო, მისი თანამგზავრი, მფარველი, მოძღვარი და ენამეცნიერი.

ამის შემდეგ ჯვარი გამოსახა, აკურთხა და გაუშვა.

წმინდა ნინო გაჰყვა ეფესოდან ჩამოსულ ქალს და როდესაც ჩავიდნენ რომში, დედათა მონასტერში ნახეს ორი ქალი: ერთი - მეფეთა ნათესავი, სახელად რიფსიმე და მისი აღმზრდელი გაიანე, რომელთაც ქრისტეს რჯულის მიღება სურდათ და იერუსალიმიდან ნათლისღებას ელოდნენ.

მაშინ ეფესელმა ქალმა წარუდგინა წმინდა ნინო რიფსიმეს და აუწყა მისი მიზნების შესახებ. ქრისტეს მოყვარე რიფსიმემ დიდი სიყვარულით მიიღო წმინდა ნინო. სწორედ ნინოს იქ ყოფნისას მიიღეს ქრისტიანობა რიფსიმემ, გაიანემ და კიდევ ორმოცდაათმა მათმა ნათესავმა წმინდა ნინოს ხელით. წმინდა ნინო აქ დარჩა კიდევ ორი წელი.

ამის შემდეგ ეს 53 სული სომხეთს გაემგზავრნენ. მიზეზი მათი დევნა იყო: იმპერატორს მშვენიერი გარეგნობის რიფსიმეს ცოლად მოყვანა სურდა. დევნილებმა სომხეთს შეაფარეს თავი. სომხეთში თრდატი მეფობდა. იმპერატორმა მას მისწერა, რომ მოეძებდა რიფსიმე და მისთვის გადაეცა. თრდატმა შეიპყრო დევნილები, ხოლო რიფსიმეს სილამაზით მოხიბლულმა გადაწყვიტა, რომ იგი თავად მოეყვანა ცოლად. რიფსიმე არ დამორჩილდა მეფის ნებას და მაშინ თრდატმა აწამა რიფსიმე, გაიანე და მათი თანმხლები პირები.

ამ დროს წმინდა ნინო ვარდის ეკალთა შორის დამალულიყო, რომელიც იმხანად არ ყვაოდა და როდესაც წმინდანებს ტოვებდნენ სულები, იხილა სტეფანე პირველდიაკონი, გაბრწყინებული სამოსით შემოსილი, ხელში სასაკმევლით (საკმეველს რაშიც დებენ). იხილა მისგან მომავალი სურნელოვანი კვამლი, რომელიც ზეცას ფარავდა და ზეციურ მკვიდრთა სიმრავლე. მათ შეუერთდნენ წმინდა მოწამეთა სულები. ეს რომ იხილა წმინდა ნინომ, ღმერთს შეჰღაღადა, უფალო, უფალო, რატომ მტოვებ მე „შორის ასპიტთა და იქედნეთაო“ (შხამიან გველთა სახეობებია).

მაშინ მოესმა მას ხმა ზემოდან, რომელიც ეტყოდა: შენი წაყვანის ჟამი მაშინ დადგება, როდესაც შენ ირგვლივ არსებული ეკლები ვარდის ფურცელთა სურნელად გარდაიქმნება. ადექი და წადი ჩრდილოეთით, სადაც საკმარისი სამკალია, მუშაკი კი - არა.

მაშინ წამოვიდა წმინდა ნინო და გაჩერდა სომხეთის საზღვართან, იქ გამოიზამთრა, მრავალი ჭირი გადაიტანა და ივნისის დასაწყისში ჯავახეთში შემოვიდა, ფარავნის ტბასთან. წმინდა ნინომ თვალი მოავლო იქაურობას და იხილა თოვლით დაფარული მთები. შეძრწუნდა ფრიად და თქვა, უფალო მიიღე ჩემი სულიო. აქ ორი დღე დაყო. საკვები მეთევზეებს სთხოვა, რომლებიც ტბაზე თევზაობდნენ. იმ ადგილას მწყემსებიც იყვნენ, რომლებიც არმაზს და ზადენს შესაწირს აღუთქვამდნენ, ოღონდაც მშვიდობით დაგვაბრუნეო. მწყემსთა შორის სომეხიც ერია. წმინდა ნინოს კი სარა ნიაფორისგან ესწავლა მცირეოდენი სომხური და ჰკითხა მას, რომელი სოფლიდან ხართო. მწყემსმა დაუსახელა ჯავახეთის დაბები (ალარბინი, საფურცლე...) და ქალაქი მცხეთა, „სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენო“. ნინომ ჰკითხა, მცხეთა სად არისო, რაზედაც მწყემსმა მას მხოლოდ მდინარეზე მიუთითა, რომელიც ამ ტბიდან მცხეთისკენ მიედინებოდა.

წმინდა ნინომ სასთუმლად ლოდი დაიდო ტბის პირას „გარდასადინელთან“ (წყაროსთან). როდესაც ეძინა, ჰქონდა მას ხილვა: მოვიდა შუახნის კაცი, მიაწოდა დაბეჭდილი წერილი და უთხრა, მცხეთაში წარმართთა მეფეს მიართვიო. ეს იყო დეკალოგი (ბერძნ. დეკა - 10, ლოგოს - სიტყვა), ათი მცნების მსგავსად:

ა. სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქუას დედაკაცი ესე. ბ. არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ. გ. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-ცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა

წმიდისათა. 15 დ. ნათელი გამობრწყინდა წარმართთა ზედა დიდებად ერისა შენისა ისრაელისა. ე. სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, მუნცა ითქმოდის ყოველსა სოფელსა. ვ. რომელმან თქუენი ისმინოს და შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. ზ. რამეთუ ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენდა მისსა სიტყუასა ჭეშმარიტსა. ჱ. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოგწყჳდნენ ჴორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად. თ. რქუა მარიამ მაგდანელსა იესო: „წარვედ, დედაკაცო, და ახარე დათა და ძმათა ჩემთა. ი. სადაცა ქადაგებდეთ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

ეს სიტყვები რომ წაიკითხა წმინდა ნინომ, იწყო უფლის მიმართ ვედრება, გააცნობიერა, რომ ზეციდან იყო ჩვენება, აღაპყრო თვალები ცისკენ და შეწევნას სთხოვდა ღმერთს.

ამის შემდეგ ტბაში ჩამდინარე მდინარეს გაჰყვა, რომელიც დასავლეთით მიედინებოდა. გზა იყო რთული, მრავალი ფათერაკი გადახდა თავს (დიდ მხეცთაგან შიში თუ სხვა) და როდესაც მიაღწია იმ ადგილს, საიდანაც წყალმა აღმოსავლეთით იწყო დენა, შვებით ამოისუნთქა, რადგან მოგზაურებს შეხვდა, რომლებთან ერთადაც მოადგა ქართლს, კერძოდ, ქალაქ ურბნისს. აქ იხილა ერი, რომელიც უცხო ტომთა ღმერთებს ემსახურებოდა: ცეცხლს, ხეს და ქვას სცემდა თაყვანს. აქ ერთი თვე გაჩერდა. ძალზე წუხდა წმინდა ნინო ადგილობრივთა რწმენითი სიბნელის გამო.

კერპების მსხვრევა

ერთ დღესაც იმ ქალაქის მკვიდრნი დაიძრნენ ქალაქი მცხეთისკენ, არმაზის თაყვანსაცემად და მსხვერპლის შესაწირად. მათ წაჰყვა წმინდა ნინოც. ხოლო როდესაც ჩამოაღწიეს მცხეთაში, მოგვთა ხიდზე გაჩერდნენ. ხედავდა წმინდა ნინო ცეცხლის მსახურთა ცდომილებასა და ჯადოქრობას და ტიროდა მათი სულიერი დაღუპვის გამო და თავს უცხოდ გრძნობდა.

მეორე დღეს გაისმა ხმა საყვირისა. გამოვიდა ურიცხვი რაოდენობის ადამიანი, ფერად-ფერადით მოსილები. საშინელი ზარის ხმა გაისმოდა, მხოლოდ მეფე ჯერ არ მოსულიყო. ცოტა ხანში ხალხის ჯგუფი გაიყო და გამოჩნდა დედოფალი ნანა. მრავალგვარი შესამკობლით, სურნელოვანი ყვავილებით მოერთოთ ქუჩები. ამის შემდგომ გამოვიდა მეფე მირიანი. გაისმა სიმღერისა და მუსიკის ხმა.

წარმოიდგინეთ ამ დროს წმინდა ნინოს მდგომარეობა. ის მოდის ქართლში, რომლის შესახებაც მან თავისი აღმზრდელისგან, სარა ნიაფორისგან იცის, რომ ეს არის კუთხე, რომელსაც წილად ხვდა ქრისტეს კვართის მფლობელობა და რაოდენ შეუსაბამოა აქ მყოფი ხალხის ამგვარი მონობა კერპის მიმართ.

და როდესაც იგი ხედავდა ამ საკვირველ სანახაობას, თავზარდაცემული შიშით უცქერდა არმაზის კერპს, რომელიც იყო სპილენძის კაცი, ოქროს ჯაჭვით შემოსილი, თავზე ედგა გვირგვინი, შემკული ბივრიტითა და იაგუნდით ხელთ ეპყრა ხმალი, ელვასავით მოელვარე, მარჯვნივ ედგა ოქროს კაცი, სახელად გაც, ხოლო მარცხნივ - ვერცხლისა, სახელად გა.

ეს ყოველივე რომ იხილა წმინდა ნინომ, ზეცაში აღაპყრო ხელები და ცრემლით ევედრებოდა ღმერთს: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, აჩუენე ძლიერებაჲ შენი და ყავ სასწაული...“

და როდესაც დაასრულა ლოცვა, მეყსეულად გამოჩნდა შავი ღრუბელი, ამოვარდა ქარი... ატყდა ჭექა-ქუხილი, დაეცა მეხი. მეფე, მთავარნი და მთელი ხალხი ისე გამორბოდნენ, ერთმანეთი გადათელეს, ხოლო კერპებს ისეთი სეტყვა დაატყდა თავს, რომ სრულიად შემუსრა და ნაცარტუტად აქცია. როდესაც ყოველივე ჩაწყნარდა, გამოვიდა მოსახლეობა იმ ადგილის სანახავად, რათა ეხილათ თავიანთი ღმერთი, მაგრამ ვეღარ იხილეს იგი და ცნობადაკარგული ერთმანეთს გაოცებულები შესცქეროდნენ.

რითაა საგულისხმო ეს ფაქტი დღევანდელობის გადმოსახედიდან?

დღესაც წარმოიდგინეთ ადამიანთა სასოწარკვეთილება, როდესაც მათი თაყვანისცემის ობიექტი ქრება. კერპთა თაყვანისცემა ხომ მარადიული თემაა. ადამიანები ყველა დროში ქმნიდნენ კერპებს: ზოგი, მაგალითად, მატერიალური ქონებიდან და ამ ქონებას რომ რამე დაემართოს, ლამისაა ზედ გადაჰყვეს, ზოგი გარკვეულ იდეოლოგიებში ეძებს თაყვანისცემის ობიექტს, თავისსავე შექმნილ ღმერთებს ემსახურება და ისე გაკერპებულა თავად, რომ ამ მოძღვრებებს თავსაც კი შეაკლავს, ზოგს პიროვნება უქცევია კერპად, მას ეთაყვანება და მასში ხედავს მხსნელს... ზოგიც კი დიდ იმპერიებს გასცქერის, იქნებ გაიღოს წყალობა და მამამარჩენლად მომევლინოსო... ხანდახან ისეც ხდება, რომ ადამიანი საკუთარი თავისგან ქმნის კერპს, სურს, რომ ყველა მას ეთაყვანებოდეს. არადა ყოველივე ეს წარმავლობის მსახურებაა.

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ღმერთი არის შემოქმედი ყოველივესი, სამყაროს უსასრულო პირველსაწყისი. როდესაც მის ნაცვლად კერპს, ცოცხალ ადამიანს ან გონების მერ ქმნილ მატერიალიზებულ იდეას დავაყენებთ, რომელიც ერთ დღეს შეიძლება განადგურდეს, ჩიხში მოვექცევით. სწორედ ამგვარი რამ დაემართათ არმაზის მსხვრევის შემდგომ წმინდა ნინოს თანამედროვე კერპმსახურებს.

პავლე მოციქული ამობს: „რამეთუ არარაჲ არს კერპ სოფელსა შინა, და ვითარმედ არავინ არს ღმერთ სხუაჲ, გარნა მხოლოჲ იგი ერთი ღმერთი.“ ადამიანების მიერ შექმნილი კერპები არარაობაა. არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ერთისა.

გია მურღულია - აბოს წამება - შიშის დაძლევის გზა

ძველებს ესმოდათ, რომ ადამიანის მარტვილობა მხოლოდ პიროვნულ ხსნას არ გულისხმობდა და განასახიერებდა - ასე რომ ყოფილიყო, ამ გზაზე დადგომა უკიდურესი ეგოიზმის ფარგლებს ვერ გასცდებოდა. მოწამეობას ძალიან დიდი საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. ტყუილად არ სწერს სამოელ ქართლის კათოლიკოსი იოანე საბანისძეს, აბომ „ყოვლისა ამის სოფლისა ჩვენისა ქართლისათვის“ იმარტვილაო. ამასთან, ნახსენები მნიშვნელობა მხოლოდ აწმყოს არ ეკუთვნის და მათი საზიაროცაა, „ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა“.

მონობასა და თავისუფლების დაკარგვას უძლურებაზე მეტად შიში განაპირობებს. თუ კაცი ან ქვეყანა შიშს მიეცემა, ვეღარაფერი უშველის, რადგან თუ გეშინია, ვერც მოქმედებ. შიში, თავისი არსით, ორ რამეს ნიშნავს - უიმედობასა და უსიყვარულობას. უიმედობას - იმიტომ, სავალ გზაზე თვალები მარცხის გარდა ვერაფერს ხედავენ, უსიყვარულობას კი - იმიტომ, რომ ადამიანის სულს არავინ ავსებს ღმერთისთვის კარის გასაღებად.

კი მაგრამ, ღმერთი რატომ ვახსენეთ - განა ადამიანს თუ რამის ეშინია, ეს მისი პიროვნული მახასიათებელი არ არის? მთლად ასეც არ ყოფილა - უიმედობა და უსიყვარულობა, პირველ რიგში, რწმენის არარსებობას ან დაკარგვას ნიშნავს. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ კაცი მაღალი ღირებულებებისგან დაცლილია და არც მოწოდებულია და არც შეუძლია ძალა მოიძიოს სიკეთის, მშვენიერებისა და სიმართლის გამოსახატად ან დასაცავად. ეს აღარ არის „ცხოვრება“ - მხოლოდ არსებობაა. მათეს სახარების მე-5 თავის ბოლო (48-ე) მუხლი მოგვიწოდებს: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“. როდის ემსგავსება ყველაზე მეტად ადამიანი ღმერთს? - როდესაც ის შემოქმედია. ღმერთმა შექმნა ქვეყანა და სულ ბოლოს - მის გვირგვინად და წარმმართველად - კაცი. მეშვიდე დღეს უფალმა დაისვენა. ზოგჯერ თეოლოგები სამყაროსა და კაცობრიობის მთელ ისტორიას სიმბოლურად „მერვე დღედ“ მოიხსენიებენ.

ადამიანი უნდა აღასრულებდეს ღვთისგან დაკისრებულ მოვალეობას მისივე მიბაძვით

- შემოქმედებითა და ახლის შექმნით. მოახერხებს ის ამას, თუ შიშით შეპყრობილი იქნება? განა ეს გრძნობა თავისუფლების პირველი მტერი არ არის?! უფლის უპირველესი საჩუქრის - თავისუფალი ნების - გამოვლენის გარეშე შემოქმედება არ არსებობს, ამიტომ შიში ადამიანს საკუთარ ღვთაებრივ ბუნებას აკარგვინებს და დამდაბლებული სახის ამარა ტოვებს. აბო ნერსე ერისთავს ჩამოჰყვა ქართლში და ქრისტიანობის უკეთ გაცნობისა და შეცნობისთანავე სწრაფადვე განიმსჭვალა მისი სიყვარულით, თუმცა მონათვლა ვერ გაბედა - გამარჯვებული და ძალმოსილი თანამოძმეების ეშინოდა: „... ვერ განაცხადებდა თავსა თვისსა სრულიად ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეს მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტეისი, რამეთუ ეშინოდა სოფლისა მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩვენთა სარკინოზთაგან“. ეშინოდა, მაგრამ მიისწრაფვოდა გათავისუფლებისკენ. მასში ღვთაებრივმა ბუნებამ გაიღვიძა და ვეღარ ეგუებოდა მიწიერ განწყობათაგან შებორკილობას. წუთისოფლური „მიზანშეწონილობა“ ხომ ყოველ ჩვენგანს უბიძგებს უპასუხისმგებლო „სიმშვიდისა“ და „გონიერებისაკენ“. სიცოცხლის გზა კი მოქმედებისა და შე-მოქმედების გზაა - წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილად გადაიქცევა. აბომ ან უნდა გაიმარჯვოს მასში ჩაბუდებულ დამთრგუნველ შეგრძნებაზე ან პიროვნულ თავისუფლებას ეზიაროს ადამიანის მოვალეობის აღსასრულებლად. იოანე საბანისძე მხოლოდ აბოს შიშზე არ მოგვითხრობს. სრულიად ქართლიც ამ შეგრძნებას შეუპყრია და დაუმონებია. აქაური ადამიანები, რომლებიც 500-ზე მეტი წლის წინ მონათლულან ქრისტიანებად, ძალით, მოტყუებითა, ახალგაზრდული გამოუცდელობითა თუ მზაკვრობით დამპყრობელ არაბებს თავისუფლებისა და ღირსებისაგან განუძარცვიათ და, „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვის“ გამცნობიერებელს, ცოტას თუ შერჩენია იმედის ნაპერწკალი - „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. სიკეთე ბადებს სიყვარულსა და თავისუფლებას, ბოროტება კი - შიშსა და სხვის ნებას მიკუთვნებულობას. სიკეთე მცდელობაა, ბოროტება - შემგუებლობა.

„აბოს წამება“ გვიჩვენებს, რა შეუძლია ღმერთსმიმსგავსებულობისკენ დაუოკებელ სწრაფვას. მწერალი გვარწმუნებს, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს გათავისუფლება პიროვნების გათავისუფლებას ეფუძნება - სადაც ადამიანი არ არის თავისუფალი, ვერც კაცთა ერთობა დააღწევს თავს მონობას. აბო ხაზარეთში მოინათლა, „რამეთუ კრძალულ იყო ყვეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთაიასა“. არაბი ჭაბუკი აქ ჯერ კიდევ არ არის სრულ თავისუფლებას მიწევნილი და მის სურვილს საშიშროებისაგან განრიდება აძლევს ძალას. სულ სხვა ვითარებას ვხედავთ, როდესაც ის ნერსე ერისთავთან ერთად აფხაზეთში გადადის და მთლიანად ღმერთს მიუძღვნის თავის თავს. აქ ის გადაივლის კრიტიკულ მიჯნას, რომლის იქითაც შიში ვეღარაფერს აკლებს ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვას. როდესაც აფხაზეთის მთავარი აბოს დაბეჯითებით ურჩევს, არ დაბრუნდეს თბილისში („მეშინის მე შენთვის, ნუუკვე კვალად არ განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტეისისა ნეფსით, გინა უნებლიეთ...“), „ვარდი, ეკალთაგან გამორჩეული“ ერთი ნაბიჯითაც არ იხევს უკან და თამამად (სიხარულითაც!) მიდის უკვე დაძლეულ შიშთან და სიკვდილთან შესახვედრად („... რაი მადლ არს ყოფა ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკვდილი ქრისტეისთვის“?).

უკვე თბილისში ჩამოსული აბო მის გასაფრთხილებლად მოსულ ქრისტიანებს („აწ ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად, ტანჯვად და გვემად“), რომლებიც დამალვასა და ხიფათისგან გარიდებას ურჩევენ, უპასუხებს: „მე არა ხოლო ტანჯვად გამზადებულ ვარ ქრისტეისთვის, არამედ სიკვდიდცა“. იოანე საბანისძე აბოს პირით აცხადებს, რომ ადამიანის თავისუფლების უშრეტი წყარო და შეუმუსრავი ძალმოსილება ღმერთია: „დაღათუ ვიდოდი მე შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩემ თანა ხარ“. სიკვდილის აჩრდილები აღამებს წუთისოფელს, რომლის გათენება უფალია. სწორედ ეს გამთენებელი ღმერთია აბოს გამათავისუფლებელი. ის კი, თავის მხრივ,

მაგალითს აძლევს სხვა ადამიანებს. ტყუილად არ ამბობს იოანე საბანისძე ტექსტის მე-4 თავში: „ხოლო აწ შენ მიერ მოგვეახლა ქრისტე“. აბოს თავგანწირვამ და პრინციპთა ერთგულებამ ყველას დააძლევინა შიში დამპყრობელთა მიმართ.

მწერალი დაგვანახვებს ნების დამთრგუნველი შეგრძნებისგან ადამიანების გათავისუფლების დინამიკურ, ამაღელვებელ და მშვენიერ სურათს: „მაშინ იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტეანეთამან და განაგდეს შიში მძლავრთა მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაც დაწვნეს ხორცნი იგი წმიდისა მოწამისანი. მოხუცებულნი მირბიოდეს კვერთხებითა თვისითა, მკელობელნი ვლდომით, ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ყრმანი ხდომით ურთიერთას, დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქვდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეის ღმრთისა ჩვენისა საფლავსა“.

პიროვნება დგამს პირველ ნაბიჯს და მას მიჰყვებიან დანარჩენები. ამგვარი პირველობა ძალიან ძნელი, სახიფათო და ზოგჯერ დამღუპველიც არის, თუმცა თავისუფლებისა და სიყვარულისთვის თავგანწირვა ადამიანის საქციელს ამაღლებულს, მშვენიერსა და მართალს ხდის. როცა საზოგადოების დიად გარდამქმნელებზე ვფიქრობთ, გვეუფლება შეგრძნება, რომ ჩვენი შემოსაზღვრულობა დროითა და სივრცით უბრალოდ ილუზიაა. ისინი ჩვენ გვასწავლიან და გვიდასტურებენ, რომ შეუძლებლის წინაშე შიშის დამძლევი თავისუფალი ადამიანისთვის სამყარო ყოველთვის ხსნის კარს, რომლის იქითაც სიკეთის მარადისობაა.

გია მურღულია - დამნახველი და გამომხატველი

მწერლობა დანახვა, შეცნობა, სახელის დარქმევა და გამოხატვაა. გიორგი მერჩულე, ოთხივე ამ თვალსაზრისით, შესანიშნავი მწერალია. ის მოვლენებს, ფაქტებსა და ადამიანთა ნამოქმედარს როგორც ისტორიულ (დროით), ისე მეტაფიზიკურ (ზედროულ) კონტექსტში ხედავს. ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის პიროვნულის, სახელმწიფოებრივისა და ღვთაებრივის ჰარმონიული ერთობაა, რაც არაერთგზის და სხვადასხვა რაკურსით ცხადდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

ერთხელ გოეთემ თქვა: „ის, ვისაც სიქსტეს კაპელა არ უნახავს, ვერასდროს წარმოიდგენს, რისი გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს“. არსებობს გამკეთებლის სიკეთე და დამნახველის სიკეთეც - მიქელანჯელომ შედევრი შექმნა, გოეთემ კი ერთი შესანიშნავი ფრაზით გამოხატა მისი მნიშვნელობა. გიორგი მერჩულემაც მკაფიოდ დაგვანახვა, რა მასშტაბის მოღვაწე იყო გრიგოლ ხანძთელი - რა გააკეთა მან საქართველოსთვის და, ზოგადად - ადამიანებისთვის.

გრიგოლი ნერსე ერისთავის ოჯახში იზრდებოდა და კარგად დაინახა ამ დიდებული ქართველის პიროვნული ტრაგედია - კატასტროფული მარცხი საქართველოს არაბი დამპყრობლებისგან გათავისუფლების საქმეში. ნერსეს მთელი მოწიფული ცხოვრება საკუთარი ქვეყნის მსახურება იყო. ის არაერთგზის შეეცადა, არაბთა აგრესიულ ნებას წინ აღსდგომოდა, მაგრამ ამას კარგი შედეგი არ მოჰყოლია. თავად ერისთავი ჯერ ბაღდადში გაიწვიეს და იქ, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში ჰყავდათ, შემდეგ თბილისში დააბრუნეს და აქედან ხაზარეთში გაქცევამ მოუწია, ბოლოს კი, აფხაზეთში ერთხანს ყოფნის შემდეგ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე უარის თქმის საფასურად, თბილისში დაბრუნების უფლება მისცეს. გრიგოლი მთელი ეს დრო ნერსესთან იმყოფებოდა და ერთ უცილობელ ჭეშმარიტებას მიხვდა - მხოლოდ ხმალი (შიშველი ფიზიკური ძალა), თუ მას საზოგადოებისა და ადამიანის გამაძლიერებელი და გამაერთიანებელი იდეა არ უდგას უკან, პრობლემას ვერ გადაწყვეტს. განათლება, წიგნი და ფიქრი ქმნის ამ იდეას, რომელიც განწყობად იქცევა და მთების დაძვრა შეუძლია.

გიორგი მერჩულე გვიჩვენებს, როგორ წამოვიდა გრიგოლი თავის სამ თანამოაზრესა

და მეგობართან ერთად სამხრეთ საქართველოში და მრავალწლიანი დაუღალავი მოღვაწეობითა თუ მოქმედებით შექმნა ეს მაცოცხლებელი იდეა. მისი ხელმძღვანელობით აგებული ეკლესია-მონასტრები არ იყო მხოლოდ ადამიანის დამაშვრალი და ცოდვით დამძიმებული სულის მოსაოხებელი ადგილები - ეს განათლების ძალიან მნიშვნელოვანი კერებიც იყო, რომლებშიც არა მხოლოდ სულის ხსნაზე, არამედ საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს თემებზეც ფიქრობდნენ და არსებითად უწყობდნენ ხელს მათ ადამიანთა ცნობიერებაში დამკვიდრებასა და შემდეგ - რეალიზებასაც. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ სამხრეთი საქართველოდან დაიწყო და დაგვირგვინდა კიდეც (ბაგრატ მესამის მეფობის ხანაში) ჩვენი ქვეყნის გაერთიანების საქმე - თბილისი ოდნავ მოგვიანებით (დავით აღმაშენებლის დროს, 1122 წელს) დაუბრუნდა საერთო მიწას. ამ პროცესის სათავეში ტაოელი ძმები დგანან, რომელთა საქმე დიდმა ათონელებმა (ექვთიმემ, გიორგიმ და სხვებმა) გააგრძელეს და ქართველთა მიწიერი მესიის - დავით აღმაშენებლის - წინამორბედობა იკისრეს.

გრიგოლის მიერ დაწყებული მოძრაობა მერჩულემ „უდაბნოს ქალაქმყოფლობად“ შეაფასა. „უდაბნო“ ძველისძველი სიმბოლოა, ისევე როგორც „ქალაქი“ - პირველი, ამ კონტექსტში, სიმბოლურად, ღვთის სიკეთეს მოკლებულ, უსახურ, ქაოსისკენ მიდრეკილ ადგილს ნიშნავს, მეორე კი - წესრიგს. მართლაც, გრიგოლის მოსვლამდე ტაო-კლარჯეთი მურვან-ყრუს შემოსევისა და ჟამიანობის (შავი ჭირის ეპიდემიის) გამო პრაქტიკულად უდაბურ ადგილად იყო ქცეული, ხოლო მისი მრავალწლიანი გონივრული მოღვაწეობის შემდგომ საქართველოს ახალ პოლიტიკურ, კულტურულ და ზნეობრივ ცენტრად იქცა - სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წესრიგად. შენიშნულია (რევაზ სირაძე), რომ არაბმა დამპყრობლებმა თბილისში დამკვიდრებით ქართლი, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის ციტადელი მთლიანად დაუქვემდებარეს საკუთარ გავლენას და მისთვის წართმეული ლიდერის ფუნქცია ტაო-კლარჯეთს რომ არ აეღო, საქართველოს გაერთიანება (რომელიც, როგორც ვთქვით, სწორედ აქედან დაიწყო და წარმატებით გაგრძელდა) სათუო გახდებოდა. აქედან გამომდინარე, გრიგოლ ხანძთელის ღვაწლი ძალიან დიდი და მნიშვნელოვანია.

რა თქმა უნდა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება ჩვენი ქვეყნის სულიერი განვითარების საქმეში. რას ნიშნავს „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“? ეს იმას ნიშნავს, რომ გრიგოლი საკუთარ თავში ატარებს სვეტიცხოვლობის დიად იდეას. სვეტიცხოველი დაკავშირებულია იაკობის კიბესთან და, სიმბოლურად, ცისა და მიწის არსებით და ჰარმონიულ კავშირს გამოხატავს. კაცობრიობის ერთ-ერთ პირველ მამას, იაკობს, ეზმანა, როგორ ჩამოდიოდნენ და ადიოდნენ ციდან მიწამდე დაშვებულ კიბეზე ანგელოზები. მოძრაობა აქ ცალმხრივი არ არის - როგორც ზეციურ ძალებს შეუძლიათ ამსოფლად მოსვლა, ისე ადამიანებს ძალუძთ განღმრთობა. კაცის გაზეციურება შეუძლებელი არ არის და სწორედ ამისკენ უნდა მიისწრაფოდეს ის. მაშინ ექნება მას „ღმრთის-მხედველი სული“ (ამგვარ სულს ხედავს გრიგოლი თავის საყვარელ მოწაფე ეფრემ მაწყვერელში, თუმცა, პირველ რიგში, საერთო აღიარებით, სწორედ თავად არის მისი განსახიერება).

გიორგი მერჩულეს აზრით, გრიგოლი საკუთარ თავში მოიცავს წუთისოფელში ჩამოსულ ანგელოზსა და ზეცაში ასულ ადამიანს - ამგვარი ჰარმონიული ერთობის განსახიერებაა. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელისნაირი კაცები იესოს შემდგომ და მისი ამქვეყნიური ცხოვრების მიმსგავსებულობის კვალდაკვალ გამოხატავენ ღვთის ნამდვილ ხატებას ადამიანში. ასეთი ხატება გულისხმობს, ერთი შეხედვით, უცნაურ შუამავლობასაც ცოცხლებსა და გარდაცვლილებს, ამ სამყაროსა და მიღმა სამყაროს შორის.

ადარნერსე მეფემ საყვარელი გაიჩინა, რომლის გამოც საკუთარ ცოლს, დედოფალს განეშორა. გრიგოლი განრისხებული იყო მეფის სატრფოზე, რადგან მან არ შეისმინა წმიდა

მამის შეგონებანი. ამ ამბის დასასრულს მეფის საყვარელი ფებრონიასთან მივიდა და სიცოცხლის ბოლო მონანიებასა და სინანულში გაატარა. როდესაც ეს ქალი გარდაიცვალა, „ბრძანა დედამან ფებრონია მახლობლად დათა მათ ქრისტეს ნების-მყოფელთა დამარხვა მისი“, მაგრამ, მართლაც, გაუგონარი რამ მოხდა - გარდაცვლილმა მონაზვნებმა ამ განზრახვის აღსრულება არ ინებეს - მიწა არ იღებდა მიცვალებულს: „რამეთუ დამარხვასა სხვათა მიცვალებულთასა სამ-გზის იპოვა შინაგან კარსა აკლდამისასა მდებარე“ (ალბათ, გაგვახსენდა ცნობილი ქართული ფილმის „მონანიების“ რამდენიმე ეპიზოდი, რომლებშიც უკვე დამარხული ადამიანი კვლავ მიწის ზედაპირზე ხვდებოდათ, თუმცა იქ მსგავსი რამ ერთი კონკრეტული ადამიანის ნებით ხდება). ფებრონიამ ამ სასწაულის შესახებ გრიგოლს მისწერა და პრობლემის მოგვარება სთხოვა („აწ ჟამი არს შენდობისაო“). ზეციური სასწაული მიწიერმა ადამიანმა გააგრძელა - გრიგოლმა წერილი მისწერა მიცვალებულ მონაზვნებს, რომელშიც მათ სთხოვდა: „აწ გევედრებით, საწყალობელისა მაგისთვის დედაკაცისა ითხოეთ ქრისტესგან ბრალთა მისთა შენდობა და ღირს ყვენით ძვალნი მისნი ძვალთა თქუენთა და სული მისი სულისა თქუენისა თანა“. მხოლოდ ამ წერილის საფლავთან წაკითხვის შემდეგ საბოლოოდ გაიხსნა მიწა ცოდვილი ქალისთვის.

გიორგი მერჩულე არაორდინალური კაცის არაორდინალურ პორტრეტს ქმნის. მან დაინახა, შეიცნო და გვაუწყა. ამით მან სულიერი მარადისობის გვერდით ლიტერატურული მარადისობაც შექმნა - ვიდრე ადამიანები მის ნაწერს წაიკითხავენ და გააცნობიერებენ, ყოველთვის გაუჩნდებათ სურვილი, ფიქრითა და განწყობით მიეახლონ კაცს, რომელსაც სიცოცხლეშივე მიეკუთვნა ადგილი მიწაზეც და ზეცაშიც.

ივანე ამირხანაშვილი - ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი

რატომ არის, რომ თანამედროვე მკითხველის ცნობიერებაში ჰაგიოგრაფია ბოლომდე ვერ შეერწყა ბელეტრისტიკას; რა მიზეზია, რომ ლიტერატურის ისტორიის ეს ორგანული ნაწილი განცალკევებით აღიქმება, ცალკე წარმოიდგინება, ცალკე მოჩანს, როგორც კუნძული გაშლილ ოკეანეში... ნუთუ ამის მიზეზი ის არის, რომ საქმე გვაქვს სასულიერო მენტალიტეტთან, საეკლესიო კანონებთან, საღვთისმეტყველო განწყობილებებთან და, საერთოდაც, ღვთივსულიერ ტექსტთან? ან იქნებ ის, რომ აქ ჭარბად შეინიშნება საისტორიო თხრობის ელემენტები? განცალკევებისთვის სხვა მიზეზი მართლაც აღარ იარსებებდა, ჰაგიოგრაფია ლიტერატურის ისტორიის ორგანულ ნაწილად რომ არ მიგვაჩნდეს, მაგრამ საქმეც ის გახლავთ რომ იგი „ოფიციალურად“ მწერლობის სრულიად „კანონიკურ“, ღვიძლ ნაწილად არის აღიარებული.

მაშ, მოსაძიებელია რაღაც მიზეზი.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი რეალურად არ ჩანს, თითქმის არაფერი ვიცით მისი პიროვნების, მისი ვინაობის და ბიოგრაფიის შესახებ. ხშირ შემთხვევაში იგი წაშლილია, როგორც პალიმფსესტის ძველი წარწერა.

კაცმა რომ თქვას, არც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე ვიცით ბევრი რამ, მაგრამ ჩვენს წარმოდგენაში შოთა რუსთაველის პიროვნულ ხატს ბევრი არაფერი აკლდება.

ჰაგიოგრაფია მაინც სხვა სფეროა, სხვა განზომილება, სხვა ჟანრი თუ გვარი, სადაც შეიძლება ისეც ხდებოდეს, რომ ავტორი თან საგანგებოდ მალავდეს და ჩქმალავდეს თავის პიროვნებას და თანაც თავს უფლებას აძლევდეს, შევიდეს ნაწარმოებში, მიუახლოვდეს პერსონაჟებს, განივთდეს და განეზავოს ტექსტში, თავის ქმნილებაში. ძველი ქართული ლიტერატურის პირველივე ძეგლი, პირველივე ტექსტი მეტისმეტად თვალსაჩინოდ ცხადყოფს აღნიშნულ ტენდენციას. გონების განსაკუთრებული დაძაბვა გვჭირდება

იმის გასაგებად, თუ რატომ გვთავაზობს იაკობ ხუცესი მოულოდნელ ექსპოზიციას: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ“... მკითხველი, თუ ის მკვლევარის დაინტერესებით არაა აღჭურვილი და არარსებულ წინარე შესავალს, წინა ბჭეს თუ რაღაც ამგვარს არ ეძებს, ვგონებ, საკმაოდ ბუნებრივად აღიქვამს ასეთ დასაწყისს, ვინაიდან უბრალო შესავლის უფრო გენიალურად წარმოდგენა შეუძლებელია და, რაც მთავარია, ავტორი ტექსტშია, პერსონაჟთა შორის იმყოფება, როგორც ამბის მოწმე, ანუ მოწამე, შერწყმულია, შენივთებულია თავის ქმნილებას და ამიტომ საჭიროდ აღარ მიიჩნევს ტრადიციული საავტორო წინასიტყვაობით დაარღვიოს ეს მთლიანობა.

ძნელია, გარკვეული პასუხი გაეცეს კითხვებს: ვინ არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორი – უბრალოდ მწერალი თუ განგების ნებით არჩეული პიროვნება? თვითონ ირჩევს თემას თუ, პირიქით, თემა ირჩევს მას?

წმინდანთა ცხოვრება, რომელსაც ავტორი ლიტერატურის ფაქტად და ისტორიის საკრალურ საგნად აქცეს, ერთი დიდი მთლიანობის ნაწილია, გაგრძელებაა ძველისა და დასაბამია ახლისა, მომავლისა, სადაც ამ წმინდა მოვლენის სულმა უნდა შვას და გამოაჩინოს გამგრძელებელნი წმინდანთა საქმისა, მობაძავნი მათი სათნოებისა და სიქველისა.

წმინდანთა საქმენი საგმირონი, მათი ცხოვრება და მოქალაქეობა ზოგადად დაფიქსირებულია ღვთის მიერ, შენახულია უზენაეს მეხსიერებაში, ის მორწმუნეთა შეგნებაშიც არსებობს, როგორც ზოგადი ხსოვნა, მაგრამ, ვინაიდან ადამიანის მეხსიერება შეზღუდულია, ამიტომ, ფაქტი დავიწყებას რომ არ მიეცეს, საჭიროა ხსოვნის გარდაქმნა ტრადიციად, ისტორიულ დროში ჩასმა, გამიწიერება, საღვთო ზოგადობიდან კონკრეტულზე, შეცნობაზე დაყვანა. ამ საქმის აღსრულება ავტორს ევალება და ისიც თავის საქმეს ისე აკეთებს, რომ ერთდროულად დამოუკიდებელიც არის და არც ტრადიციის მკაცრ ჩარჩოებს არღვევს. აღსაწერი ამბავი, ვითარცა ფაქტი, მისთვის აწმყოს, თანამედროვეობის ასპექტს წარმოადგენს, ამბის შინაარსი კი ტრადიციას.

ტრადიციის იმპერატიული ხასიათის გამოხატულებაა ისიც, რომ ავტორი თავისი ნებით არ ირჩევს თემას, მეტიც, შინაგანად, მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება მის მიღებას, მაგრამ ტრადიციას ბედისწერაზე ნაკლები ძალა როდი აქვს – ავტორი იღებს შეკვეთას, რომელსაც სთავაზობს სულიერი მამა ან ის ადამიანი, ვისაც ახსოვს ამბავი, ვინც ჩართულია ტრადიციის მდინარებაში. ავტორი საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს, რომ ის მხოლოდ ამბის პირდაპირ პროეცირებას ახდენს და არ იყენებს მხატვრული გამონაგონის ხერხს, რომელიც, როგორც ჩანს, საერო მწერლობის პრეროგატივად და ტყუილსაცთურის სათავედ და, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, მინუს-ხერხად მიაჩნია.

ტრადიციის წინაშე ქედის მოხრის ნიშნად, ჰაგიოგრაფოსი თავს ავალდებულებს, გააკეთოს განცხადება იმ საკითხის თაობაზე, რაც ისედაც ნათელია.

„ჩვენ თავით თვისით არარა აღგვიწერია“, - წერს გიორგი მთაწმიდელი და ამით იმდენად ფაქტის კონსტატაციას არ ახდენს, რამდენადაც თავის თავს აფიქსირებს ტრადიციის საზღვრებში.

თითქოს ყველაფერი განგების კარნახით იწერება, „გლახაკი“ ავტორის ნების გარეშე, ზეშთაგონების სიშლეგის ზღვარზე, სადაც ავტორის, შემოქმედის რაციოზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ ყოველივე ეს უმალ პოზად და არაფრისმთქმელ ეტიკეტად იქცევა, როგორც კი ავტორს დასცდება მტკიცე, გამომაფხიზლებელი ფრაზა: „ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ“!

ეს ფრაზა ქართულ ჰაგიოგრაფიაში რომ არ არსებულიყო, უნდა გამოეგონებინათ.

ეს არის არა მარტო კომპოზიციური სალტე და ნაწარმოების ლოგიკური მოდელირების მექანიზმი, არამედ შემოქმედებითი ბუნების ხმაც, რომელიც სტიქიურად აღმოცენდება ავტორის განწყობილებაში, როგორც შინაგანი იმპერატივი და აუცილებელი პირობა

შემოქმედებითი თვითგამოხატვისა, მწერლური შესაძლებლობების თვითრეალიზაციისა. ეს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ნიშანიც არის და, სიმართლე რომ ითქვას ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში იშვიათია ადგილი, სადაც ავტორს ავიწყდება ან ვეღარ გრძნობს მკითხველსა და მსმენელს. პირიქით, მთელი აქცენტი აქეთ აქვს გადატანილი, მეტისმეტი პასუხისმგებლობითა და სიფაქიზით ეკიდება მკითხველის ყურადღებას და ესოდენი გულმოდგინება ზოგჯერ ისეთ ინტიმში გადაიზრდება, ლამის აღარც დაიჯერო, რომ ეს ყოველმხრივ თავშეკავებულ ჰაგიოგრაფოსს დასცდა და უნებლიეთ გაამჟღავნა ის, რაც წესით უნდა დაემალა.

გიორგი ხუცესმონაზონი, „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ ავტორი, ხაზგასმული სიამაყით აღწერს ლეონ რომაელისა და გაბრიელ ქართველის ურთიერთობის ამბავს: მათ ერთმანეთის ენა არ იცოდნენ, მაგრამ შეეძლოთ მწუხრიდან ცისკრამდე მსხდარიყვნენ და ტკბილად ემასლაათათო. ათონზე ახლად ამოსული რომაელი სათნოდ ეთვისება ქართველებს მაშინ, როცა ლამის თანშეზრდილი ბერძნები მტრობისა და განხეთქილების ცეცხლს აღვივებენ. გიორგის ამ მორალური ანტინომიის გამოკვეთა სურს, უნდა, რაც შეიძლება თვალსაჩინოდ დაგვანახოს ბერძნების უსამართლობა და ამ დროს ვეღარ ამჩნევს, როგორ ვარდება სანტიმენტალიზმში, რომელიც, ასე მგონია, ათონელ ქართველ მამათა საერთო განწყობილების მახასიათებელი უნდა იყოს.

სხვათა შორის, გიორგი ხუცესმონაზონი ხასიათით თავის პერსონაჟს ეფთვიმეს ჰგავს – ისიც იმასავით გაურბის ამსოფლიურ შფოთსა და ამაოებას, მაგრამ, თავმდაბლობის მიუხედავად, შინაგანად უჭირს ნეიტრალიტეტის დაცვა, უსამართლობას ვერ ითმენს და განწყობილებას იმპულსურად გამოხატავს. ისიც უნდა ითქვას, რომ რომელის ამბის გამო გამჟღავნებული გიორგის სანტიმეტალურობა და ეფთვიმეს მამის, იოანეს „სპანიად“ გაქცევა ქართულ-ეროვნული ხასიათის კლასიკური გამოვლინებებია. უცხო ტომის წინაშე დამთმობი და ტოლერანტული კომპლექსებით შეპყრობილი იოანე და გიორგი გარეგნულად კი იბრძვიან წინამორბედთაგან ნაანდერძევი ათონის შესანარჩუნებლად, მაგრამ შინაგანად, გულისგულში, უთმობენ ბერძნებს. ქართული ხასიათის ამ თვისებაზე გიორგი თვითონ წერს: „ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით... და ამის მიზეზითა ფრიად ვავნებთ თვისთაცა სულთა და ადგილსაცა“ (ძეგლები 1963: ...) თავშეკავებული და ზედმიწევნით კორექტული გიორგი გამოთქვამს, ერთი შეხედვით, სუბიექტურ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც საკმაოდ ცნობილ აზრს ქართული ხასიათის შესახებ. ეფთვიმეს მემკვიდრე გიორგი წინამძღვარიც ხომ „ადრე შეირყა“ და „ბერძენნი ფრიად რაიმე შეიყვარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნამსახურნი რაიმე და უნდონი, უგულებელსყვნა და შეამცირნა“ (თ. XIX). აკი ისარგებლეს ბერძნებმა და დაიწყეს ქართველთა აღმოფხვრა ლავრიდან, რომელიც ქართველთა ოფლითა და ღვაწლით იყო აგებული. ქართველთა შორის ბევრი შინაგამცემი აღმოჩნდა და საქმეს ვეღარც იმ მოსახსენებელმა უშველა, საძმომ რომ შეადგინა. ბევრი ეორგულა წმიდა ადგილს, „საფასის სიხარბითა“ და ბერძენთა „სიყვარულით“ გასცეს და გაყიდეს მთაწმიდა.

საყურადღებოა, რომ ნაწარმოების თავში გიორგი მხოლოდ გაკვრით, მინიშნებით ახსენებს მთაწმიდის ქართული ლავრის საკითხს, ბოლოში კი მთელი სისრულით წარმოადგენს მას. რატომ? რა მიზეზია, რომ თხზულების დასაწყისში ავტორი გაურბის ამ თემაზე საუბარს? უბრალოდ, გიორგი ერიდება არაჰაგიოგრაფიული ეპიზოდის წინ წამოწევას და მართალიც არის, რადგან ეს მეტად ფაქიზი თემა ექსპოზიციაში ან მომდევნო ნაწილში უთუოდ გაზვიადებულ სახეს მიიღებდა. ფარულ იმპულსებს აყოლილ ავტორს ისიც ემჩნევა, რომ არანაირად არ სურს დაკარგოს სათხრობი მასალის ფლობის შეგრძნება, ვინაიდან იცის, თუ ამბის ქვეტექსტური შრეების კონტროლი ხელიდან გაუშვა, მაშინ ამბავიც კვდება და იდეაც. ამიტომ, როგორც ჭეშმარიტი ჰაგიოგრაფოსი, უახლოვდება, შედის და განეზავება თავის მასალაში, ასე ვთქვათ, ახდენს თვითინიციაციას სუბიექტივაციის მიზნით.

რეალისტური ნაწარმოების ავტორს თუ შევხედავთ, იგი, პირიქით, ცდილობს, დასცილდეს მხატვრულ სინამდვილეს, თავისი ფანტაზიით შექმნილ სამყაროს, თავის „მე“-ს, ივიწყებს სიმპათია-ანტიპათიებს, ემორჩილება ობიექტივაციის წესებს.

როცა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის სინამდვილე, რომელშიც თხზულება იწერება. „სინამდვილეში“, ცხადია, ვგულისხმობ ეპოქის იდეოლოგიური, ისტორიული, ფილოსოფიური, მორალურ-ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისების ერთობლიობას. ამ პრობლემის სირთულეს შესანიშნავად გრძნობენ თვით ჰაგიოგრაფოსები და ამიტომაც თითქმის არც ერთი მათგანი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, საკუთარი შემოქმედებითი „მე“-დან გამოდევნოს ნაწარმოების შექმნის, ზოგადად ქმნადობის იმპულსი და იკისროს შუამავლის როლი უზენაესის ნებასა და ტექსტს შორის.

„იოვანესადაეფთვიმესცხოვრების“ავტორიგიორგიმთაწმინდელიმართალიააცხადებს: ჩვენ თავით თვისით არარა აღგვიწერიაო და თითქოს ნათქვამის გასამართლებლად ტექსტში ხშირად იმოწმებს ათონის ლავრის ანალებს, მაგრამ იგი, ფაქტობრივად, დაინტერესებული პირია და ნებით თუ უნებლიეთ, დგას იმ გაჭიანურებული კონფლიქტის ცენტრში, რომელიც იოანეს გარდაცვალების შემდეგ დაიწყო და დიდხანს მიმდინარეობდა მთაწმიდაზე მონასტრის წინამძღვრებსა და ბერობას შორის. ამდაგვარი „თეორიული“ ნეიტრალიტეტის პარალელურად მკაფიოდ მოჩანს და სავსებით აშკარაა ტექსტის მეორე რეალობაც – ავტორი, როგორც კი ხელს ჰკიდებს წმინდანის ცხოვრების აღწერას, ის უმალ ხდება მოწმე თავისი გმირის ღვაწლისა და ამ მოვალეობას მთელი ღირსებით კისრულობს, შეგნებულად ხდება პასუხისმგებელი ეკლესიისა და თაობათა წინაშე, წინაშე სიტყვისა და დროისა.

მიხაილ ბახტინი ჰაგიოგრაფოსს ადარებს აკვარიუმში გამომწყვდეულ თევზს, რომელიც ვერასოდეს გააღწევს შუშის კედლებს მიღმა, მაგრამ, ვგონებ, არც ისეა საქმე, როგორც ეს ლამაზი და ეფექტური შედარება წარმოგვიდგენს. გარკვეული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ჰაგიოგრაფოსს საკმაო თავისუფლება აქვს იმისთვის, რომ აკვარიუმი ოკეანედ წარმოიდგინოს.

საკითხის კვლევისას წინ მოიწევს პრობლემა: ავტორი, როგორც წმინდა სუბიექტი და ავტორი, როგორც ნაწარმოების ნაწილი, კომპოზიციური წესრიგის ერთეული.

ე. წ. „წმინდა ავტორის“ დანახვა ყოველთვის შეიძლება, რადგან ის არსებობს, როგორც ტექსტის შემოქმედი, მაგრამ გაცილებით ძნელია „ავტორი-ობიექტის“ დანახვა. შემოქმედი ყოველთვის არ გადადის თავის ქმნილებაში, როგორც „ხატი“, „სახე“, თუმცა ეს გადასვლა რაღაც ფორმით ყოველთვის არსებობს. სხვა შემთხვევებზე რომ არაფერი ვთქვათ, ავტორი განფენილია ტექსტში, მთელი ნაწარმოებში, იგი წარმოადგენს ქმნილების მთლიანობისა და სისრულის გარანტს.

ტექსტის შექმნით ჰაგიოგრაფოსი აყალიბებს საკუთარ თავს –როგორც ავტორს! თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ტექსტის მეშვეობით შესაძლებელია ავტორის პიროვნების მთლიანობაში დანახვა.

ავტორი შეიძლება დავინახოთ დეტალებში, რომლებიც ნაწარმოებში განსაკუთრებულ ფუნქციას ატარებს და გამოყენებულია მკითხველის ყურადღების საორიენტაციოდ, კერძოდ, იქ, სადაც ავტორი განსაკუთრებით ცდილობს თავისი პოზიციის ან თვალთახედვის გამოკვეთას.

მაგალითად, „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ ავტორის პიროვნება სრულებით არ ჩანს, მაგრამ შესანიშნავად ვხედავთ მის შემოქმედებით ინდივიდუალობას – მძაფრი პოლემიკური ტონი და შემართება მთლიანობაში ახასიათებს ავტორის შინაგან ბუნებას და ეს არაპირდაპირი, ტექსტური დახასიათება უფრო საგულისხმო ინფორმაციას იძლევა ავტორის ხასიათის შესახებ, ვიდრე ამას მოგვცემდა პირდაპირი ცნობები მის ვინაობაზე.

თხზულებაში მთავარია ეპიზოდი, როცა სოფელ რეხში იმართება საჯარო სიტყვისგება მარზპანსა და აბიბოს ნეკრესელს შორის. გარეგნულად ამბავი პოლემიკას ჰგავს, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს არის დაკითხვა, სადაც ბრალდებული ბრალმდებლად გადაიქცევა. არადა, პოლემიკა უნდა გამართულიყო, სიტუაციაც ამას მოითხოვდა. დაპირისპირება ხომ მეტად ნიშნეულია: ცეცხლთაყვანისმცემელი მარზპანი ქრისტიანი მღვდელმთავრის წინააღმდეგ! მაგრამ ავტორი ვერ ითმენს, ჩქარობს, მისი ფიცხი ბუნება პოლემიკის მონოტონურ რიტმს ვერ ეგუება და ამიტომაც სიტყვისგება წარმოგვიდგება ეპისკოპოს აბიბოს ნეკრესელის მონოლოგად, რომელშიც ცეცხლთაყვანისმცემლობა უნუგეშოდაა გაცამტვერებული: მარტო აღნიშნულ ეპიზოდში არ იკითხება ავტორის ხასიათი, მთელი ტექსტი იძლევა ამგვარი წაკითხვის, ამგვარი რეცეფციის საშუალებას.

„შიოს და ევაგრეს ცხოვრების“ ავტორი მარტვირი-იოანე, მთავარი გმირისადმი დიდი მოკრძალების მიუხედავად, მოულოდნელად იმგვარ უშუალობას ავლენს, რომ ეს წამიერი გადახვევა პოეტურ ლიცენციადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. მაშ, რა ვუწოდოთ მარტვირი-იოანეს ლირიკულ აღტყინებას და ანაზდად წარმოთქმულ ფრაზას: „ჩემი... შიო“? ალბათ, ეს არის თავისუფლების ნორმის ის მაქსიმუმი, რასაც ავტორი თავის თავს უწესებს. აი, ეს სიტყვები: „და ყვავიან სახლსა შინა ღმრთისასა, ვითარცა ვარდნი შვენიერნი, და ვითარცა შროშანნი სულნელნი, რომელთაგანი ერთი არს ჩემი ყოვლად-სასურველი, ღმრთივ ცნობილი, წინაისწარ და მიერვე გამორჩეული, სამგზის სანატრელი შიო“ (ძეგლები 1971: 108).

ერთი სიტყვით, ჰაგიოგრაფიული ჩარჩოები შემოქმედის ინდივიდუალობას ისე არ ზღუდავს, რომ შეუძლებელი იყოს ავტორის განჭვრეტა. მეტიც, როგორც დავინახეთ, ტექსტის რეალიებში ჰაგიოგრაფოსის პიროვნულ-შემოქმედებითი ხასიათიც კი იგრძნობა. რომელი დაკვირვებული მკითხველი იტყვის, რომ არ შეუძლია ერთმანეთისგან განარჩიოს თავდაჭერილი იაკობ ხუცესი და ენაწყლიანი, ლამის ეგზალტირებული ბასილ ზარზმელი; ან – რომ ვერ ხედავს განსხვავებას ხაზგასმულად დინჯ გიორგი მერჩულესა და პოეტურად განწყობილ იოანე საბანისძეს შორის, ზედმიწევნით პუნქტუალურ სტეფანე მტბევარსა და რეალისტ გიორგი მთაწმინდელს შორის და ა. შ.

ჰაგიოგრაფოსს, როგორც ღვთისმსახურს, როგორც ღვთის მონას, შემოქმედებითი თავისუფლების თვალსაზრისით, მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ, უპირველეს ყოვლისა – ჟანრობრივი ჩარჩოები. თუმცა ასეთი შეზღუდვები გარკვეულ შემთხვევებში ხელსაც კი უწყობს, რომ თხრობა ზომიერ, ბუნებრივ ტონალობებში წარმართოს და ამით მოცემული მასალის ობიექტივაცია, ანუ ჩანაფიქრის რეალიზება უფრო შთამბეჭდავი ფორმით მოახდინოს.

რამდენადაც სასულიერო მწერლობას ვიცნობ, ჰაგიოგრაფოსს, ფაქტობრივად ეკრძალება გრძნობიერების, აღტაცების გამოხატვა, თუ ეს გმირს ან მასთან დაკავშირებულ მოვლენებს არ ეხება. საერო მწერლობაში ამგვარი შეზღუდვა არ არსებობს. საერო მწერალს, რომელსაც უდიდესი თავისუფლება აქვს და შეუძლია, როგორც უნდა, ისარგებლოს შეუზღუდავი საშუალებებით, გარკვეულად მართლაც უპირატესობა აქვს ჰაგიოგრაფოსთან შედარებით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ უკანასკნელს სწორედ ნორმატიული შეზღუდვა იცავს ისეთი ზედმეტობებისგან, რაც ხშირად მოსდით საერო მწერლებს, როცა ისინი შთაბეჭდილების ან ეფექტურობის გაძლიერების მიზნით გამოხატვის მაღალ რეგისტრს მიმართავენ და ამით ყალბ პათეტიკაში ვარდებიან.

ბოლოს და ბოლოს, თხრობის ხელოვნება იმისთვის არსებობს, რომ მთხრობელი რაც შეიძლება საინტერესოდ მოჰყვეს ამბავს და რაც შეიძლება მეტი ადამიანის გულისყური მიიპყროს. დაინტერესების მომენტი კი ისეთი ფაქტორია, რომ ავტორი ძალაუნებურად ემორჩილება თხრობის სტიქიას და ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობს მკითხველის ყურადღების მიპყრობას. არ არსებობს შემოქმედი, მწერალი იქნება ეს თუ

კომპოზიტორი, რეჟისორი თუ მოქანდაკე, მხატვარი თუ მსახიობი, რომ თავის თავში არ ეძებდეს რეციპიენტის, ანუ აღმქმელის მაქსიმალური დაინტერესების ფარულ ინტრიგას.

ჰაგიოგრაფოსი, როგორი მზამზარეული მასალაც უნდა ჰქონდეს და რაოდენ რთული კონვენციური ჩარჩოები უნდა ზღუდავდეს, უპირველეს ყოვლისა, მწერალია, ტექსტის ავტორია და თავისი ფსიქოლოგიური მზაობით ზუსტად შეესაბამება შემოქმედის ტიპს, რომლისთვისაც მკითხველის დაინტერესებას გადამწყვეტი, შეიძლება ითქვას, საარსებო მნიშვნელობა აქვს.

ჰაგიოგრაფოსი, ევანგელისტის მსგავსად, ნათელხილვას ანდობს თავის შთაგონებას, მაგრამ თხრობის პროცესში ეს მომენტი თავისთავად ფსიქოლოგიურ განწყობად გარდაიქმნება, რაც საშუალებას აძლევს, უხვად გამოიყენოს უკვე ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა, ხოლო ნათელხილვის, ანუ გამოცხადების მომენტი, როგორც კომპოზიციური აქცენტი, თხზულების საკვანძო ადგილებისთვის შემოინახოს.

შემოქმედებითი აქტი არის ხანგრძლივი და რთული პროცესის ნაწილი, სადაც მთავარ როლს თამაშობს განწყობა და ნებისყოფა.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში იყო და არის სერიოზული ცდები იმისა, რომ მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი განხილულ იქნას დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის შესაბამისად (აკაკი ვასაძე, რევაზ სირაძე). ყოველგვარი მხატვრული ტექსტი, რა ეპოქას და ჟანრსაც უნდა განეკუთვნებოდეს, საბოლოო ჯამში განიხილება როგორც პროდუქტი ავტორის ინსპირაციის, ანუ შთაგონებისა, რის საფუძველსაც წარმოადგენს ზოგადი ფსიქოლოგიური კომპლექსი. დიმიტრი უზნაძის აზრით, მხატვრულ შემოქმედებას საფუძვლად უდევს განწყობა, რომელიც შთაგონების (ინსპირაციის) წინა პერიოდში მზადდება და ცნობიერებაში შემდეგ იჩენს თავს. შთაგონება, ანუ ინსპირაცია წარმოადგენს განწყობის მომწიფების გამოვლენას ცნობიერებაში (დ. უზნაძე 1998:601). ჩვეულებრივ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ დიმიტრი უზნაძეს თავისი თეორიის ჩამოყალიბებისას ჰაგიოგრაფოსის შემოქმედებითი ნატურაც რომ გაეთვალისწინებინა, მაშინ მას მოუწევდა დაეშვა ანტითეზისი, ესე იგი, მხედველობაში მიეღო საპირისპირო დასკვნაც. საქმე ის არის, რომ, თუკი საერო ხელოვნებაში განწყობის მეშვეობით ხორციელდება გზა: ინსპირაცია – ცნობიერება, ჰაგიოგრაფიაში, პირიქით, განწყობის მეშვეობით ხდება გადასვლა: ცნობიერება – ინსპირაცია. ეს არის ის ძირითადი მომენტი, რითაც საეკლესიო მწერლობა განსხვავდება საერო მწერლობისაგან და, ალბათ, აქ უნდა ვეძებოთ იმ განცალკევების კომპლექსის ერთ-ერთი მიზეზი, რაზედაც თავში მოგახსენებდით, და რის გამოც ჰაგიოგრაფია ლიტერატურის ისტორიაში ისე მოჩანს, როგორც კუნძული ზღვაში ან გიშრის მარცვალი ქარვის კრიალოსანში.

ჰაგიოგრაფოსს შეკვეთით ეძლევა თემა და ის ყველანაირად ცდილობს, მოიახლოვოს ინსპირაციის (შთაგონების) მომენტი, რისთვისაც მიმართავს განწყობის ინტენსიფიკაციას. თხზულების შესავალში მის მიერ გამოხატული თვითგვემამდე მისული თავმდაბლობა, – რომ ის არის ყოვლად უღირსი, უძლური, კადნიერი, უგუნური, „სულელთა ყოველთა უდარესი“ და ა. შ., წარმოადგენს ცნობიერი ინსპირაციის საშუალებას. ამგვარი გზი იგი განაწყობს თავს ღვთივსულიერი ტექსტის შესაქმნელად, თითქოს თავისუფლდება გონისაგან, რათა ადგილი დაუთმოს წმინდა შთაგონებას.

ჰაგიოგრაფიის კლასიკური ხანის ეს იმანენტური კომპლექსი შემდგომში ირღვევა და უბრალო ეტიკეტის შინაარსს იძენს. მაგალითად, ეგრეთ წოდებული აღორძინების ხანის ჰაგიოგრაფოსი გრიგოლ დოდორქელი-ვახვახიშვილი, რომელმაც აღწერა ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, ერთი შეხედვით, ძველ ტრადიციებს მისდევს, მისი თხზულების შესავალში ის რეალიებიც გაკრთება, რომლებსაც ძველ ავტორთა შინაგანი ბუნების გამოვლინებად და ინსპირაციის მომენტად მივიჩნევთ – „სიტყვანი ჩემნი კნინ და შეურაცხ...“ ან „მაიძულეს მე კაცთა ვიეთმე ღმრთის მოყვარეთა“ და მისთანანი – მაგრამ

ტექსტში მაინც იგრძნობა დისტანცია ტრადიციის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ენობრივ-სტილური თვალსაზრისით გრიგოლი ზედმიწევნით ზუსტად იცავს ქართული ჰაგიოგრაფიის კლასიკურ ფორმას, შინაარსობრივ ასპექტში ისტორიული ჟანრის გავლენას განიცდის. ერთი სიტყვით, ავტორის ფსიქოლოგიურ განწყობაში შეიჭრა რაღაც განსხვავებული, არატრადიციული მოტივი – დროის, ეპოქის ნიშანი, რომელმაც უფრო გამოკვეთა და ცხადყო, რომ კლასიკური პერიოდის ქართული ჰაგიოგრაფია, როგორც თავისთავადი მოვლენა, დასრულებული, ჩაკეტილი სისტემა იყო და მისი გახსნა მხოლოდ პირობითობის დონე თუ შეიძლებოდა, დაახლოებით ისე, როგორც კლასიცისტებმა „გახსნეს“ ძველი ბერძნული დრამა. კლასიციზმი შემთხვევით არ მიხსენებია – ანტონ კათალიკოსის „მარტირიკაში“ წარმოდგენილი ჰაგიოგრაფიული თხზულებების სტილისათვის მართლაც საკმაოდ ნიშნეულია კლასიციზმისათვის დამახასიათებელი რაციონალიზმი, მონუმენტურობა და სქემატურობაც კი.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, „მეცნიერება“, თბილისი, 1971;
- დიმიტრი უზნაძე, შრომები, გამომცემლობა „აღმაშენებელი“, თბილისი, 1998.

ივანე ამირხანაშვილი - ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირი

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ არის ერთი, ასე ვთქვათ, ზეჰაგიოგრაფიული შენიშვნა, რომელიც მოწამისა და მოღვაწის ფუნქციურ გამიჯვნას ეხება: „მარტვილნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესე (ბერ-მონაზვნები) ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათვის ქრისტეისა“.

– მარტვილნი მხოლოდ ერთხელ ეწამებიან, ბერ-მონაზვნები კი განუწყვეტლივ... ესე იგი, მოწამის გზა სასუფევლისაკენ ვერტიკალია, ბერ-მონაზვნისა – ჰორიზონტალი.

გიორგი მერჩულეს მიერ შემოთავაზებულ ანტინომიაში ნათლად იკვეთება ჰაგიოგრაფიული პრინციპი გმირის ხატ-წერისა.

„მარტვილობის“ მთავარი გმირი, ვითარცა მოწამე, თავიდანვე შარავანდედითაა მოსილი, მისი ვერტიკალი თხზულების შესავალში იწყება და ფინალი მხოლოდ აფიქსირებს ვერტიკალის არსებობას; „ცხოვრების“ გმირი, ვითარცა მოქალაქე, მოღვაწე, გაივლის ქმედებისა და ზეციური მადლის მოპოვების გზას ანუ ჰორიზონტალს და გზის ბოლოს იწყებს ზეაღვსლას.

მოღვაწის მუშაკობა და მოქალაქობა მტევანივით მწიფდება (ბასილი ზარზმელი), მოწამის დიდება კი ცეცხლივით ავარდება ზეცად (იოანე საბანის ძე)

„ცხოვრების“ გმირი თავის თავს თვითონ ქმნის, „წამების“ გმირს კი კონფლიქტი ბადებს.

მოღვაწე უპირისპირდება გარემოს და ცვლის მას.

მოწამეს, პირიქით, გარემო უპირისპირდება და ქმნის მისგან მსხვერპლს.

ორივე შემთხვევაში შედეგი ერთნაირია – იბადება წმინდანი.

ჰაგიოგრაფიაში არ არსებობს გამოსახვის არცერთი საშუალება, გმირის ხატის წარმოდგენას რომ არ ემსახურებოდეს. ყოველგვარი სარწმუნოებრივი, იდეოლოგიური, ისტორიული, საზოგადოებრივი, ეთიკური თუ ესთეტიკური მოცემულობა, რაც კი კონცეფციის ფორმით არსებობს თხზულებაში, ,,სუფთა” სახით ილექება გმირის ხატზე. შეიძლება ითქვას, რომ გმირი არის ჰაგიოგრაფიული უნივერსუმი, მთელი ჟანრი თავის ისტორიულ განვითარებაში. ამიტომ ჰაგიოგრაფიული გმირის მთლიანობაში წარმოდგენა ისევე შეუძლებელია, როგორც მწვერვალის განჭვრეტა ნატურალური სიდიდით. მთელი ნაწილში

უნდა დავინახოთ. შეუძლებელია გრიგოლ ხანძთელის ან აბო თბილელის ჰაგიოგრაფიულ ფიგურათა წარმოდგენა იმ სიდიდით, რა სიდიდესაც ანიჭებენ მათ გიორგი მერჩულე და იოანე საბანისძე – ლოგიკურ კვლევას არ ძალუძს მოახდინოს სარწმუნოებრივი, ისტორიული, ეროვნული, ეთიკური და ესთეტიკური იდეალების იმგვარი მისტიკური შერწყმა, როგორსაც ავტორები გვთავაზობენ. სხვა თუ არაფერი, მისტიკა ლოგიკის წესებს არ ექვემდებარება, ამიტომ მკვლევარს ორი გზა დარჩენია: დაწეროს ახალი თხზულება, გნებავთ, ტრაქტატი, რომელიც იქნებოდა აღიარება იმისა, რომ ამაო საქმეა ჰაგიოგრაფიული მეტაფიზიკის რეალისტური ანალიზის ცდა ან დაკმაყოფილდეს ნაწილის ჭვრეტით.

ალტერნატივის პირველი ვარიანტი არც ისე უპერსპექტივოა, როგორც ერთი შეხედვით მოჩანს. ამ გზას გაჰყვა ანტონ კათალიკოსი, როცა სარწმუნოებრივი გმირის იდეალით შთაგონებულმა ხელმეორედ აღწერა წმინდანთა ცხოვრებანი.

მეორე გზა შედარებით თავისუფალი და „დემოკრატიულია“ იმ მხრივ, რომ სიმაღლის ჭვრეტა ნებისმიერი წერტილიდან არის შესაძლებელი და თანაც არსებობს საშუალება, რომ ნაწილის მეშვეობით მოვახდინოთ მთელის კონსტრუირება პირობითი მასშტაბით, მით უმეტეს, თუკი ჩვენი მიზანია ჰაგიოგრაფიული გმირის მხატვრული წარმოსახვის ბელეტრისტული ელემენტების კვლევა და არა საღვთისმეტყველო საფუძვლის ანალიზი. ასეა თუ ისე, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის ლიტერატურული ფიგურა არ არის ის ლაბირინთი, სადაც შეუძლებელია ლოგიკური დისკურსებით გზით გაკვლევა.

მართალია, გმირი ფორმალურად არის არა გამომხატველი, არამედ გამოხატული, მაგრამ ვინ კარნახობს ავტორს? ვინ წარმართავს მის ნებას? რა თქმა უნდა, გმირი. ამ თვალსაზრისით, გმირი შეიძლება ავტორადაც მივიჩნიოთ, რადგან იგი თვითონ არის ავტორიტეტი, ჟანრისმიერი ავტორიტარი, მთხრობელს თვითონ კარნახობს ჰერიოზაციის პირობებს, მის ხელშია ემოციურ-ეთიკური მოტივაციების გასაღები, მასზეა დამოკიდებული მხატვრული გაფორმების ვარიაციები, ის არის სახე, რომელიც მწერლის წარმოსახვაში კი არა, პარადიგმებში აღმოცენდება, უპიროვნო ჭეშმარიტებიდან წარმოშვება და იქვე რჩება პიროვნულ ჭეშმარიტებამდე არ მიდის, რადგან მხოლოდ საღვთო განგებულების მასშტაბებში ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას.

ამავე დროს გმირი არ არის თავისუფალი, ის სქემაზეა დამოკიდებული, სქემის მიზანდასახულობას ასრულებს, რათა ჩამოყალიბდეს იდეად, რომელიც დროისა და სივრცის გარეთ დადგება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დრო-სივრცის გარეთ ანუ მარად აწმყოში გადადის სული, ხოლო სხეული, რომელიც მოქმედებს და რომელზედაც მოქმედებენ, რჩება სივრცეში. ეს სივრცე ანუ გმირის ყოფიერება არის მყარი ერთიანობა, რომელიც არ იშლება ნაწილებად, არ ნაწევრდება ელემენტებად, ამიტომ გმირის მიმართება სინამდვილესთან არის მთლიანი და დაუნაწევრებელი.

გმირის „სტერილურ“ ხასიათში ჩადებული კოდი აყალიბებს სინამდვილეს, რომელზეც გადის გზა მეტაფიზიკისაკენ. გმირი თავისი ინდივიდუალობიდან ზოგად-აბსტრაქტულის სფეროში გადაეშვება.

მოწამე უნდა დამარცხდეს ამსოფლიურ ძალებთან ბრძოლაში, რათა, როგორც პოლ დე მანი იტყოდა, დაეცეს ზევით (დე მანი 2002: 71)

„ცხოვრების“ გმირმა, პირიქით, უნდა გაიმარჯვოს ემპირიულ ძალებთან ბრძოლაში, რათა ამგვარად აღსრულდეს მისი გასაგნება საქმეში, მისი გამთლიანება ღვაწლში, სადაც არის ზეცისა და მიწის შეერთების ადგილი.

წმინდანის სულის დიალექტიკა ღვთაებრივ სივრცეში ხორციელდება. მიხაილ ბახტინის აზრით, ღვთაებაში გაშინაარსებული ცხოვრება ტრადიციული, საყოველთაოდ მიღებული ფორმებით უნდა გამოიხატებოდეს, ამიტომ ავტორის პიეტეტი უარყოფს ინდივიდუალურ ინიციატივას, გამოხატვის ინდივიდუალურ არჩევანს. ავტორი იძულებულია უარი თქვას თავის თავზე, თავის პიროვნულ აქტიურობაზე. ამის გამო ღებულობს ტრადიციულ და პირობით

ხასიათს. მაშასადამე, წმინდანის გარეგნული თვისებების ერთიანობა არ თანხვდება ავტორის ინდივიდუალურ ერთიანობას. ავტორი აქტიურად იყენებს განზემდგომის პოზიციას. „განზემდგომობა“ თავისთავად გულისხმობს პასიურობას და აპრობირებულ ფორმებზე ორიენტირებას. ჰაგიოგრაფია, ხატწერის მსგავსად, გაურბის შემზღუდველ, ზედმეტად კონკრეტიზებულ ტრანსგრედიენტობას ანუ გარეგნულ დახასიათებას, რადგან ეს მომენტები ამცირებს ავტორიტეტულობის ხარისხს. უნდა გამოირიცხოს კონკრეტული ეპოქისათვის, კონკრეტული ერისათვის, კონკრეტული საზოგადოებისათვის, თუ კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი ტიპიურობა. ავტორმა უნდა უარყოს გმირის სახის, ბიოგრაფიის, ხასიათის კონკრეტული ნიშნები, დეტალები და წვრილმანები, ყველაფერი ის, რაც აძლიერებს მოცემული პიროვნების განსაზღვრულობას ყოფიერებაში. ტიპური, სახასიათო და ბიოგრაფიული კონკრეტიკა აკნინებს გმირის ავტორიტეტს, წმინდანის ცხოვრება თავიდანვე მარადიულობაში მიმდინარეობს (ბახტინი 1979: 161)

გმირი, ერთი მხრივ, კი – დგას ყოფითი კონკრეტიკის გარეთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მას აქვს თავისი კონკრეტიკა, რომელთან შეპირისპირებით იგი ყალიბდება როგორც ჰაგიოგრაფიული ხატი. მაგალითად, მოწამის „კონკრეტიკას“ ანტიგმირი წარმოადგენს. ,,წამების” მთავარი გმირის სახე ანტიგმირთან შეპირისპირებით ყალიბდება.

როგორც სარკეში სწორდება შებრუნებული ფორმები, ან როგორც ფოტოპოზიტივი ანათებს ნეგატივის სიშავეებს, ისე გმირის სახე წარმოადგენს ანტიგმირის შებრუნებულ ფორმას, მის ოპტიკურ განათებას. სხვათა შორის, თანამედროვე ბაროკალურ ესთეტიკაში, რომელსაც პოსტმოდერნიზმი ქადაგებს, სარკის პრინციპი დაახლოებით ასევე ხორციელდება – მთავარი გმირი თავის თავს სხვაში ხედავს, სხვა პერსონაჟში გარდაისახება და სულაც გადადის მასში. Uმბერტო ეკოს რომან „წინადღის კუნძულის“გმირი რობერტ დე ლა გრივი მოსისხლე მტერში გადადის. ოღონდ აქ ის განსხვავებაა, რომ პოსტმოდერნისტის ხედვა პირდაპირ პერსპექტივას გულისხმობს, ჰაგიოგრაფოსისა კი უკუპერსპექტივას, სადაც კონტრასტის ფაქტორი უპირველესი პირობაა.

იაკობ ხუცესის თხზულებაში პირველი ვარსქენი გამოჩნდება – ანტიგმირი, გმირის ოპოზიცია, კონფლიქტის მამოძრავებელი ძალა. რომ არ არსებობდეს ვარქსენი, არ იქნება შუშანიკი, რადგან არ იქნება კონფლიქტი, წამება, ცადამაღლება.

„მარტვილობის“ გმირს კონფლიქტი ბადებს.

რაც უფრო მძაფრდება დაპირისპირება, მით უფრო გამოიკვეთება გმირის სახე.

დრამატულ პერიპეტიებში ვარსქენის სახე უფრო და უფრო მკვეთრი და ინდივიდუალიზებული ხდება, დეტალს დეტალი ემატება, შტრიხს – შტრიხი და ეს ხდება იმგვარად, რომ ნეგატივში დაგროვილი სიშავე სინათლის ეფექტად გარდაიქმნება პოზიტივში – გმირის ხატზე. რევაზ სირაძის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, სიკეთის ჩამხშობი ძალა სიკეთის გამაღვივებელ ძალად გადაიქცევა (სირაძე 1987: 55)

რაღა თქმა უნდა, ეს არის მეთოდი, ლიტერატურული ხერხი, ტრადიცია და ამავე დროს, ავტორის ინდივიდუალური სტილი, ხასიათი, განწყობილება, მსოფლმხედველობა, ნიჭი.

იაკობ ხუცესის თხზულების კომპოზიციის სიმტკიცეს ვარქსენის სახეც განაპირობებს, უფრო სწორად, სიმტკიცის ფაქტორი არის ვარქსენისა და შუშანიკის, ანტიგმირისა და გმირის დაპირისპირება მის მუდმივობაში ანუ მოქმედების განვითარებაში. შუშანიკი ყოველთვის გარბის სასახლიდან, გარბის სახლაკიდან, გარბის კარის ეკლესიიდან, ზოგადად რომ წარმოვიდგინოთ, გარბის ხორციელი სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ ანუ მარადიული სიცოცხლისაკენ; ვარქსენი კი ყოველთვის მოდის და შუშანიკი მიჰყავს ან ცდილობს წაიყვანოს, ცდილობს შეაბრუნოს მარადიული სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ ანუ იქითკენ, სადაც თვითონ იმყოფება. ისინი ერთმანეთის აჩრდილებს ეთამაშებიან, რადგან ფიზიკურად და სულიერად ერთმანეთისთვის აღარ არსებობენ. მათ შორის აჩრდილივით მოძრაობს ავტორი – იაკობი, რომელმაც კარგად იცის თავისი როლი: გაჩნდეს იქ, სადაც

ტკივილისაგან წარმოქმნილი სიცარიელეა და მუდარით ამოთქვას ორი სიტყვა – „ნუ ჯეკმა!“ – ძალიან ნუ!

ვინ არის გმირი? _მწერლის თვალთახედვა თუ იდეა, რომელიც აერთიანებს გმირსაც და მწერალსაც? რა თქმა უნდა, იდეა, რადგან გმირი ისტორიაა, მეტაფიზიკური ისტორია ანუ იდეა, რომელსაც ქმნის გმირი ავტორის დახმარებით. ეს არის მთლიანი ადამიანის იდეა, რომელიც სქემის სახით არის მოცემული, თუმცა სქემის ელემენტები დალაგებულია ლოგიკურ-ქრონოლოგიური რიგის მიხედვით ისე, რომ შეიქმნას ბელეტრისტული ეფექტი და თხზულება იქნეს წარმოდგენილი, როგორც გმირის ცხოვრების მხატვრული ტრანსკრიფცია.

ჰაგიოგრაფია, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური თვალთახედვით ახდენს გმირის დახასიათებას, შეიძლება მივიჩნიოთ ანთროპოცენტრულ ლიტერატურად თუნდაც იმიტომ, რომ მასში საკმაოდ დიდია სუბიექტივიზმის წილი, რაც ძირითადად ირაციონალურ, ემოციურ საწყისებთან არის დაკავშირებული, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში აქცენტი კეთდება არა შემეცნებაზე, არამედ ემოციურ თანაგანცდაზე, თანამონაწილეობაზე. ჰაგიოგრაფიული თხრობა წარმოშობს თანაგრძნობის განსაკუთრებულ პათეტიკას და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენ თვალწინ ადამიანური დრამა ან ტრაგედია კი არ თამაშდება, არამედ სანთელი იწვის ღვთის სადიდებლად. ახდენს გმირის დახასიათებას, შეიძლება მივიჩნიოთ ანთროპოცენტრუ; ლიტერატურად თუნდაც იმიტომ, რომ მასში საკმაოდ დიდია სუბიექტიზმის წილი, რაც ძირითადად ირაციონალურ, ემოციურ საწყისებთან არის დაკავშირებული, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში აქცენტი კეთდება არა შემეცნებაზე, არამედ ემოციურ თანაგანცდაზე, თანამონაწილეობაზე. ჰაგიოგრაფიული თხრობა წარმოშობს თანაგრძნობის განსაკუთრებულ პოლიტიკას და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენ თვალწინ ადამიანური დრამა ან ტრაგედია კი არ თამაშდება, არამედ სანთელი იწვის ღვთის სადიდებლად.

დამოწმებანი:

- დე მანი 2002: Де Ман П. Слепота и прозрение. Санкт-Петербург: Гуманитарная академия, 2002.
- ბახტინი 1979: Бахтин М. Эстетика словесного творчества. М.: „Искусство“, 1987.
- სირაძე 1987: სირაძე რ. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ.: „განათლება“, 1987.

ივანე ამირხანაშვილი - ჰაგიოგრაფიის ანტიგმირი

აგიოგრაფიული ტექსტის მამოძრავებელი ძალაა დაპირისპირება: გმირი - ანტიგმირი. ეს ის სქემაა, რომელსაც ანტიკურ დრამაში ვხედავთ: პროტაგონისტი - ანტაგონისტი.

გმირის პიროვნება სამგანზომილებიანია - გული, სული და სხეული; ანტიგმირს მხოლოდ ერთი საწყისი აქვს - სხეული. ამიტომ წარმოადგენს არა პიროვნებას, არამედ ძალას, მძლავრს, გაარსებითებულ ადიექტივს. თუმცა მისი ძალა ილუზიაა. ანტიგმირს სული რომ ჰქონოდა, ის იქნებოდა ტრაგიკული სული; გულიც რომ ჰქონოდა, იქნებოდა ტრაგიკული პიროვნება.

პიროვნება (გმირი) სულის კორელატია, ღვთაებრივი სულის. იგი დამოუკიდებლად ახორციელებს კავშირს სამყაროსთან და ეს კავშირი ვლინდება ქმედების სახით, რომელიც არის საქციელი, შრომა.

აგიოგრაფიული სუბიექტი ანუ გმირი არის ქრისტიანული კულტურის ობიექტი, რომელსაც ვერ გაიგებ, თუ არ გაარკვიე, რისთვის არსებობს, რას ამტკიცებს, რას უარყოფს.

ამის გარკვევაში გვეხმარებიან გმირის ირგვლივ მოქმედი პერსონაჟები, რომლებსაც მკაცრად ფუნქციური მნიშვნელობა აქვთ. ისინი ფონს ქმნიან მთავარი გმირის წარმოსაჩენად (ფარულავა 1982: 214).

ანტიგმირის ქცევა, მოქმედება არის ის, რასაც ფუნქციას უწოდებენ. მისი მთავარი თვისებაა განმეორება, უცვლელობა, მდგრადობა (პროპი 1984: 33).

განწყობის თეორიას თუ გავითვალისწინებთ, ეს არის ფიქსირებული განწყობა, რომელიც ტოტალურად ბატონობს სხვა განწყობებზე და არ აძლევს მათ თავის წარმოჩენის საშუალებას; ნებისმიერ ადეკვატურ განწყობას ახშობს და მის ადგილს თვითონ იკავებს და მუდმივი აქტივაციის რეჟიმში რჩება (უზნაძე 1977: 62).

ანტიგმირი არ არის „თვითმოძრავი ჭური“, ეს არის ანგაჟირებული პერსონაჟი, პრაქტიკული დანიშნულების საგანი, გამადიდებელი შუშა, რომლის მეშვეობით ავტორი კონფლიქტის არსს ათვალსაჩინოებს. ერთნიშნაა და მონოსემანტიკური ხასიათი აქვს. სავსებით ჩაკეტილი აქვს ესთეტიკური ველი. არ გააჩნია მეორე, შინაგანი ბუნება. მოკლებულია პლასტიკურობას.

მისი პიროვნულობის ადგილი ცარიელია. დარჩენილია ფორმა. ამავე დროს, მოკლებულია იდეურ პათოსს, რითაც სავსეა გმირი. ტიპური, განმაზოგადებელი, საერთო მასში არის იმდენად, რამდენადაც თავის თავს იმეორებს. არარსებული შინაგანი ფორმა გამოიხატება გარეგნული ფორმით, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სტერეოტიპი.

დიფერენცირებულად, ცალ-ცალკე აღიქვამ იმას, რაც თვითონ არის და იმას, რასაც წარმოადგენს, რასაც გამოხატავს. ის ხასიათდება არა საქციელის, ქმედების ან ჟესტის მიხედვით, არამედ პრინციპის მიხედვით. ზედმეტია საუბარი ინდივიდუალიზაციაზე. შეუძლებელია მოითხოვო მისგან ის, რაც მასში არ არის. „მსახიობია“ და ასრულებს როლს დადგენილი პრინციპის მიხედვით. მისი ხასიათის „გამოწვლილვა“ ხდება იმ მომენტებში, როდესაც არ „თამაშობს“. მაგალითად, ვარსქენის ხასიათის „არააგიოგრაფიულ“ შტრიხებს ვამჩნევთ მაშინ, როცა გამოდის დაპირისპირების რეჟიმიდან და თავის თავს უბრუნდება. ერთი ასეთი „გათიშვა“ ემართება მეცამეტე თავში: შუშანიკის შემონათვალს მოუტანს ძუძუმტე ციხიდან - როგორ დავბრუნდე, როცა შენ თვითონ მითხარი, მანდედან ცოცხალი ვეღარ გამოხვალო. „ნანდვილვე ვთქუ ეგე!“ - იტყვის ვარსქენი. აღიარებს, რომ შეცდა, უფრო სწორად, თავისივე ნათქვამი რომ დაავიწყდა.

არის შინაგანი კავშირი ინდივიდუალიზმის „გამონათებასა“ და სავალდებულო ქცევას შორის. შესაძლოა ეს იყოს განუხორციელებელი დიალექტიკა, უძრაობაში ჩარჩენილი მექანიზმი ხასიათისა.

ვარსქენი ინდივიდუალისტია. მოქმედებს თავისი სქემის შესაბამისად. იღებს ინიციატივას. იწყებს როგორც გამარჯვებული, ამთავრებს როგორც დამარცხებული. ცვლის საგანთა არსებულ რიგს, მაგრამ ცვლილებანი მისსავე საწინააღმდეგოდ ამოქმედდება. ერთი მხრივ, ვარსქენი არის გამანადგურებელი ძალა, მეორე მხრივ, კონსტრუქციულია იმ მხრივ, რომ ქმნის ნარატივს. მის გარეშე არ იქნებოდა ამბავი, ფაბულა, სიუჟეტი. ერთი სიტყვით, არ იქნებოდა ქმედითი ანტინომიურობის ენერგია, რომელიც იწვევს და მუხტავს ავტორის შთაგონებას.

ანტიგმირის ქცევა დეტერმინირებულია, განსაზღვრულია მოვლენათა განვითარებით. ის ექსტრიმს ახორციელებს ავტონომიურად, განსაზღვრული მიზნით. ამიტომ მოკლებულია ცოცხალ მთლიანობას. მასში არის ანგარიში და არ არის სიყვარული - ცოცხალი ენერგიის უმაღლესი გამოვლინება. მსოფლმხედველობას ზღუდავს პრაქტიკული მიზანი. თვითცნობიერებას ამწყვდევს თავის თავში, სადაც თვითონაც იკეტება, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში. ქმედება პიროვნულობის გარეშე. ბოროტება ბოროტების ფორმაში. ეს ფორმა ბოლომდე აბსტრაქტული ვერ იქნება. იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს სინამდვილის ნიშანს, ყოფიერების ნებას, დანიშნულების საგანს.

გასაზიარებელია თვალსაზრისი, რომ „ადამიანები და საგნები შეიცავენ მხოლოდ იმ ელემენტებს და მხოლოდ იმ თანაფარდობით, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა შეასრულონ თავიანთი დანიშნულება“ (გინზბურგი 1979: 7).

პერსონაჟის საქციელის ინდექსი თავიდანვე ეძლევა მკითხველს. ეგრეთ წოდებული გაცნობის ფორმულა მისთვის არ არსებობს, ვინაიდან თავიდანვე წარმოდგება კონფლიქტის მხარედ. ვარსქენის გამოჩენა და მისი პირველადი დახასიათება თითქმის ერთდროულია. ერთ რიტმშია მოქცეული. მეტიც, მკითხველი მას გაცნობამდე „იცნობს“. ყველა ანტიგმირში ზის „ნაცნობი უცნობი“. შეიძლება ამას დავარქვათ ფაქტორი, მამოძრავებელი ძალა, რომელიც განსაზღვრავს ჟანრის ხასიათს, სტილს, ფორმას.

არსებობს მთავარი კონფლიქტი. არ არსებობს მიკროკონფლიქტი. წინააღმდეგობის პრინციპი სიუჟეტის მამოძრავებელი ენერგიაა, ანტინომია - ორწევრა ერთიანობა. წაკითხვის არსი: ერთი ამტკიცებს თავის სიმაღლეს, მეორე - სიმდაბლეს, ერთი - ზნეობის სიწმინდეს, მეორე - ზნეობის ვულგარულობას. პოლარიზაციის სათავეშია საქმე, ღვაწლი, სიწმინდე. ასე იქმნება წინააღმდეგობის ეფექტი. ეს თითქმის იგივეა, რაც მხატვრული ეფექტი.

ანტიგმირის ფუნქცია მყარია. მისი თეორია და პრაქტიკა ერთი მთლიანობაა. ის არის სიმბოლო, მეტაფორული სახე ოპოზიციური მხარისა. ეს, რაც შეეხება გარეგნულ მხარეს. შინაგანად მაინც აბსტრაქციისაკენ მიდის. ცალმხრივი სუბიექტურობა შობს აბსოლუტურ უარმყოფელობას, რომელიც კონკრეტულობას შორდება. აგრესია გადაიზრდება იდეისადმი მონურ მორჩილებაში. ანტიგმირს ამოძრავებს არა პრაქტიკული მიზანი, არამედ წინააღმდეგობის იდეა-ფიქსი. მისი მრისხანება ჰგავს ჭექა-ქუხილს, რომელსაც წვიმა არ მოჰყვება.

დაპირისპირება ვითარდება დროში, რომელიც ამზადებს გმირის ამაღლებას, და ანტიგმირის დაცემას, გაქრობას, უძალოქმნას.

ანტიგმირი უცერემონიოდ შემოდის ან შემოჰყავს მოვლენათა განვითარებას. მისი გამოჩენა დისონანსურია, არღვევს ჰარმონიას, არის მკვეთრი, შემოაქვს ინტრიგა, აღვივებს დაპირისპირების მუხტს. დაპირისპირებული მხარეები მკაცრად იცავენ სიუჟეტურ ხაზს. წუთითაც არ შეუძლიათ გადაუხვიონ, რადგან „კანონს“ თამაშობენ, აგიოგრაფიულ სცენარს.

ვარსქენსა და შუშანიკს შორის „მოსისხლეობა იქმნა“. დაღვრილი სისხლი არის განმწმენდელი ცოდვათა მისთა, ხოლო ვარსქენისთვის წარმომაჩინებელი ცოდვათა მისთა. ვარსქენს ყოველი ნაბიჯი ღვთისგან აშორებს, შუშანიკს აახლოებს.

დაპირისპირების დასაწყისში ზოგიერთი „მძლავრი“ კომპრომისს სთავაზობს მოწამეს, მაგრამ ფაქტობრივად ეს გადაბირების მცდელობაა, რასაც მოჰყვება კონფლიქტის უკიდურესობამდე გამწვავება. ერთნაირია მათი როლი, დასაწყისში „მძლავრი“, ბოლოში - არარაობა.

კინემატოგრაფიაში არსებობს ცნება „წაფენა“, როდესაც ერთი კადრი თანდათან ქრება და ჩნდება მეორე. წაფენის „წესით“ ქრებიან მსაჯული ამირა („წამება ჰაბოისი“), მარზაპანი („ევსტათი მცხეთელის წამება“), ჯაფარ ძე აბრაჰამისი („კონსტანტი კახის წამება“), ამირა („გობრონის წამება“), მურვან ყრუ („დავით და კონსტანტინეს წამება“) და სხვები.

ანტიგმირი ცნობიერებას არ ავითარებს რეფლექსიის მიმართულებით, რადგან მასში არ არსებობს დიალექტიკის კანონი. სამაგიეროდ, დიალექტიკა აქვს ჟანრს, რომელიც ახორციელებს რიტუალურ სცენარს წინასწარ განსაზღვრული ფინალით.

გმირი-ანტიგმირის დაპირისპირება - ეს არის ორ-„ნაცნობიანი“ განტოლება, რომლის ამოხსნა პასუხით იწყება. „მარტვილობაში“ ის სიუჟეტური ღერძის როლს ასრულებს, „ცხოვრებაში“ კი დამხმარე რგოლის ფუნქციას.

დამოწმებანი:

- გინზბურგი ლიდია, ლიტერატურული გმირის შესახებ, ლენინგრადი, 1979, რუსულ ენაზე.

- პროპი ვლადიმირ, ზღაპრის მორფოლოგია,თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984
- უზნაძე დიმიტრი,. შრომები, ტ.VI, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.
- ფარულავა გრივერ, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., გამომცემლობა „განათლება“, 1982.

ივანე ამირხანაშვილი - ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ქვეყნის სამწერლო გარემო პოლიტიკურ მოვლენათა ცენტრში აღმოჩენილა, მაგრამ ძნელად თუ მოიძებნება ფაქტი, რომ მწიგნობრობას ქვეყნის ბედი გადაეწყვიტოს. ქართული ლიტერატურის ისტორიაში არსებობს ასეთი უნიკალური პერიოდი – ეს არის VIII-X საუკუნეების ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა, რომელსაც სათავეში უდგას რელიგიურ-კულტურული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი.

მერვე საუკუნეში ამ ისტორიული პიროვნების მიერ ტაო-კლარჯეთში წამოწყებული სარწმუნოებრივ-კულტურული აღმშენებლობა მეთორმეტე საუკუნეში დაგვირგვინდა ძლიერი და ერთიანი საქართველოს შექმნით, რომელიც დავით აღმაშენებლის ძალისხმევით განხორციელდა.

ოთხი საუკუნის განმავლობაში მოვლენები ვითარდებოდა თანმიმდევრულად, შინაგანი ლოგიკის მიხედვით; შეუფერხებლად მიმდინარეობდა სულიერ-კულტურული ტრადიციის უწყვეტი პროცესი, წინასწარმეტყველური სიზუსტით გათვლილი პროგრამა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ეროვნული მწიგნობრობის განვითარების გზით ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის ბრძოლა.

ბუნებრივია, რომ სწორედ ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის დროს გაცხადდა საქართველოს ერთიანობის იდეა, რომელიც გიორგი მერჩულემ ფორმულის სახით ჩამოაყალიბა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

ამ კუთხეში ჩაეყარა საფუძველი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, ტაო-კლარჯეთში მოღვაწე მღვდელმთავრებმა დაიწყეს ზრუნვა იმისათვის, რომ ქართული ეკლესია თანდათან გამოსულიყო იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების გავლენისაგან.

ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში ჩამოყალიბებულმა მწიგნობრობის სკოლამ განსაზღვრა ქართული კულტურის განვითარების გზა: რომ არ ყოფილიყო ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა, არ იქნებოდა ათონის ლიტერატურული სკოლა; აქედან გამომდინარე, არ იქნებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის ის ბრწყინვალე პერიოდი, რომელსაც შოთა რუსთაველის გენიალური პოემა აგვირგვინებს.

სავსებით მართებულია აზრი, რომ „ხანძთა სულიერად მშობელი არს ჩვენ ყოველთა“ (გიორგი მერჩულე).

ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული კერები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ქართველ და საზღვარგარეთელ მკვლევართა მიერ. მეოცე საუკუნის განმავლობაში დაიწერა უამრავი აღწერილობა, გამოკვლევა, სტატია თუ მონოგრაფია. ყოველივე ეს თავმოყრილი და გაანალიზებულია ლევან მენაბდის ვრცელ ნაშრომში – „ძველი ქართული მწერლობის კერები“, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ტაო-კლარჯეთის თითოეულ მონასტერში მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრებას.

მაშასადამე, რა ხდებოდა სამხრეთ საქართველოს ლიტერატურულ ცენტრებში? დავიწყოთ კლარჯეთის უდაბნოდან.

ოპიზა. ეს არის კლარჯეთის უძველესი ლიტერატურული კერა. „ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზა“, – გვაუწყებს გიორგი მერჩულე. მართალია, ამ მონასტერმა სახელი გაითქვა ბექა და ბეშქენ ოპიზარების ნატიფი ხელოვნების მეშვეობით, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ოპიზა არის ის ადგილი, საიდანაც იწყება გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა. სწორედ ოპიზელი ბერების შემწეობით აშენდა ხანძთის, პარეხის, შუარტყელის, მიძნაძორისა და სხვა მონასტრები. გრიგოლ ხანძთელის გარდა, აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი, ათანასე ოპიზელი, ილარიონ ოპიზელი და სხვანი.

ოპიზის ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრიგოლ ოპიზელის მიერ 913 წელს გადაწერილი სახარება, რომელიც ათონის მთაზეა დაცული. ამ ხელნაწერის მეშვეობით დგინდება ახალი აღთქმის ქართული რედაქციების რაობა; ათანასე ოპიზელმა 1093 წელს გადაწერა გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი პარაკლიტონი, რომელიც, როგორც პავლე ინგოროყვა ამტკიცებდა, შევსებულია კლარჯული საწელიწდო იადგარიდან გამოკრებილი მასალით; XIII საუკუნეში ცნობილია მეფე დავით ნარინის მოძღვარი ილარიონ ოპიზარი – გადამწერი და ბიბლიოფილი, რომელმაც უცხოეთში გაფანტული არაერთი ხელნაწერი დაუბრუნა სამეფო წიგნთსაცავს.

ოპიზა უძველესი სამონასტრო ცენტრია. დაარსებულია ვახტანგ გორგასლის დროს, V საუკუნის II ნახევარში, არტავაზ ერისთავის მიერ. ოპიზის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია VIII საუკუნის ბოლოს განაახლა გრიგოლ ხანძთელმა. მდებარეობს ართვინის პროვინციაში, ისტორიულ კლარჯეთში, მდინარე იმერხევის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ ბაღჯილარში.

ხანძთა. მამა გრიგოლმა VIII საუკუნის მიწურულს, ოპიზელი ბერების დახმარებით, ხის ეკლესია ააგო, შემდეგ კი, IX საუკუნის დასაწყისში, გაბრიელ დაფანჩულის მატერიალური შემწეობით, ქვითკირის ტაძარი ააშენა.

ამ მონასტრის ისტორიული მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. აქ დაიწყო ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სისტემის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება. ახალი ტიპიკონი პირველად ხანძთაში შემოიღეს. გრიგოლ ხანძთელმა საგანგებოდ შეისწავლა კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის სამონასტრო წესდებანი და ამის საფუძველზე დაადგინა ხანძთის ტიპიკონი, რომელიც, მართალია, განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ხელს უწყობდა კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების განვითარებას. ხანძთაში აღიზარდა ეფრემ მაწყვერელი.

ხანძთაში აღიზარდა არსენ საფარელი (830-887); აქ მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე მაკარი ლეთეთელი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერის, 864 წლის სინური მრავალთავის, გადანუსხვაში. აღარაფერს ვამბობ თვით გრიგოლ ხანძთელზე... თუმცა, ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: როგორც ირკვევა, გრიგოლ ხანძთელს დაუწერია პოეტური ჰიმნების კრებული „საწელიწადო იადგარი“, რომელსაც პავლე ინგოროყვამ დიადი ძეგლი უწოდა (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 548).

შატბერდი. ისტორიაში „დიდებულ ლავრად“ ცნობილი მონასტერი IX საუკუნის პირველ ნახევარში, არტანუჯთან ახლოს, ააშენა გრიგოლ ხანძთელმა, ბაგრატ I კურაპალატის დახმარებით.

ეს არის ლიტერატურული თვალსაზრისით ყველაზე პოპულარული მონასტერი, ანუ, როგორც ძველი ავტორები იტყოდნენ: „სიქადულ ყოვლადვე მახლობელთა მონასტერთა“. შატბერდი არის რიგით მეორე მონასტერი, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა დააარსა. რამდენადაც ბევრს არაფერს გვეუბნება აქ მოღვაწე მწერლების სახელები – სოფრონ

შატბერდელი, გაბრიელ შატბერდელი, იოანე ბერაძე, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვაჩემორელი, სტეფანე შატბერდელი – იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია მათ მიერ გაწეული შრომა, რომელიც მაღალ ლიტერატურულ ფასეულობებზე არის ორიენტირებული. შატბერდის მონასტერში შემუშავებული კონცეფცია თანდათან ვითარდება, ივსება, იხვეწება და ბოლოს თავის ბრწყინვალე გამოხატულებას ჰპოვებს ათონის ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბებაში. შატბერდში არის გადაწერილი არაერთი ბრწყინვალე წიგნი. მათ შორის, ჰადიშის ოთხთავი (897 წ., სოფრონ შატბერდელი), ჯრუჭის სახარება (936 წ., გაბრიელ შატბერდელი), პარხლის ოთხთავი (973 წ., იოანე ბერაძე), „განმარტება დავითნისა“ (დავით და იოანე ჯიბისძეები), ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის შრომები (გრიგოლ ვაჩემორელი), ვანის სახარება (XII ს., სტეფანე შატბერდელი) და ბოლოს შატბერდის კრებული, ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული, ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი (976 წ., იოანე ბერაძე). საკმარისია, დავასახელოთ კრებულში შესული ზოგიერთი თხზულება, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას მის ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობაზე: 1. გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, 2. ეპიფანე კვიპრელის „თვალთაძ“, 3. იპოლიტე რომაელის ხუთი თხზულება, მათ შორის თარგმანებაძ „ქება ქებათაძსა“, 4. „მოქცევაძ ქართლისაძ“, 5. ბასილი კესარიელის „ფიზიოლოგი“, 6. ცხორება წმიდა იაკობ ნასიბინელისა, 7. ფსალმუნთა განმარტებანი.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ როცა XII საუკუნის შუა ხანებში ბაგრატ მეოთხემ გიორგი ათონელი მოიწვია საეკლესიო რეფორმების ჩასატარებლად, მამა გიორგი შატბერდში დაბინავდა და იქ შეიმუშავა ახალი კანონმდებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ იოანე-ზოსიმე და მიქაელ მოდრეკილი.

პარეხი იმთავითვე ცნობილი ლიტერატურული ცენტრი ყოფილა, მაგრამ ჟამთა სიავისაგან გაპარტახებულა და მხოლოდ გადმოცემით ვიცით, რომ აქაურ მამებს აღუწერიათ მონასტრის დამაარსებლის, მიქელ პარეხელის ცხოვრება (რომელიც დაკარგულა), ხოლო ილარიონ პარეხელი (მე-9–მე-10 ს.) ისეთი სახელგანთქმული მწერალი ყოფილა, რომ, გიორგი მერჩულის აზრით, სწორედ მას ხელეწიფებოდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერა.

პარეხის სავანეში ორი ეკლესიაა: ზემო ეკლესია IX საუკუნის მეორე ნახევარში აუგია მიქელ პარეხელს; ქვემო ეკლესია კი X საუკუნის დასაწყისშია აშენებული. მდებარეობს ართვინის პროვინციაში, მდინარე კარჩხალის ხეობაში.

ბერთა. დაარსებულია VIII საუკუნეში.

აქ იყო დაცული ბეშქენ ოპიზარის ნახელავი, ოქროჭედური ოთხთავი (XII ს.), რომელიც იოანე ოპიზელს უბოძებია მონასტრისათვის. ოთხთავი დაცულია თბილისში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. სხვათა შორის, ეს არის ბეშქენ ოპიზარის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნამუშევარი;

ბერთაშივე იყო დაცული მეათე საუკუნის ბოლოს გადაწერილი ოთხთავი, რომელიც 1830 წელს ყარსიდან წაუღიათ ამერიკელ მისიონერებს. ინახება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-ტონში; მიქელ (ზეპეკე) ბერთელს (X ს.) ეკუთვნის პავლენზე გაკეთებული მინაწერი იამბიკოდ: „მე, მიქელ მღდელმან, ზეპეკე ბერმან, ქუაბისა შვილმან, ბერთას აღზრდილმან, ესე წმიდაძ პავლე მოვიგე“.

ბერთა მდებარეობს მდინარე კარჩხალის მარჯვენა ნაპირზე.

წყაროსთავი. დაარსებულია VI-VII საუკუნეებში. მდებარეობს მდინარე კარჩხალის ხეობაში, სოფელ ჭედილის ტერიტორიაზე.

წყაროსთავში იყო დაცული ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი სახარება (1195); აქ მოღვაწეობდა ცნობილი ეფთვიმი გრძელი, რომელმაც სარწმუნოებრივ პაექრობაში დაამარცხა სომეხთა ერთ-ერთი საეკლესიო მოძღვარი სოსთენი (იხ. თხზულება „სიტყვის-

გება ბერისა ეფთვიმი გრძელისა სოსთენი სომეხთა მოძღვრისა მიმართ“, რომელიც პირველად მ. საბინინმა დაბეჭდა „საქართველოს სამოთხეში“).

ანჩა. ანჩის საკათედრო ტაძარი IX საუკუნის დასაწყისში აუგიათ.

თამარ მეფის ბრძანებით, სახელგანთქმულმა ჰიმნოგრაფმა იოანე ანჩელმა ბექა ოპიზარს მოაჭედვინა ანჩის ცნობილი ხატი, რომელსაც თვითონვე უძღვნა „გალობანი ანჩის ხატისანი“.

არანაკლებ საინტერესოა ტაოს მხარეში მდებარე სავანეთა ლიტერატურული ისტორია. რა თქმა უნდა, აქაც იგივე ცხოვრებაა, აქაური წმიდა მამებიც იმავე მიზნებისთვის იღვწიან, იმავე საქმეს ემსახურებიან, რასაც კლარჯელი მოღვაწენი.

1664 წელს ანჩის ტაძრიდან თბილისში ჩამოაბრძანეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი და საქართველოს პატრიარქის, დომენტი II-ის კურთხევით დაასვენეს „ზარების ეკლესიაში“, რომელსაც იმ დროიდან ანჩისხატის ტაძარი ეწოდა.

ანჩის ტაძარი მდებარეობს არტანუჯის რაიონში, სოფელ ანაჩლის მახლობლად.

ოშკი. იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარი X საუკუნის მეორე ნახევარში ააგეს ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა და დავით III კურაპალატმა.

გრიგოლ ოშკელი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს თარგმნის და ამ თარგმანებს იყენებს თავის სამეცნიერო შრომებში ეფრემ მცირე; სტეფანე დეკანოზი 977 წელს ამთავრებს ცნობილი წიგნის, „სამოთხის“, გადაწერას, რომელშიც შედის იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურისა და სხვათა სწავლანი. წიგნის დამკვეთები არიან ათონელი მოღვაწეები: იოანე თორნიკ-ყოფილი და იოანე ვარაზვაჩე; ერთი წლის შემდეგ სრულდება ოშკის ბიბლიის გადაწერა (სხვათა შორის, ეს არის უძველესი თარიღიანი ქართული ბიბლია); დაახლოებით ამავე ხანებში გადამწერი იოანე ჩირა ამზადებს ორ წიგნს – იოანე ოქროპირის ცხოვრებას და კოზმანის „აღმოყვანებისათვის ნაწილთა წმიდისა იოვანე ოქროპირისათა“.

შემთხვევით არ არის, რომ ყველა ეს ხელნაწერი ათონზე გაიგზავნა. ქართული მწიგნობრობა ტაო-კლარჯეთის გავლით მსოფლიო ლიტერატურულ გარემოს უკავშირდება. ტრადიციული კავშირების დამყარება საზღვარგარეთის ქართულ ცენტრებთან – აი, ეს არის ტაო-კლარჯეთის კულტურული არეალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა. ოშკელი მოღვაწე უნდა ყოფილიყო მიქაელ მოდრეკილი, პოეტი-ჰიმნოგრაფი, ავტორი ქართული პოეზიის ანთოლოგიისა (978-988 წწ), რომელშიც შედის იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, ეზრას, კურდანაღსა და სხვა დიდებულ პოეტთა ჰიმნები.

ოშკი მდებარეობს ერზერუმის პროვინციაში, ისტორიულ იმიერტაოში, მდინარე თორთუმის მარცხენა ნაპირზე.

იშხანი. VII საუკუნის პირველ ნახევარში ააშენა ქალკედონიტმა ეპისკოპოსმა ნერსესმა; არაბების შემოსევის დროს დაინგრა; IX საუკუნის 30-იან წლებში აღადგინა გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბა იშხნელმა.

სწორედ საბა იშხნელმა თარგმნა იპოლიტე რომაელის თხზულების „დავითისათვის და გოლიათისათვის“ ერთი ეპიზოდი, რომელსაც გიორგი მერჩულე იყენებს თავის თხზულებაში; ილარიონ იშხნელის დაკვეთით არის გადაწერილი ასკეტური ხასიათის თხზულება (რომელიც ნიქოზის ეკლესიაში აღმოაჩინეს) და ეგრეთ წოდებული მესტიის სახარება (1033 წ.). იშხანში არის გადაწერილი 1233 წლის ძვირფასი ხელნაწერი, რომელშიც შესულია აბუსერისძე ტბელისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა შრომები.

მდებარეობს მდინარე ოლთისის მარჯვენა ნაპირზე.

ხახული. აშენდა დავით III კურაპალატის დროს იმიერტაოში, მდინარე თორთომის გვერდითა ხეობაში, ხახულისწყლის მარცხენა ნაპირზე.

ხახულის ლიტერატურულ სკოლაში აღიზარდა გიორგი მთაწმინდელი. იოანე ხახულელმა (X-XI სს.) გადაწერა ორი ხელნაწერი: თებერვლის თვენი და კირილე ალექსანდრიელის სწავლანი. აქ მოღვაწე მწიგნობარ-კალიგრაფებიდან ცნობილია დავით თბილელი (XI სკ.)

პარხალი. ეს სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს მდინარე ჭოროხის მარცხენა

შენაკადის, პარხლისწყლის ხეობაში. მთავარი ტაძარი აგებულია დავით კურაპალატის დროს, 961-973 წლებში, საქართველოს კათალიკოს იოვანე I-ის პერიოდში.

XI საუკუნის მოღვაწემ გაბრიელ პატარაიმ გადაწერა ოთხთავი, წმიდა მამათა საკითხავები და ცნობილი მრავალთავი. ამ კრებულში შედის ისეთი თხზულებები, როგორებიცაა იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ბოლნელის სწავლებანი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ და იოანე საბანისძის „აბოს წამება“.

ბანა. ძელიცხოვლის (ძელი ჭეშმარიტის) სახელობის საეპისკოპოსო ტაძარი მდებარეობს მდინარე ბანას ხეობაში (ჭოროხის აუზი), ამჟამინდელ სოფელ ფენეკში. აშენებულია VII საუკუნის შუაწლებში. გადაკეთდა ადარნასე II-ის მეფობის (881-923) დროს.

მწიგნობარი და სახელმწიფო მოღვაწე ზაქარია ბანელი კონსტანტინოპოლში დასახლდა და დიდი ღვაწლი დასდო ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. ბანაშია დამზადებული წიგნი – საბაწმიდის ტიპიკონი.

ბანაში ეკურთხა მეფედ ბაგრატ IV (1027-1072). მან აქვე დაიწერა ჯვარი ბიზანტიის იმპერატორის ძმისშვილ ელენეზე.

* * *

სწორედ ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო ცხოვრების ისტორიის მიმოხილვისას წერდა პავლე ინგოროყვა: „ჩვენ ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ ძველი ქართული ლიტერატურა არის მაღალი რანგის ლიტერატურა, რომელიც, ამავე ხანის ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურასთან ერთად, დგას საშუალო საუკუნეების ევროპული მსოფლიოს ლიტერატურათა რიგში“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 552).

ტაო-კლარჯეთში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მიუხედავად, აქაური მოღვაწენი მაინც ახერხებენ სულიერების აღორძინებას და ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ტრადიციების დამკვიდრებას.

შემოქმედებითი ენერგიის ბორგვა ვულკანურ ამოფრქვევას იწყებს სულიერი ფასეულობების შესაქმნელად (რ. ბარამიძე, ქართული პროზის საკითხები. 1996. გვ. 9).

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ყველაფერი ერთ პიროვნებას – გრიგოლ ხანძთელს უკავშირდება. საერთოდ, ისტორიას სჩვევია პიროვნების გაიდეალება და იდეალების გაპიროვნება ნიშნეულ მოღვაწეებში, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოვლენასთან, როცა პიროვნება ქმნის ისტორიას და არა პირიქით.

„გრიგოლ ხანძთელის ღვაწლით ტაო-კლარჯეთი იქცა სრულიად საქართველოს რელიგიურ და კულტურულ ცენტრად. შემთხვევითი როდია, რომ ეს მხარე შემდგომ განავითარეს დიდმა ათონელებმა, რომელთაც განანათლეს ენაჲ და ქუეყანაჲ ქართველთა“ (რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, 1987. გვ. 141).

ლალი დათაშვილი - წმიდა გრიგოლ ხანძთელი - უდაბნოთა ქალაქმყოფელი ზეცის კაცი

წმიდა გრიგოლ ხანძთელი უპირველესთაგანია იმ მოღვაწეთა შორის, რომელთაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მან ჩაიბარა დაფერფლილი. მურვან-ყრუსაგან აოხრებული, გაუდაბნოებული საქართველო და თავისი ღვაწლით ზეციურ იერუსალიმს დაამსგავსა, გულგატეხილ და თავდახრილ, „ტყეთა შინა, ადგილ-ადგილ“ მიმალულ ქართველებს უპყრა ხელი, როგორც ტკბილმა მამამ, ღვთისთვის სათნო ცხოვრება დაუსახა გადარჩენის გზად, „აღმდგარნი და აღმართულნი“ ზეცის მოქალაქეებად გადააქცია.

მამა გრიგოლი ჭეშმარიტად იყო „ქრისტიანეთა სიქადული“, ჩვენი მამულისა თუ სარწმუნოების ფერფლიდან აღმდგენელი. უფალმა ინება, თავისი რჩეული კრავი

„ჭეშმარიტი ვენახის მეათერთმეტე მოქმედად“ გადაექცია, მისი საქმიანობა კი - „პირველთა მათ მართალთა თანაზიარად“, ამიტომ მიიყვანა იგი ოპიზას და მოღვაწეობის ღვთისთვის სათნო გზა დაუსახა, - წმ. გრიგოლი თავისი მოწაფეებითურთ ქვეყანას გამოუჩნდა, როგორც „კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი“.

წმიდა გრიგოლი 759 წელს დაიბადა ქართლელი დიდებულების ოჯახში. ნერსე ერისთავმა აღზარდა, ვისი ცოლის ძმისშვილიც იყო. იმ დროისათვის საუკეთესო განათლება მიიღო, დაეუფლა საერო და სასულიერო ლიტერატურასა და ფილოსოფიას, ისწავლა მრავალი უცხო ენაც, თანაც უაღრესად ნიჭიერს, რაც კი ოდესმე ესწავლა, ყოველივე დაუვიწყებლად ახსოვდა. ამით „ფესვდალოცვილი“ და „ძირკეთილი“ წმ. გრიგოლი საფუძვლიანად მოემზადა მომავალი მოღვაწეობისთვის. დიდმა ცოდნამ და რწმენამ იგი უფლის მეგობრად აქცია (რადგან წმ. მამათა სწავლების შესაბამისად, განათლებუილი მორწმუნე უფლის მეგობარია).

აღმზრდელებმა და მშობლებმა მისი მღვდლად კურთხევა მოინდომეს, რადგან იყო „უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა“. წმიდა გრიგოლი ეკრძალებოდა მღვდლობას, რადგან თავი ამ დიდი პატივის ღირსად არ მიაჩნდა, თუმცა მთხოვნელებს დაემორჩილა, რითაც ბევრი ადამიანი გაახარა.

მალე მისი ეპისკოპოსობაც განიზრახეს, მაგრამ წმინდანმა ეპისკოპოსობა ხორციელ დიდებად ჩათვალა, საღმრთო განგებით განერიდა თავის ნათესავებს და უფლის წინამძღოლობით, სამ თანამზრახველთან ერთად ოპიზაში მივიდა.

ორი წლის შემდეგ ხუედიოს დაყუდებულმა თავისი ჩვენება უამბო. ღვთის რჩეული მამა ხანძთის მშენებლობასა და ძმობის შექმნა-განმტკიცებას შეუდგა. მას კარგად მოეხსენებოდა დავით მეფსალმუნის სიტყვები: „სოფელი წყალობით აღეშენოს“ (ფს. 88, 2), ამიტომ თავის ყოველ ნაფიქრალ-ნამოქმედარს ბიბლიურ სწავლებას შეუსაბამებდა, რათა თავისი ძმობისა თუ მთელი ერისთვის საუფლო წყალობა დაემსახურებინა, სამშობლო სულიერად და ხორციელეად აღეშენებინა, გამხდარიყო „ქუეყანისა ცად შემცვალებელი“.

წმიდა გრიგოლისა და მისი ძმობის მოღვაწეობა იმდროინდელ, ტკივილისა და უმადლობისაგან „დაბნელებულ“ ქვეყანაში სასანთლეზე ანთებული სანთლის გამობრწყინებას ნიშნავდა მრავალი სულის გასანათლებლად და „უქმთა უდაბნოთა ქალაქყოფად“, მათთან შეხვედრისას, მათი ხილვისას ადამიანებს ავიწყდებოდათ, რომ მიწაზე იყვნენ და თავი „ზეცას, წმიდასა ბანაკს დამკვიდრებული“ ეგონათ.

წმ. მამამ გაიცნო ჯერ სამცხელი წარჩინებული აზნაური გაბრიელ დაფანჩული, ხოლო შემდეგ კეთილმორწმუნე ხელმწიფე აშოტ კურაპალატსა და მის ძეებს: ადარნერსეს, ბაგრატსა და გუარამს - დაუახლოვდა. ბაგრატიონებმა მასთან ურთიერთობით, მისი რჩევების გათვალისწინებით, წმ. მამების სულიერი და საერო პირების მატერიალური სიკეთის ურთიერთშეზავებით შეძლეს ქვეყნის გაძლიერება და ფერფლიდან აღდგენა.

მამა გრიგოლი ძმობაში მხოლოდ გამორჩეულ ადამიანებს იღებდა, შემკულთ თავმდაბლობითა და კეთილშობილებით. ხანძთელები თავისი ანგელოზთა მსგავსი ცხოვრებით ყველასთვის მისაბაძი მაგალითები და ცხონების გზის მასწავლებლები იყვნენ.

აშოტ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატი გახდა კურაპალატი. წმ. მამამ სთხოვა მას უფლება და დახმარება შატბერდის ასაშენებლად. მართლაც, ხანძთის მსგავსი, „ცის მობაძავი“ მონასტერი ააშენეს, რომელშიც გაატარა წმ. გრიგოლმა თავისი ცხოვრების ბოლო წლები.

დიდმა მამამ თავისი ძმობითა და მონასტრებით წმ. გიორგი მოიხმო შემწედ და ამ დიდი კაბადოკიელი მხედრის მსგავსად, ხანძთელმა ბერებმა, როგორც „მუშაკებმა და მოსაგრეებმა“, განწმინდეს ქვეყანა და უფლის კვარცხლბეკად გადააქციეს;

წმიდა გრიგოლ ხანძთელი 861 წელს გარდაიცვალა ხანძთაში, მისი ცხოვრება კი მისი

გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ აღწერა ხანძთაში მოღვაწე ბერმა გიორგი მერჩულემ.

წმ. გრიგოლის როლისა და მისიის წარმოსაჩენად ჰაგიოგრაფი მას დიდ ბიბლიურ წმინდანებს ადარებს:

წმ. იოანე ნათლისმცემელს იგი იმით ჰგავს, რომ ბავშვობიდან მარხულობდა, თანაც თანამემამულეები განწმინდა და უფალს დაუახლოვა ისევე, როგორც იოანე მოუწოდებდა ყველას, განემზადებინათ გულები მაცხოვართან შესახვედრად;

წმ. სამოელს - იმით, რომ შობამდე იყო უფლის სახელისათვის შეწირული;

წმ. აბრაამს - იმით, რომ უფალმა გამოიყვანა თავისი ხალხისგან და უწინამძღვრა სამოღვაწეო არეალისკენ, თუმცა გარკვეული სხვაობაც შეინიშნება: აბრაამი ღმერთმა ურწმუნო ნათესავებს განაშორა, წმ. გრიგოლს კი პატიოსანი და რჩეული ქრისტიანების მადლი უნდა გაენაწილებინა და გაემრავლებინა დაცემულთა და ლერწამივით შერყეულთათვის;

წმ. ელია წინასწარმეტყველს - იმით, რომ უამრავი სახელოვანი მოწაფე აღზარდა (როგორც ელიამ - ელისე) და მათ თავისი ცოდნა, გამოცდილება დაუტოვა. იმის წარმოსადგენად, თუ როგორი მასწავლებელი იყო წმიდა გრიგოლ ხანძთელი, საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ერთი მათგანი: კათოლიკოსი არსენ დიდი საფარელი, ეპისკოპოსი ეფრემ მაწყვერელი, ეპისკოპოსი საბა იშხნელი, დიდი ზენონ სამცხელი, თეოდორე ნეძველი, ქრისტეფორე კვირიკელი, მატო, ეპიფანე და სხვა უამრავი.

ყველაზე მეტად კი წმ. გრიგოლი წმ. მოსე წინასწარმეტყველს ჰგავს (რადგან მსგავსია მათი ცხოვრების წესი, საქმენი და მათი აღსასრულიც):

მის მსგავსად, სახიდან ისეთ საუფლო ნათელს აფრქვევს, რომ თვალს ვერ უსწორებენ, სენაკი ნათდება, როდესაც წმ. მამა ლოცულობს;

მოსემ ებრაელი ხალხი გამოიყვანა ეგვიპტელთა ტყვეობიდან და აღთქმული ქვეყნისკენ წაუძღვა, წმ. გრიგოლმა სულიერად აღაზევა სამხრეთ საქართველო, ცოდვის ტყვეობიდან გამოიხსნა და უფალს დაუახლოვა;

მოსე 40 წლის განმავლობაში ცდილობდა უდაბნოს ძლევასა და გადალახვას, გრიგოლ ხანძთელი მრავალწლიანი ჯაფით „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“ გახდა, ააშენა ქვეყანა და მიწიერ-ზეციურ იერუსალიმს დაამსგავსა;

მოსეს მსგავსად წმ. მამაც ღვთივშთაგონებული მწერალი და კანონმდებელია, იადგარიც შექმნა და წესიც განაჩინა მონასტრებში;

წმ. მოსე და წმ. გრიგოლი ერთმანეთს სიბერითა და გარდაცვალებითაც ჰგვანან: არც ერთი მათგანი არ მოტეხილა, არ დაძაბუნებულა, ჭაბუკური ენერგია, გონება და მხედველობა ღრმა სიბერეშიც შეინარჩუნეს, წმ. მოსე 120 წლისა აღესრულა, ხოლო წმ. გრიგოლი - 102-ისა.

წმიდა გრიგოლ ხანძთელის მიერ აღსრულებულ საქმეთა მარტოოდენ ჩამოთვლაც კი ათვალსაჩინოებს ამ ჭეშმარიტად დიდი მამის ფასდაუდებელ ღვაწლს, ვინძლო ასი კაცის სიცოცხლეც არ ეყოს იმ ვებერთელა ნაღვაწს, წმიდა გრიგოლ ხანძთელმა რომ განასრულა:

ააშენა, განაბრწყინა და უფალთან აღამაღლა სამხრეთ საქართველო, თანაც თავისი სამოღვაწეო არეალის უფლისმიერი შერჩევით ტაო-კლარჯეთი დაიცვა, გააძლიერა და საუკუნებით გაახანგრძლივა ამ ძირძველი კუთხის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა;

დალოცა, განამტკიცა და უბიწოდ ცხოვრების აუცილებლობა უქადაგა ბაგრატიონთა დინასტიას;

იქადაგა ეროვნული მთლიანობის იდეა, ყველას ასწავლა, რომ ქართული ტომები ერთი იდეით უნდა მოქმედებდნენ და ერთი სახელმწიფო დროშის ქვეშ უნდა ერთიანდებოდნენ;

მანვე პირველმა იქადაგა მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთიანობა და განუყოფლობა, როდესაც დაგვმოძღვრა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლიცვაი ყოველი აღესრულების“;

აღაშენა ღვთივშემკული მონასტრები: ხანძთა, შატბერდი, მერე, გუნათლე, უბე;

„ზეცისა კაცმა და ქუეყანისა ანგელოზმა“ შექმნა უფლისთვის მოსაწონი ძმობა _ „საქორწინე კრებული“ და წინ წაუძღვა ცხონებისაკენ, როგორც რჩეულ „კრავებს“ - კეთილი მწყემსი“. ნეტარ არიან მის კვალზე მავალნი, რადგან არასაქორწინე სამოსელი არ ამხილებთ და დიდი მეოხის წყალობით ღმერთს იხილავენ;

ძმობას იმ დროისათვის საუკეთესო წეს-განგება დაუწესა, იერუსალიმური და კონსტანტინეპოლური განგებების შეჯერებითა და ქართული სინამდვილისთვის მორგებით, რადგან ეს წეს-განგება იყო „ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული“, ამიტომ უწოდებს მას გიორგი მერჩულე ამოუწურავი სიკეთის წყაროს („საფასეი დაულევნელთა კეთილთაი“);

წმიდა გრიგოლ ხანძთელმა, ფსალმუნის სწავლებაზე დაყრდნობით, რომ ყველაზე სათნოდ მოსასმენი უფლისთვის ძმათა მიერ აღვლენილი ლოცვაა („რაიმე კეთილ, ანუ რაიმე შუენიერ, არამედ დამკვიდრებაი ძმათა ერთად“ - ფს. 132, 1), გადაწყვიტა, მოსაგრე („მოგზაური მებრძოლი“ - საბას განმარტებით) გამხდარიყო, მონასტერთა შენებით, ძმობის შექმნით ეღვაწა, რათა გაუდაბურებული საქართველოდან, ნადირის ღმუილის ნაცვლად, სალიტანიო გალობის ხმები მისწვდენოდა მაცხოვრის ყურს. ამით მან თავისი სამშობლო განწმიდა, საკრალურ ტარიტორიად გარდაქმნა და უფალთან აამაღლა;

ძირკეთილ და ფესვმაგარ წმიდა მამას ჰაგიოგრაფი “ნაყოფსავსე ზეთისხილს” უწოდებს, რადგან, როგორც ზეთისხილი ანოყიერებს მიწას და უხვად ტოვებს სანერგე რტოებს, ასევე წმიდა გრიგოლ ხანძთელმა უამრავი მოწაფე დატოვა თავისი გზის გამგრძელებლად და ქართველი ერის საუფლო გზაზე სატარებლად;

დიდმა მამამ კონსტანტინეპოლური და იერუსალიმური განგებების გათვალისწინებით, თავისი მონასტრებისთვის შექმნა წეს-განგება „სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით გაბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საუნჯეი დაულევნელთა კეთილთაი“;

გრიგოლ ხანძთელის პოეტური ნიჭიც უხვად ატყვია მის ორიგინალურ თუ ნათარგმნ საგალობლებს;

წმინდანმა საეკლესიო საჭიროებისათვის სულიწმიდის შთაგონებით შექმნა საწელიწდო იადგარი (მთელი წლის განმავლობაში აღსავლენ საგალობელთა კრებული), რომლის “სიტყვანი ფრიად კეთილ არიან”;

იგი იყო კლარჯეთში ძირითადად მისი ძმობის წევრთაგან აშენებული თორმეტი დიდი მონასტრის არქიმანდრიტი;

ზმობის ლოცვების სურნელი საკმევლად აღიწეოდა ზეცაში - საქართველოს განასპეტაკებდა, ერთიან, დიდ ტაძრად გარდაქმნიდა უფლის თვალში.

ღმერთშემოსილმა მამამ იღვაწა არა მხოლოდ როგორც ეკლესიათა მშენებელმა, არამედ როგორც დიდმა ერისკაცმა. ეკლესიები, გარდა საკულტო დანიშნულებისა, საუკეთესო თავდასაცავი ნაგებობები და საგანმანათლებლო კერებიცაა. ასე რომ, მამა გრიგოლი ერის გაძლიერება-აყვავებას თავის უპირველეს დანიშნულებად, მამულიშვილურ მოვალეობად მიიჩნევდა. ამიტომაც იყო, რომ, თუ მისი მოღვაწეობის დასაწყისში სულიერ-ხორციელად გატეხილიყო, თითქმის გადაშენებულიყო სამხრეთში ქართველობა, „კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა“ ორ-ორი, სამ-სამი ოჯახი თუ ცხოვრობდა (ისინიც არაბთაგან დაშინებულნი, ტყეებში მიმალულნი), მისი სიცოცხლის მიწურულს ტაო-კლარჯეთი, ახალ ქართლად ჩამოყალიბებული, ერთ-ერთი უძლიერესი კუთხე იყო, და არაბთაგან წელში გაწყვეტილი, მე-

ტად შეჭირვებული ქართლის მოვალეობას სწევდა - მეთაური პროვინციის როლს ასრულებდა საქართველოში.

მამა გრიგოლმა გამარჯვების საიდუმლოც გვასწავლა, - საერო და სასულიერო პირთა გაერთიანებით, მათი ერთობლივი ღვაწლით, ქვეყნის აღორძინებისთვის შრომით, დაგვარწმუნა, რომ ყველაფერს აღწევს „ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება“ ერი.

წმ. გრიგოლ ხანძთელი ჩვენი მარადიული მეოხია უფლის წინაშე. საქართველოს ეკლესია მას 5(18) ოქტომბერს მოიხსენიებს.

მისი სახელი ნათესავით ნათესავამდე უნდა იცოდეს ქართველმა ერმა...

ლალი დათაშვილი - ჰაგიოგრაფია - სახედ სათნოებისა

„უკუეთუ ვინმე დაჰჴსნეს ერთი მცნებათა ამათგანი
უმცირესთაჲ და ასწავოს ესრეთ კაცთა,
უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა;
ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ
ერქუას სასუფეველსა ცათასა“ (მათე 5, 19)

ჰაგიოგრაფიული მწერლობის კვლევისას მრავალი ასპექტი გამოიკვეთება: ისტორიული, ლიტერატურული, ესთეტიკური, რელიგიურ-ზნეობრივი. ამიტომ ქართულის მასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია, განსაკუთრებით სკოლაში, ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებისას, რადგან თავს იჩენს უამრავი სირთულე:

ა) ენობრივი ბარიერი;

ბ) სარწმუნოებრივი ცოდნის ნაკლებობა;

გ) შუასაუკუნეობრივი გემოვნების, ესთეტიკის, მრწამსის, შეხედულებების დიდი განსხვავება თანამედროვე ანალოგიური კატეგორიებისგან;

დ) XIX-XX საუკუნეებში ჩვენი ერის განათლებაში, ფსიქოლოგიასა და გემოვნებაში მომხდარი სერიოზული ცვლილებები.

ამიტომ, ვიდრე უშუალოდ ჰაგიოგრაფიული ტექსტების შესწავლაზე გადავალთ, მოსწავლეს ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ ქრისტიანული რელიგიის რაობის, ძირითადი პრინციპების, შუა საუკუნეების ესთეტიკისა და მსოფლმხედველობის არსებითი მახასიათებლების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყურადღების მიღმა დარჩება ავტორობის, ორიგინალობის, ჭეშმარიტების, სიმბოლური აზროვნების, მწერლური ნიჭიერების, თხზულების აგების, მიზნისა და დანიშნულების შუასაუკუნეობრივი (ჩვენი საუკუნისგანგანსხვავებული)პრინციპები.ესკიანალიზსადასწავლებას,არასრულყოფილად და, სამწუხაროდ, მცდარადაც გადააქცევს

ჰაგიოგრაფია, როგორც ქრისტიანული მწერლობის ძირითადი დარგი, იქმნებოდა „სახედ სათნოებისა“, ანუ ქრისტიანთათვის ცხოვრების უფლისთვის სათნო გზის სასწავლებლად.

რევაზ სირაძე წერს: „როგორი ცხოვრებით უნდა იცხოვროს კონკრეტულმა პიროვნებამ, რათა იგი გახდეს იდეალური ადამიანი, - აი, ესაა ძირითადი ყოველ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში.

აგიოგრაფიულ თხზულებათა პერსონაჟები სახე-იდეები არიან და არა - სახე-ხასიათები“...

აგიოგრაფიულ ნაწარმოებში დადებითი გმირი უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად სრულყოფილი“ (ქართული აგიოგრაფია, თბ. 1987).

ჰაგიოგრაფიული მწერლობა მიზნად ისახავს არა მხოლოდ ესთეტიკური ტკბობის მინიჭებას მკითხველისთვის, არამედ ითავსებს ზნეობრივ, რელიგიურ, აღმზრდელობით ამოცანებს.გარდა ამისა:

• წარმოაჩენს წმინდანის მისიას. ამ მიზნით ქმნის „მეტყველ ხატებს“ „სახისმეტყველებითი თანახატქმნის“ პრინციპით;

• პოლემიკას უმართავს სხვა რელიგიურ აღმსარებლობებს ქრისტიანობის დაცვის მიზნით;

• ასახავს სოფლისა და „ზესთა სოფლის“ (ეფრემ მცირე) ურთიერთდაპირისპირებას;

• თავისი პერსონაჟების მაგალითით ადამიანს უქადაგებს სასუფევლისკენ სვლის აუცილებლობას;

• გვხვდება ბიბლიური იგავები, პარალელები, ციტატები, სწავლებანი;

ქართული ჰაგიოგრაფია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ პრობლემატიკას (რაც თითქმის არ ახასიათებს ამ ჟანრს), რადგან ღვთისა და მამულის სამსახური ჩვენი წინაპრისთვის განუყოფელია.

ჰაგიოგრაფი წმინდანს მასშტაბურად ხატავს. ასახავს:

• მის ბუნებას, მის სულიერ შესაძლებლობებს;

• წმინდანს, როგორც შვილს, მშობელს, მოყვასს, შთამომავალს, წინაპარს, ნათესავს, მოღვაწეს, მასწავლებელს;

• წმინდანისა და სოფლის, წმინდანისა და უფლის ურთიერთმიმართებას, რათა ცხოვრების სწორი ორიენტირი დაუსახოს მკითხველს;

• წმინდანის მისიას - ხალხის საუფლო გზით ტარებას.

არსებობს ერთგვარი „ჩარჩო“, რომლითაც აისახება წმინდანი. ძალიან ბევრი მათგანი ბავშვობიდან ღვთისმოშიშია, განსწავლულია, თუმცა სულ იუმჯობესებს ქრისტიანულ განათლებას, ფრთხილია, სულიერად მღვიძარეა, სხეულს თრგუნავს (ხშირად, თვითგვემით) და სულს განადიდებს, მოუკლებლად ლოცულობს, ქონებას გასცემს, გაჭირვებულს ეხმარება, თვითონაც დგას სულიერი სრულყოფილების გზაზე, მიისწრაფვის „მარადის საკუთარ თავზე მაღლა“ (გრიგოლ ნოსელი) და სხვებსაც ასწავლის, უქადაგებს, ცოდვებზე მიუთითებს... ერთი სიტყვით, ფასდაუდებელი მოღვაწეა, ის ადამიანია, „რომლის ღირსი არა იყო სოფელი ესე“ (გიორგი მერჩულე) და რომელიც დარწმუნებულია, რომ სოფელს შეარცხვენს და გადააკეთებს თავისი ქცევით („რცხვენის სოფელსა ქცევათაგან ჩუენთა კეთილთა - გიორგი მერჩულე). წმინდანი უფლის სიყვარულისთვის ქრისტეს გზას იმეორებს, მოყვასის სიყვარულით, თავმდაბლობით ცხოვრობს და, თუ საჭირო გახდა, თავგანწირვისთვისაც მზადაა.

„სახარების“ მიხედვით, წმინდანი სოფლის მარილია და მისი დანიშნულება სივრცის საკრალიზაციაა, განწმენდა, ქრისტიანობის ქადაგება, მონასტერთა მშენებლობა, „ნაყოფსავსე ზეთისხილის“ როლი - ანუ მოწაფეთა გამრავლება და სიწმინდის მსახურთა გაძლიერება.

წმინდანმა უფალმა გამოარჩია „სარგებლად“ კაცთა სულებისათვის, „სწავლად სიბრძნისა და სიმხნედ ახოვნებისა ყოველთათვის“, ამიტომ მუდამ უნდა ვებაძებოდეთ მათ. „შუშანიკის წამების“ მიხედვით, „კაცნი ვართ საწუთროისანი“ „ზესკნელის ფასის ხარები“ გვჭირდება სულიერ გზამკვლევებად; წმინდა აბომ შერყეული ქართველობა განამტკიცა; წმინდა გრიგოლ ხანძთელმა აოხრებული ტაო-კლარჯეთი ზეცის ქალაქად გადააქცია; გიორგი მცირე კი პახუმი დიდს იმოწმებს, რომ წმინდანებმა ხელი უნდა გაუწოდონ „ცოდვის ორმოში ჩავარდნილ“ ადამიანს და ამოიყვანონ.

რევაზ სირაძის დაკვირვებით, კომპოზიციური თვალსაზრისით, სამი წყობის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები არსებობს:

• ტელეოლოგიური, ანუ დრო-სივრცითი, როცა მოვლენები ქრონოლოგიურად მიმდინარეობს - „შუშანიკის წამება“;

• ტრიპტიქული, ანუ სამკარედული: შესავალი - ფაბულა - პირველ ნაწილში გადმოცემულ იდეათა გააზრება - „აბოს წამება“;

• ცენტრალურ-ციკლური - წმინდანის თავგადასავალი მრავალი ცალკეული ეპიზოდის ჩამატებით გადმოიცემა - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

ჰაგიოგრაფიული თხზულებებისთვის თვალის მიდევნება და ისტორიზმის პრინციპის დაცვა წარმოაჩენს ქართული კულტურისა და ქრისტიანული ცოდნის დონეს ჩვენში, სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში, ქართველი კაცის გემოვნებას, მსოფლმხედველობას, მრწამსს. დაგვაახლოებს წინაპრებთან და გადაგვარჩენს იმ საშინელი გულისტკივილისაგან, რომელზეც ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, - ჩვენს მამა-პაპასთან დამაკავშირებელი საერთო ძარღვის გაწყვეტას. ძარღვგადაჭრილი ერი კი უსაყრდენო, უსაძირკვლო და უისტორიოა. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, ისეთი მდგომარეობა რომ აღარ იყოს საქართველოში, როგორზეც ილია წუხდა:

„რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ,
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა“ (“აჩრდილი“).

ვინც ამას შეძლებს და სხვასაც ასწავლის, „დიდ“ იქნება სასუფეველში.

ლალი დათაშვილი - სახისმეტყველებითი თანახატქმნა ჰაგიოგრაფიაში

„დაუახლოვდი მართალთ და მათი საშუალებით
ღმერთს მიუახლოვდები“ (წმ. ისაკ ასური).

წინაპართან ერთობის გამომხატველია ჰაგიოგრაფიისთვის დამახასიათებელი „სახისმეტყველებითი თანახატქმნის“ პრინციპი. თანახატქმნისას აწმყოში მცხოვრები პიროვნება ემსგავსება ბიბლიურ პარადიგმასა თუ წარსულში მოღვაწე იმ ადამიანს, რომელიც გადაიქცა „სახედ და ხატად სათნოებისა მომავალთა ნათესავთათვის“, აღიმართა „ხატად ცხოველად და ძეგლად პირმეტყველად, საწვრთელად და სახილველად“ (გორგი მცირე).

ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერი ნათესაობა, ანუ სულიერი თესლით ერთობა, მსგავსი ადამიანების მოდგმის წევრობაა. “ნათესავი გულისხმობს ერთი თესლიდან გამრავლებულ ადამიანთა ერთობას. ნა-თეს-ავ-ი მომდინარეობს ზმნიდან თეს-ავ-ს. თესლი (ბერძნ. სპერმა) სეპტუაგინტამ დაამკვიდრა ქართულში: „თესლსა შენსა მივსცე ქუეყანა ესე“ (დაბ. 12, 7); ახალ აღთქმაში ნათესავი და თესლი, როგორც მოდგმის, შთამომავლობის აღმნიშვნელი ტერმინები, ერთმანეთს ენაცვლება ბერძნული სპერმა-ს გადმოსაცემად, მაგალითად, „ჩვენ ნათესავნი (სპერმა) აბრაჰამისნი ვართ“ (ი. 8, 33); „თესლისაგან (სპერმა) დავითისა“ (ი. 7, 42)“ _ (კიკნაძე 2013, 198).

* * *

ადამიანი ხშირად ემსგავსება მის მიერვე არჩეულ, ცხოვრების ნიმუშად დასახულ მოღვაწეს, ვისაც ებაძება, ვისი მაგალითითაც წარმართავს თავის ამქვეყნიურ ყოფას, თანდათან მისებრი ხდება და აღსრულდება თანახატქმნა. ასეთი ბაძვით კაცთაგანი სწორად ცხოვრობს, მშვიდადაა, რადგან „ხატი მეტყველი“ მრჩევლად ჰყავს ცხოვრების გზაზე, გააზრებულად დგამს ყოველ ნაბიჯს „უღელვო ნავსადგურისკენ“, და მაცხოვრის სახარებისეულ სწავლებასაც ასრულებს: „კმა არს მოწაფისა მის, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღვარი თვისი“ (მათე 10, 25).

სიყვარული ამსგავსებს და აკავშირებს ადამიანებს. დავით გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძირთაგან შორს არიან, შრტოდ კი _ ახლოს“. ამ თვალსაზრისს ეყრდნობა ჰაგიოგრაფიაში სახისმეტყველებითი თანახატქმნის პრინციპი _ ავტორი თავის თანამედროვე წმინდანს რომელიმე ცნობილ პარადიგმას ამსგავსებს, წმ. აბოს _ წმ. პავლე მოციქულს, წმ. გრიგოლს _ წმ. მოსეს, წმ. ექვთიმეს _ წმ. იოანე ოქროპირს...

ეს თვალსაზრისი ეფუძნება სახარებისეულ იგავ „ვენახის მუშების საზღაურს“,

რომლის მიხედვითაც, ყველა მუშას, მიუხედავად მოღვაწეობის ადგილის, დროისა და ხანგრძლივობისა, ერთი ტიპის ღვაწლისათვის უფლისგან ერთნაირად მიეზღვება (მაგ. ყველა დიდმოწამე ერთნაირად განდიდდება ცათა სასუფეველში).

ჰაგიოგრაფიაში ამგვარად შეიქმნა ისეთი სახელები, როგორებიცაა: „ახალი აბრაამი“, „ახალი პავლე”, „ახალი ნოე“, „ახალი მოსე“, „ახალი სამოელი“, „ახალი ანტონი დიდი“, „ახალი სტეფანე პირველმოწამე“, “ნეტარი ავაზაკი“...

წმ. აბრაამი პირველმოგზაურია უფლის ნებითა და წინამძღოლობით. ამიტომ მას ადარებდნენ ყველას, ვისაც ღმერთი გამოიყვანდა ნათესავთაგან და სამოღვაწეოდ მიიყვანდა მისთვის სრულიად უცხო, თუმცა ღვთისთვის სათნო ტერიტორიაზე. მაცხოვარი ასე წარუძღვა წმ. აბოს თბილისისკენ, წმ. გრიგოლს _ ოპიზისკენ, წმ. იოვანეს _ ათონისკენ...

წმ. სამოელი ღმრთისთვის დაბადებამდე შეწირულთა და უბრალო, თავმდაბალი ადამიანების პარადიგმაა; წმ. დანიელი _ მმარხველთა; წმ. ელია _ მასწავლებელთა; წმ. ელისე _ მოწაფეთა; იაკობი და რაქელი _ დალოცვილი ოჯახისა; წმ. იოანე ნათლისმცემელი უფლის წინამორბედი, მისთვის გზის გამკვლევი და უცხო ტერიტორიაზე დამვანებელია; წმ. ნოე მართალი _ ხალხის გადამრჩენელი და მძიმე განსაცდელიდან დამხსნელი.

სანიმუშოა გიორგი მთაწმინდელის გიორგი მცირისეული დახასიათება: „ახალი აბრაჰამ, მშვიდი იგი მსგავსად დავითისა, ბრძენი _ მსგავსად სოლომონისა, ძვირუხსენებელი _ მსგავსად მოსესა, უბრალო _ მსგავსად სამოელისა, წმიდა _ მსგავსად იოსებისა, უხილავთა მხილველი _ მსგავსად დანიელისა, მოშურნე სარწმუნოებისა _ მსგავსად დიდისა ელიასა, უდაბნოს მოყვარე _ მსგავსად დიდისა წინამორბედისა, ქალწული ხორცითა _ მსგავსად მოწაფისა მის საყვარელისა და შეუორგულებელითა მით სიყვარულითა _ მსგავსი და მობაძავი პავლე მოციქულისა“.

* * *

ორის თანახატქმნა _ დამსგავსება შეიძლება ეყრდნობოდეს სამოღვაწეო დროისა და ადგილის, მოღვაწეობის ტიპისა და ხასიათის, სიცოცხლის არსისა და სიკვდილის ფორმის, გრძნობა-განცდების თანხვედრას.

გიორგი მთაწმინდელს წმ. ექვთიმეს მარჯვენა დაჰქონდა, როგორც დიდი ევლოგია, რომლითაც იმემკვიდრებდა წინაპრის ნიჭსა და შეწევნას. მართლაც, იგი ისევე მოგვანიჭა უფალმა გზის გამგრძელებლად, როგორც „შემდგომად მოსესა _ იესუ, შემდგომად ელიასი _ ელისე, შემდგომად პავლესა _ ტიმოთე;

თანახატქმნა ისეთი დამსგავსებაა ორი ადამიანისა, რომ იშლება ზღვარი და ორის ნაცვლად ერთი მოიაზრება.

ნეტარი ავაზაკი მონანულთა და დიდი რწმენით გაძლიერებულთა პარადიგმაა. წმ. აბო რადგან მას „ესწორა სარწმუნოებითა“, იოვანე საბანისძე თავის პერსონაჟს ზუსტად ისე მიმართავს, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ჰიმნოგრაფი _ „მარჯვენე ავაზაკს“:

„შენ კარი იგი სამოთხისა განაღე ჯუარითა ქრისტესითა და მცველთა მათ ქერობინთა, ცეცხლის მსგავსთა, ვერ განგიკითხეს, ვითარმედ ვინ ხარ“;

წმ. აბო ყველაზე მეტად წმ. პავლე მოციქულს ჰგავს. ისინი ცხოვრების წესითაც ემსგავსებიან ერთმანეთს, „მამულთა მათ შჯულთა და მოძღურებათა განგდებითა“ (რადგან ორივემ უარყო მამა-პაპის სარწმუნოება და გაქრისტიანდა) და სიკვდილით დასჯის ფორმითაც _ ორივეს თავი მოჰკვეთეს;

წმ. გრიგოლ ხანძთელი, გამორჩეული მრავალმხრივი მოღვაწეობით, წმ. მოსე წინასწარმეტყველს ემსგავსება. ორივე მათგანი სულიწმიდით შთაგონებული მწერალი, კანონმდებელი და თავ-თავისი ერის წინამძღოლია; ორივე „უდაბნოს“ ებრძვის და სულიერად ამაღლებს ხალხს, რომ ისინი აღთქმული ქვეყნის, ანუ ზეცის ქალაქის ბინადრებად გარდაქმნას; ამ ორივე წმინდანის სიბერე და გარდაცვალებაც „უმოლხინესია“

_ ღრმა მოხუცებულობამდე დაუძაბუნებლად, ჭაბუკური ენერგიით ცხოვრობენ და მშვიდად მიიძინებენ მაცხოვართან შეხვედრის მოლოდინში.

* * *

რაც შეეხება „გარეგნულ“ კავშირებს:

გრიგოლ ნოსელი მოგვითხრობს „წმ. მაკრინას ცხოვრებაში“, რომ ანგელოზმა წმ. მაკრინას შობამდე დაარქვა თეკლა, რაც „სეხნაობისა სიმაღლით“ მის ქალწულებრივ ცხოვრებას გულისხმობდა და მოასწავებდა;

წმ. გრიგოლ ხანძთელი ხანძთაში ახლად მიყვანილ ყრმებს, ანგელოზის რჩევით, არსენსა და ეფრემს დაარქმევს, რათა იყვნენ, როგორც „ეფრემ ასური და არსენი ჰრომაელი, კაცთაგან განშორებულნი და ღმრთისა მიახლებულნი“, ამ ორი დიდი მამის მადლი დატრიალდეს ძმობაში, მათი კურთხევითა და დახმარებით საქართველომ მომავალში ორი დიდი მოღვაწე შეიძინოს _ ასეც მოხდება, აღიზრდება საქართველოს ეკლესიის ორი მნათობი: არსენ დიდი საფარელი და ეფრემ დიდი მაწყვერელი;

გიორგი მცირე აგვიხსნის, რომ გიორგი მთაწმინდელის სახელი „ცხად და განმარტებულ“ საქმეს მოასწავებდა _ „საღმრთო და სულიერ მუშაკობას“, რადგან „გიორგი“ ბერძნულად „მუშაკს“ ნიშნავს.

დავით გურამიშვილი თავის წიგნს სახელს გადაარქმევს, ნაცვლად „გურამიანისა“ „დავითიანს“ უწოდებს, რითაც „დავითიანს“ მცველად და მფარველად „დავითნს“ დაუდგენს, როგორც ჩვენში მოიხსენიებდნენ „ფსალმუნთ“;

ჰაგიოგრაფიაში კავშირთა გაბმის თვალსაზრისით, სახელის გარდა, მნიშვნელოვანია დაბადებისა და გარდაცვალების, ნათლობის დღეები, ცხოვრების გზაზე უმნიშვნელოვანეს მოვლენათა თარიღები, პროფესია თუ საქმინობის ტიპი.

წმ. აბო 27 დეკემბერს დააპატიმრეს _ სტეფანე პირველმოწამის ხსენების დღეს. ეს იოანე საბანისძეს იმისი თქმის შესაძლებლობას აძლევს, რომ წმ. აბო ახალი სტეფანეა, რადგან ამ დღეს პირველმოწამემ დაამთავრა მოღვაწეობა (იგი ჩაქოლეს), აბომ კი დაიწყო, შეუდგა მოწამეობრივ გზას;

17 იანვარს _ წმ. ანტონი დიდის ხსენების დღეს რომ შეუდგა მარხვასა და დუმილს, ამის გამო ჰაგიოგრაფი წმ. აბოს პირველმონაზვნის გზის გამგრძელებლად მიიჩნევს, რომელიც, მისი თქმით, უდაბნოში არ იყო, მაგრამ შუა ქალაქში ცდილობდა წმ. ანტონის მიბაძვას;

ლალი დათაშვილი - ჰაგიოგრაფიის სივრცე

ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებისა და წმინდანთა თუ სიწმიდეთა სიმრავლის შესაბამისად, ქრისტიანულ კულტურაში სიმბოლურად მოიაზრება მხარეები, მიმართულებები; სარწმუნოებისა და ცხოვრების წესის მიხედვით განირჩევა საუფლო, ჩვეულებრივი და ცოდვილი ტერიტორიები; აისახება ვერტიკალური და ჰორიზონტალური სივრცის პროპორციულობა, სოფლისა და ზესთასოფლის ურთიერთმიმართება;

განსაკუთრებით პატივსაცემი მაცხოვრის შობის, ჯვარცმის, აღდგომის, ამაღლებისა და რაიმე სახის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილებია და, მოგვიანებით, - ამ „ადგილთა მემკვიდრეები“ თუ მათი მადლის მოწილენი.

ჰაგიოგრაფიაში ახსნილია, რომ რომელიმე ქვეყანა ხშირად სიმბოლური მნიშვნელობის შემცველია, მაგ. ეგვიპტე (როგორც ისრაელის ტყვეობის ადგილი) ჯოჯოხეთის მიწიერი სახეა: „პირველი იგი ახლისა მის სჯულისა სიძე იგი ფარაოსი, ფარაო უხორცოისა მის ფარაოისი, ვითარცა ეგვიპტე ჯოჯოხეთისაი, ურთიერთას მახლობელნი სახითა“ (ძეგლები 1978, 359).

წმ. გრიგოლ ნოსელი ამბობს:

„და ვერცა განთავისუფლდეს მონებისა მისგან მეგვიპტელთაისა, რომელმან არა დაუტეოს ეგვიპტე, _ ბნელსა მას და უკუნსა სოფლისა ცხორებასა ვიტყვი, _ და წიაღვლოს არა მეწამული იგი, არამედ შავი ესე და ბნელი ამაოისა ამის ცხორებისა ზღვაი“ (ნოსელი 2011, 133).

იერუსალიმს (როგორც მაცხოვრის ქალაქს) სამოთხის მიწიერ გამოხატულებად მიიჩნევდნენ, ეგვიპტეს (როგორც ისრაელის ტყვეობის ადგილს) _ ჯოჯოხეთის, ეგვიპტიდან გამოსვლა ჯოჯოხეთის კლანჭებიდან თავდახსნასა და თავისუფლებას მოასწავებდა, იერუსალიმის შვილობა _ სასუფევლის დამკვიდრებას.

ქვეყნის სარწმუნოების მიხედვით დახასიათების შემთხვევაა გიორგი მერჩულის საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“ (ძეგლები 1978, 175). ჰაგიოგრაფი ქართლად მიიჩნევს იმ ქვეყანას, რომელშიც ქართულ ენაზე ლოცულობენ; შეერთებულია ენა (ქართული), რწმენა (ქრისტიანობა) და მამული (ფრიადი ქვეყანა). Aმგვარად, ენის, მამულისა და სარწმუნოების გაერთიანებით მიიღება ქართლი _ დიდი ქვეყანა.

ებსტორფის პირველ ქრისტიანულ რუკაზეც მართლმორწმუნე ქვეყნებს დიდი ადგილი უჭირავთ, არაქრისტიანულთ _ პატარა, დედამიწის ცენტრში კი მოქცეულია იერუსალიმი, რადგან ქრონოტოპული ცნებები თუ ღირებულებანი ეთიკური კატეგორიებია და არა _ გეოგრაფიული.

ქვეყნები განაწილებულია მაცხოვართან სიახლოვისა და სულიერი ღირებულებებისა და არა _ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ქრისტიანულ კულტურაში სიმბოლურად მოიაზრება მხარეები აღმოსავლეთი უფლის მხარეა, დასავლეთი _ ესქატოლოგიური აღსასრულის, სამხრეთი _ მადლის, ჩრდილოეთი _ ცოდვის; უფლის მარჯვნივ სამოთხეა, მარცხნივ _ ჯოჯოხეთი. ამიტომ თხზულების დრო-სივრცე საინტერესოა არა მხოლოდ თავისთავადი მნიშვნელობით, არამედ შესაქმისეულ და ესქატოლოგიურ მოვლენებთან მიმართებით. როდესაც ჰაგიოგრაფი ნაწარმოების რომელიმე ეპიზოდში გამოკვეთს სივრცით ფაქტორს, მას ქვეტექსტურ მნიშვნელობასაც შესძენს.

„წმ. ნინოს ცხოვრებაში“ ამოვიკითხავთ, რომ თხზულებაში „ჩრდილოეთი“ მოხმობილია არა მიმართულებისა თუ ერთ-ერთი მხარის აღსანიშნავად, არამედ გაუქრისტიანებელ, ცოდვებით სავსე ტერიტორიას მიგვანიშნებს. საქართველო „ჩრდილოის ქვეყანა“ იმიტომაა, რომ იგი დაკლებულია იესო ქრისტეს მადლს და არა იმიტომ, რომ რომელიმე კონკრეტული ათვლის წერტილიდან ჩრდილოეთით მდებარეობს: „და იყო ოდეს მოხედა ღმერთმან წყალობითა ქვეყანასა დავიწყებულსა, ჩრდილოსა. და იყო ქვეყანა მზისაგან სიმართლისა დაკლებულ, დაკლებულ ქრისტეს, ძისა ღმრთისა მოსლვისთვის და ცხორებისა, ვითარცა სახელი ერქვა სამართლად ჩრდილოი. არა თუ ამას მზესა ცისასა დაკლებულ იყო, რომელიც აწ არს, რომელს ყოველი ცისა ქვეშე მყოფი იხილავს და ხედავს, ხოლო ამისთვის ერქვა ჩრდილოი, თუ რაოდენნი წელნი და ჟამნი და ნათესავნი გარდახდეს ადამისგან... და შემდგომად მოივლინა ქვეყანასა მას ჩვენსა ქადაგი ჭეშმარიტი ნინო, დედოფალი ჩემი, ვითარცა ბნელსა შინა მთიები, რომელ არს ცისკარი, და ნათობნ და მის უკან აღმოვალს დიდი იგი მფლობელი დღისაი და განმანათლებელი ჩვენი“ (ძეგლები 1978, 360).

წმ. შუშანიკის საკანი ციხეში, სწორედ, ჩრდილოეთით მდებარეობს.

„აბოს წამებაშიც“ „ჩრდილოეთი“ გაუქრისტიანებელ, ცოდვით დაცემულ ქვეყანას ნიშნავს: „ნერსე... შევიდა ქვეყანასა მას ჩრდილოისასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოგისთაი, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა სჯული არა აქვს“ (ძეგლები 1978, 67). აქ, „ქვეყანასა მას

ჩრდილოისასა,“ გამოირჩევიან ქრისტიანთა ქალაქები და სოფლები.

* * *

ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, პირდაპირის გარდა, სიმბოლური მნიშვნელობისაცაა გარკვეული სივრცითი მონაკვეთები:

ზეცა თუ მიწა, ცის კაბადონი, გზა, სამშობლო, ტაძარი, სახლი, ქალაქი, უდაბნო, ზღვა, წყალი, მდინარე, წყარო, ნავსადგური, ფარეხი, ხნარცვი, ორმო, მღვიმე, კლდე, მთა, ბორცვი, ციხე, კარი და ბჭე;

იესო ქრისტესთან დაკავშირებული ადგილები;

ყოვლადწმიდა მარიამის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები;

წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, წმინდანთა სამოღვაწეო ადგილები...

ზეცა უფლისაა, მიწა _ კაცთა ცოდვით დაცემის ადგილი, შესაბამისად, განირჩევიან „ზეცის კაცები“ და „საწუთროს მოყვარენი“;

ცის კაბადონი უფლისკენ მიმავალი გზა და ის „სასინათლოა“, რომლის გავლით ადამიანი სასუფეველს დაიმკვიდრებს. ამიტომ ევედრება დ. გურამიშვილი უფალს, „სასინათლო აუხვრიტოს“;

საბოლოო ბედნიერება, უჩრდილო ნათელი მხოლოდ ზეციური შეიძლება იყოს. ამიტომაც ამქვეყნიური სრული ბედნიერება მიწაზე მყოფობის დავიწყება და ზეცაში, მარადიულ სამყოფელში აღსვლის, სასუფევლის ნეტარების განცდაა.

„ვეფხისტყაოსანში“ სრული ნეტარების ასახვისას, როდესაც იშვებს ყოველი არსი მიწაზეც და ზეცაშიც, ბედნიერია ცხვარიც და მგელიც, გულნატკენი აღარავინაა, ადამიანი იმდენად უახლოვდება ზეცას, რომ ზეცა ხდება მისი სახლი, მისი სამყოფელი დარბაზი, მიწა სასუფევლად გარდაიქმნება _ „ცამცა გაიდარბაზესა“, _ ამბობს რუსთველი;

ტაძარი ცაა მიწაზე, ამიტომ ხშირად ასოცირდება სამოთხესთან.

გიორგი მერჩულე გადმოგვცემს, რომ ხანძთაში მოსალოცად ასულ ხელმწიფეებს: ადარნერსეს, ბაგრატსა და გუარამს _ მიწიერი ანგელოზებით გარშემორტყმულთ და მონასტრის საოცარი ატმოსფეროთი მოხიბლულთ თავი „ზეცას წმიდასა ბანაკს დამკვიდრებული“ ეგონათ;

სახლი სულის ნავსაყუდელია, უბინაობა _ მიუსაფრობა და განწირულობა, ბინა _ სულის „ნავსადგური“ და თავშესაფარი. ამქვეყნად კაცი მდგმურია. მახარებლებისა არ იყოს: „მელთა ხურელი უჩს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“ (მათე 8, 20; ლუკა 9, 58).

ადამიანის სანუკვარი და ნამდვილი სახლი სასუფეველია, იქ მისვლით ადამიანი _ „ძე შეცდომილი“, მამის სახლზე უარის მთქმელი და შემდეგ მისკენ მიმავალი გზის დაუცხრომლად მძებნელი, ივიწყებს მიუსაფრობისა და ობლობის განცდებს, თავს დაცულად და მშვიდად გრძნობს, იგი საკუთარ სახლშია და ლხინობს. უსასოო „არა-ვერას“ სამოთხის კარს მხოლოდ მაცხოვარი გაუღებს.

ასეთივე დანიშნულებისაა ეზო, როგორც სახლის ნაწილი, ფარეხი (როგორც ცხვრის სადგომი, გამომდინარე ადამიანის, როგორც ცხვრისა, და მაცხოვრის, ვითარცა მწყემსი კეთილის, მეტაფორებიდან). თუ წმინდანნი მარადიულად მიჰყვება უფლის გზას, რათა იყოს „ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა“ და „უფლის ეზოსაგანი“, სხვა _ „ცხოვარი გზაშეცდომილი“ ეშმას ზეგავლენით „იკარგება“, „სხვა ეზოში“, ანუ მგლების ხროვაში, აღმოჩნდება და მაცხოვრის შეწევნას საჭიროებს, მგლის ხელში რომ არ აღმოჩნდეს და უფლის სამწყსოს დაუბრუნდეს.

მთა, ბორცვი, კლდე საუფლო ტერიტორიებია, რადგან მათზე მყარად მდგარი კაცი უფლისაკენ მიდის. ლურჯი მთები მორწმუნეთა მიწიერი მყოფობის, სულიერი ზიგზაგების ადგილია. აქედან ახლოსაა უძირო ცა, სულთა მარადიული სამყოფელი...

გოდერძი ჩოხელი გადმოგვცემს, რომ ჩოხის წმიდა გიორგის ყმების რწმენით, ელიას

მთა „მთა კი არ არის, არამედ წმინდა წიგნია, სადაც ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის ნიშნები იკითხება“. თავისი მშობლიური გარემოთი აღფრთოვანებული ჩვენც გვარწმუნებს: „მართლა ისეთი ლამაზია არხოტი, კაცი აქეთ-იქით იყურება, ღმერთი ხომ არსად ზის, ან ყვავილებში ხომ არ დასეირნობსო... არხოტი ღმერთის ტახტივითაა ჩადგმული მთებს შორის ამ დედამიწაზე“ (ჩოხელი 2011: 84);

ტრადიციული სიმბოლიზმი (რენე გენონი) „მთის“ ხილვადობასა და „გამოქვაბულის“ დაფარულობაში ჭეშმარიტების ორ მდგომარეობას ხედავს: ჭეშმარიტების ხილვადობისა, როგორც „მთისა“, და ჭეშმარიტების დაფარულობისა, როგორც „გამოქვაბულისა“. სულიერი მნიშვნელობით „სიმაღლე“ და „სიღრმე“ თითქოს სინონიმებია, მაგრამ პირველი საყოველთაოა, მეორე _ ელიტური (იხ. კიკნაძე, 236).

თუ ამ მოსაზრებას ქართულ ჰაგიოგრაფიას მივუსადაგებთ, „ქუაბში“ მოღვაწე მამები გაგვახსენდება, ისინი უფლის, რწმენის, სოფლისა თუ საკუთარი თავის „სჯად“ _ სიღრმისეულად გასაანალიზებლად და შესასწავლად გადიოდნენ მიუვალ მთებსა თუ უდაბნოებში, იქ დაეყუდებოდნენ. შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, იოანე ზედაზნელი, ხუედიოს დაყუდებული, მათი პარადიგმის _ ანტონი დიდის მსგავსად, ელიტურ-ქრისტიანული სიბრძნით სავსე მამები იყვნენ. მათი სამყოფელი _ გამოქვაბული კი, შესაბამისად, სიბრძნის სახლთან ასოცირდება.

ხოლო ხნარცვი, ორმო, ცოდვის ლიაა. ადამიანი რაც მეტად სცოდავს, მით უფრო „ღრმად ეფლობა ორმოში“.

წმინდანის მისიაც ასე ესმოდათ, რომ მას არა მხოლოდ თვითონ უნდა გაეკვალა გზა ცხონებისა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის _ „საწუთროს კაცის“ (იაკობ ხუცესი), გზას აცდენილი ცხვრისთვის, ხელი უნდა გაეწოდებინა თუ შეეშველებინა, „ცოდვის ორმოდან ამოეყვანა“ და ზეცისკენ მიმავალ გზაზე დაეყენებინა _ ეს იყო მისი ღვაწლი ამსოფლად.

„ზეცისა კაცებს და ქუეყანისა ანგელოზებს“, რომლებიც მოვლენილნი არიან ჩვეულებრივ მოკვდავთა იმედად, „სასოდ სულთა და ხორცთა ჩუენთა“ (გიორგი მერჩულე), ასე შეჰღაღადებს გიორგი მცირე: „ხნარცვსა შინა ვნებათასა მდგომარე ვართ, ვითარცა იხილა დიდმან პახუმი, და ვეძიებთ მსგავსთა თქვენთა ხელის-მიცემად, რაითამცა მიერ აღმოვედით და მღვიმისაგან გლახაკობისა და თიხისაგან უყისა კლდესა ზედა სათნოებათასა ფერხნი ჩვენნი დავამტკიცენით“ (ძეგლები 1978: 208).

თუმცა, ცხადია, გადამწყვეტი ადამიანური ფაქტორია. წმ. ეფრემ ასური ამბობს:

„ადგილსამყოფელი კი არ აცხოვნებს კაცს, არამედ _ საკუთარი კეთილი ნება. ადამი, ჩვენი პირველმშობელი, სამოთხეშიც კი დაეცა ცოდვით, მართალმა ლოთიმ კი სოდომშიც შეინარჩუნა კეთილმსახურება“ (გამონათქვამები 2000, 19).

* * *

ძველი და ახალი აღთქმა წუთისოფლისა და სატანის სიმბოლოდ მოიაზრებს ზღვას, რომელიც მახეს უგებს ადამიანს, ამ ზღვაში მოცურავე ნავს, და უღელვო ნაპირამდე მიღწევაში ხელს უშლის.

„მრავალმღელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ“, _ მოთქვამს ჟამთააღმწერელი.

წმ. ბასილი დიდი გვასწავლის: „ადამიანის სული ამ სოფელში ძალიან ჰგავს ხომალდს, რომელიც ტალღების საპირისპირო მიმართულებით მიცურავს. ერთ ადგილზე გაჩერება დაუშვებელია და, თუ იგი არ გამოიყენებს ძალისხმევას წინ წასასვლელად, სიღრმეში შთაინთქმება“.

გრიგოლ ღვთისმეტყველი ოდისევსის ზღვაზე ხეტიალს ქრისტიანის სულიერ მოგზაურობად გაიაზრებს. (იხ. კიკნაძე 2013, 219).

წმ. იოანე ოქროპირი ასე ახასიათებს წმ. ნოე წინასწარმეტყველს: „მას, როგორც ჩინებულ

მესაჭეს, გონების საჭე უდიდესი სიფხიზლით ეპყრა. გარნა, იდგა რა ქარიშხალზე მაღლა და ეხეთქებოდა რა ტალღები, თითქოსდა, ნავთსადგურში იყო და ესრეთ მართავდა რა სათნოების საჭეს, თავი იხსნა წარღვნისაგან“ (ოქროპირი 2014, 66).

ცნობილია წმ. გრიგოლ ხანძთელის პოეტური ნიჭით აღბეჭდილი თარგმანი, რომელშიც წმიდა მამა, საგალობლის ავტორ უცნობ ჰიმნოგრაფთან ერთად, მრავალმოწყალე უფალს შესთხოვს ცხოვრების ზღვაში დანთქმისაგან გადარჩენას და მორწმუნეს კიდევ ერთხელ დააფიქრებს იმაზე, თუ რამდენ „უნებელ“ განსაცდელს უმზადებს წუთისოფელი „საწუთროს კაცად, სოფლის მოყვარედ გადაქცეულ“ („შუშანიკის წამება“) ადამიანს:

„სოფლისა ზღვაი აღძრულ არს

ღელვითა ცოდვისაითა,

საშინელად დამნთქამს მე,

და მოვივლტი შენდა ნავთსაყუდელსა,

და ესრეთ გიღაღადებ:

დანთქმისაგან მიხსენ მე,

მრავალმოწყალე!“

ზღვის სიმბოლოდან მომდინარედ გვესახება სამოთხის ერთ-ერთი სახელი _ „ქრისტეს ნავსადგური“, რომელიც გვხვდება „შუშანიკის წამებაში“. იაკობ ხუცესი შენიშნავს, რომ სამოელ და იოანე ეპისკოპოსები წმ. შუშანიკს „მადლობით წარჰგზავნიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტეისისა“.

სამოთხე „უღელვო მყუდროების სადგურად“ მოიხსენიება ჰიმნოგრაფიაში.

* * *

სიწმინდისა და მადლის განაწილების მიზნით ხდება სივრცის საკრალიზაცია: სახელდებით, წმ. ნაწილის დაბრძანებით, რაღაც ნივთის გადატანით. ამიტომ არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და, მათ შორის, საქართველოშიც გოლგოთა, თხოთი, ბეთანია, ბეთლემი, გეთსიმანია, ელეონი, თაბორი, სინა. მცხეთა მოიაზრება, როგორც მეორე იარუსალიმი. აქვე ინახება მაცხოვრის კვართი, ელია წინასწარმეტყველის ხალენი, ღვთისმშობლის კვართი, წმ. გიორგის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, ნინო მოციქულთასწორის ჯვრის, ძელიცხოვლის წმ. ნაწილები და სხვა უამრავი სიწმიდე;

სივრცის საკრალიზაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდანის როლი. ის, ვითარცა „სოფლის მარილი“, „ამქვეყნიური სიმყრალის“ განმაქარვებელია; ვითარცა „სანთელი სასანთლესა ზედა გაბრწყინებული“, ცდილობს გააკეთილშობილოს, გაამშვენიეროს სოფელი, შემოიტანოს სინათლის სხივი როგორც გარემოში, ისე ადამიანთა სულებში; მის კეთილ ქცევათა გამო „რცხვენის სოფელსა“, როგორც ამბობს გიორგი მერჩულე. ამისი მაგალითები წმ. ნინო მოციქულთასწორი, წმ. ასურელი მამები, წმ. გრიგოლ ხანძთელი და სხვანი არიან, რომელთა „ღირსი არა იყო სოფელი ესე“.

წმ. შუშანიკმა „განაბრწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხეი სულიერითა მით ქნარითა“ (ძეგლები 1978, 38).;

წმ. აბომ თავისი დამწვარი სხეული საკმევლად “მიუპყრა ღმერთსა”, თავისი სიკვდილის ადგილი არონისა და ზაქარიას ბერვარს დაამსგავსა, ხოლო თბილისი გადააქცია უწმიდეს საკურთხევლად “აბელისი, ენუქისი, აბრაჰამისი და ელიაისი, რომელნი-იგი მრგულიად დასაწუველთა მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღმრთისა” (ძეგლები 1978, 84).

გიორგი მერჩულე ამბობს, რომ ახოვანი მოღვაწე „ტაძრითა მით სულისაითა ქუეყანისა ცად შემცვალებელია“ (ძეგლები 1978, 201). მართლაც, წმინდანის მოღვაწეობით მიწიერი სივრცე ზეციურად გარდაიქმნება და უფალთან აღმაღლდება საკრალურქმნილი.

წმ. გრიგოლ ხანძთელის მისია „უდაბნოს ქალაქყოფაა“ _ მურვან ყრუსაგან აოხრებული,

გაუდაბურებული, ნადირთა საყმუვლოდ გადაქცეული ტაო-კლარჯეთი, მოსახლეობა რომ გაწყვეტილა და ორ-ორი, სამ-სამი ოჯახი „ტყეთა შინა, ადგილ-ადგილ“ მიმალულა, ამ დიდმა მოღვაწემ, „ზეცისა კაცმან და ქუეყანისა ანგელოსმან“, ისევ ქალაქად უნდა გადააქციოს, რაც გულისხმობს იქაურობის არა მხოლოდ ფიზიკურ განაშენიანებას, არამედ სულიერ აღმავლობა-აღორძინებასაც. მან კარგად იცის დავით წინასწარმეტყველისგან შესწავლილი, რომ უფლისთვის ყველაზე მეტად სათნო და მოსაწონი ძმობის მიერ აღვლენილი გალობაა („რაიმე კეთილ, ანუ რაიმე შუენიერ, არამედ დამკვიდრებაი ძმათა ერთად“ _ ფსალმ. 132, 1), ამიტომ განიზრახა სამონასტრო მშენებლობისთვის მიეყო ხელი და თავისი სამშობლო მადლმოსილ, უფალთან ამაღლებულ ქვეყნად ექცია. გარდა ამისა, წმ. გრიგოლი საუკეთესო ზეგავლენას ახდენს ირგვლივ მყოფებზე _ ხელმწიფეებს, ხანძთაში ყოფნისას მიწიდან გასვლის, სამოთხის მოხილვის განცდა იპყრობთ და თავი „ზეცას, წმიდასა ბანაკს დამკვიდრებული“ ჰგონიათ (ძეგლები 1978, 172). წმინდანები კი „მრავალთა სულთა ნავთსაყუდელი“ არიან.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო საქართველოს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად მიჩნევა. ამით არა მხოლოდ განიწმინდებოდა და უფალთან ამაღლდებოდა აქაურობა, არამედ უდიდესი მეოხი და მცველი დაედგინებოდა ივერიას და იზრდებოდა მისი პასუხისმგებლობაც მაცხოვრის წინაშე, როგორც რჩეული ერისა.

საკრალური ადგილებია წმინდანთა საფლავები, როგორც წყარო სიკეთისა. ამიტომ ისინი და მათზე აშენებული სამარტვილეები მლოცველთა მუდმივი სწრაფვისა და სასოების სავანეებია;

უმნიშვნელოვანესი, ცხადია, უფალთან დაკავშირებული წმიდა ადგილები, მათთან ზიარების სურვილი და მათი მადლის მთელ დედამიწაზე განაწილება იყო.

სიწმიდის გვირგვინი იერუსალიმია, როგორც „წყარო მადლისა“, „ტაძარი ღვთისა“, ქალაქი, „რომლის ხუროთმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს“. იერუსალიმის მოლოცვა „ზეციური იერუსალიმის“, ანუ სასუფევლის მოხილვას გულისხმობდა. აქ, უფლის მიწიერ სახლში, მისული თავს ზეციურ სასახლეში წარმოიდგენდა, აქაური მადლი სამოღვაწეოდ აძლიერებდა.

იერუსალიმს მიმავალ მორწმუნეთა ნაკადი არასოდეს შეწყვეტილა. აქ ეშურებოდნენ კეთროვანნი თუ საპყარნი განკურნების იმედით, მორწმუნე ადამიანები, საერონი თუ სასულიერონი, სულიერი მადლის მიღების იმედით. აქ ადამიანი სულიერ და ხორციელ კურნებას ელოდებოდა და ესწრაფვოდა.

მირიან მეფე, წმ. ნინოს რჩევით, იერუსალიმში შეიძენს მიწას მონასტრის ასაშენებლად და აქ ჯვრის მონასტერს აღმართავს;

წმ. შუშანიკმა იქ ავადმყოფი ქალი გაგზავნა;

„წარვიდე და წყალობით მოხედვა-ყოს ღმერთმან ჩემ-ზედა და სახიერებისა და სიტკბოებისა მისისათვის დააღინოს ჩემ ზედა წვეთი მადლისა და სიტკბოებისაი“ _ ფიქრობს დავით გარეჯელი (ძეგლები 1978, 237);

წმ. გრიგოლმა იქაური წეს-განგების „დაწერა და წარმოცემა“ სთხოვა სალოცავად მიმავალ მეგობარს;

სამუდამო სამყოფელად იერუსალიმს ირჩევს მოსალოცად წასული ილარიონ ქართველი...

გიორგი მთაწმინდელი ტაო-კლარჯეთის, იერუსალიმისა და სინას გავლით, მთელი აქაური მადლით გაძლიერებული მიდის ათონზე.

არა მხოლოდ იერუსალიმი, ისრაელისა თუ ეგვიპტის ტერიტორიები, არამედ სხვა ქვეყნებში არსებული ბიბლიური ტოპონიმებიც განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა და მათზე გადმოდიოდა „თანამოსახელეთა“ მადლი.

* * *

ჰაგიოგრაფები ხშირად ცხოვრების წესს შეუსაბამებდნენ გარემოს. მოწამეები სიცოცხლეშივე ჯოჯოხეთურ პირობებში არიან, ვფიქრობთ, იაკობ ხუცესის მიერ საგანგებოდ ჰიპერბოლიზებულია წმ. შუშანიკის ციხის ცუდი გარემო პირობები, რადგან ასეთი კლიმატი, ფაქტობრივად, არ არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე. თანაც დედოფალი ხურავს სარკმელს, თავს იგვემს, რომ სიცოცხლეშივე გაიაროს ჯოჯოხეთი, „აქა იტანჯოს და მუნ განისუენოს“.

სამაგიეროდ, მაღლით სავსეა ხანძთის, ოპიზის, შატბერდის, იშხნის მიდამოები, მზითა და ჰაერით „კეთილად შეზავებული, საამო წყლით, სასიამოვნო კლიმატით, „განწესებული, მზუარე“, წვიმისას ხამლიც კი არ უტალახიანდებათ ბერებს, რათა მკითხველი მიხვდეს, რომ ისინი სიცოცხლეშივე სამოთხის მკვიდრნი არიან.

ჩვენი აზრით, ამისი მიზეზი ის უნდა იყოს. რომ მოწამისთვის უმნიშვნელოვანესი სიკვდილთან უშიშრად და შეურცხვენლად შეხვედრა იყო და არა _ მოღვაწეობის ხანგრძლივობა, მოღვაწე წმინდანები კი რაც მეტს იცოცხლებდნენ, მით მეტს შექმნიდნენ და ბევრს მოასწრებდნენ.

წმინდანი ხშირად ცდილობს, შემოისაზღვროს სამოღვაწეო სივრცე. ამით, როგორც ჩანს, თავს დაცულად გრძნობს, როგორც „საწუთროს კაცთაგან“, ისე ამქვეყნიურ საცდურთაგან. ამავე დროს, განმარტოებული ლოცულობს, მუდმივად უფალთანაა და მისი წყალობის იმედადაა. წმ. შუშანიკი სულ ცდილობს, პატარა სენაკებში განმარტოვდეს, სარკმელსაც კი ხურავს, რომ გარესამყარომ ყურადღება არ გაუფანტოს;

წმ. გრიგოლ ხანძთელი ერთ ძმას, რომელიც ეშმაკისაგან იგვემებოდა, თავისი ხელით შექმნილი ჯვრებით შემოუსაზღვრავს სივრცეს. ეშმა ვეღარ ეკარება ჯვრებით დაცულ, განწმენდილ ტერიტორიას და ბერსაც ვეღარ სცემს;

მონასტერი უფლის სახლია, ცაა მიწაზე, ლოცვა და საეკლესიო გალობა ეშმასთვის ბოროტ საქმეში ხელის შემშლელი ზღუდეა, ამიტომ სამონასტრო ტერიტორიის, როგორც მიწიერი სამოთხის, შერჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

თუ ადგილი უკვე საკრალურია (მაცხოვრის კვართი ან რაიმე სიწმიდეა შთაფლული, რომელიმე მოწამის საფლავია, უფლისა თუ რომელიმე დიდი წმინდანის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ტერიტორიაა), ტაძარი აუცილებლად იქ შენდება;

თუ ასე არ არის, წმინდანებს, ჩვენება-გამოცხადებისა თუ სასწაულის საშუალებით, ხშირად უფალი მიანიშნებს მისთვის სათნო ადგილს ტაძრის ასაშენებლად. ჰაგიოგრაფიაზე დაყრდნობით, ასე აიგო ხანძთა, შატბერდი, ზარზმა, შიომღვიმე, ჯვარი...

ზოგჯერ თვითონ წმინდანი შეარჩევს საეკლესიო ადგილს. წმ. გრიგოლ ხანძთელი არა მხოლოდ უბისისთვის ეძებს შესაფერის ტერიტორიას, არამედ თეოდორესა და ქრისტეფორესაც იმ პირობით აძლევს მონასტერთა აშენების კურთხევას, თუ მისი თანამონაწილეობით განისაზღვრება, სად ააშენონ ტაძრები.

* * *

წმინდანის სამოღვაწეო არეალის ასახვით წარმოჩნდება მისი ავტორიტეტი.

წმ. შუშანიკი ცურტავის მიდამოებში „ტრიალებს“, რადგან მისი ღვაწლი ჰერეთის საპიტიახშოსთვისაა საჭირო, რომლის დედა და დედოფალია;

„აბოს წამების“ გეოგრაფია ფართოა: არაბეთი, ქართლი, ხაზარეთი, აფხაზეთი, რადგან წმ. აბო, როგორც გაქრისტიანებული არაბი მუსლიმანი, „ჰნათობნ ყოველთა“;

წმ. გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო არეალი კიდევ უფრო ფართოა: ქართლი, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი, კონსტანტინოპოლი, იერუსალიმი. გიორგი მერჩულე გვიჩვენებს, რომ წმ. მამა თავისი სულიერი მადლმოსილებით გადასწვდება მთელ ქრისტიანულ სამყაროს და ამით ცდილობს, იგი მსოფლიო მნიშვნელობის წმინდანებს გაუთანასწოროს;

ილარიონ ქართველს მისი „ცხოვრების ავტორი ასე ახასიათებს: „ყოვლად ბრწყინვალეი მნათობი, რომელი-იგი აღმოსავლით აღმოხდა და სათნოებათა ელვითა დასავალსა მყოფნი განანათლა“ (ძეგლები 1978, 230). ჰაგიოგრაფი ამით ილარიონ ქართველს მსოფლიო მნიშვნელობის წმინდანად აცხადებს, რომელიც ავტორიტეტით სწვდება მთელ სამყაროს, აღმოსავლეთ-დასავლეთს.

* * *

ჰაგიოგრაფია საერთოდ ხსნის სივრცის ფაქტორს. სიდონიას დედას შეუძლია მცხეთაში გაიგოს მაცხოვრისთვის დარტყმული ლურსმნის ხმა და ჯვარცმული ღმერთის თანაგრძნობით სავსე აღესრულოს;

ჰაგიოგრაფია ამიტომ არ ასახავს გზის სიძნელეს, მანძილის გადალახვის სირთულეს. თითქოს ერთი ნაბიჯით მოდის ვარსქენი სპარსეთიდან ჰერეთში, წმ. აბო _ ბაღდადიდან _ თბილისში, წმ. გრიგოლი _ თბილისიდან _ ოპიზაში, ხანძთიდან _ კონსტანტინოპოლში და უკან...

ჰაგიოგრაფი წმინდანის მოგზაურობიდან მხოლოდ ისეთ რაიმეს გვიამბობს, რასაც სულიერი თუ ისტორიული ღირებულება გააჩნია. მაგ. წმ. ნინოს ის აძლიერებდა, რომ ქართლში მაცხოვრის კვართი ეგულებოდა, აფხაზეთისკენ მიმავალი აბო „მგზავრ მარხულობდა და ლოცულობდა“, თეოდორესა და ქრისტეფორეს ძებნისას წმ. გრიგოლმა დაიმოწაფა ეფრემი, სერაპიონ ზარზმელმა, უფლის შეწევნით, მზის ჩასვლა რამდენიმე წუთით შეაყოვნა და ა.შ.

სოფლისა და ზესთასოფლის ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, აისახებოდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური სივრცის პროპორციულობა. გზა, სვლა, გადაადგილება ჰორიზონტალურ სივრცეში, მიწიერ-ზეციური ერთობიდან გამომდინარე, ვერტიკალზე ამაღლებას, უფალთან დაახლოებას ან მასთან დაშორებას, დაცემას, ჯოჯოხეთისკენ სვლას ნიშნავს.

* * *

ასევე, საყურადღებოა სივრცული და ზესივრცული მოვლენების ურთიერთმიმართება: ჩვენების, გამოცხადების, სიზმრისა და ხილვის ასახვა, მოგონება-გახსენებების გზით თხზულების ქრონოტოპში ახალი დრო-სივრცის ჩართვის ხერხები და პრინციპები. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მასში ავტორი ჩაურთავს ზესივრცულ მოვლენებსაც (ჩვენება-ხილვანი ტაძართა ასაშენებლად) და ახალ ქრონოტოპებსაც: ზენონის თავგადასავალს, აშოტისა და ადარნერსეს სატრფიალო ამბებს, ცქირის ხრიკებს, ნაამბობებს დიდი მამის მოწაფეებზე... ასეთი ჩანართები ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს უმატებს მხატვრულ ღირებულებას და, ამასთანავე, გვიჩვენებს ამქვეყნიური ყოფის მრავალფეროვნებასა და ამქვეყნად სწორად ცხოვრების პრინციპებს.

ლალი დათაშვილი - სივრცეში გადაადგილების ქვეტექსტური მნიშვნელობა ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში

ჰაგიოგრაფიაში წმინდანის მიერ გზის დაძლევა მის სულიერ ამაღლებასა და მოღვაწეობისათვის მომზადება-გაძლიერებას გულისხმობს:

ნინო მოციქულთასწორი კაბადოკიიდან ქართლში მოდის, მცხეთაშიც „მიმოიქცევა“, ვიდრე გაძლიერდება და განემზადება მოღვაწეობისათვის;

წმ. აბო არაბეთიდან მოდის ქართლში და გაქრისტიანების სურვილი უჩნდება. არაბთა

შიშს ხაზარეთში გადასვლა დააძლევინებს, იქ უკვე მოინათლება, ხოლო აფხაზეთში გადასული „მგზავრ მარხვისა და ლოცვის“ შემდეგ უკვე „არა ხოლო ტანჯვად, სიკუდილადაც“ მზად არის ქრისტეს სიყვარულისთვის;

წმ. გრიგოლ ხანძთელს თვით უფალი წარუძღვა ოპიზამდე, რათა მოღვაწეობის სირთულეს ვერ შეეშინებინა ეს დიდი მამა, ხანძთაში ასულს მოღვაწეობის ფორმაც აუწყა ხუედიოს დაყუდებულის მიერ. ის საქმენი კი, რომელნიც უტოლდებიან „დაულევნელთა კეთილთა საფასეს“, მამა გრიგოლმა კონსტანტინოპოლის მოლოცვის შემდეგ აღასრულა;

ორჯერ გაიპარებიან თეოდორე და ქრისტეფორე ხანძთიდან, მოივლიან ქართლისა და აფხაზეთის სანახებს და მხოლოდ შემდეგ მიიჩნევს მათ წმ. გრიგოლი სამოღვაწეოდ გამზადებულებად;

გიორგი მთაწმინდელიც ტაო-კლარჯეთის, იერუსალიმისა და სინას გავლით, მთელი აქაური მადლით გაძლიერებული მიდის ათონზე....

შევნიშნავთ, რომ, თუ წმინდანებს სიკეთეში აძლიერებს გადალახული მანძილი, ეშმაკეულთ ბოროტის ქმნის სურვილი ეძალებათ. ქტეზიფონიდან მობრუნებული, ანუ სატანურსა და ჯოჯოხეთურთან ნაზიარები, ვარსქენი ბოროტებით სავსე ეშმაკეული, „მგელი“, „ცოფი“ და „მძვინვარე მხეცია“.

დ. ლიხაჩოვი მიუთითებს, რომ გზის სიძნელეს, მანძილის გადალახვის სირთულეს ჰაგიოგრაფი არ ასახავს, არამედ გადმოგვცემს მხოლოდ ორიოდე სიტყვით: „წამოვიდა და მოიწია“ (ლიხაჩოვი 1970, 65), ამიტომ უყურადღებოდ რჩება მსვლელობა-მოგზაურობის საწყის და საბოლოო წერტილებს შორის მოქცეული დრო-სივრცე. წმ. გრიგოლ ნოსელი შენიშნავს, „უშორესი გზისაი წარგუევლო“, თუმცა არაფერს ამბობს ამ დიდი და შორი გზის გადალახვის სიიოლესა თუ სირთულეზე.

ასეა ქართულ ჰაგიოგრაფიაშიც. მაგ. ვარსქენი „იჯმნა სპარსთაისა... და მოიწია საზღვართა ქართლისათა“ (იაკობ ხუცესი).

მკითხველი მხოლოდ თვითონ თუ გაიაზრებს, რომ მანძილი ადვილად გადასალახავი არ არის. მაგ. ნინო მოციქულთასწორი უმძიმეს გზას გამოივლიდა ჩვენამდე ჩამოსაღწევად, ეს პატარა გოგონა დაითმენდა შიმშილს, შიშს, სიცივესა და წყურვილს, ან სერაპიონ ზარზმელი სამონასტრო ტერიტორიის მისაგნებად თუ შემდგომში იმ სივრცის გარს შემოსავლელად, რომელიც ზარზმისა უნდა ყოფილიყო, ძალიან გაწვალდებოდა და დაიქანცებოდა, წმ. გრიგოლსა და საბას გაუჭირდებოდათ „კაცთაგან უვალ“ ადგილამდე მიღწევა, სადაც იშხანი უნდა აშენებულიყო, თუმცა „ცხოვრებათა“ ავტორები ამაზე საგანგებო ყურადღებას არ ამახვილებენ.

გადაადგილება ჰორიზონტალურ სივრცეში, მიწიერ-ზეციური ერთობიდან გამომდინარე, ვერტიკალზე ამაღლებას, უფალთან დაახლოებას ან მასთან დაშორებას, დაცემას, ჯოჯოხეთისკენ სვლას ნიშნავს.

წმინდანის მიერ რეალურად განვლილი, ანუ დაძლეული, სივრცის ყოველი ახალი წერტილი სიმბოლურად შეესაბამება მის ახალ სულიერ სიმაღლეს.

წმ. დიონისე არეოპაგელის აზრით, უფალთან სიახლოვის მიხედვით, ადამიანები, პირობითად, ჯგუფებად ნაწილდებიან და „კიბის საფეხურებზე“ განლაგდებიან, ადამიანი, თანდათან რომ წარემატება სათნოებაში, თითქოს მაღლდება, უფლისკენ მიმავალ კიბეზე ადის.

წმ. შუშანიკის გადაადგილება სასახლიდან ეკლესიაში, სიმბოლური ქვეტექსტით, დედოფლის (მართალი ქრისტიანის) წმინდანად გადაქცევაა, ხოლო მისი ეკლესიიდან ციხეში გადაყვანა წმინდანის მოწამედ გარდაქმნას გულისხმობს. ამგვარად, იაკობ ხუცესი შუშანიკის გადაადგილებით მის ამაღლებასა და უფალთან დაახლოებას ასახავს. სქემით ეს ამგვარად წარმოგვიდგება:

სასახლე (დედოფალი) - ეკლესია (წმინდანი) - ციხე (მოწამე).

ვფიქრობთ, წმინდანის სივრცეში გადაადგილების ასახვა განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია „აბოს წამებაში“. ეს თხზულება სანიმუშოდ მიგვაჩნია ჰაგიოგრაფიაში სივრცული გადაადგილების ამსახველი ეპიზოდების როლისა და ღირებულების თვალსაზრისით.

იოვანე საბანისძე აბოს ჰორიზონტალურ სივრცეში ამოგზაურებს და გავლილი გზის თითოეულ მონაკვეთს „სულიერი კიბის“ საფეხურს შეუსაბამებს. _ ბაღდადში, როცა ვეცნობით, აბო მუსლიმანია; თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მოისურვებს ნათლობას, კათაკმეველი ხდება; ნერსესთანერთადხაზარეთშიმისულიგაქრისტიანდება;აფხაზეთისკენ მარხვით, ლოცვითა და მდუმარებით მიმავალი ხდება მართალი; აფხაზეთში ჩასულს უკვე წმინდანად თვლიან; თბილისში დაბრუნებულს აწამებენ და მარტვილად წარდგება მაცხოვრის წინაშე (უმაღლეს „საფეხურზე“ ამაღლდება). ე. ი. ყოველ გადაადგილებას მიწიერ სივრცეში მოსდევს აბოს ამაღლება ვერტიკალზე, არაბი ჭაბუკი ნაბიχ-ნაბიχ, თანდათანობით უახლოვდება უფალს. ამ სვლა-ამაღლებას სქემატურად ასე გამოვსახავთ:

ბაღდადი (მუსლიმანი) _ თბილისი (კათაკმეველი) _ ხაზარეთი (ქრისტიანი) _ გზა აფხაზეთისკენ (მართალი) _ აფხაზეთი (წმინდანი) _ თბილისი (მოწამე).

წმ. გრიგოლ ხანძთელის სვლაც სიმბოლური მნიშვნელობისაა. ჩვენი აზრით, შესაძლოა წმინდანის გადაადგილებისას ყოველ ორიენტირს სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭოს:

გიორგი მერჩულე თავის პერსონაჟს ქართლში გვაცნობს. ეს ტერიტორია წმინდანის შობასა და აღზრდას უკავშირდება;

ოპიზაში მისვლის შემდეგ გრიგოლი ემზადება მოღვაწეობისათვის. ორი წლის განმავლობაში „ფიცხელი, მონაზვნური შრომით“ წარემატება სათნოებაში;

ხანძთაში მისულ გრიგოლს ეუწყება უფლის ბრძანება, როგორც რჩეულს;

კონსტანტინოპოლი და ძელიცხოველთან ლოცვა უფლის მადლს აზიარებს წმინდანს და სულიერად აამაღლებს, გააძლიერებს;

ხანძთაში დაბრუნებული გრიგოლი უკვე დიდი მოღვაწეა, ქმნის წეს-განგებას, წერს „საწელიწდო იადგარს“;

აფხაზეთში ჩასული მამა გრიგოლი წარმოჩნდება, როგორც „მწყემსი კეთილი“ და „მოძღვარი რჩეული“;

შატბერდში წმ. გრიგოლის მოღვაწეობა დაგვირგვინდება და დიდი მამა ამაღლდება ზეციურ მეუფესთან;

მიწიერი სიცოცხლის დასასრულს დიდი მამის კვლავ ხანძთაში დაბრუნება საქმეთა სრულქმნის, ზეციურ პირველსაწყისთან დაბრუნების, სამოთხეში დამკვიდრების მიმანიშნებელია.

სქემატურად ამ ყოველივეს ამგვარად გამოვსახავთ:

ქართლი (შობა და აღზრდა) _ ოპიზა (მზადება მოღვაწეობისათვის) _ ხანძთა (უფლის რჩეულობის გამოცხადება) _ კონსტანტინოპოლი (უფლის მადლთან ზიარება) _ ხანძთა (დიდი მოღვაწე) _ აფხაზეთი („მწყემსი კეთილი“) _ შატბერდი (მოღვაწეობის დაგვირგვინება) _ ხანძთა (სამუდამო სავანის მოძიება და უფალთან დამკვიდრება).

წმ. გრიგოლ ხანძთელის მოგზაურობა-გადაადგილების ქვეტექსტურ-სიმბოლური მნიშვნელობის გააზრებისას ვსარგებლობდით თვალსაზრისით, რომ მოძღვრება-სწავლება, ვითარცა საუფლო საქმის განმეორება, ქრისტე-რაბის (მოძღვრის) მიბაძვა, სხვათათვის სწავლება მოღვაწეობის უფრო მნიშვნელოვანი სახეა, ვიდრე პიროვნული, კერძოობითი შრომა. პავლე მოციქული ხუცესს ორმაგი პატივის ღირსად მიიჩნევს, რადგან იგი იღვწის სიტყვითაც და მოძღვრებითაც (იხ. I ტიმ. 5, 17-18).

ამგვარად, „მოძრაობა გეოგრაფიულ სივრცეში არის გადაადგილება რელიგიური ფასეულობების ვერტიკალურ სკალაზე“ (ლექსიკონი 1974, 211).

კლოდ ლევი-სტროსიც ცივილიზებული და არაცივილიზებული ხალხების განვითარებას წარმოიდგენდა სხვადასხვა კიბეზე თავ-თავისი საფეხურებით მოძრაობის მეტაფორით (იხ. კიკნაძე 2013, 256)

სივრცეში გადაადგილებისას ქრისტიანისთვის ყველაზე სასურველი, პატივდებული და მნიშვნელოვანი წმინდა ადგილებში მოსალოცად სვლა იყო. იერუსალიმის მოლოცვა „ზეციური იერუსალიმის“, ანუ სასუფევლის მოხილვას გულისხმობდა. რადგან ქრისტიან მოღვაწეთა რწმენით, „მიწიერი გზები ერწყმის ზეციურს“ (გურევიჩი 1972, 84), გადაადგილება, მიმოსვლა, „სივლტოლვა“ სიწმინდისაკენ იგივეა, რაც უფალთან დაახლოების მცდელობა. „მოხილვა, გავრცელებული და შედარებით პატივდებული ფორმა მოგზაურობისა, მოიაზრებოდა არა მხოლოდ როგორც სვლა წმიდა ადგილებისკენ, არამედ როგორც გზა ღმერთისკენ“ (გურევიჩი 1972, 86).

საპირისპიროდ, ეგვიპტისკენ მსვლელობა, სიმბოლურად, ჯოჯოხეთის გზის გავლას, საშინელებასთან ზიარებას ნიშნავდა, რადგან ეგვიპტეს ჯოჯოხეთის მიწიერ გამოხატულებად მიიჩნევდნენ: „ფარაო უხორციოისა მის ფარაოისი, ვითარცა ეგვიპტე _ ჯოჯოხეთისაი, ურთიერთას მახლობელნი სახითა“_ ვკითხულობთ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“, ხოლო ეგვიპტიდან გამოსვლა ჯოჯოხეთის კლანჭებიდან თავდახსნასა და თავისუფლებას მოასწავებდა....ამიტომაა, რომ პასექი ეგვიპტელთა მონობიდან თავდახსნის დღესასწაულია, ხოლო აღდგომა გულისხმობს ჯოჯოხეთის წარმოტყვევნას, ანუ ჯოჯოხეთის ძალის დაძლევასა და მისი მონობიდან გამოხსნას. დავუკვირდეთ, რომ უფალი გაიზრდება ეგვიპტეში და მოღვაწეობას იწყებს ამ ქვეყნიდან გამოსვლის შემდეგ. ამით აღსრულდება საუფლო წინასწარმეტყველება: „ეგვიპტით უწოდე ძესა ჩემსა“ (მათე 2, 15).

წმ. გრიგოლ ნოსელი ამგვარი თვალსაზრისის წინააღმდეგი იყო. მისი მოსაზრებით, „უმთავრესია სულიდან იმოგზაურო უფლისკენ, ვიდრე კაბადოკიიდან _ პალესტინაში“ (ნოსელი 2010, 125). ეს დიდი კაბადოკიელი მამა ლოცვას მიიჩნევდა უფლისაკენ „მოგზაურობის“ საუკეთესო ფორმად, სულიერი ამაღლების გზად, რადგან „აღმომყვანებელი არს ჯოჯოხეთისაგან და განმღებელი კარისა მის სასუფეველისა“ (ნოსელი X, 30).

ამგვარად, „გზა“, „სრბა“, „სვლა“ სამყაროულ სივრცეში ცხოვრება-გადაადგილების ამსახველი მეტაფორებია.

ლაურა გრიგოლაშვილი - ქართული ჰიმნოგრაფია

ქართული ჰიმნოგრაფია ორგანული ნაწილია პოეზიისა, რომელშიც მაქსიმალურად გამოვლინდა ჩვენი ერის შემოქმედებითი ნიჭი და პოტენცია. სასულიერო საგალობლები საუკუნეთა მანძილზე ხვეწდნენ ქართველი პოეტების გემოვნებასა და სტილს. ცნობილია, რომ საგალობელთა პოეტური სახეები აირეკლა რუსთაველისა და მისი ეპოქის დიდოსტატთა მხატვრულ ნააზრევში. ისინი ფუნქციონირებენ დღესაც.

მართალია, სასულიერო პოეზია შექმნილია ჩვენგან დაშორებულ ხანაში და ამიტომ ბევრი რამ ჰიმნოგრაფთა კონცეფციაში ჩვენთვის გაუგებარია და მიუღებელიც, მაგრამ, ეს, ცხადია, არ ათავისუფლებს ჩვენს ახალგაზრდობას ამ პოეზიის შესწავლისაგან.

მეცნიერულმა კვლევამ ცხადყო, რომ საერო მწერლობა, რომელიც იდეური შინაარსითა და სტილით განსხვავდება ჰიმნოგრაფიისაგან, მასთან მსგავსებას ავლენს რიგი თემებისა და მოტივების დამუშავებაში, ამა თუ იმ მხატვრული ხერხის მსგავსი ფუნქციით გამოყენებაში.

საერო და სასულიერო პოეზიაში ერთნაირად შუქდება სინამდვილის ისეთი ასპექტები, როგორიცაა: სამყაროს იერარქია, ეროვნული თვითშეგნება, ასტრალური სინამდვილე, მსოფლიო სევდა, სიკეთე-ბოროტება, საწუთროს ამაოება, პოეზიის ღვთაებრივი დანიშნულება, საკუთარი უღირსობის აღიარება და სხვ. სასულიერო პოეზიაში გამოიკვეთა ეროვნული გმირის იდეალი, რომელიც შემდეგ ახალი შინაარსით გაამდიდრა საერო მწერლობამ.

ჰიმნოგრაფია არის სასულიერო პოეზია, სადაც პოეტური ტექსტი, ჩვეულებრივ, გალობით სრულდება. ტერმინი „ჰიმნი» ძველთაძველია. პლატონის განმარტებით, „სიმღერის ის გვარი, რომელიც ღვთაებისადმი მიმართული ლოცვა იყო, იწოდებოდა ჰიმნად. ჰიმნებით ღვთაებას სცემდნენ თაყვანს». ჰიმნი ითხზვებოდა გმირის ან რომელიმე ცნობილი პიროვნების პატივსაცემადაც, ხშირად ჰიმნს რაიმე სასიხარულო ან სამგლოვიარო შემთხვევის გამოც წერდნენ.

ჰიმნი უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ისინი ბერძნულ წყაროებში დაფიქსირდებოდნენ. ქრისტიანული სასულიერო პოეზია ჩაისახა ქრისტიანული საზოგადოების შექმნასთან ერთად; მაცხოვარი და მისი მოწაფეები, აგრძელებდნენ რა უძველეს ტრადიციებს, თვითონაც თხზავდნენ საგალობლებს. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, რიტუალურ ტრაპეზობათა დროს თითქმის ყოველი მონაწილე პურობისა ასრულებდა საკუთარ, ზოგჯერ იმპროვიზებულ საგალობელს. სპეციალისტთა აზრით, თვით მაცხოვარი იყო პოეტი და ხშირად მეტყველებდა ფსალმუნებისა თუ სოლომონის იგავების ენით. ნიშანდობლივია, რომ ჯვარზე გაკრული ქრისტეს უკანასკნელი სიტყვები ფსალმუნიდან იყო: „უფალო ღმერთო, რაჲსთვის დამიტევებ მე?» (ფს. 21,2).

საგალობლის არსს შეადგენდა მისი ხოტბითი შინაარსი. IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ნეტარი ავგუსტინე პლატონის მსგავსად გვაუწყებდა: „თქვენ იცით, რა არის ჰიმნი: ესაა სიმღერა, რომელიც განადიდებს ღმერთს. თუ ადიდებ ღმერთს, მაგრამ არ გალობ, ეს არ არის ჰიმნი; თუ შენ მღერი, მაგრამ არ ადიდებ ღმერთს, ამ სიმღერასაც არ შეიძლება ეწოდოს ჰიმნი“. მაშასადამე, ქრისტიანული ჰიმნიც, მსგავსად უძველესი საკულტო საგალობლებისა, ღვთაებისადმი აღვლენილ დიდებას გამოხატავდა, მაგრამ დროთა განმავლობაში საგალობლებმა სხვა ფუნქციაც შეიძინა. მან საეკლესიო მოძღვრების, მისი დოგმების გავრცელებაც იკისრა. საგალობლების საშუალებით ქრისტიანები ავრცელებდნენ ორთოდოქსულ მოძღვრებას. ამიტომაა, რომ ბიზანტიური ჰიმნოგრაფია ასახავს ორთოდოქსული ეკლესიის დოგმატური იდეებისა და დოქტრინების ევოლუციასაც, მის პოლემიკას სხვადასხვა სახის მწვალებლობასთან. ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის ქუჩებში IV-V საუკუნეთა მიჯნაზე იოანე ოქროპირის მიერ შექმნილი გუნდები გალობდნენ არიანელთა სექტების გუნდთა საწინააღმდეგო ტექსტებს.

თუ ადრე ყოველ ქრისტიანს შეეძლო საჯაროდ შეესრულებინა თავისი საკუთარი საგალობელი, IV საუკუნიდან მკაცრად განისაზღვრა საგალობელთა ტექსტების შინაარსი. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ავტორიტეტული მკვლევარი ე. ველეში წერს: „წარსულს ბარდებოდა ადრეული ქრისტიანობის პირველი დღეები, და მათთან ერთად ქრებოდა ინდივიდუალურ რელიგიურ გრძნობათა გამოხატვა“. IV საუკუნის ბოლოს ლაოდიკიის საეკლესიო კრებამ აკრძალა ეკლესიებში თავისუფალი იმპროვიზირების წესი, VI საუკუნეში კი ეს აკრძალვა განმტკიცდა და კიდევ უფრო დაზუსტდა. საეკლესიო პრაქტიკიდან განიდევნა ყველა ჰიმნი, რომელიც არ ეფუძნებოდა ბიბლიის ტექსტს. საზოგადოებრივ ღვთისმსახურებაში დაშვებულ იქნა მხოლოდ ის ჰიმნები, რომლებიც წარმოადგენდნენ წმინდა წიგნის ტექსტთა ერთგვარ კომპილაციას. საეკლესიო მოღვაწეები აღნიშნავდნენ: „ჩვენს საგალობლებში მხოლოდ სიტყვებია წმინდა წიგნებისაგან განსხვავებული, თორემ ჩვენ იმავეს ვგალობთ, რაც ბიბლიაშია, ოღონდ სხვა სიტყვებით“.

ქრისტიანული პოეზია ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მის უმთავრეს წყაროებად ასახელებენ ძველ ბერძნულ, სირიულ და ებრაულ პოეზიას. ამ წყაროთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ებრაული პოეზია. ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში თავდაპირველად გალობდნენ ფსალმუნებს. შემდეგ გაჩნდა პოეტური სტროფები, ე. წ. ტროპარები, ქართული ტერმინოლოგიით — დასდებლები. თანდათან შეიქმნა დამოუკიდებელი საეკლესიო საგალობლები, რომლებიც ბიბლიურ გალობათა მიხედვით ითხზვებოდა. დადგა აუცილებლობა ჰიმნოგრაფიული კრებულების შედგენისა. ამ კრებულთაგან

უნდა დავასახელოთ პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკნი, „თთუენი“, ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი.

* * *

დაისმის კითხვა: როდის აღმოცენდა ქართული ჰიმნოგრაფია? უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, პირველი ქართული თარგმანი უძველესი ლიტურგიკული კრებულისა (იერუსალიმის ლექციონარი), რომლის დიდ ნაწილს ჰიმნოგრაფიული მასალა შეადგენს, შესრულებული უნდა იყოს V — VI ს-ში, სადღეისოდ უკვე დაკარგული ბერძნული პირველწყაროდან. თუ ეს ასეა, ქართული ჰიმნოგრაფიის დასაწყისად აღნიშნული დრო უნდა ვიგულისხმოთ. კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ ქართული ჰიმნოგრაფია VII ს-ში იწყება. ქართული ლიტურგიკული მწერლობა თავდაპირველად ნათარგმნი იყო. მის განვითარებაზე გავლენა ჰქონდა იერუსალიმის საღვთისმეტყველო პრაქტიკას, რადგან, როგორც ცნობილია, ქართული ეკლესია აღმოსავლური წარმოშობისაა და X ს-მდე არსებითად დაკავშირებული იყო პალესტინურ ღვთისმსახურებასთან.

ქართული ჰიმნოგრაფია ვითარდებოდა როგორც ჩვენი ქვეყნის გარეთ არსებულ (საბაწმინდა, სინა, იერუსალიმი, შავი მთა, ათონი), ისე ეროვნულ ლიტერატურულ სკოლებში. ორიგინალურმა ჰიმნოგრაფიამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია X ს-ში.

როგორც ცნობილია, VIII — IX საუკუნეებიდან სამხრეთ საქართველო, კერძოდ, ტაო-კლარჯეთი, სათავეში უდგება საქართველოს გაერთიანების, ეროვნული ხელისუფლების აღდგენისა და ერის კულტურული აღმავლობის მნიშვნელოვან საქმეს. ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის ფუძემდებელი გრიგოლ ხანძთელი ფაქტობრივად გვევლინება ქართული კულტურული ცხოვრების წინამძღვრადაც. მისი თაოსნობით ტაო-კლარჯეთის მონასტრებში დიდი ლიტერატურული საქმიანობა ჩქეფს; აქ ითარგმნება და იქმნება პირველხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლები. განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია ტაო-კლარჯეთში ორიგინალურმა ქართულმა ჰიმნოგრაფიამ. თუ ადრეული პერიოდიდან ჩვენ მხოლოდ ორიოდე ისეთი ქართველი ჰიმნოგრაფის დასახელება შეგვიძლია, ვინც ორიგინალურ ჰიმნებს ქმნიდა, X საუკუნეში ქართული პოეზია დაამშვენეს იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის, კურდანაის, ეზრას, სტეფანე სანანოისძე-ჭყონდიდელის, იოანე ქონქოსისძის, მიქაელ მოდრეკილის, გიორგი მერჩულის სახელებმა. მართალია, გიორგი მერჩულის არც ერთი ჰიმნი არ შემონახულა ჩვენამდე, მაგრამ ძველ ტექსტებში დადასტურებული ტერმინი „მერჩულიულნი“ გვარწმუნებს, რომ მერჩულს შემოუღია ორიგინალური პოეტური საზომი, რომელიც პოეზიაში მისი სახელით დამკვიდრებულა, მსგავსად მინჩხის სახელთან დაკავშირებული „მინჩხურისა“.

უნდა გავიხსენოთ, რომ თვით გრიგოლ ხანძთელს გადაუწერია ჰიმნოგრაფიული კრებული „საწელიწდო იადგარი“, რომელიც მისი ბიოგრაფის, გიორგი მერჩულის, მოწმობით, X საუკუნეში ინახებოდა ხანძთის მონასტერში. დღეს ამ იადგარის კვალი გამქრალია. სამაგიეროდ, ჩვენამდე მოაღწია 978–988 წლებში შედგენილმა უზარმაზარმა ჰიმნოგრაფიულმა კრებულმა, რომელიც დღესდღეობით შეიცავს 554 გვერდს და 200-მდე საგალობელს. ეს იადგარი შედგენილია უდიდესი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის მიერ. კრებული, გარდა იმისა, რომ გვაცნობს ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფების თხზულებათა უძველეს ქართულ თარგმანებს, გვაწვდის უნიკალურ ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებსაც ზემოხსენებულ ქართველ ჰიმნოგრაფთა შესახებ. ფაქტობრივად მან შემოუნახა ისტორიას X საუკუნის ჰიმნოგრაფთა სახელები. კრებული მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მას ახლავს სპეციალური სანოტო ნიშნები, რითაც იგი მუსიკათმცოდნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის განვითარებას არ აფერხებს საერო პოეზიის მნიშვნელოვანი აღმავლობა. საერო პოეზიის უბრწყინვალესი ძეგლების გვერდით

მაღალმხატვრულ საგალობლებს თხზავენ დავით აღმაშენებელი, პეტრიწი, დემეტრე მეფე, იოანე შავთელი, ნიკოლოზ გულაბერისძე, არსენ ბულმაისიმისძე და სხვანი.

ქართული ჰიმნოგრაფია, რომელიც ე. წ. დაქვეითების პერიოდში სხვა ლიტერატურულ ჟანრებთან ერთად ჩაიფერფლა, ერთგვარ გამოცოცხლებას განიცდის XVII – XVIII სს. აღნიშნული პერიოდის სასულიერო პოეზია არსებითად უკავშირდება ჰიმნოგრაფიულ კრებულს, რომელსაც „სადღესასწაულო“ ეწოდება. ამ კრებულში შეტანილ საგალობელთა მთავარი თემაა ეროვნული სინამდვილე და ეროვნული წმინდანები. ქართული ჰიმნოგრაფიის ბოლო პერიოდი დაუკავშირდა რუსულ ლიტურგიკულ პრაქტიკას. ბევრი ქართული კრებული შესწორდა სლავური ლიტურგიკული ძეგლების მიხედვით.

ქართველმა ჰიმნოგრაფებმა განვითარების ადრეულ საფეხურზევე თარგმნეს ყველა ლიტურგიკული კრებული მართლმადიდებლური ეკლესიისა. ცნობილია ისიც, რომ ჩვენი წინაპრები არ კმაყოფილდებოდნენ ამ კრებულების მხოლოდ გადმოღებით. ისინი კრებულებს ამდიდრებდნენ ორიგინალური საგალობლებით და თვითონაც ადგენდნენ ანალოგიურ კრებულებს ბიზანტიური და ქართული წყაროების უხვი გამოყენებით. კ. კეკელიძის თანახმად, ასეთი რამ არსად მომხდარა და უპრეცედენტოა ჰიმნოგრაფიის ისტორიაში.

ქართული სასულიერო პოეზიის ღირებულება არ ამოიწურება ოდენ ეროვნული მნიშვნელობით. ქართულ ჰიმნოგრაფიას უდიდესი ღირებულება აქვს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესასწავლადაც, ვინაიდან მან შემოგვინახა ბერძნულ საგალობელთა უძველესი თარგმანები, მათ შორის ისეთებიც, რომელთა დედნები ჯერ მიკვლეული არ არის. კ. კეკელიძის თქმით, ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში მკვლევარი აღმოაჩენს ისეთი ავტორების ჰიმნებსაც, რომელნიც დღეს ბერძნულად დაკარგული არიან.

* * *

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია გვთავაზობს სასულიერო მწერლობისათვის კარგად ცნობილსა და დამუშავებულ ზოგად ქრისტიანულ მოტივებს. საგალობლები ეძღვნება ამა თუ იმ ქრისტიანულ დღესასწაულს, ღვთაებას, მაცხოვარს, წმინდანებს... განდიდებულია კოსმიური მნიშვნელობის რელიგიური ფაქტები (ქრისტეს შობა, ნათლისღება, აღდგომა...), გამოკვეთილია წუთისოფლის წარმავლობისა და საკუთარ ცოდვათა მონანიების მოტივები.

სასულიერო პოეზიის უმთავრესი პრობლემა მაინც „პირველსახის“ ქრისტიანულ დოგმატთანაა დაკავშირებული. ქრისტიანული შეგნებით, არ არსებობს პირველცოდვისგან თავისუფალი ადამიანი, პირველცოდვა კი პირველსახისგან, ხატი ღვთისა თავისი არსისგან დაშორებას ნიშნავს. ამ ნიადაგზე აღმოცენებული ადამზე მიმთითებელი ეპითეტები: „უცხო ქმნული“, „მომწყდარი“, „დაცემული“, „განხრწნილი“, „შიშველი“ და სხვა, რომლებიც ხშირად გვხვდება ქართულ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში.

ჰეგელის თანახმად, პირველცოდვის ქრისტიანული გაგება შეიცავს მტკიცებას, რომ ადამიანი თავისი ბუნებრივი მდგომარეობით არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს ის ღვთაების წინაშე და ამიტომაც თავის დანიშნულებად მიიჩნევს „გახდეს თავისთვის ისეთად, როგორიც ის არის მხოლოდ თავის თავში“.

ადამიანის პირველცოდვის არსს ზუსტად გამოსახავს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში დამკვიდრებული ტერმინი „ცთომა“, რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „გზით გამრუდება“. ადამიანის არასრულყოფილების, იდეალურისაგან მისი დაცილების საკითხი სხვადასხვაგვარი ფორმით თავს იჩენს ყველა რელიგიურ და მისტიკურ მოძღვრებაში: პლატონის „უმაღლესი ადამიანი“, გნოსტიკოსების „პირველადამიანი“, კაბალის „ადამ კადმონი“, ნეოპლატონიკოსების „ღვთიური ადამიანი“ და ა. შ. უკვე განსაზღვრავდა ადამიანისათვის უმაღლეს იდეალს და კაცის არასრულყოფილებაზე მიუთითებდა.

რელიგიური ხსნის აზრიც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანს თავის თავში აღედგინა უმაღლესი ადამიანი და შერწყმოდა ღვთაებრივს. მაგრამ „ხსნის“ იდეამ საბოლოო გადაწყვეტა ქრისტიანულ რელიგიაში პოვა. ქრისტიანობაში, ჰეგელის მიხედვით, უმთავრესია ადამიანისათვის გაიხსნას იდეის შინაარსი, რათა ადამიანი მისწვდეს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების იგივეობრიობის არსს. აღნიშნული იდეა, როგორც ჰეგელი შენიშნავს, ადამიანებმა უშუალოდ შეიმეცნეს ქრისტეში, რომელშიც ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება შერწყმულია.

სასულიერო პოეზიაში აღნიშნული პრობლემა სხვადასხვა სახით შემოდის. ერთი მხრივ, ჰიმნი განადიდებს თვით პირველ სახეს (ქრისტეს), ან მასთან მიახლოებულ წმინდანს, მეორე მხრივ, წარმოაჩენს ცოდვით დამძიმებულ ადამიანის სახეს. სასულიერო პოეზიის მიზანია, დაუახლოოს ადამიანი იდეალს.

დაისმის კითხვა: სასულიერო პოეზიის თემატიკისა და მოტივების ერთგვაროვნება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ეს პოეზია მოკლებული იყოს მხატვრულ-გამომსახველობით ძალას? მართლაც, შუა საუკუნეებში ადამიანი თავის მიმართებას უზენაესისადმი გამოხატავდა მზა რელიგიური ფორმულებით, შესაბამისად, ჰიმნებიც მთლიანად ეფუძნებოდა ამ რელიგიურ-დოგმატურ ფრაზეოლოგიასა თუ მზა სახეებსა და გამოთქმებს; მიუხედავად ამისა, სასულიერო პოეზიის ნიმუშები მაინც აღიქმება, როგორც ორიგინალური და დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების მოვლენა. შუა საუკუნეების ქრისტიანული მწერლობის ძეგლთა მხატვრული თავისთავადობა და ცხოველმყოფელობა კი იმით გახლავთ განპირობებული, რომ შემოქმედი ყოველ რელიგიურ ფაქტთან ამყარებს დამოუკიდებელ მიმართებას. ესა თუ ის თემა, ესა თუ ის მოტივი ხდება მისი პირადი რეფლექსიისა და განცდის საგანი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იგი პირველი აღმოაჩენს და აღწერს ამ ფაქტს. ნაწარმოებს წარმართავს ემოციურად დამუხტული აზრი – ძეგლის მხატვრული სახე; იოანე მინჩხის აღდგომის დასდებელში ნათქვამია:

ღმრთისა სიტყუაო, ბუნებით უვნებელო,
ბუნებად ჩემი მიიღე და მით ივნე
და მავნებელი ჩემი მოჰკალ ჯუარითა
და ლახუარითა, რომლითა განიგმირე,
ვითარცა კაცი. ძალსა შენსა დიდებაი.

ამ სიტყვებში უზენაესისადმი ავტორის ღრმა ინტიმი გამოსჭვივის, რის გამოც სტრიქონებს შეძენილი აქვთ გამომსახველობის უდიდესი ძალა.

* * *

ცნობილია, რომ ძველი ქართული პოეზია არ იცნობს ლექსის იმ საზომს, რომელიც დამახასიათებელია დღევანდელი პოეტური ნაწარმოებისათვის. ბევრ ძველ საგალობელს არა აქვს მეტრი, საზომი; მათში არ იგრძნობა ტაეპები, რადგან ისინი განსხვავებული მოცულობისა არიან, არა აქვთ რითმა. მოუმზადებელ მკითხველს გაუჭირდება კიდეც მათში პოეტური ტექსტის ამოცნობა. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საზომი, რაც პოეტურ მეტყველებას ლექსად აქცევს, ისტორიული ცნებაა და განვითარების გარკვეულ საფეხურზე შემუშავდა. ძველი პოეზიის ერთო საუკეთესო მცოდნე (ა. ოლესნიცკი) შენიშნავდა: „ძველი სიმღერები ინდოეთისა, ეგვიპტისა, ბაბილონისა თუ იუდეისა ფორმის მიხედვით უაღრესად ედარებიან ერთმანეთს, მაგრამ სრულიადაც არ ჰგვანან იმას, რასაც ჰომეროსის ლექსი ეწოდება“. საინტერესოა, რომ არც ძველი აღთქმის პოეზია იცნობს სალექსო საზომებს, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ბიბლიაში არ გვხვდება სალექსო ზომის აღმნიშვნელი არც ერთი სიტყვა, თუმცა მასში უხვადაა მუსიკალური ტერმინოლოგია.

მაშასადამე, ლექსს შეიძლება არ ჰქონდეს მეტრი, საზომი, მაგრამ იგი მაინც პოეზია იყოს. მეორე მხრივ, საზომში, მეტრში მოქცეული ყველა ლექსი როდი შეიძლება

ჩაითვალოს პოეტურ ნაწარმოებად. ჯერ კიდევ არისტოტელე შენიშნავდა: „თუ ვინმე მედიცინასა ან ფიზიკაში დაწერს ტრაქტატს მეტრით, მის ავტორს, ჩვეულებრივ, უწოდებენ პოეტს, სინამდვილეში კი ჰომეროსსა და ემპედოკლეს შორის არაფერი არ არის საერთო, გარდა მეტრისა, ამიტომ მართებულია პირველს ეწოდოს პოეტი, ხოლო მეორეს პოეტზე უფრო ფიზიოლოგის სახელი შეეფერება“. მაშასადამე, ლექსად გამართული ისტორიული ან სამედიცინო ნაწარმოები არ შეიძლება პოეზიას მივაკუთვნოთ, პოეტურ ნაწარმოებად აღვიქვათ, მაშინ, როდესაც სალექსო საზომის გარეშე დაწერილი ნაწარმოები ჭეშმარიტი პოეზიის სფეროს შეიძლება განეკუთვნებოდეს.

ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტები სწორედ ასეთი პოეზიის ნიშნით არიან აღბეჭდილნი. აღსანიშნავია, რომ ძველ პოეზიაში საზომთა არ არსებობის ფაქტი პარალელს პოულობს უძველეს მუსიკაშიც. საეკლესიო საგალობლებს არ გააჩნია ტაქტი, მუსიკალური საზომი. მელოდია ტოლ, თანაბარ ნაწილებად კი არ არის დაყოფილი, არამედ სალექსო სტრიქონების მსგავსად თავის შინაგან ლოგიკას მიჰყვება.

* * *

ახლა ვუპასუხოთ კითხვას: რა შეადგენს სასულიერო პოეზიის მხატვრული ბუნების არსებით თავისებურებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. ლიტერატურათმცოდნეობაში ხაზგასმითაა ნათქვამი – მხატვრულმა ნაწარმოებმა ესთეტიკური გავლენა რომ მოახდინოს მკითხველზე, იგი უნდა გახმოვანდეს: „წიგნი სანოტო რვეულის ანალოგიურია, – ნათქვამია ერთ ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომში. – ისე, როგორც მუსიკის რეალობა, მუსიკის ნამდვილი არსებობა განხორციელებულია შესრულებაში, სიმღერასა თუ ორკესტრის ხმოვანებაში, ზუსტად ასევე ლიტერატურული ნაწარმოების რეალობაც დაკავშირებულია სიტყვიერ შემოქმედებასთან, კითხვასთან (თუნდაც ეს კითხვა სრულდებოდეს „თავისთვის“)“.

თუ ასეთი შეხედულებები კანონზომიერია საზოგადოდ მხატვრული ნაწარმოების მიმართ, მით უფრო აუცილებელია მათი გათვალისწინება ძველ სასულიერო პოეზიასთან კავშირში, რადგან ეს პოეზია არც არსებობდა ხმოვანების გარეშე. საგალობლის სიტყვა და ვოკალი ერთმანეთისაგან გაუთიშავი იყო. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტექსტისა და მელოდიის ურთიერთმიმართებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭებოდა აზრს, ტექსტის შინაარსს, მის იდეურ მხარეს. სპეციალისტთა თანახმად, საეკლესიო გალობის თავისებურება იმაშია, რომ აზრი უნდა ბატონობდეს გალობის ხმაზე, მელოდია მხოლოდ დამატება უნდა იყოს ცოცხალი სიტყვისა; ხმის მიმოქცევამ კი არ უნდა დაჩრდილოს აზრის და სიტყვის მოძრაობა, არამედ უნდა მიანიჭოს გამომხატველობა და შთამბეჭდაობა იმ ფარგლებში, რომელსაც მოიცავს საგალობლის სიტყვიერი მასალა. იმდენად დიდი იყო მნიშვნელობა სიტყვის შინაარსისა, რომ გალობის შემსრულებლისათვის აუცილებელი არც კი იყო ვოკალური მონაცემები. ნეტარი ავგუსტინე ამბობდა: „ღმერთს უნდა უგალობო არა ხმით, არამედ გულით. ქრისტეს მონამ უნდა იგალობოს ისე, რომ მოგვხიბლოს არა მისმა ხმამ, არამედ – სიტყვებმა“.

სასულიერო პოეზიის მხატვრული ბუნება კარგად იყო გახსნილი მის მელოდიაში. ჰიმნები თავისი კეთილხმოვანებით იზიდავდა და განასპეტაკებდა მსმენელს. აი, როგორ ახასიათებდა შუა საუკუნეების დიდი მისტიკოსი გრიგოლ ნოსელი მუსიკას: „მელოდია სხვა არაფერია, თუ არა მოწოდება ამაღლებული ცხოვრებისაკენ. იგი მოაგონებს ყველას, ვინც სიკეთეს მსახურებს, არ დაუშვას თავის ზნე-ჩვევებში რამე არამუსიკალური, არამწყობრი, არათანხმიერი“. მაგრამ სასულიერო პოეზიის ნიმუშებს ჩვენ უმთავრესად მელოდიის გარეშე ვეცნობით, ჩვენთვის ბევრი მათგანის მუსიკალური გახმოვანება სრულიად უცნობია. აქედან შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ამ საგალობლების მხატვრულ ბუნებას ჩვენ მთელი

სისავსით ვერ ვწვდებით. მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ საგალობლის მელოდიას, მის ინტონაციურ ხმოვანებას ნაწარმოების ტექსტი განსაზღვრავს, მაშინ ნათელი გახდება, რომ საგალობლის პოეტური ღირსება საძებნელია ნაწარმოების სტრუქტურაში, მის რიტმულ აღნაგობასა და სიტყვიერ ფაქტურაში.

სასულიერო პოეზიის არსებითი ნიშნებია – მუსიკალურობა და ლირიზმი. მუსიკალური ეს ნაწარმოები არის არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იგალობება, არამედ იმიტომაც, რომ მასში ხელშესახებადაა გამოვლენილი ადამიანის განცდა, მისი სულის მოძრაობა. მსგავსად მუსიკალური ნაწარმოებისა, ჰიმნი გადმოგვცემს მკვეთრად შეფერილ განწყობილებას. მაგალითისთვის მოვიტანთ აბო თბილელისადმი მიძღვნილი საგალობლის ერთ ნაწყვეტს:

„გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ, უკანასკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაი მეათერთმეტისა ჟამისაჲ მდღევართა მათ თანა აღმსთობილთა მიეწივე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი!

გიხაროდენ, მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ მიემსგავსე უკანაჲსკნელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა მათ სჯულთა და მოძღურებათა განგდებითა, და ქრისტეს, ძისა ღმრთისა, აღსარებითა მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა“ – აი, ეს ზეაწეული, მღელვარე ტონი თავიდან ბოლომდე გასდევს იოანე საბანისძის ამ საგალობელს და მას გამომსახველობის დიდ ძალას ანიჭებს.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ძველ ქართულ საგალობლებს ყოველთვის მაჟორული ტონალობა ჰქონდეთ; ძალიან ბევრია ისეთი ნაწარმოებიც, რომლებიც სევდისა და მწუხარების მუქი ტონებითაა დამძიმებული.

რევაზ სირაძე- შენ ხარ ვენახი

ქართული ჰიმნოგრაფიის შედევრია დემეტრე-დამიანეს (+1150 წ.) ცნობილი იამბიკო:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული“.

ესაა ღვთისმშობლის სადიდებელი. როგორ ცნობილია, ამგვარი ციკლი ფართოდაა გავრცელებული მთელს ქრისტიანულ მწერლობაში. არსებობს ვედრების ციკლიც, რომელიც არანაკლებ გავრცელებულია. შეწევნისათვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ანგელოზებზე ხშირადაც კი მიმართავდნენ-ხოლმე, რადგან ისაა შუამავალი ადამიანსა და მაცხოვარს შორის (როგორც ეს „ვედრების“ ანუ „დეისის“ ფრესკულ კომპოზიციებზეა, სადაც იოანე ნათლისმცემელიც გამოისახება).

დემეტრე-დამიანეს იამბიკოს თითქმის ყველა სახე საღვთო სახელებადაც გვხვდება, მაგალითად, „ვენახი“; ამიტომ იამბიკოს პირველივე ფრაზა „შენ ხარ ვენახი“ სახარების სიტყვებს ეხმიანება. „მე ვარ ვენახი და მამაY ჩემი მოქმედ არს“ (ი. 15), ხოლო „მორჩი კეთილი“ - ფსალმუნს, „მზე გაბრწყინვებული“ - სახარებას.

შეიძლება გვეფიქრა, რომ „თავით თვისით მზე გაბრწყინვებული“ ნიშნავს მზიური ბრწყინვალების თავისთავადობას, არა სხვისაგან მოფენას, არამედ თავის თავში ნათლის ქონებას, „თვითბრწყინვალებას“, მაშინ ეს ღვთის ნიშანი იქნებოდა.

მაგრამ მართებულია თუ არა რომ ასეთი ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ ღვთაებას

მიეწეროს და არა ღვთისმშობელს? როგორც ჩანს _ არა.

საამისო მაგალითები როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიურ მწერლობაში მრავლადაა.

არსებობს წმ. იოანე დამასკელის „სიტყუა შობისათვის ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობლისა“ (ღვთისმშობლის შობის დღის, 8 სექტემბრის საკითხავი), აქ ნათქვამია:

„ვენახი, რქაშუენიერი ანნაYსაგან აღმოსცენდა

და ტევანი სიტკბოებისა აღყუავილნა“ (ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის თვის საკითხავები, ნარგიზა გოგუაძის რედ., 1986, გვ. 121).

აქ „ვენახი რქაშუენიერი“ გამოხატავს ღვთისმშობლის გენეალოგიას, რომელიც ანასაგან (და იოაკიმესაგან) აღმოცენდა. იგულისხმება, რომ იგია „მორჩი“ (ანუ ყლორტი), რადგან მან „ტევანი სიტკბოებისა აღაყვავილა“. დემეტრე-დამიანესთან „ვენახია აღყვავილებული“, ვენახი კი (ანუ ვაზი) თავისი მტევნის ყვავილობით ყვავილობს. „ტევანი სიტკბოებისა“ ღვთისმშობლისაგან შობილი ძე ღვთისაა.

ანდრია კრიტელის (729) საკითხავშიც — „შობისათვის ღვთისმშობლისა „ვენახია“ სახე ღვთისმშობლისა და „ტევანი“ მისგან შობილი ძე ღვთაებისა: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, საიდუმლოო და ღმრთივდასხმულო ვენახო, რომელი მდიდრად მიმოდაეფინე საზღუართა ეკლესიისათა და ტევანი იგი მწიფე უხრწნელობისა საშოYთ შენით აღმოგვიცენე“ (იქვე; გვ. 147).

„აკათისტოს“ („დაუჯდომელის“) V გალობაში იკითხება: „ხმობდა ღვთისმშობლისა მიმართ: გიხაროდენ, ვაზო მორჩისა და უჭნობელისაო“ (ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, III, 1973, გვ. 163). აქ „ვაზი“ ღვთისმშობლის სახეა, ხოლო „მორჩი“ - მაცხოვრისა.

იოანე მინჩხი ასე უგალობდა ღვთისმშობელს:

„ღვთისმშობელსა ვადიდებდეთ — მშობელსა და ქალწულსა, დედასა მეუფისასა, ვენახსა გონიერსა, ტაძარსა პირმეტყუელსა, ტაკუკსა მას სულიერისა, სადგურსა მანანაYსასა, ღრუბელსა სავსესა ნათლითა, მაგრილობელსა სულთა ჩუენთასა, საღმრთოსა ზღუდესა მტკიცესა, მცველსა ყოვლისა მსოფლისასა“ (იოანე მინჩხის პოეზია, ლ. ხაჩიძის გამოც. 1987, გვ. 160).

თითქმის ყველა აქ წარმოდგენილი სახელი ღვთისმშობლისა, და, მათ შორის, „ვენახიც“, არის თეოდორე სტუდიელისა და ანდრია კრიტელის საკითხავებში. ისინი ემყარება „შესაქმის“ წიგნის წინასწარმეტყველურ ხილვას.

„ძილსა შინა ვხედევდ და იყო ვენახი წინაშე ჩემსა და ვენახს მას სამნი ძირნი და იგი აღმოსცენდა და აღმოორძნდა მორჩი და მწიფე იყვნეს ტევანნი იგი ყურძენისანი“ (შესაქმისა, 40, 10).

ასე რომ „ვენახი“ (ანუ ვაზი) ღვთისმშობლის ფრიად გავრცელებული „სახელია“. მტევნებიანი ვაზი ღვთისმშობელსა და მაცხოვარს გამოხატავს. „აღყვავებული ვენახი“ მოასწავებს ვაზის მტევნის გამოსვლას, ე. ი. მაცხოვრის ჩასახვასა და შობას, ამიტომაც ამ მტევნიდან გამოსული ღვინო ევქარისტიაში მაცხოვრის დათხეულ სისხლიან ზიარებას გამოხატავს.

ასეთია სახისმეტყველებითი შინაარსი დემეტრე-დამიანეს იამბიკოს პირველი სტრიქონისა. ამასვე გამოხატავს ქართულ ტაძრებზე მტევნებიანი ვაზის ნაქანდაკართა სიმბოლური შინაარსი (მაგალითად, ანანურის ტაძრის დასავლეთის კედლისა). ასეთივე შინაარსი აქვს უმთავრეს ქართულ სიწმინდეს „ჯვარს ვაზისას“.

ღვთისმშობლის სახისმეტყველებითი სახელია „მორჩიც“ და აქედან „მორჩი კეთილი“. ანდრია კრიტელი ღვთისმშობელს ასე მიმართავდა: „გიხაროდენ, კუერთხო აჰრონისაო, ძირო იესესო, მორჩო დავითისო“ (დასახ. კრ. გვ. 146). ღვთისმშობელი გენიალოგიითაა დავით წინასწარმეტყველის მორჩი, ყლორტი (ან შტო).დავით გურამიშვილი დავით

წინასწარმეტყველის შესხმაში ამბობს: „ვაქებ მიტომა, დავითის შრტომა ზედ გამოიბა კარგი ყურძენიო“ („დავითის შესხმა პირველი“. „დავითიანი“, ალ. ბარამიძის რედ. 1955, გვ. 113).

ანდრია კრიტელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სხვა საკითხავში ნათქვამია: „მცენარე უწოდს მორჩსა და მორჩად ვისმცა სხუასა გულისხმაჰყოფდ, საყუარელო, ანუ თუ ცხად არს, ვითარმედ საკუთრად შედრგინებით მხოლოსა მას წმიდასა და წმიდათა ყოველთა უწმიდესსა ყოვლად ყოვლითურთ წმიდად გამოჩინებულსა მას შორის და დამკვიდრებულისა მისდა უბიწოდ სულით და ხორცით, მარიამს ვიტყვი, დიდსა მას და ნამდვილვე სამსახურებელსა სახელსა სიტყვითცა და საქმითცა წინასწარმეტყუელებრივსა ძირსა, კუერთხსა იესესსა, მარადის ყვავილოვანსა მორჩსა და იუდაისსა“ (დასახ. კრ., გვ. 131). აქ ღვთისმშობლის გენეალოგია იუდამდე, იაკობის ძემდეა მიყვანილი:

ღვთისმშობელი წინასწარმეტყველებრივი ძირისაა.

დემეტრე-დამიანეს სიტყვებით, ღვთისმშობელია „მორჩი კეთილი“, სხვაგვარად: ძირითვე სიკეთეა მასში და, ამასთანავე, მიმავლითად მარადიულ ბედნიერებასაა ნაზიარები — „ედემსაა დანერგული“. ამ სტრიქონს შემდეგი გააზრებაც ახლავს: ღვთისმშობელი ქრისტიანულ მწერლობაში უპირისპირდება ევას, რომლის ბრალითაც პირველი ადამიანი სამოთხეს მოაკლდა, ხოლო ღვთისმშობელი სამოთხის მკვიდრი გახდა.

ამავე აზრს უკავშირდება იამბიკოს III სტრიქონიც („ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული“).

საერთოდაც, და ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც, ძალზე ხშირად გვხვდება შემდეგი გააზრება: ღმერთმა ყველა დედათა შორის გამოარჩია მარიამი, რათა ის გამხდარიყო ღვთისმშობელი. განკაცება თვით ღვთაების ნება იყო და ეს სასწაული ღვთისმშობელს ყველას წინაშე აღამაღლებს. ამიტომ წერდა დემეტრე-დამიანე: „ღმერთმან შეგამკო, ვერვინ გჯობს ქებულიო“. ეს სტრიქონი კარგად ცხადყოფს, რომ მთელი იამბიკო საღვთისმშობლოა. „ღმერთმა შეგამკოო“,- სწორედ ღვთისმშობელზე ითქმის, რადგან ღმერთმა აქცია იგი ღვთის მშობლად და თავისი შვილობით გააღვთისმშობლა იგი. შვილი გახდა ის, ვინც დაბადებამდეც არსებობდა და ვინც თავის მშობლამდეც არსებობდა. ყოველთა ქებულთაგან ღვთისმშობელს ამიტომაც ვერვინ სჯობს, რომ ღმერთმა „შეამკო“, ღვთაებრივმა წყალობამ დაამშვენა იგი.

„უფალო მესმისას“ ღვთისმშობლისანის ძლისპირში ვკითხულობთ:

„ვერ მისწუდების გონებაY ჩუენი ჯვრისაებრ ქებად შენდა, უზეშთაესო დიდებისაო, ასულო დავითისო, ღვთისმშობელო ქალწულო“ (ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი, ელენე მეტრეველის გამოცემა. თბ., 1971, გვ. 3).

ყველა ეს გააზრება სახარების სიტყვებიდან მომდინარეობს.

„თქუა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისა, რამეთუ აჰა, ესერა ამიერიდან მნატრიდნენ მე ყოველნი ნათესავნი“ (ლ. 1, 46-48). ცნობილია, რომ ამ მოტივის მიხედვით აიგებოდა ხოლმე საგალობელთა სისტემის, ანუ კანონის მეცხრე გალობა, ე. წ. „ადიდებდითსა“.

მთელი ეს შინაარსი საყურადღებოა იმითაც, რომ ამ ბოლოსწინა სტრიქონის სტრუქტურულ ფუნქციას განსაზღვრავს, აქაა ღვთისმშობლის ერთადერთობის მოტივი. ასე მზადდება, მეცხრე გალობა, ე. წ. „ადიდებდითსა“.

მაშასადამე, დემეტრე დამიანეს იამბიკოს მეოთხე სტრიქონი ამზადებს მეხუთეს, ვითარცა დასასრულს.

დასასრულში კი, როგორც აპოთეოზში, სწორედ ღვთისმშობლის ერთადერთობის მოტივიამთელისიძლიერითგამოხატული.—„დათავითთვისითმზეხარგაბრწყინვებული“. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ერთადერთობა გამოხატულია „მზით“.

ანდრია კრიტელი ერთ-ერთ ზემომოთხრობილ საკითხავში ჩამოთვლის ღვთისმშობლის „სახელებს“ („სახელდებას“) და მათ შორისაა „მზე“, (გვ. 148), ამასთანავე „მზე“ საღვთო სახელიცაა, რაც მთელს ქრისტიანულ მწერლობასთან ერთად ხშირად ძველ ქართულ მწერლობაშიც გვხვდება (იხ. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 105 და შემდეგ). ღვთისმშობელი „მზეა გაბრწყინვებული“, რადგან იგი ღვთაებრივი ნათლით ბრწყინავს. მაგრამ განმარტებას ითხოვს „თავით თვისით“; ამ სიტყვებით „თვითბრწყინვალება“ ხომ არაა გამოხატული? მსგავსად ღვთაების თავისთავში განსაზღვრულობისა? (შევადაროთ, მაგალითად, „თვითერთი“). როგორც ირკვევა, ასეთი ვარაუდი არ მართლდება. ილია აბულაძე განმარტავს: „თავი თვისი — „სული თვისი“, „გული თვისი“, გული, გონება, „სული“ (ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 172). ამ განმარტებიდან ჩანს, რომ „თავით თვისით“ გულისხმობს არა მაინცდამაინც იმანენტურ ბუნებას. არამედ სულს, გულს, ან გონებას, თუმცა ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა „თავით თვისით“ ნიშნავს — „თავისთავად“, „თავის ნებით“ (ე. ჭელიძე). მარკოზის სახარების (5, 30) სხვადასხვა რედაქციებში ერთმანეთს ენაცვლება ორგვარი სიტყვახმარება: „იესუ გულისხმა-ყო თავით თვისით“ და „ცნა იესუ გულსა თვისსა“ სწორედ ამნაირად უნდა გავიგოთ „თავით თვისით“ დემეტრე-დამიანეს იამბიკოს დასასრულს. ამიტომ მთელი სტრიქონი შემდეგ შინაარსს იძენს: თავისი გულით (ან სულით) მზე ხარ გაბრწყინვებულიო.

იამბიკოს დასაწყისი და დასასრული ერთმანეთს აშინაარსიანებს. ღვთისმშობელია „ვენახი“ და ღვთისმშობელივეა „მზეც“. სიმბოლურად „ვენახი და „მზე“ ერთმანეთს გულისხმობს. სახისმეტყველებით „ვენახი“ „სისავსის სიჭარბეს“ მოასწავებს. „ვენახს“ ამ სისავსეს „მზე“ ანიჭებს. „ვენახი“ მზითაა აღვსილი, როგორც ღვთისმშობელი _ ღვთაებრიობით. ამიტომ ყოვლადწმინდა მარიამი თავისი ღვთისმშობლობით თავისსავე თავს სჭარბობს. ვენახი ჰყვავის მზის ბრწყინვალებით, ღვთისმშობელი — ღვთაებრივი ნათლით.

ასეთი ფუნქციის მატარებელია პირველი და ბოლო სტრიქონის სტრუქტურული სიმეტრია: შენ ხარ ვენახი და შენ ხარ მზე. ეს ფუნქცია მხატვრულია, მაგრამ არა ოდენ-მხატვრული, არამედ ზე-მხატვრულიც. ღვთისმშობლის წარმოდგენა ისეთი სახეებით, რომლებიც საღვთო სახელებადაც გვხვდება, ყოვლისმომცველ უნივერსალიებთან ზიარებას გულისხმობს.

დამხმარე ლიტერატურის სია

1. ილია აბულაძე - ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973
2. რევაზ ბარამიძე, იაკობ ცურტაველის ავტოპორტრეტი. წიგნში: სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ზნეობრივი იდეალი, გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2018, გვ. 44-54
3. მანანა გიგინეიშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, სამეცნიერო კრებულში: იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ და ადრექრისტიანული კულტურა, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 33-35
4. ლაურა გრიგოლაშვილი, „გალობანი სინანულისანის“ მსოფლმხედველობრივი საკითხები. სინანული. წიგნში: დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თსუ გამომცემლობა, 2005, გვ. 107-127
5. ლაურა გრიგოლაშვილი, ქართული ჰიმნოგრაფია, წიგნში „ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ტ. III, ძველი ქართული ლიტერატურა, გვ. 177-185
6. ლალი დათაშვილი- საღვთისმეტყველო საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიაში, მეორე გამოცემა, თბ. 2004
7. რევაზ თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, „საბჭოთა საქართველო“, 1985
8. იგავნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი, წმ. მამათა და კომენტატორთა საღვთისმეტყველო განმარტება. ტ. 2, თბ. 2004
9. ივირონი - 1000, თბ. 1983
10. პავლე ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზიის სალექსო ფორმები
11. პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. წიგნში: თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტ. II, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, თბილისი, 2009, გვ. 7-36
12. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბ. 1980
13. კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თსუ გამომცემლობა, 1969
14. ზურაბ კიკნაძე, ახალი ნინო, სამეცნიერო კრებულში: წმინდა ნინო, I ტომი, თბილისი, 2008, გვ. 196-201
15. დიმიტრი ლეთოდიანი, არაბობა საქართველოში. სამეცნიერო კრებული: ეროვნული თვითშემეცნების სათავეებთან, იოანე საბანისძე, მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2016, გვ. 214-239
16. გია მურღულია, გიორგი ალიბეგაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე, გამომც. „დია“, თბ 2007
17. ვახტანგ როდონაია, ,,მხნედ მიითვალვიდა მახვილსა”, წიგნში „ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ტ. III, ძველი ქართული ლიტერატურა, გვ.123-126
18. საზრისები: ფიქრები ქართულ ლიტერატურაზე, შემდგენელი და რედაქტორი გია მურღულია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2018
19. რევაზ სირაძე, ქართული აგიოგრაფია, ნაკადული, თბ. 1987
20. რევაზ სირაძე, სახისმეტყველება, თბ. 2002
21. რევაზ სირაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 2005

22. ქეთევან სირაძე, ,,წმინდა ნინოს ცხოვრება” და მცხეთის სიმბოლური ტოპონიმიკა...
23. გრივერ ფარულავა, გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე, წიგნში „ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ტ. III, ძველი ქართული ლიტერატურა, გვ.151-159
24. ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ტომი III, ძველი ქართული ლიტერატურა, თბ. 2009
25. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ. 1978
26. ივანე ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, თსუ გამომცემლობა, ტომი VIII, თბილისი, 1977

QR-კოდები დამატებითი მასალებისთვის

პირველი თავისთვის



მეორე თავისთვის



მესამე თავისთვის



მეოთხე თავისთვის



შენ ძველი ქართული მწერლობის შესწავლას იწყებ. გაეცნობი დიდი ქართველი მწერლების ნაწარმოებებს, რომლებიც საუკუნეების წინ შეიქმნა და თავადვე დარწმუნდები, რომ ჩვენი წინაპრების ნაფიქრი და ნააზრევი დღესაც მნიშვნელოვანი და აქტუალურია, მათი მემკვიდრეობა კი - მარად ცოცხალი.

იოანე-ზოსიმე - ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი და ხელნაწერთა შემდგენელ-გადამწერი - ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი მოღვაწეობდა ჯერ პალესტინაში, საბაწმინდის ლავრაში, ხოლო შემდეგ, X საუკუნის 70-იანი წლებიდან - სინას მთაზე, ქართველთა მონასტერში. სწორედ აქ 979 წელს შეუქმნია იოანე-ზოსიმეს უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლი - პალიმფსესტი (ორშრიანი ხელნაწერი). ხელნაწერის ქვედა შრე V-VII საუკუნეებშია დაწერილი არამეულად (ანუ იმ ენაზე, რომელზეც ლაპარაკობდა იესო ქრისტე), ხოლო ზედა, ქართულენოვანი შრე, იოანე-ზოსიმეს მიერაა შესრულებული.

ეს ხელნაწერი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ წმინდა მიწაზე, სინას მთასა და პალესტინის ქართულ მონასტრებში, უცხო ენებიდან ითარგმნებოდა ქრისტიანული კულტურის ძეგლები, იქმნებოდა ქართული სასულიერო ლიტერატურა.

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერმა დიდი გზა გაიარა: სინას მთიდან გაუჩინარების შემდეგ ის რამდენჯერმე გასხვისდა და ეტაპობრივად ჩნდებოდა გერმანიის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა კოლექციაში. საბოლოოდ, 2024 წლის 11 ივნისს, ლონდონში, „კრისტის“ აუქციონზე, ეს უნიკალური წერილობითი ძეგლი გაიყიდა და შემდეგ საჩუქრად გადაეცა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

